

# ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები



ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

2022 (26)

2022 (26)

დაიბეჭდა შპს „კონტაქტ“-ში  
თბილისი 2022

**Ivane Javakhsishvili Tbilisi State University  
Ivane Javakhsishvili Institute of History and Ethnology**

**ISSN 1512-3154**

# **Studies in Modern and Contemporary History**

**2022 (26)**

**Tbilisi 2022**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

# ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

2022 (26)

თბილისი 2022

უკ (UDC) 94(100) „15/18“ + 94(100) „1918/“...

ა-984

**მთავარი რედაქტორი:**

**ავთანდილ სონღულაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია:**

**ირინა არაბიძე**

(რედაქტორის მოადგილე)

**ალექსანდრე დაუშვილი**

(რედაქტორის მოადგილე)

**მიხეილ ბახტაძე**

**ირაკლი გაბისონია**

**გია გელაშვილი**

**ოთარ გოგოლიშვილი**

**ნუგზარ ზოსიძე**

**ვასილ კაჭარავა**

**ვაჟა კიკნაძე**

**თამარ კიკნაძე**

**ალექსანდრე მოსიაშვილი**

**უჩა ოკროპირიძე**

**ანჯეი პუქშტო**

(ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტი)

**გელა საითიძე**

**ლელა სარალიძე**

**ხათუნა ქოქრაშვილი**

**დოდო ჭუმბურიძე**

**ივანე ჯაგოდნიშვილი**

**ნიკო ჯავახიშვილი**

(რედაქტორის მოადგილე)

**ოთარ ჯანელიძე**

**EDITOR-IN-CHIEF:**

**Avtandil Songulashvili**

**EDITORIAL BOARD:**

**Irina Arabidze**

(Deputy Editor)

**Alexander Daushvili**

(Deputy Editor)

**Mikheil Bakhtadze**

**Irakli Gabisonia**

**Gia Gelashvili**

**Otar Gogolishvili**

**Nugzar Zosidze**

**Vasil Kacharava**

**Vazha Kiknadze**

**Tamar Kiknadze**

**Aleksandre Mosiashvili**

**Ucha Okropiridze**

**Andžej Pukšto**

(Vytautas Magnus University)

**Gela Saitidze**

**Lela Saralidze**

**Khatuna Kokrashvili**

**Dodo Chumburidze**

**Ivane Jagodnishvili**

**Niko Javakhishvili**

(Deputy editor)

**Otar Janelidze**

დაიბეჭდა შპს „პრინტჯეო“-ში

შ ი ნ ა ა რ ს ი

Contents

ს ა ქ ა რ თ ე კ ე ლ თ ს ი ს ტ ო რ ი ა  
The History of the Georgian

**ლელა მიქიაშვილი**  
 რუსული გეოპოლიტიკური საინფორმაციო ბაზა  
 საქართველოს შესახებ XVIII ს. II ნახევარში .....9  
*Lela Mikiashvili*  
*Russian Geopolitical Information Base about Georgia in the*  
*Second Half of the 18th Century*

**ნიკო ჯავახიშვილი**  
 თავად ჯანდიერთა საგვარეულოს ისტორიიდან..... 31  
*Niko Javakhishvili*  
*From the history of the princes Jandieri's surname*

რ ე ლ ი გ ი ა დ ა პ ო ლ ი ტ ი კ ა  
Religion and Policy

**მაია ყიფიანი**  
 თანასწორობა, ქალი, ქრისტიანობა.....65  
*Maia Kipiani*  
 Equality, Women, and Christianity

**ავთანდილ სონღულაშვილი**  
 რელიგია და ქალის უფლებები (ისლამის მაგალითზე).....83  
*Avtandil Songulashvili*  
*Religion and women's rights (on the example of Islam)*

მ ს თ ე ლ ი თ ი ს ტ ო რ ი ა  
The History of the World

**ნათელა ხაჩიძე**  
 ISIS-ის პერიოდი და ნავთობის საკითხი სირიის კრიზისში .....98  
*Natela Khachidze*  
*The ISIS period and the oil issue in the Syrian crisis*

ს ა მ ს ე ლ ზ ო თ ი ს ტ ო რ ი ა  
Military History

**ლევან კურცხალია**  
 სამხედრო დიპლომატიის ჩამოყალიბებისა და  
 განვითარების ძირითადი ეტაპები..... 108  
*Levan Kurtskhalia*  
*The basic phase of formation and development of military diplomacy*

**არჩილ ჩაჩხანი**  
 ამოცანით მართვის ფილოსოფია საქართველოს თავდაცვის ძალებში –  
 მივიწყებული ისტორია თუ გარდაუვალი მომავალი ..... 122

**Archil Chachkhiani**

*Mission Command Philosophy in Georgian Defence Forces – Forgotten History or the Inevitable Future*

ისტორიოგრაფია  
Historiography

**მერაბ კალანდაძე**  
საქართველოში წინარეისტორიული ხანის შესწავლის  
საერთო სურათი და ძირითადი ეტაპები..... 151  
**Merab Kalandadze**  
*The Evolution of the Prehistoric Age Studies in Georgia*

**თამარ ანთაძე**  
პროფესორი გივი კიგურაძე – ახალგაზრდა  
მეცნიერთა გზამკვლევი ..... 169  
**Tamar Antadze**  
*Professor Givi Kiguradze – The Guide of Young Scholars*

წყაროთმკვლევება  
Source-Studies

**დავით მერკვილაძე**  
პეტრა ბუტკოვი 1774–1775 წლებში აღმოსავლეთ კავკასიაში  
არსებული ვითარებისა და გენ. მედიკოს სამხრეთ დაღესტანში  
ლაშქრობის შესახებ..... 193  
**David Merkviladze**  
*Peter Butkov on the Situation in the Eastern Caucasus in 1774-1775 and General Medem's Expedition to South Dagestan*

**ვაჟა კიკნაძე**  
ქართულ საგვარეულოთა ისტორია (საყვარელიძეთა ერთი ოჯახის  
კახეთში დამკვიდრების ისტორია)..... 213  
**Vazha Kiknadze**  
*From the History of Noble Families of Georgia (Establishing of One Branch of Sakvarelidze's family in Kakheti)*

პოლიტიკა  
The Policy

**ედიშერ გვენეტაძე**  
გორბაჩოვისეული „პერესტროიკის“ ზოგიერთი საკითხი ..... 226  
**Edisher Gvenetadze**  
*Some Issues of Gorbachev's "Perestroika"*

**ოთარ ფარცხალაძე**  
გამომწვევები რუსეთ-ევროკავშირის ეკონომიკურ ურთიერთობებში ..238  
**Otar Partskhaladze**  
*Challenges in Russia-EU Economic Relations*

**ლილი ხარჩილავა**  
რუსეთის საბარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ახლო  
აღმოსავლეთში..... 249

**Lili Kharchilava**

*Russian Foreign Policy Priorities in the Middle East*

**ანი კობახიძე**

ოპიკონსაბარეო პოლიტიკაზე მოქმედი კონცეფციები..... 258

**Ani Kobakhidze**

*Concepts Influencing the Foreign Policy of the Barack Obama Administration*

**რონა პერტია**

რუსული პროპაგანდის ნარატივები და მიზეზი როგორც

„რბილი ძალის“ ელემენტები..... 267

**Rona Pertia**

*Russian Propaganda Narratives and Myths As Elements of Soft Power*

**სოფიო დემეტრაშვილი**

ლიბერალიზმის თანამედროვე ტენდენციები..... 275

**Sophio Demetrashvili**

*Modern trends of liberalism*

ს ა ე კ თ ა შ თ რ ი ს თ უ რ თ ი ე რ თ თ ბ ე ბ ი

International Relationships

**შორენა ცინცაძე**

არაბული ქვეყნების ინტერესები ისრაელი-პალესტინის

კონფლიქტში..... 286

**Shorena Tsintsadze**

*Assistant of the Faculty of Law and International Relations of the Georgian*

*Technical University*

კ ო ნ ფ ლ ი ქ ე ტ ო ლ ო გ ი ა

The Conflictology

**სოფიკო ედიშერაშვილი**

ცხინვალის რეგიონის ისტორია. გავრცელებული

კონფლიქტები და მისი შედეგები..... 302

**Sopiko Edisherashvili**

*History of Tskhinvali region, widespread conflicts and its consequences*

**ხატია ვასაძე**

კვიპროსის კონფლიქტის ანატომია, გამომწვევი

მიზეზები და შედეგები..... 309

**Khatia Vasadze**

*Anatomy of Cyprus Conflict – Reasons and Results*

პ ო ლ ო ტ ო კ უ რ ი პ ო ტ ტ რ ე ტ ე ბ ი

Political Portrait

**ზურაბ კვეტენაძე**

ჩეჩნეთის მეორე ომის კამპანია და

ვლადიმერ პუტინის ფენომენი..... 321

**Zurab Kvetenadze**

*Second War Campaign in Chechnya and Putin's factor in the change of Russia's geopolitical vector*



კრებულის სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს კანონით პრესის  
შესახებ. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე და შინაარსზე  
პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2, კორპუსი XI.  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-  
ტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის  
ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება

# ს ა ქ ა რ თ ე კ ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა The History of the Georgian

## ლელა მიქიაშვილი

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერთანამშრომელი*

## რუსული გეოპოლიტიკური საინფორმაციო ბაზა საქართველოს შესახებ XVIII ს. II ნახევარში

კავკასიის რეგიონით რუსეთის დაინტერესება შორეული წარსულიდან დაიწყო: XVIII ს-ში რუსეთის სამეცნიერო წრეებში უკვე გამოჩნდა ნაშრომები, რომლებშიც მოცემული იყო კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების მრავალმხრივი და სისტემატური აღწერილობა (ეს ტენდენცია მნიშვნელოვნად გაძლიერდა XIX ს-ის პირველ ნახევარში). ცხადია, ამ ნაშრომებს წინ უძღოდა და საფუძვლად ედო ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაოები კავკასიის რეგიონისა და მისი მოსახლეობის შესახებ ცნობების შესაკრებად და ასეთი სახის ინფორმაციის შეგროვება რუსეთის არქივებში ჯერ კიდევ XVI ს. შუა ხანებიდან დაიწყო. ეს ის პერიოდია, როცა რუსეთსა და კავკასიის ქვეყნებს შორის პირველი დიპლომატიური, პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური კავშირები ისახებოდა და ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა საქართველოს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნული ცნობების მოპოვებაში რუსებთან ერთად უდიდესი წვლილი მიუძღოდათ უცხოელ ავტორებსაც.

რუსულ იმპერიულ დიპლომატიას უდავოდ ახასიათებდა მაღალი პროფესიონალიზმი და პრობლემების სიღრმისეული შესწავლის მეთოდიკა; კერძოდ, მათ მიერ ჩატარებული წინას-

წარი სამუშაოები ადგილობრივი მმართველობის ხასიათის, მოსახლეობის სოციალური და ფსიქოლოგიური პორტრეტის, ეკონომიკისა და კულტურის და ა. შ. შესწავლის მიზნით, მართლაც, ოპტიმალურად გამოიყენებოდა იმპერიის დაპყრობითი პოლიტიკის გასამართლებლად და შესაბამისად – დაპყრობილი ხალხების მხრიდან ნებისმიერი სახის პრეტენზიის უარსაყოფად. ამგვარი პოლიტიკის წარმოებისათვის უადრესად მყარ საფუძველს წარმოადგენდა მთელ რიგ რუს თუ უცხოელ ავტორთა (ან მოგზაურთა) მრავალრიცხოვანი აღწერილობითი ხასიათის ნაშრომები. მათში დაცული ნებისმიერი ხასიათის ინფორმაცია, ეკონომიკურ-პოლიტიკური თუ სოციალურ-რელიგიური სფეროდან, წარმატებით გამოიყენებოდა დაპყრობილი ხალხების ე. წ. ნებაყოფლობითი დამორჩილების მიზნით.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კვლევას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, თუმცა დღემდე ქართული ისტორიოგრაფიის აქტუალურ საკითხად რჩება. კონკრეტულად ჩვენთვის საინტერესო პერიოდს (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი) თავის დროზე მიეძღვნა სოლიდური პუბლიკაციები (ა. ცაგარელი, პ. ბუტკოვი, ზ. ავალიშვილი, მ. პოლიევქტოვი, ს. ბურნაშევი და სხვ.).

არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ პერიოდის საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტური მასალა, რომლის ძირითადი ნაწილი თავმოყრილი იყო რუსეთის შემდეგ არქივებში:

**რუსეთის ძველი აქტების სახელმწიფო არქივი РГАДА** (Российский государственный архив древних актов, ყოფილი **ЦГАДА** – Центральный государственный архив древних актов, უფრო ადრე – მოსკოვის მთავარი არქივი Московский главный архив).

რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი **АВПР** (Архив внешней политики России მოსკოვში);

აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება **ЛОИНА** (Ленинградское отделение Института народов Азии – ახლ. სანქტ-პეტერბურგში).

რუსეთის სახელმწიფო სამხედრო-ისტორიული არქივი **РГВИА** (ყოფილი **ЦГВИА** – Центральный государственный военно-исторический архив 1992 წლიდან РГВИА – Рос-

сийский государственный военно-исторический архив, მოსკოვში).

ასტრახანის ოლქის სახელმწიფო არქივი **ГАОО** (Государственный архив астраханской области ) და სხვ.

არქივების, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო დაწესებულებების, ისტორია სათავეს იღებს პეტრე I-ის ეპოქიდან, კერძოდ, საარქივო საქმის მოდერნიზაციის პროცესი უშუალოდ უკავშირდება პეტრესეულ რეფორმებს (მანამდე სახელმწიფოებრივი საქმის წარმოების დოკუმენტაცია ინახებოდა სხვადასხვა „პრიკაზებში“ – უწყებებში, მაგ. საგარეო საქმეთა посольский приказ, საიდუმლო საქმეთა/приказ тайных дел და ა. შ.); აღნიშნული ეპოქაში იწყება მოდერნიზაციის პროცესი, რომელიც განპირობებული იყო სოციალურ-კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებით, რომლებმაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეცვალეს არქივების ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსიც: სახელმწიფო მმართველობის სისტემაში პეტრე I-ის მიერ გატარებული რეფორმები სათანადოდ აისახა იმუჯამად არსებულ საარქივო საქმეთა სისტემაზე. ნიშანდობლივია, რომ XVII ს. ბოლოსათვის რუსეთში საარქივო საქმე წარმოდგენილი იყო მხოლოდ – სახელმწიფო არქივის, ანუ პასოლსკი (საელჩო) პრიკაზის სახით; ამ დაწესებულებაში ინახებოდა როგორც ისტორიული, ისე მიმდინარე საქმისწარმოების დოკუმენტები, შესაბამისად, ეს არქივი ერთდროულად იყო ისტორიულიც და საუწყებოც [1, 22].

1708-1715 და 1719-1720 წლებში გატარებული მმართველობის რეფორმების შედეგად შეიქმნა სენატი, კოლეგიები, სახელმწიფოს უმაღლესი კონტროლისა და საგამომძიებლო ორგანოები, ასევე, ეკლესია დაექვემდებარა სახელმწიფოს; ქვეყანა დაიყო გუბერნიებად, რამაც თავის მხრივ განაპირობა დოკუმენტური მასალების შენახვის არსებული სისტემის რეორგანიზაციის აუცილებლობა; რადგანაც ამ დრომდე არქივებს არ გააჩნდათ დამოუკიდებელი დაწესებულების სტატუსი, რეორგანიზაციის პროცესი ორი მიმართულებით წარიმართა: 1. იქმნებოდა ევროპული საორგანიზაციო სტანდარტების შესაბამისი ახალი დაწესებულებები, სადაც მხოლოდ დასრულებული

საქმეები ინახებოდა და 2. ახალი დადგენილებით, გაუქმებული დაწესებულებების საარქივო ფონდები, ისევე როგორც მოქმედი დაწესებულებების ის დოკუმენტაცია, რომელმაც იმ დროისათვის დაკარგა აქტუალობა, უნდა გადასცემოდა არქივებს. ამ მიზნით, ან უკვე ლიკვიდირებული უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების (პრიკაზების) კუთვნილი დოკუმენტური მასალების დასაბინავებლად 1712 წ. დაარსდა მოსკოვის სენატის არქივი [1, 28]. ამ დროიდან მოყოლებული პეტრე I-ის მიერ რუსული სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციის პროცესს მუდმივად თან სდევდა საარქივო დაწესებულებების რესტრუქტურისაც: არქივები და საარქივო ფონდები დროდადრო ერთიანდებოდნენ, იყოფოდნენ, გადაადგილდებოდნენ მოსკოვიდან პეტერბურგში ან პროვინციებში, შემდეგ ისევ ძველ საცავებს უბრუნდებოდნენ და ა. შ. ძველი არქივები ხან ახლებთან ერთიანდებოდნენ, ხან კვლავ ცალკე გამოეყოფოდნენ. ამგვარი უსისტემო გადაადგილების შედეგად უამრავი დოკუმენტი დაიკარგა ან განადგურდა, ამიტომ 1720 წელს პეტრე I-ის მიერ მიღებული გენერალური რეგლამენტის თანახმად დადგინდა, რომ სხვადასხვა კოლეგიების მიერ შესწავლილი და დამუშავებული დოკუმენტები შესანახად საგანგებო დაწესებულებებს გადასცემოდა. ამ მიზნით შეიქმნა პირველი ცენტრალური არქივები: ერთი – სარევიზიო კოლეგიის იურისდიქციაში – ფინანსური დოკუმენტაციისათვის, მეორე – საგარეო საქმეთა კოლეგიის იურისდიქციაში – ყველა სხვა საკითხის ამსახველი დოკუმენტური მასალებისათვის [2, 259-260].

1728 წელს გუბერნატორებსა და ვოევოდებს ბრძანებით დაევაღათ, შეარჩიონ და "უსაფრთხო ადგილებში" დააბინაონ "წარსულ წლებში შესრულებულ და დასრულებულ საქმეთა ამსახველი საბუთები", ხოლო 1736 წლიდან პროვინციებსა და გუბერნიებში დაიწყო შენობების აგება არქივებისათვის. საარქივო ფონდების მონესრიგების მიზნით 1768 წელს რუსეთის სენატმა მიიღო გადაწყვეტილება ადგილობრივი არქივების ყოველწლიური გამოკვლევის ჩატარების შესახებ და საამისოდ არქივარიუსების თანამდებობაზე უმნიშვნლო რეპუტაციისა და „ფხიზელი ცხოვრების“

წესის მიმდევარი ადამიანების შერჩევა დაიწყო (должности архивариусов для людей беспорочных, «трезвого жития»).

1780-1782 წლებში ძველ საქმეთა სახელმწიფო არქივები შეიქმნა სანქტ-პეტერბურგსა და მოსკოვში იმ დაწესებულებათა დოკუმენტაციის შესანახად, რომლებიც გაუქმდა ადგილობრივი მმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით. მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა სამხედრო-ისტორიული არქივები, რომლის მემკვიდრე დღეს არის РГВИА [3].

XVIII ს. პირველ მეოთხედში რუსეთში სამართალმცოდნე გ. ა. როზენკამპფმა შეიმუშავა საარქივო საქმის ერთ-ერთი პირველი პროექტი. მისი ავტორი კანონმემოქმედი კომისიის წევრი იყო და კარგად აცნობიერებდა, რომ საარქივო ფონდების მოწესრიგება სახელმწიფო აპარატის ინტერესებს ემსახურებოდა. 1820 წ. როზენკამპფმა წარმოადგინა თავისი პროექტი (“План о приведении в лучшее устройство архивов вообще”), რომელიც ითვალისწინებდა: 1. დედაქალაქის უკლებლივ ყველა ისტორიული არქივის გაერთიანებას ერთიანი „სახელმწიფო არქივის“ ეგიდით (გამონაკლისი იყო მხოლოდ მოსკოვის საგარეო საქმეთა კოლეგიის არქივი); 2. ერთიანი სახელმწიფო არქივი უნდა დაქვემდებარებოდა მთავარ საარქივო სამმართველოს, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფო საბჭოს ექვემდებარებოდა. 3. უნდა მომხდარიყო არქივში დაცული ყველა საქმის ერთიანად აღწერა, რათა გაიოლებულიყო საარქივო მასალებით სარგებლობა, კერძოდ, ეს შეამსუბუქებდა კანონთა შემდგენელი კომისიის საქმიანობას. 4. არქივებში უნდა დაესაქმებინათ განათლებული და საქმის მცოდნე ადამიანები, ამისთვის კი საჭირო იყო საარქივო საქმის შესწავლის ორგანიზება პროფესიონალი არქივარიუსების მოსამზადებლად. ამკარად პროგრესული ხასიათის მიუხედავად, ეს პროექტი განუხორციელებელი დარჩა და მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, XVIII ს. მეორე ნახევრიდან გააქტიურდა საარქივო საქმის რეფორმის ჩასატარებელი სამუშაოები [4, 84-85].

საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დოკუმენტების საცავის არსებობა ჯერ კიდევ შორეულ

წარსულში დასტურდება: პროკოპი კესარიელის ცნობით, 542 წ. გუბამ მეფის ელჩები ხოსრო ანუშირვანს მოახსენებდნენ, რომ კოლხები უძველესი დროიდან სპარსთა მოკავშირეები იყვნენ, რასაც ადასტურებს როგორც ლაზთა სამეფოს, ისე სპარსეთის სამეფოს ხაზინის საცავში არსებული უამრავი წერილობითი დოკუმენტი [5, 7]. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში VI ს-ში უკვე არსებობდა სამეფო არქივი, სავარაუდოდ – სპარსეთის მეფის ანალოგიურად – ხაზინის საცავში. ე. წ. „აფხაზთა მეფეთა დივანში“ ასევე დასტურდება სამეფო არქივის არსებობა ხაზინის საცავში X-XI სს-ში („**აფხაზთა მეფეთა დივანი**“ /*აფხაზ მეფეთა ქრონიკები* – მეფე ბაგრატ III-ის მიერ X ს-ში შედგენილი აფხაზთა ანუ დასავლეთ საქართველოს მეფეების ნუსხა, პირველი მეფე ანოსიდან ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ III-მდე, დაცული იყო ქუთაისის სამეფო არქივში.

დროთა განმავლობაში შელახული დოკუმენტი XV ს. დამდეგს კოსტანტინე I-ს გადაუწერიანებია. ძველი ჩვენამდე მოღწეულია XVIII ს-ის ნუსხის სახით და ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში) [6, 21-29].

სომეხი ისტორიკოსის სტეფანოზ ორბელიანის (XIII ს.) ცნობით, გიორგი III-ის მიერ ორბელიანთა შეჩვენებისა და განკვეთის ამსახველი დოკუმენტიც ასევე მეფის ხაზინის საცავში ინახებოდა და ა. შ. ამგვარი არქივები სხვადასხვა ეპოქაში იყო ქუთაისში, თბილისში, თელავში; თუმცა ჩვენამდე არ მოუღწევია არც ერთ არქივს, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე პერიოდს ეკუთვნოდა: აღმოსავლეთ საქართველოს არქივები განადგურდნენ თბილისის მრავალჯერადი დარბევების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, უკანასკნელი იყო ალა მოჰამედ ხანის თავდასხმა. იმერეთის არქივები კი 1810-1811 წწ. რუსეთის წინააღმდეგ იმერეთის აჯანყების დროს განადგურდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ მიზნად დაისახა არქივების აღდგენა, რაც აუცილებელი იყო იმხანად დაგროვილი ქონებრივი თუ სხვა სახის დავების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების გამოსატანად. ამ სამუშაოებს აწარმოებდა

1817-1828 წწ-ში საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების ე. წ. სამართლისა და სასჯელის ტიფლისის ექსპედიცია. ამის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში მოიძიეს და გადაწერეს დაახლ. 14 ათასი სიგელი, იმერეთში კი – 30 ათასამდე. ქართული საარქივო ფონდების განადგურების გათვალისწინებით, რუსეთის არქივებში თავმოყრილი მათი ასლების და, ზოგ შემთხვევაში, – გადარჩენილი ორიგინალების მნიშვნელობა ერთიორად იზრდება [5, 8-12].

**საარქივო საქმის ორგანიზაცია XVIII ს. II ნახევრის რუსეთში:** ამ დროისათვის რუსეთის იმპერიაში გამოიკვეთა საარქივო მასალების ორი ძირითადი ფენა: მოსკოვის სახელმწიფოს საარქივო ფონდები და დოკუმენტური მასალები, იმპერიის ეპოქის დოკუმენტები, რომლებიც მოქმედი დაწესებულებების, მათ შორის უპირატესად – კოლეგიების არქივებში იყო განთავსებული. 1760-1770-იან წლებში სენატისა და ადგილობრივი მმართველობითი დაწესებულებების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით კოლეგიების მნიშვნელობა დაეცა, კოლეგიათა არქივების ოპერატიული როლიც დაკნინდა და სხვადასხვა სფეროს ამსახველი საარქივო მასალები უკვე არა კოლეგიებში, არამედ სენატის დეპარტამენტებში ილექებოდა; დაიწყო კოლეგიათა გაუქმების პროცესი, მათი დოკუმენტაცია კი „ძველი საქმეების“ ნიშნით გადაეცათ ახლად შექმნილ ისტორიულ არქივებს: საარქივო საქმეთა რეორგანიზაცია არა მარტო ცენტრალურ, არამედ ადგილობრივ არქივებსაც შეეხო.

აღნიშნულ პერიოდში არქივების მდგომარეობა არცთუ სახარბიელო იყო: გამოყოფილი თანხების სიმცირის გამო არ იყო კარადებისა და თაროების საკმარისი რაოდენობა, არც სათანადოდ აღჭურვილი შენობები და ა. შ. რაც თავისთავად ცხადია, დოკუმენტების დაზიანებასა და განადგურებას იწვევდა [4, 64-78].

ბემოთაღნიშნული რეორგანიზაციისა და გარკვეული რეფორმების ჩატარების შემდეგ რუსეთში შეიქმნა მთელი რიგი მაღალ დონეზე ორგანიზებული არქივებისა, რომელთა ბაზაზე დაფუძნებული დაწესებულებები დღემდე ფუნქციონირებენ. მათგან გამოვყოფთ ჩვენთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებული



ფონდების შემცველ მნიშვნელოვან საცავებს;

1) **მოსკოვის მთავარი არქივი** – რუსეთის ძველი აქტების სახელმწიფო არქივი (ყოფილი ЦГАДА ახლანდელი სახელწოდება РГАДА – Российский государственный архив древних актов).

მოსკოვის მთავარი არქივი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი უძველესი არქივი („რუსული არქივების ბაბუა“) იყო, რომელიც ჯერ საგარეო კოლეგიის, შემდეგ კი საგარეო საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში იყო; იგი 5 არქივის ბაზაზე შეიქმნა, კერძოდ, **1. იუსტიციის სამინისტროს მოსკოვის არქივი** (Московский архив Министерства юстиции – МАМЮ). 2. საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივი (*Московского главного архива Министерства иностранных дел* – МГАМИД), რომელიც 1724-1732 წწ. მოსკოვის საგარეო საქმეთა კოლეგიის არქივის სახელით არის ცნობილი (Московский архив Коллегии иностранных дел МАКИД)). 3. საგარეო საქმეთა სამინისტროს სანქტ-პეტერბურგის მთავარი არქივი (Санкт-Петербургский Государственный архив Министерства иностранных дел); 4. მოსკოვის სასახლის არქივი (Московский дворцовый архив); 5. სამიჯნო კანცელარიის არქივი (архив Межевой канцелярии, შეიქმნა 1768 წ.).

1917 წ. რევოლუციის შემდეგ მას ჯერ სიძველეთსაცავი (Древлехранилище), შემდეგ კი 1931 წ. – ფეოდალურ-ბატონყმური ეპოქის სახელმწიფო არქივი (Государственный архив феодально-крепостнической эпохи – ГАФКЭ) ეწოდა. მოგვიანებით, საბჭოთა ეპოქაში, იგი საყოველთაოდ ცნობილი იყო ძველი აქტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის (შემოკლებით ЦГАДА ) სახელწოდებით [4, 23; 4].

РГАДА-ს დაარსების წლად ითვლება 1925 წელი, როდესაც ზემოთ ნახსენები 5 არქივიდან ოთხი (სამიჯნო კანცელარიის არქივის გამოკლებით) გაერთიანდა რსფსრ ცენტრალური ისტორიული არქივის მოსკოვის ფილიალის ერთ უძველეს საცავში; მან ასევე მიიღო სახელმწიფოს მიერ ნაციონალიზებული სინოდის, ტაძრებისა და მონასტრების კუთვნილი დოკუმენტები, პირადი და

საოჯახო ფონდები. 1931 წელს უძველეს საცავს სახელი გადაერქვა და ფეოდალურ-ბატონყმური ეპოქის სახელმწიფო არქივი ეწოდა (ГАФКЭ). 1941 წელს მას დაარქვეს ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივი (ЦГАДА), 1992 წელს კი არქივმა მიიღო დღევანდელი სახელწოდება Российский государственный архив древних актов (РГАДА) [4, 77-78].

ამ არქივის ისტორიიდან აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ XVIII ს. პირველ მეოთხედში მოსკოვში ან უკვე გაუქმებული საელჩო პრიკაზის (1549-1720 წწ.) დიპლომატიური დოკუმენტების შესანახი არქივის დაარსება გათვალისწინებული იყო მაშინაც კი, როდესაც 1720 წლიდან შეიქმნა პეტრეს კოლეგიები (ასე მაგალითად, საგარეო საქმეთა არქივი (МИД) ) პეტრე I-ის მიერ 1720 წ. დაარსებული საგარეო საქმეთა კოლეგიის (КИД) თანამედროვედ არის მიჩნეული). მიუხედავად ამისა, არქივმა ფაქტობრივად ორგანიზებული სახე მიიღო მხოლოდ ეკატერინე II-ის მმართველობის დასაწყისში აკადემიკოს გ. ფ. მილერის (მიულერის) ინიციატივით [8, 3-63].

არქივი პირველად განთავსდა მოსკოვის კრემლში, საელჩო პრიკაზის შენობაში არხანგელსკის ტაძრის მახლობლად, 1762 წლიდან – როსტოვის ეზოში, კითაი-გოროდის დაბლობში, ვარ-ვარკას მახლობლად, ხოლო 1768 წელს ამ დოკუმენტების ფონდის განსათავსებლად შეისყიდეს ძველი პალატები ხოხლოვსკის შესახვევის №7-ში, რომელიც ოდესღაც ემელიან უკრაინცევს – საგარეო პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ეკუთვნოდა. მანამდე, მდინარე მოსკვას ადიდებისას, კრემლის სარდაფებში ძველი ქაღალდების მთელი სკივრები იღუპებოდა, რომელთაგან უმეტესი გაუხსნელიც კი იყო [9, 77-78; 10].

თანამედროვის გადმოცემით „მოსკოვის ერთ-ერთ შორეულ კვარტალში, მიყრუებულ ხეივანში, პოკროვკის უკან, გორაკზე აღმართულია ძველი ქვის ნაგებობა... ქარტიების, ხელშეკრულებებისა და ასლების შესანახად ამ ძველი, რკინის კარებიანი და ჟალუზებიანი ქვის საცავზე უფრო უსაფრთხო და წესიერი ვერაფერი მოიძებნა. მთელი შენობა პირთამდე გაივსო ნაწილობრივ დახარისხებული, მეტწილად კი დაუხარისხებელი

ძველი საქმეების გროვით: საკანცელარიო მუშაკებისათვის და გარედან შემოსული პირებისთვის მხოლოდ სამი ოთახი იყო დარჩენილი“ [11, 34].

არქივის სამეცნიერო მუშაობის ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი უკავშირდება ნ. ნ. ბანტიშ-კამენსკის და მისი მემკვიდრის ა. ფ. მალინოვსკის სახელებს. ორივე შევიდა ისტორიაში, როგორც გამოჩენილი არქეოგრაფები. მათი ხელმძღვანელობით უზარმაზარი სამუშაო ჩატარდა დოკუმენტების სისტემაში მოსაყვანად და მათგან ყველაზე ღირებულის – საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და მოსკოვის სახელმწიფოს აქტების გამოსაქვეყნებლად.

მე-19 საუკუნის უმსხვილესი რუსი მედიევისტები თავიანთ ნაშრომებში დიდწილად ეყრდნობოდნენ ამ პუბლიკაციებს.

1811 წელს, სახელმწიფო კანცლერმა, გრაფმა ნ. პ. რუმიანცევმა, საკუთარი ხარჯებით ჩამოაყალიბა კომისია არქივში სახელმწიფო სიგელებისა და ხელშეკრულებების გამოსაცემად. არქივში მომუშავე ცნობილ მეცნიერებს შორის იყვნენ პ. ი. ბარტენევი, პ. ა. ბესონოვი, ნ. ვ. კალაჩოვი. ნ. მ. კარამზინმა აქ შეაგროვა მასალები "რუსული სახელმწიფოს ისტორიისთვის" (История государства Российскаго, СПб, 1818).

პუშკინის ეპოქაში არქივის პერსონალს შორის შეზღუდული იყო ახალგაზრდა თანამშრომელთა რაოდენობა: საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის ფილიალში თანამდებობის მოსაპოვებლად საჭირო იყო საიმედო პროტექცია. მალინოვსკის ხელმძღვანელობისას არქივში სამსახურს თავადაზნაურობა განიხილავდა, როგორც უმნიშვნელო, ყოველგვარი ვალდებულებისაგან თავისუფალ თანამდებობას, ერთგვარ სასტარტო მოედანს მარტოხელა (დაუოჯახებელი) მოსკოველი ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც არ სურდათ მშობლების სახლის დატოვება და სამუშაოდ სანქტ-პეტერბურგში გადასვლა. მაგალითად, განათლებულ „არქივის ახალგაზრდების“ წრეს ეკუთვნოდნენ ძმები ვენევიტინოვები (ერთი მათგანი პოეტი იყო) და ტურგენევი, ვ. ფ. ოდოევსკი, ა. კ. ტოლსტოი და სხვები. 1830-იან წლებში კი ტიტულოვანი მრჩეველი ა. ს. პუშკინი არქივში ჩინოვნიკად ირიცხებოდა [12, III; 16, 66-74].

1812 წელს ომის დროს არქივი გადაიტანეს ნიჟნი ნოვგოროდში. 1834-1882 წლებში მოსკოვის მთავარი არქივიდან ცალკე გამოიყო ქარტიათა და ხელნაწერთა სახელმწიფო სიძველეთა საცავი (Государственное древлехранилище хартий и рукописей) – კოლექციის ყველაზე ღირებული ნაწილი, რომელიც ინახებოდა მოსკოვის კრემლის კედლებში. 1874 წელს, ფართობის სიმცირის გამო, არქივი გადავიდა ნარიშკინების ყოფილ სასახლეში (მოხოვაიას ქუჩისა და ვოზდვიჟენკას კუთხეში), რომელიც საგანგებოდ ამ მიზნით გადაკეთდა დვლარტნილ „რუსულ“ სტილში (სტალინური რეკონსტრუქციის დროს ამ შენობის ადგილზე ლენინის ბიბლიოთეკის ახალი შენობა აშენდა). საბჭოთა პერიოდში კი რამდენიმე სხვა არქივისა და მოსკოვის მთავარი არქივის ბაზაზე შეიქმნა ძველი აქტების სახელმწიფო არქივი (Государственный архив древних актов).

РГАДА-ს მასალებში ასახულია რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორია, მისი საგარეო ურთიერთობები, სამხედრო ისტორია, საომარი მოქმედებების ისტორია და ა. შ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მასალები უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულებების ფონდებიდან (პეტრე I-ის კაბინეტის, სენატის, უზენაესი საიდუმლო საბჭოს, მინისტრთა კაბინეტის და ა. შ.) [7, 115-157].

საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივის (Московский главный архив Министерства иностранных дел МГАМИД) ძირითადი ბაზა გახდა საელჩო უწყებების (посольский приказ) არქივი, რომელიც თავის მხრივ მოიცავდა მოსკოვის დიდი სამთავროსა და სამეფო არქივებს. საელჩო პრიკაზის გაუქმებისა და საგარეო საქმეთა კოლეგიის შექმნის შემდეგ პეტერბურგში საფუძველი ჩაეყარა კოლეგიის არქივს, სადაც გადაიტანეს საელჩო პრიკაზის ბოლოდროინდელი მასალები, ხოლო დოკუმენტების დიდი ნაწილი კვლავ დარჩა მოსკოვის საცავში, რომელსაც საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის არქივი ეწოდა. ეს იყო პირველი ოფიციალურად რეგისტრირებული საისტორიო არქივი, რომელსაც 1724 წ. დამოუკიდებელი სტატუსი მიენიჭა. 1781 წ. მასთან გააერთიანეს მოსკოვის კოლეგიის

კანტორის ან უკვე გაუქმებული არქივიც. 1832 წელს, საგარეო საქმეთა კოლეგიის გაუქმების შემდეგ, არქივს ეწოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივი (МГАМИД). ამას გარდა, პეტერბურგში არსებობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს პეტერბურგის მთავარი არქივი.

1918 წ. МГАМИД-ი გაერთიანდა ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდის (Единый государственный архивный фонд – ЕГАФ) შემადგენლობაში და ჩამოყალიბდა ამ გაერთიანების I სექციის მოსკოვის მე-3 ფილიალის სახით (აქ შედიოდა კანონმდებლობის, უმაღლესი ადმინისტრაციისა და საგარეო პოლიტიკის ამსახველი მასალები). 1920 წელს ЕГАФ-ი გადაეცა რსფსრ სახელმწიფო ისტორიულ არქივს, 1925 წელს შევიდა რსფსრ ცენტრალური საისტორიო არქივის მოსკოვის განყოფილების სიძველეთსაცავის შემადგენლობაში, 1931 წლიდან ეწოდა ГАФКЭ, 1941 წლიდან კი ЦГАДА (ამის შესახებ იხ. ზემოთ).

МГАМИД-ის ფონდებში დაცული იყო საელჩო (პასოლსკი) პრიკაზის საქმეები და მასთან დაკავშირებული პრიკაზების საქმეთა ნაწილი, მათ შორის – ლიტვის დიდი სამთავროს, სმოლენსკისა და მალოროსიის სამთავროების, საგანგებო გადასახადების აკრეფის (მიხეილ თევდორეს ძის დროს დაწესებული ე. წ. „запросные и пятинные деньги“ წლიური შემოსავლების ერთი მეხუთედი), აგრეთვე საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის კანტორისა და უშუალოდ კოლეგიის საქმეებსაც (რომლებსაც საჭიროების ვადის გასვლის შემდგომ პეტერბურგიდან მოსკოვში აგზავნიდნენ).

ე. წ. პასოლსკი პრიკაზის არქივში დაცულ დოკუმენტურ მასალებს შორის ჩვენთვის საინტერესოა ფონდი სახელწოდებით «Дела по сношениям России с иностранными государствами» [13].

ყოფილი МГАМИД-ის ყველა ფონდი აღჭურვილია XIX ს-ის ბოლოს შედგენილი საკუთარი აღწერილობით, რომელმაც დასრულებული სახე მიიღო ЦГАДА-ში გადატანის შემდეგ.

1940-1950-იან წლებში ფონდებიდან სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივს გადაეცა საგარეო საქმეთა კოლეგიის დოკუმენტები (დაწყებული 1720 წლიდან).

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ არქივში დაცული მასალები საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე საფუძვლად დაედო ალექსანდრე ცაგარელის პუბლიკაციებს 1) «Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии» 2) «Переписка грузинских царей с российскими государями» [14; 15].

**რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის არქივი** (АВПРИ – Архив внешней политики Российской империи) – რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საუწყებო არქივი დოკუმენტური მასალების მუდმივი შემადგენლობით; საორგანიზაციო თვალსაზრისით ამჟამად შედის რუსეთის (რსფსრ) საგარეო საქმეთა სამინისტროს ისტორიულ და დოკუმენტურ დეპარტამენტში. არქივის ფუნქციაა სახელმწიფოს მიერ 1720 წლიდან 1917 წლამდე პერიოდის საგარეო პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტური მასალების დაცულობა, ამავდროულად ეს არის რუსეთის იმპერიის საერთაშორისო ხელშეკრულებების საცავი. АВПРИ-ში განთავსებულია 400-მდე ფონდი და კოლექცია, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს დაახლოებით 600 000 ერთეულს (ფაილს); ეს არის დიპლომატიური დოკუმენტების, ძირითადად ორიგინალების საცავი, მათ შორის არის მოხსენებები იმპერატორის სახელზე, ანგარიშები საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, ინსტრუქციები დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლებისთვის, მათი მოხსენებები საგარეო საქმეთა სამინისტროში, მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციების შესახებ რუსეთის მონაწილეობით, მუსიკალური ნოტები, საგარეო საქმეთა სამინისტროს წლიური ანგარიშები. საქმეები და ა. შ. არქივი შეიცავს ცნობილი რუსი დიპლომატების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების, სამხედრო ლიდერების, მეცნიერების, მწერლების დოკუმენტური მასალების კრებულს, ასევე საერთაშორისო გაცვლის ფარგლებში მოპოვებული მიკროფილმების კოლექციას.

არქივის ფუნქციონირების ისტორია იწყება პეტრე I-ის 1720 წლის 28 თებერვლის „გენერალური (ძირითადი) რეგლამენტით“, რომელშიც სპეციალური თავი დაეთმო ახლად დაფუძნებულ

სახელმწიფო კოლეგიებში საარქივო საქმის ორგანიზებას. დიდი ხნის განმავლობაში საგარეო საქმეთა კოლეგიის ყველა საქმე ინახებოდა მოსკოვში და მხოლოდ მე-18 საუკუნის ბოლოს შეიქმნა კოლეგიური არქივის გახსნის საჭიროება პეტერბურგშიც [2, 260].

1802 წლის სექტემბერში, საგარეო საქმეთა სამინისტროს დაარსებისას, დაიწყო ყველა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მიმონერის ამსახველი დოკუმენტაციის თავმოყრა სამინისტროს კანცელარიაში; ეს პროცესი გაგრძელდა 1832 წლამდე, როდესაც გამოქვეყნდა ნიკოლოზ I-ის ბრძანება საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურის რეორგანიზაციის შესახებ, მანამდე კი ძირითადი (მთავარი) არქივის ფუნქციას კვლავინდებურად პეტერბურგის საგარეო საქმეთა კოლეგიის არქივი ასრულებდა.

1832 წლიდან 1917 წლამდე სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო სამი არქივი: დედაქალაქში – საგარეო საქმეთა სამინისტროს პეტერბურგის მთავარი არქივი (Санкт-Петербургский Главный архив МИД ) და საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო არქივი (Государственный Архив МИД), მოსკოვში – საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივი (Московский главный архив МИД) [9,38].

არქივში დაცული მასალების შესწავლა დაიწყო იმპერატრიცა ეკატერინე II-ის 1779 წლის 28 იანვრის ბრძანებულებით არქივის მმართველი დირექტორის, აკადემიკოს გ. მილერის მიმართ, რომელშიც აღნიშნული იყო: „учредить собрание всех российских трактатов, конвенций и прочих тому подобных актов“. 1811 წ. საგარეო საქმეთა მინისტრის ნ. პ. რუმიანცევის ინიციატივით შეიქმნა „სახელმწიფო სიგელებისა და ხელშეკრულებების ბეჭდვის კოლეგია“ („Коллегия печатания государственных грамот и договоров“). ჩატარებული სამუშაოს შედეგებად უნდა მივიჩნიოთ, რომ ოდნავ მოგვიანებით, 1813 წ. ნ. ნ. ბანტიშ-კამენსკიმ გამოაქვეყნა კრებულის პირველი ნაწილი „რუსეთის საგარეო ურთიერთობების მიმოხილვა 1800 წლამდე“ (სულ 4 ტომი). (1861-1862 წლებში გამოიცა "რუსეთის ხელმწიფეთა და მეფის ოჯახის სხვა პირთა წერილები" 4 ნომერი. 1867 წლიდან 1916 წლამდე გამოიცა „რუსეთის საისტორიო

საზოგადოების კრებულის" 148-ე ტომი. 1874 წლიდან 1896 წლამდე – 15 ტომი "რუსეთის მიერ უცხო ძალებთან დადებული ტრაქტატებისა და კონვენციების კრებული" პროფესორ ფ. ფ. მარტენსის ხელმძღვანელობით. 1917 წლის დეკემბერში გამოიცა "ფარული ხელშეკრულებების კრებული ყოფილი საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან". 1930-იან წლებში გამოქვეყნდა 20 ტომიანი სერიის „საერთაშორისო ურთიერთობები იმპერიალიზმის ეპოქაში, დოკუმენტები და მასალები 1878-1917 წლების ცარისტული და დროებითი მთავრობის არქივიდან". 1957 წლიდან დღემდე რუსეთის საგარეო პოლიტიკა XIX-XX საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტები (16 ტომი) და სხვა.) [4, 78-79; 9, 38-40].

ვანცლერ ა. მ. გორჩაკოვის დროსაც კი არქივი ღია იყო მკვლევრებისთვის. დღეს АВПРИ ასევე არის ღია საჯარო არქივი, რომელშიც მუშაობა შეუძლიათ როგორც სპეციალისტ მკვლევრებს რუსეთიდან, ასევე უცხოელ ისტორიკოსებს. დღეისათვის არქივის სამკითხველო ოთახში მუშაობის უფლების მისაღებად მკვლევარმა უნდა წარადგინოს განაცხადი ნებისმიერი საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ორგანიზაციიდან, სადაც მითითებულია კვლევის თემა, ქრონოლოგიური ჩარჩო და მიზანი.

АВПРИ-ს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის იმდენად, რამდენადაც აქ არის დაცული საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ამსახველი მასალების ფონდი სახელწოდებით „Грузинские дела“ (№110); თუმცა მას აქვს ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი: იქ არ არის XVIII ს-ის 80-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ძირითადი მასალები, რადგან იმ პერიოდში საქართველოსთან ურთიერთობა მინდობილი ჰქონდა უშუალოდ გ. პოტიომკინს, რომელიც, როგორც ჩანს, საგარეო საქმეთა კოლეგიას არ აბარებდა ანგარიშს, ამიტომ ეს მასალა მიმოფანტული აღმოჩნდა პირად ფონდებსა (როგორც პოტიომკინის, ისე სხვა პირთა) და რუსეთის სახელმწიფო დანესებულებებისა და სხვადასხვა უწყებების ფონდებში [17, 8]. თუმცა ქართველ მეცნიერთა მრავალწლიანი მუშაობის შედეგად ეს ხარვეზი მნიშვნელოვნად გამოსწორდა რუსეთის დანარჩენ



არქივებში ამ მასალების მოძიებისა და გამოქვეყნების შედეგად.

ყოფილი სსრკ, ახლ. რუსეთის მეცნ. აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის პეტერბურგის (ლენინგრადის) განყოფილებაში (Архив Института народов Азии – Ленинградское отделение) დაცულ საარქივო ფონდებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული საბუთების კოლექციას, რომელიც ორიგინალებთან ერთად (18 დოკუმენტი) მოიცავს მე-19 ს. გადაწერილ დაახლ. 700-მდე ასლს შეიცავს. ამ მასალებში ასახულია საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხები 1020-1850 წლების ქრონოლოგიურ ჩარჩოში. თავდაპირველად აღნიშნული კოლექცია აზიური მუზეუმისათვის შეკრიბა მ. ბროსემ მე-19 ს. 30-70-იან წლებში; მოგვიანებით ეს ფონდი მხოლოდ ერთხელ იქნა შევსებული 1963 წ. როცა აღნიშნული ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში შემოვიდა 8 დოკუმენტი აკად. ნ. მარის კოლექციიდან.

საგულისხმოა, რომ თავის დროზე აზიურ მუზეუმს დედნისეული დოკუმენტები შესწირეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრმა თეიმურაზ ბატონიშვილმა და ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ. რაც შეეხება ასლებს, ისინი ძირითადად გადაწერილი იქნა თბილისში და საქართველოს სხვა კუთხეებში, ასევე პეტერბურგსა და მოსკოვში. ამ სამუშაოებს საქართველოში სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ პ. იოსელიანი (1838-1840 წწ.), ეგზარქოსი ევგენი (1840-1844), კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარე ა. ბერჟე (1861-1868) და სხვ. პეტერბურგში კი დოკუმენტების ასლების გადამწერი იყო სიმონ ტაბიძე (მეცნ. აკადემიის სტამბის ასოთამწყობი), ხოლო მოსკოვის არქივებში – პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჩუბინაშვილი [5].

საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესასწავლად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის (პეტერბურგში) ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცულ წერილობით დოკუმენტებს. რუსეთის მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება (ახლ. სახელწოდებით ИНСТИТУТ восточных рукописей РАН (ИВР РАН). ინსტიტუტის დაარსების

თარიღად მიჩნეულია 1818 წ. ნოემბერი, როცა მეცნიერებათა აკადემიის წიაღში შეიქმნა აზიური მუზეუმი. თავდაპირველად ეს უკანასკნელი წარმოადგენდა აღმოსავლური ხელნაწერებისა და წიგნების საცავს და 1861 წლამდე კუნსტკამერის შენობაში იყო განთავსებული. 1849 წლიდან მუზეუმში გამოიცემოდა ფრანგულენოვანი ჟურნალი («Азиатские заметки»).

1837 წ. ცნობილი ფრანგი კავკასიოლოგი მარი ბროსე (1802-1880) ჩამოღის რუსეთში და მთელ თავის ცხოვრებას უძღვნის სამეცნიერო საქმიანობას; 1838 წ. იგი აირჩიეს ექსტრა-ორდინარულ აკადემიკოსად და ფართო გასაქანი მიეცა კავკასიოლოგიის სფეროში მუშაობისათვის: ამიერიდან მას შეეძლო შეესწავლა სომხეთისა და საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა თუ არქეოლოგიური ძეგლები უშუალოდ ამ ქვეყნებში ჩასვლით, ძეგლების ადგილზე შესწავლისა და ქართველ და სომეხ სწავლულებთან პირადი ურთიერთობის გზით.

მ. ბროსეს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული (და სომხური) დოკუმენტური მასალებისა და ხელნაწერების მოძიება-შეგროვებაში, მისი სამეცნიერო კავშირების, პირადი კოლექციების შესახებ მის მიერვე მოპოვებული ინფორმაციისა და გარედან მოწვეულ თანამშრომელთა კორპუსის მაღალპროფესიული მუშაობის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა აზიური მუზეუმის ხელნაწერთა ფონდები. ბროსე მრავალი წლის მანძილზე მჭიდროდ თანამშრომლობდა პეტერბურგის აკადემიის საპატიო წევრთან – თეიმურაზ ბაგრატიონთან (1782-1846), პლატონ იოსელიანთან (1809-1875) და დავით ჩუბინაშვილთან (1814-1891). ამ ერთობლივი მუშაობის შესანიშნავი შედეგი იყო აზიური მუზეუმის ფონდების გამდიდრება ქართული ხელნაწერებით. მუდმივი ურთიერთობა თეიმურაზ ბაგრატიონთან, რომელსაც ბროსე თავის მასწავლებლად მიიჩნევდა, გადაიზარდა ახლო მეგობრობაში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველოლოგიის განვითარებაში: თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას ანდერძით გადაეცა მისი პირადი არქივი და ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა კოლექცია და ძველი ბეჭდური გამოცემები [18, 4-5].

გარდა ამისა, მ. ბროსეს კავშირი ჰქონდა სხვა სწავლულ ქართველებთანაც როგორც საქართველოში, ისე პეტერბურგსა და მოსკოვში. მათ შორის იყვნენ ხელნაწერთა კოლექციების მფლობელები გიორგი ავალიშვილი, პეტრე ქებაძე, ნიკოლოზ ქუთათელაძე, მიხეილ საბინინი, დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890) და სხვ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ საქმეში ბროსეს რუსი კორესპონდენტების ღვაწლიც (ქართულ სიძველეთა მოყვარული გ. ტოკარევი, ვ. პენევალენკო); ასევე საქართველოში მომუშავე წვრილი მოხელები ბროსეს დავალებით იკვლევდნენ არქიტექტურულ ძეგლებს და აგროვებდნენ ეპიგრაფიკულ მასალებს, თავის მუშაობის დეტალურ ანგარიშს კი პეტერბურგში აგზავნიდნენ.

დაბოლოს, ბროსეს თანამშრომელთა შორის იყვნენ პეტერბურგში მცხოვრები ხელნაწერთა გადამწერები - ცნობილი კალიგრაფი სიმონ ტაბიძე, გიორგი მაისურაძე და იოსებ ნაზაროვი, რომელთა დახმარებითაც ბროსემ მნიშვნელოვნად განავრცო როგორც თავისი პირადი კოლექცია, ისე აზიური მუზეუმის ფონდები. იმავე პერიოდში კავკასიოლოგიის სფეროში დიდი წვლილი შეიტანეს აზიური მუზეუმის დირექტორმა, აკად. ე. ფრენმა, აკად. შეგრენმა, საპატიო აკად. პ. განმა, აკად. ბ. დორნმა, წევრ-კორესპონდენტმა ი. ბარტოლომეიმ, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარე ფ. ბერჟემ და სხვ. ჩატარებული მუშაობის შედეგად ქართულ ხელნაწერთა კოლექცია მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეგზემპლარებს შორის გვხვდება უძველესი X-XII სს. წერილობითი ძეგლებიც (ამ ფონდების აღწერილობა იხ. [18]). 2007 წლიდან აღნიშნულ ინსტიტუტს ახალი სახელწოდება მიენიჭა: Институт восточных рукописей РАН (ИВР РАН).

დაბოლოს, საქართველოს და ზოგადად სამხრეთ კავკასიის ისტორიის შესასწავლად მრავალტომეული **კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები (Акты Кавказской археографической комиссии)** კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს არქივში დაცული დოკუმენტების ოფიციალურ პუბლიკაციას წარმოადგენს. კავკასიის არქეოგრაფიული კომისია შეიქმნა ა. პ. ნიკოლაის ინიციატივით (კავკასიის მეფისნაცვლის

მთავარი სამმართველოს უფროსი). კომისია მიზნად ისახავდა: 1. კავკასიის (მათ შორის სამხრეთ კავკასიის) უმთავრეს არქივებში დაცული უმნიშვნელოვანესი ისტორიული დოკუმენტების მოძიებას, დეტალურად დამუშავებას და გამოქვეყნებას; 2. ძირეული კვლევის ჩატარება კავკასიის რეგიონში რუსული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით სამოქალაქო მმართველობის განვითარების ეტაპების შესახებ; 3. გამოცემის აღჭურვა დოკუმენტების აღწერილობით, საგნობრივი და ანბანური საძიებლებით და კავკასიის რეგიონთან დაკავშირებული ბრძანებულებების სიით. 4. კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილი მთავარი სამმართველოს არქივის საქმეთა სამ კატეგორიად დახარისხება: დაუყოვნებლივ გასანადგურებელი, დროებით შესანახი და მუდმივად შესანახი.

აღნიშნული არქეოგრაფიული კომისიის პირველ თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა ა. ბერჟე; ამ უკანასკნელმა სამუშაოდ მიიწვია მირზა ფათჰალი (რომელმაც შემდგომში აქტების I ტომში შესული ყველა აღმოსავლურენოვანი დოკუმენტი თარგმნა), ი. გ. ბერძენოვი და ქართველი ისტორიკოსი და არქეოლოგი დ. ბაქრაძე. 1886 წ. ა. ბერჟეს გარდაცვალების შემდეგ „აქტების“ ბოლო ორი ტომი გამოიცა დ. კობიაკოვის რედაქტორობით. აღნიშნული ფუნდამენტური გამოცემა მოიცავს 12 ტომს (აქედან მე-6 ტომი ორ ნაწილად), სადაც თავმოყრილია XIV-XIX სს. კავკასიის და მათ შორის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროები: არაბული ქრონიკები, ფირმანები, სიგელ-გუჯრები და სხვა სახის დოკუმენტები.

საქართველოს (და ზოგადად კავკასიის) შესახებ რუსული გეოპოლიტიკური საინფორმაციო ბაზის სრულყოფისათვის საარქივო მასალებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით და მისივე დაფინანსებით ორგანიზებული რუს თუ უცხოელ მეცნიერთა ექსპედიციების საანგარიშო მოხსენებები და სამეცნიერო პუბლიკაციები; ამას გარდა აღნიშნულ ეპოქაში მრავლად იყვნენ უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული დამოუკიდებელი მოგზაურები, კომერსანტები და ა. შ., რომლებიც, მართალია, საკუთარი ქვეყნების ინტერესებს ემსახურებოდნენ, თუმცა რუსული ხელისუფლების მხრიდან

ხელშეწყობის სანაცვლოდ, მაღლიერების ნიშნად, მოპოვებულ ინფორმაციას ასაჯაროებდნენ. უნდა ითქვას, რომ ამის მიუხედავად აღნიშნულ მეცნიერთა თუ მოგზაურთა ნაშრომებში დაცულ მასალებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. Т. И. Хорхордина, Т. С. Волкова, Российские архивы. История и современность, Москва, 2012.
2. Ю. Н. Абрамова, Эволюция архивного дела в России. Сборник: Право: история, теория, практика; материалы международной научной конференции, Санкт-Петербург, июль, 2016.
3. <http://rgvia.pf> > ob-arkhive > history
4. С. Ю. Малышева, Основы архивоведения, Казань, 2002.
5. С. С. Какабадзе, Грузинские документы Института народов Азии, Москва, 1967.
6. ვრცლად იხ. ე. თაყაიშვილი, რას შეიცავდა ვერეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, საისტორიო ძიებანი, 2, 1912.
7. А. В. Черно в, Центральный государственный архив древних актов, как источник по военной истории Русского государства до XVIII в. – В кн.: Труды историко-архивного института, Т. 4, Москва, 1948.
8. Г. Ф. Миллер – выдающийся ученый России XVIII века, «Исторический архив», Москва, 2006, №1.
9. М. И. Автократова, В. И. Буганов, Сокровищница документов прошлого, Москва, 1986.
10. <https://ru.wikipedia.org> >
11. Филипп Филиппович Вигель, Записки, Мюнхен, 2005.
12. Месяцеслов, Общий штат Российской империи на 1834, ч. 1, А. С. Пушкин/ в звании камер-юнкеров, с. III, Санкт-Петербург.

13. Центральный государственный архив древних актов СССР. Путеводитель в 4-х томах, т. 1, Москва, 1991.
14. А. А. Цагарели, Грамоты..., т. 1, с 1768 по 1774 год, Санкт-Петербург, 1891; т. 2, вып. 1, 1898; т. 2, вып. 2, 1902.
15. А. А. Цагарели, Переписка грузинских царей и владетельных князей с государями российскими в XVIII столетии, Санкт-Петербург, 1890.
16. Вестник МИД СССР, 1988, № 12.
17. ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ტ. 2, თბილისი, 1968.
18. Р. Р. Орбели, Грузинские рукописи Института Востоковедения, Москва-Ленинград, 1956.

**Lela Mikiashvili**

*Doctor of history, Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology, the Department of Modern and Contemporary History, scientific researcher*

## **RUSSIAN GEOPOLITICAL INFORMATION BASE ABOUT GEORGIA IN THE SECOND HALF OF THE 18TH CENTURY**

### **Summary**

Russia's interest in the Caucasus began in the distant past: in the 18<sup>th</sup> century,

works with an exhaustive and detailed description of the countries and peoples of the Caucasus already appeared in Russian scientific circles; the collection of this kind of information in the Russian archives dates back to the middle ages of the 16<sup>th</sup> century, when the first diplomatic, political, cultural and economic ties were established between Russia and the countries of the Caucasus; Georgia played an important role in this process. It should be noted that, along with Russians, foreign authors also made a great contribution to obtaining these data. The article deals with the history of the creation of the first archives in Russia and materials about Georgia in their funds.

## ნიკო ჯავახიშვილი

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი*

### თავად ჯანდიერთა საგვარეულოს ისტორიიდან

ქართულ წარჩინებულ საგვარეულოებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკავათ თავად ჯანდიერებს, რომლებიც ოდითგანვე კახეთში სახლობდნენ.

საქართველოს სათავეში ათასწლეულის განმავლობაში მდგარი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიისადმი ერთგულებითა და თავდადებით ტრადიციულად გამორჩეული ამგვარის ცალკეული წარმომადგენლები პატივით იხსენიებიან XVI-XVIII საუკუნეების საისტორიო წყაროებში. ყოველივე ამის გამო, ჯანდიერებს ბაგრატიონთა ხელმწიფენიც სწყალობდნენ.

უფლისწულ ვახუშტი ვახტანგის ძე ბაგრატიონის (1696-1757) თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ჩამოთვლილ კახეთის სათავადო გვარებს შორის ჯანდიერთა საგვარეულო მეცხრე ადგილას იხსენიება [1, 35].

უფლისწულ იოანე გიორგის ძე ბაგრატიონის (1768-1830) საისტორიო-გენეალოგიურ ნაშრომში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ ჩამოთვლილ კახეთის 24 სათავადო გვარს შორის, თავადი ჯანდიერები საკმაოდ საპატიო, მეთორმეტე ადგილას იხსენიებიან [2, 43]. მათ შემდეგ იოანე ბატონიშვილი ასახელებს ისეთ ცნობილ სათავადო საგვარეულოებს, როგორებიც იყვნენ: ჭავჭავაძენი, ვახვახიშვილნი, საგინაშვილნი, ტუსიშვილნი, ხიმშიაშვილნი, ყარალაშვილნი, ბაბადიშნი, ქობულაშვილნი, გურამიშვილნი, გურგენიძენი, ლიონიძენი და ავალიშვილნი.

ბემოსხენებულ ნაშრომში ჯანდიერთა შესახებ ვკითხულობთ: „ამათნი გვარნი უკვე პირველ ესახლნენ გლდანსა ადგილსა შინა,



ოდეს მოვიდნენ თურქნი და აღიდეს ტფილისი და დაემკვიდრნენ მუნ. მაშინ ჯანდიერ ვინმე ლეონის შვილმან, რომელიც მაშინ იწოდებოდნენ ამ გვართა აზნაურად, ამ ჯანდიერმან მეფისა დიდისა თეიმურაზისა დროსა სთხოვა მხედრობანი და აღუთქვა ტფილისის აღება. ხოლო მან უბოძა მხედრობანი და ამა ჯანდიერმან ღამე იდუმალად მიიყვანა და დამალა ქვეითობანი ბალებთა შინა და თვითონ ჯანდიერმან და სახლის კაცთა ამისთა აჰკიდეს სახედართა ფიჩხნი და დამალეს მას შინა თოფები და მოვიდნენ კოჭრის კარს წოდებულსა და მცველთა ქალაქისათა განუღეს კარნი, ეგონათ ფიჩხთა განსყიდვაი მათგან და მაშინ აღმოიხადეს მახვილი და მოსრნეს მეკარენი იგი და თვით გაამაგრეს კარისა მის კოშკი და მისცეს ნიშანი დამალულთა ჯართა, რომელნიცა შემოესივნენ და აღიდეს ტფილისი და მოსრნეს მას შინა მყოფნი მცველნი და ჯილდოსათვის მეფემან მისცა თავადობაი გვარად ჯანდიერობისა წელსა ქრისტეს აქეთ 1628-სა და სახასოთაგან კახეთსა შინა მამული და ყმა და არიან ან მცხოვრებნი კალაურსა შინა: 1) ზაალის შვილები, 2) ფრიდონის შვილები, 3) ნიკოლაოზის შვილები, 4) ომანის შვილები და მისის ძმისა, 5) თარხნის შვილები, რომელ არიან ლუარსაბისა და ბიძინას შვილები, ხოლო ახმეტას მცხოვრებნი იწოდებიან ჩოკაშვილად ამავე ჯანდიერთა გვარისანი და არიან აზნაურნი“ [2, 43].

ჯანდიერნი – „ჯანდიერიშვილებად“ იხსენიებიან კახეთის თავადთა სიაში, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა საერთო ნუსხაში შედიოდა და ერთოდა ტრაქტატს რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. ტრაქტატად წოდებული ეს მფარველობითი ხელშეკრულება 1783 წლის 24 ივლისს, ჩრდილო კავკასიაში მდებარე რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში გაფორმდა [3, 58].

აღნიშნულ საგვარეულოში ტრადიციული იყო სახელი „ჯანდიერი“, რომელიც მამაკაცებს ერქვათ. ამ გვარის წარმომადგენელნი სხვადასხვა დროს ფლობდნენ ყმა-მამულს კახეთის შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: ახმეტა, მატანი, კოშკი, ვაჩნაძიანი, ველისციხე, ურიათუბანი (ამჟამად – ვაზისუბანი), ზეგაანი და სხვ. [4, 490-491; 5, 66, 210].

ბაგრატოვანმა ხელმწიფეებმა ჯანდიერებს სხვადასხვა დროს მიანდვეს მოურავობა კახეთის ტერიტორიაზე მდებარე თერთმეტი სოფლისა: ერწო, საგარეჯო, ქვემო ხოდაშენი, ვანთა, შაშიანი, კალაური, ურიათუბანი, ველისციხე, გურჯაანი, ჯიმიტი და ყანდიაური [6, 156-157; 193; 7, 274; 8, 272-273; 9, 266-267; 5, 66, 210].

დღემდე შემორჩენილი უძველესი საბუთი, რომელშიც ჯანდიერების საგვარეულო იხსენიება, 1576 წლით თარიღდება. ამ დოკუმენტით დგინდება, რომ კახეთის იმდროინდელმა მეფე ალექსანდრე II-მ (მეფობდა 1574-1601 და 1602-1605 წლებში) გადასახადისაგან გაათავისუფლა ყმანი არსლან ჯანდიერიშვილის, რომლებიც დაბარაუნჩში ცხოვრობდნენ [10, 224].

იმავე ხელმწიფემ არსლანსა და მის ვაჟებს – დავითს, გივისა და რევამს – 1584 წელს უწყალობა გარსევან ჭავჭავაძისეული 6 კომლი ყმა ენისელში, 16 კომლი ჯანაანი და ქამბათასეული 15 კომლი, ახმეტას ჯოთენურისეული ერთი ვენახი [11, 261].

იმავე წლის 16 ოქტომბერს, ალექსანდრე II-მ როსაბ ჯანდიერიშვილს და მის ვაჟებს – იოვანეს, გურგენს, ბეჟანს და მათ შთამომავლებს უწყალობა ფიფანეთს – 18 კომლი, ბარაუნთში – 29 კომლი, იქვე – 1 ნასყიდი კომლი [12, 202-203].

XVII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიას ამშვენებს სახელი აღნიშნული გვარის ღირსეული წარმომადგენლისა - დავით ჯანდიერიშვილისა, რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო სამშობლოს და საკუთარი ოჯახის მოღალატე კონსტანტინე-მირზას სიკვდილით დასჯაში. ამით მან დაიცვა საკუთარი სამშობლოს და მისი სამეფო ოჯახის ღირსება. ამ ისტორიულ ფაქტს წინ შემდეგი მოვლენები უძღოდა.

1605 წლის 12 მარტს, კახეთის სამეფოში შემზარავი ტრაგედია დატრიალდა. ძეგამში მდებარე სამეფო სასახლეში შეჭრილმა ყიზილბაშებმა მოკლეს კახთა მეფე ალექსანდრე II და მისი ვაჟი – გიორგი ბატონიშვილი, მოჰკვეთეს თავები და ისპაჰანს გაგზავნეს. ამის მოთავე იყო ვერაგულად მოკლული ხელმწიფის ვაჟი – კონსტანტინე ბატონიშვილი (1572/74-1605), ყრმობიდან სპარსეთის სამეფო კარზე აღზრდილი და გამუსლიმების შემდეგ

– კონსტანტინე-მირზად სახელდებული. იგი მოქმედებდა თავისი აღმზრდელი შაჰ-აბას I სეფიანის დავალებით: „მოკალ მამაშენი და ძმა შენი და კახეთიც შენ დაიჭირე“ [13, 110].

ფარსადან გორგიჯანიძის შეფასებით, „გაუწყრა ღმერთი კონსტანტილეს, სწვალა მამაშვილობა, მამაც მოკლა და ძმაცა. ეს კახთ ნამეტნავად იწყინეს“ [14, 226].

რენეგატმა კონსტანტინემ თავი მეფედ გამოაცხადა. ქართულ ისტორიოგრაფიაში იგი ცნობილია, როგორც კახეთის მეფე - კონსტანტინე I [15, 217], რომლის მეფობამაც ექვს თვეს გასტანა.

ნიკო დადიანი გვამცნობს: „ოდეს კონსტანტინემ მოკლა მამაი თვისი, მაშინ ესე რძალი თვისი ქეთევან მონინდომა ცოლად. გარნა არა ჯერმჩინებელმან ამის განზრახვისმან ქეთევან შემოიკრიბა რამოდენიმე კახნი“ [16, 141].

ტახტის მიმთვისებელი კონსტანტინე ვერ იგუეს ქრისტიანობის ერთგულად დამცველმა კახელებმა, რომლებმაც შეინარჩუნეს დავით I-ის (მეფობდა 1601-1602 წლებში) ქვრივის – ქეთევან დედოფლის (შემდგომში – წმ. ქეთევან ნამეხულად წოდებულის) ერთგულება და საძულველი მმართველის ფიზიკურად მოსპობა გადანწყიტეს.

იმავე წელს, კონსტანტინემ ქართველთა და ყიზილბაშთა კოალიციური ჯარით შირვანს გაილაშქრა და მისი სატახტო ქალაქი შემახა ალყაში მოაქცია. როდესაც ალყა გაჭიანურდა, ამბოხებულმა ქართველებმა კონსტანტინეს მოკვლა სცადეს. კონსტანტინემ გაქცევა შეძლო და შაჰ-აბას I-ს დახმარება სთხოვა. იმხანად შაჰინშაჰმა მისთვის ვერ მოიცალა, ვინაიდან იგი ოსმალეთთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. ამიტომ კონსტანტინემ კახეთის დამორჩილება დამოუკიდებლად გადანწყიტა და ამ მიზნით მრავალრიცხოვანი ლაშქარი დაიქირავა. ქეთევან დედოფალმა, რომელიც ამოთან მუხრანბატონის ასული გახლდათ, დახმარებისათვის თავის ნათესავ ქართლის მეფეს მიმართა. მეფე გიორგი X-მ კახეთს მიავლინა ზემო ქართლის ჯარი თავად პაპუნა ამილახვრის სარდლობით [16, 217-218].

დედოფალმა, რომელსაც მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა, ასეთ ხერხს მიმართა: თავის ერთგულ 200 რჩეულ კახ მხე-

დარს კონსტანტინესთან გაატანა წერილი, რომელშიც კახეთის თავადობა მოძალადე მეფეს ვითომდაც მორჩილებას აღუთქვამდა და ქეთევანის მმართველობისაგან განთავისუფლებას ევედრებოდა. ამ წერილმა კონსტანტინე გაახარა. მას კახმა თავადებმა ურჩიეს, რომ არ დალოდებოდა ნელა მიმავალ ჯარს და დაწინაურებულიყო, ვინაიდან კახეთის მოსახლეობა მოუთმენლად ელოდებოდა. კონსტანტინემაც დაიჯერა, თავის ლაშქარს მოწყდა და მცირერიცხოვანი ამალით დაწინაურდა. ქრისტიანი ქართველობის მიერ საძულველი კონსტანტინესათვის გამოტანილი განაჩენი აღსრულდა 1605 წლის 22 ოქტომბერს, კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში, ისტორიულ ჰერეთში (შემდგომში – საინგილო), მდინარე ბელაქნის წყალთან. შეთქმულმა კახმა თავადებმა – დავით ჯანდიერმა, ძმებმა თამაზ და ბებურ ვაჩნაძეებმა მოულოდნელად ალყა შემოარტყეს კონსტანტინეს და შუბის კვრით ცხენიდან ჩამოაგდეს. მიწაზე განრთხმულმა რენეგატმა სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ თავადებს დიდი წყალობა აღუთქვა, მაგრამ ამაოდ [17, 141].

საისტორიო წყარო გვაუწყებს: „კახთ სიახლოეს რომ გამოვიდა, იცნეს კოსტანტილე, ბევრჯელ ენახათ კახთ თავადთა. წარვიდნენ, თავი გამოიმეტეს, შეუტივეს, შეუტივეს სამთ კეთილ ცხენოსანთა – ჯანდიარიშვილი დავით, ვაჩნაძე თამაზ, ძმა მისი ბებურ, ჰკრეს შუბი, ჩამოაგდეს ცხენიდან, ძალიან დასცეს მიწასა. სულიერიდა იყო, იცნა ის კაცნი და შეეხვნა: „ნუ მამკლავთ, დაგრჩომივართო, თქვენს ხელთ ვარო“. სხვას მრავალს წყალობას უქადაგებდა, მაგრამ ყური არ მიუგდეს, ჰკრეს თავსა, ორად გაუპეს და მოჰკვეთეს თავი და მიართვეს დედოფალსა ქეთევანს. მაშინ გამარჯვებულთ ჯარმა კახთამან თათრის ლაშქართ უკან გაუდგნენ, მრავალი გახოცეს და დაიჭირეს და ნაშოვარი საქონელი მრავალი იშოვნეს“ [18, 63].

ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: „მოკლეს კონსტანტილე კახთა. მამის მოკვლის უკან ექვსი თვე იცოცხლა და ძველით სპარსულათ ლექსად ნათქვამია: „...მამის მკვლეელი ხელმწიფობას ვერა იქსო; რომ კიდევ ქნას, ექვსის თვის მეტი ვერა ქნასო“. ძველი ნათქვამი იყო და აქაც ნათქვამივით გაცხადდა. ეს ანბავი

შაჰ აბაზ ყაენს მისწერეს და ნამეტნავად ეწყინა, მაგრამ სოფლის საფერისათ ასრე ბრძანა: „ხელიმც შერჩებისო, მამის მკვლელს უარესი უნდა დაემართოს!“ [14, 227].

სახალხო მსჯავრის აღმასრულებელი დავით ჯანდიერი, წოდებული „ასლანიშვილად“, 1614 წელს ქართლ-კახეთის თავადთა ერთ ჯგუფთან ერთად, განჯას ეახლა შაჰ-აბას I-ს [19, 538].

კახეთში შეჭრის და თეიმურაზ I-ის განდევნის შემდეგ, შაჰმა ეს მხარე სამართავად გადასცა მის სამეფო კარზე აღზრდილ და გამუსლიმებულ ბაგრატიონს – ისა-ხანს, იმავე ბატონიშვილ იესე გიორგის ძეს, რომელიც იყო შვილიშვილი კახთა მეფე ალექსანდრე II-ისა. ისა-ხანს შაჰმა ვეჭილებად, ანუ მონაცვლეებად დაუნიშნა დავით ჯანდიერი [20, 266] და ნოდარ ჯორჯაძე [1, 587].

მიუხედავად შაჰისაგან ასეთი წყალობის მიღებისა და მისი მოჩვენებითი მორჩილებისა, დავით ჯანდიერი შინაგანად ქართველ მამულიშვილად დარჩა. იგი უნარიანად ხელმძღვანელობდა კახელთა შეუპოვარ ბრძოლას სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ [19, 538].

1615 წლის სექტემბერში კახეთში დაწყებული სახალხო აჯანყებისას, რომელსაც სათავეში სწორედ ვეჭილად დადგენილი დავით ჯანდიერი ედგა, აჯანყებულებმა მოკლეს კახეთში წინა წელს გამეფებული ისა-ხანი (იგივე იესე I), რომელსაც ცოლად ჰყავდა ზუბეიდა-ხათუნი, ასული შაჰ-აბას I-ისა [21, 20-21].

დავით ჯანდიერი მეთაურობდა ქართული ლაშქრის ერთ-ერთ მონინავე რაზმს სპარსელების წინააღმდეგ 1625 წლის 1 ივლისს, მარაბდასთან მომხდარ ბრძოლაში, სადაც გმირულად დაიღუპა [19, 538].

„დავით ასლანიშვილად“ სახელდებული დავით ჯანდიერი, ნოდარ ჯორჯაძესთან ერთად, პატივით იხსენიება მეფე-პოეტ არჩილის (1647-1713) პოემის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ერთ-ერთ თავში – „აქა ნოდარ ჯორჯაძისაგან და დავით ასლანიშვილისაგან ბატონის თეიმურაზის კახეთსვე ჩაყვანა“ [22, 181].

ქრისტიანობის მტკიცედ დამცველმა მეფემ – თეიმურაზ I-მა (1589-1663), რომელიც 1606-1614, 1625-1632 და 1634-1648

წლებში მეფობდა კახეთში, ხოლო 1625-1632 წლებში – ქართლ-კახეთში, 1637 წელს არსლან დავითის ძე ჯანდიერიშვილს, მამამისის მისდამი ერთგულების სანაცვლოდ, უბოძა გარსევანის ნაქონი საქეცხო ხუდაანი, რომელიც ღანუხში მდებარეობდა [6, 188-189]. იმ პერიოდში თავად არსლან ჯანდიერიშვილს – ოხიაყორჩის თანამდებობა სჭერია [23, 475].

კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე II-ის (ურდუბეგისძე-ამილახვარი) სამართლის წიგნში, რომელიც დათარიღებულია 1654 წლით, ნახსენებია გივი ჯანდიერიშვილი [24, 96]. იმავე კათოლიკოს-პატრიარქის მიერ აღნიშნულ წელს გაცემულ გამოფიცულობის წიგნში – როსებ ჯანდიერიშვილი საგარეჯოს მოურავად იხსენიება [24, 95].

როგორც ცნობილია, მეფე-პოეტ არჩილის კახეთიდან ნასვლის (1675) შემდეგ, ამ სამეფოს მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს განაგებდნენ სპარსეთის შაჰინშაჰის მიერ „ჰაქიმად“ (ანუ მმართველად) დანიშნული ყიზილბაშები: ბეჟან-ხანი, აბას-ყული-ხანი, ქალბალი-ხანი და სხვები [1, 600-608; 25, 620].

შაჰინშაჰის მიერ კახეთის ჰაქიმად დადგენილმა ყარაბაღის ბეგლარბეგმა ქალბალი-ხანმა XVII საუკუნის მიწურულს წყალობის წიგნი უბოძა მდივანბეგ ჰაათა ჯანდიერს, მის ვაჟებს – მამუკას და დავითს, ძმას მანუჩარს, ძმისწულებს – ომანს, ზურაბ ჯანდიერი იყო ერთ-ერთი მოწმე 1707 წლის 15 მაისით დათარიღებული საბუთისა, რომლის თანახმადაც დათუნა ქადისგული და მისი ვაჟი ბასილი საბატონო ყმებად ჩაირიცხნენ [27, 305].

კახეთის მეფე დავით II-ის, იმავე იმამყული-ხანის (მეფობდა 1709-1722 წლებში) მიერ 1710 წელს გაცემული სიგელით, ჯანდიერებს უბოძათ ჯიშითის მოურავობა, რომელიც ადრეც მათივე საგვარეულოს კუთვნილი ყოფილა [6, 193].

1711 წელს თავადმა ვაჩნაძეებმა მდივანბეგ ჰაათა ჯანდიერიშვილს და მის შვილებს: ზურაბს, მამუკას, როსებს, ასლანს და ზაზას მიჰყიდეს თავიანთი მამული, რომელიც სოფელ კალაურში მდებარეობდა და ასევე, ყმები – ბიჭიკაშვილები და ლაშქარაშვილები [11, 381].

ჯანდიერიშვილნი იხსენიებიან XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში შექმნილ ქართული სამართლის ძეგლში – „დასტურლამალი“ [12, 246], ასევე, „განწესებაში სარუსთველო დროშისა“ [12, 385], რომელიც 1722 წლით თარიღდება.

XVIII საუკუნის ოცდაათიანი წლების შუა ხანებში რუსთველ მიტროპოლიტად მოღვაწეობდა დომენტი ჯანდიერი.

1722 წლით დათარიღებულ „ღვთაების გუჯარს“, რომელიც დაუმტკიცებია კახეთის მეფე დავით II-ს, ბოლოს ერთვის გვიან გაკეთებული ორი მინაწერი:

1) „მე, ყ(ოვლა)დ უღირსმან რუსთველ მიტრაპოლიტმა დომენტიმ ეს ღვთაების გუჯარი დაშლილ იყო და შევაკერვინე... მჯდომარეობასა ჩემსა ხარისხსა ამას ზედა წელსა მეორეს, ხოლო ქ(რისტ)ე აქეთ... ჩღლზ“;

2) „მე, რუსთველს ჯანდიერიშვილს დომენტის შემინირავს ქალაქს თფილისისასა სასახლე ჩემი ნაშოვნი და ჩემგან აღშენებული მარტყოფის ღვთაებისათვის... საქართველოს პატრიარქის ბატონიშვილის დომენტის ბეჭედი... და მოწმობა არის ამ სახლის სიგელში. ქ[რისტ]ეს აქეთ: ჩღმ. რუსთველი დომენტი“ [28, 87].

აქვე განვმარტავთ, რომ მინაწერში ქართული ასოებით მოცემული პირველი თარიღი შეესაბამება 1737 წელს, ხოლო მეორე – 1740 წელს.

კახეთის მეფე კონსტანტინე II-ის, იმავე მაჰმადყული-ხანის (მეფობდა 1722-1732 წლებში) მიერ 1728 წელს გაცემული წყალობის სიგელით, ზაალ ჯანდიერს, მის ბიძაშვილ დავითს, რევაზს, გარსევანს, ფარემუზს და ნოდარს ებოძათ „ერწოს სამთავროს მოურაობა“, რომელიც ძველთაგანვე მათი საგვარეულოს კუთვნილი გახლდათ [6, 156-157].

1748 წლის აგვისტოში სპარსეთიდან დაბრუნებულმა თავადმა ჯანდიერ ჯანდიერიშვილმა ჩამოიტანა ინფორმაცია იმჟამად იქ დარჩენილი ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის (1700-1762) კარგად ყოფნისა და ახლადკურთხეული ადილ-შაჰ აფშარიანის მიერ მისთვის, როგორც სიმამრისათვის, მრავალი წყალობის ბოძების თაობაზე [29, 90].

პაპუნა ორბელიანი გვაუწყებს: „მოვიდა ჯანდიერის შვილი ჯანდიერ, მეფის თეიმურაზის მშვიდობიანი ამბავი მოიტანეს, ადილ-შაჰ-ყენისაგან მრავლის საქონლის მიცემა და ქართლის გაკეთების და გამდიდრების პირობაც მიეცათ მეფის თეიმურაზისათვის. განიხარა ფრიად მეფე ერეკლემ და ქართველთა ყოველთა შეეცმნათ ურიცხვი სიხარული“ [30, 143].

იმავე ფაქტს უფრო ვრცლად გვამცნობს იესე ბარათაშვილი, რომელიც წერს: „ავვისტოს ჯანდიერ მოსულიყო ქალაქს, ნადირ შაჰის სიკუდილის დასტურობა მოეტანა, ადილ შაჰის გახელმწიფება, ქართველ ბატონის ქალი ჰყვანდა ცოლად; ბატონისა და ქართველთ დიდი პატივი და წყალობა და სააკაძე ზურაბისა ვეჭილობა და სპასალარობა სრულიად ერანსა, ხორასანსა და ადირბეიჯანზე, გივი ამილახორისა ყულარაღასობა და დიდი პატივი. ყოველმა სულმა გავიხარეთ“ [31, 11].

ჯანდიერ ჯანდიერიშვილმა სამშობლოში დაბრუნების წელსვე შეიძინა ცმა-გლეხები [11, 419]. 1756 წლის საბუთში იგივე ჯანდიერი მოწმედ იხსენიება [11, 49].

თეიმურაზ II-ის ქართლში, ხოლო მისი ვაჟის – ერეკლე II-ის (1720-1798) კახეთში მეფობის ხანაში, ანუ 1744-1762 წლებში, აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ სასულიერო მოღვაწედ ითვლებოდა იოსებ ჯანდიერი, რომელიც რუსთველ ეპისკოპოსად მსახურობდა. ლეკთა გახშირებული შემოსევების გამო, იგი იძულებული გახდა, რომ 1752 წლის გაზაფხულზე დაეტოვებინა წმ. ანტონის მონასტერი და 73 ბერთან ერთად, დროებით სოფელ მარტყოფს გახიზნულიყო [29, 100].

შემორჩენილია ტექსტი წერილისა, რომელიც იოსებმა რუსთველ ეპისკოპოსად მოღვაწეობის პერიოდში გაუგზავნა თავის ძმას – ასლან ჯანდიერს და ღვთაების ეკლესიის ყმის – შიო გიგაურიშვილის მფარველობა სთხოვა [32, 96-97].

1755 წელს გამართულმა საეკლესიო კრებამ იოსებ ჯანდიერი კათოლიკოს-პატრიარქად დაადგინა. ამ საპატიო თანამდებობაზე იგი 9 წელიწადს მოღვაწეობდა. 1764 წლის მარტში, როდესაც ყოფილი კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I რუსეთიდან დაბრუნდა



და თავისი ძველი პატივი აღიდგინა, იოსებ ჯანდიერი გადააყენეს და კვლავ რუსთავის ეპისკოპოსად დაადგინეს. ვინაიდან იოსები ანტონ I-ის მოწინააღმდეგეთა ბანაკს ემხრობოდა, იგი შიდა ქართლის სოფელ მეტეხში გადაასახლეს. იგი ზრუნავდა თავის მრევლზე, რის გამოც დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მას გააჩნდა ღვთით მომადლებული ნიჭი, რომლის ძალითაც კურნავდა სნეულთ და ბრმებს მხედველობას უბრუნებდა. გარდაიცვალა 1770 წელს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შერაცხილია წმინდანად, სახელით – „წმ. იოსებ კათალიკოსი-სასწაულმოქმედი“ [33, 129-130].

მეფე თეიმურაზ II-ის მიერ 1757 წლის 13 თებერვალს დამტკიცებულ განწესებაში „საჭერემლო სამწყსოს მიბარების შესახებ“ ვკითხულობთ: „უფალს ნინოწმინდელს ტუსისშვილს საბას ერგო ჭერემლის სამწყსო... სოფელი ჩუმლაყი სრულიად და სოფელი ზეგანი თავადიშვილით ჯანდიერთა“ [12, 410].

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ, რომელიც 1744 წლიდან მეფობდა კახეთში, ხოლო 1762 წლიდან ერთიან ქართლ-კახეთში, 1769 წელს თავად ჯანდიერ ჯანდიერიშვილს უბოძა მიწები, რომლებიც სოფლებში კომპსა და ველისციხეში მდებარეობდა [5, 66].

ჯანდიერებთან დაკავშირებულ წყალობის სიგელთა და სხვა სახის დოკუმენტთა ტექსტები შეტანილია „ქართული სამართლის ძეგლების“ მრავალტომეულში, ხოლო ინფორმაცია მათ შესახებ – პირთა ანოტირებულ ლექსიკონში [23, 475-477], ერეკლე II-ის მიერ გაცემულ საბუთთა კორპუსში [6, 138-210] და სხვა საისტორიო საბუთების კრებულებში.

ბემოთ უკვე დავიმონმეთ იოანე ბატონიშვილის ცნობა, რომლის თანახმადაც ჯანდიერთა ერთ-ერთი საგვარეულო განშტოება, რომელიც ახმეტაში ცხოვრობდა, – „ჩოკაშვილად“ იწოდებოდა [2, 43].

რუსეთის საიმპერიო მეცნიერებათა აკადემიის დავალებით, კავკასიის შესასწავლად 1770-1774 წლებში გამოგზავნილი საექსპედიციო ჯგუფის წევრის, რიგელი გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის იოჰან ანტონ გიულდენშტედტის (1745-1781)

თხზულებაში აღნიშნულია, რომ იმ პერიოდში ჩოკაშვილი (Tischokaschwili) ფლობდა ერთ ნაწილს ახმეტისას [34, 45], რომელიც ამჟამად არსებული ახმეტის მუნიციპალიტეტის ცენტრია.

აღსანიშნავია, რომ ჩოკაშვილები იხსენიებიან XVIII საუკუნის მიწურულს გაცემულ დოკუმენტშიც, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

1782 წლის 18 სექტემბრის საბუთიდან ნათელი ხდება, რომ ჯანდიერებს სამამულო დავა ჰქონდათ სოფელ აკურის მოსახლეობასთან, რაც ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ დასრულებულა [35, 568].

ფარემთუხუცესი კიკოლა გივის ძე ჯანდიერი იყო ერთ-ერთი მონაწილე 1793 წლის 14 მარტით დათარიღებული საბუთისა, რომლის თანახმადაც ლეკთა ტყვეობიდან განთავისუფლებული და სამშობლოში დაბრუნებული გოგია სეთურიძე და მისი ძმა თვისი ნებით გახდნენ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ყმები [27, 498].

თავად ჯანდიერთაგან, ისევე, როგორც ქართველ თავადაზნაურთა სხვა საგვარეულოებიდან, გამოვიდა ქართული სამეფო ლაშქრის და შემდგომ – რუსეთის იმპერიის არმიის არაერთი სახელოვანი სამხედრო მეთაური [36, 306].

1795 წლის 11 სექტემბერს, კრწანისთან მომხდარ ბრძოლაში თავი ისახელა სვიმონ ჯანდიერმა, რომელიც სოფელ ველისციხის მოურავი გახლდათ [29, 192]. იგი 1810 წლის 8 ივლისს გარდაიცვალა [28, 471].

1798 წლის 10 იანვარს, ერეკლე II-ის გარდაცვალების დღეს, ქართლ-კახეთის დაქვრივებულმა დედოფალმა დარეჯანმა და კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ, მეფის დაკრძალვის ცერემონიამაისტერობა დავით რექტორს მიანდვეს. დაკრძალვის ცერემონიის ტექსტიდან ნათელი ხდება, რომ ამ სამგლოვიარო პროცესში ჯანდიერთა საგვარეულოს წარმომადგენლებს საკმაოდ აქტიური როლი უნდა შეესრულებინათ. ვერძოდ, ვერცხლის ლანგარზე დადებული წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენი უნდა დაეკავებინა გიორგი ამილახვარს, რომელსაც მარჯვნიდან მხარს დაუმშვენებდა პაატა ჯანდიერი, ხოლო ასევე

ვერცხლის ლანგარზე დადებული სკიპტრა უნდა დაეჭირა სოფელ ენისელის მოურავ თამაზ ჯორჯაძეს, რომელსაც მარჯვნიდან მხარს რევამ ჯანდიერი დაუმშვენებდა. განსვენებული მეფის ცხედრის მტვირთველთა შორის უნდა ყოფილიყო სამი ჯანდიერი: 1) ომანი (მოურავი სოფელ კალაურისა); 2) ფრიდონი (მოურავი სოფელ შაშიანისა); 3) იოანე (ძმა ჯიმითის მოურავ როსებისა) [37, 84-86].

ჯანდიერებს სწყალობდა ერეკლე II-ის ვაჟიც – ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII (1746-1800), რომელიც 1798-1800 წლებში მეფობდა.

თავად გიორგი ტუსიშვილის 1799 წლის 22 მაისით დათარიღებულ არხას მამულის თაობაზე გიორგი XII-მ დაადო ოქმი (ანუ რეზოლუცია), რომელშიც თავის ვაჟს – კახეთის ჯანიშინად (მეფისნაცვლად) დადგენილ ბაგრატ ბატონიშვილს (1775-1841) ასეთი დავალებით მიმართა: „უგანათლებულესო შვილო, ბატონო ბაგრატ! კახეთის მოსამართლეებიც შენთან დაისწარ, დიმიტრი ჩოლაყაშვილიცა და სახლთხუცესი გიორგიც თუ მანდ იყოს, ისიც დაისწარ, ჩოკაშვილებიცა და ახმეტელნი უფროს-უფროსი კაცნიც მიაყვანინე და იმათი საჩივარი ისე გაარჩიე. და რაც გასაყოფი ჰქონდეს, ისე გაუყავი და გაარჩივე და ერთმანეთს ისე მოაშორე“ [38, 549].

ამ დოკუმენტიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს მოხსენიება ჯანდიერთა ერთ-ერთი საგვარეულო განშტოებისა – ჩოკაშვილებისა, რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ.

გიორგი XII-ის მეფობის ხანაში სოფლების ქვემო ხოდაშნისა და შაშიანის მოურავად მსახურობდა სპირიდონ ჯანდიერი, ხოლო ურიათუბნისა (ამჟამად – ვაზისუბანი) – ომან ჯანდიერი [8, 272].

სოფელ გურჯაანის მოურავობა, რომელიც ძველთაგან ჯანდიერთა კუთვნილი თანამდებობა იყო, გიორგი XII-ის მეფობისას ეკუთვნოდა დავით ჯანდიერს [8, 272], ხოლო 1801 წელს იოანე ჯანდიერს გადაეცა [7, 274].

თავადმა როსებ ჯანდიერმა ერეკლე II-ის მეფობის ხანაში მიიღო ნასახიბაშობა, ანუ ჯალათთა მეთაურობა, რაც დამოუკიდებელი სამეფო სახელო გახლდათ [39, 319]. ეს თანამდებობა მან გიორგი XII-ის მეფობის ხანაშიც შეინარჩუნა [8, 273].

აღნიშნულ პერიოდში როსებ ჯანდიერი იყო მოურავი კახეთის სამი სოფლისა – ჯერ კალაურისა [9, 267], ხოლო შემდეგ – ჯიმითისა (რაც ჯანდიერებს ადრევე ეწყალობათ) და ყანდიაურისა [8, 273]. ამ უკანასკნელი სოფლის (რომელსაც შემდგომში ყანდაურა ეწოდა) აღორძინება მეფე ერეკლე II-ის ინიციატივით, XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში მოხდა.

1797 წლის 23 თებერვალს, კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის მიერ გამოცემულ განჩინებაში „სოფელ ყანდიაურის თაობაზე“ აღნიშნული იყო: „ყანდიაური სოფელი ძველთაგანვე ალავერდის წმიდის გიორგის ეკლესიის შეწირული არის და შაჰ აბაზ ყენს რომ კახეთი მოუოხრებია, მასუკან ხარაბათ იყო... მისმა უმაღლესობამ, მეფემან ქართლისამან და მეფემან კახთამან და სხვათა ირაკლი მეორემან იგულა და იგულისმოდგინა ამ ყანდიაურის სოფლის გაკეთება, მოიყვანა და თავისი სახასო კაცნი დაასახლა და სხვაც მრავალი ხარჯი ჰქმნა... რადგანაც კაცნი მისის უმაღლესობის მეფის ირაკლის სახასო ყმანი არიან და მამული ალავერდის წმინდის გიორგის ეკლესიისა არის, რაც ამ სოფლის გამოსავალი იქნებოდეს, ნახევარი სამეფოდ მიერთმეოდეს და ნახევარი წმინდის გიორგის ალავერდის ეკლესიას მიერთმეოდეს“ [40, 13-15].

ერეკლე II-მ მის მიერვე აღორძინებული ყანდიაური საუფლისწულო მამულად უბოძა თავის ძეს, უფლისწულ მირიან ბაგრატიონს (1767-1834), რომელიც მოგვიანებით გახდა რუსეთის საიმპერიო სენატის წევრი, გენერალი და ყაბარდოს პოლკის შეფი. იმავდროულად, იგი ლიტერატურულ და მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. მირიანს წილად ხვდა პატივი, რომ 1787 წელს შეხვედროდა უკრაინაში მცხოვრებ დავით გურამიშვილს და სამშობლოში ჩამოეტანა მისი ხელით გადაწერილი უნიკალური ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც ცნობილია „დავითიანის“ საერთო სახელწოდებით. დაოჯახდა, თუმცა უშვილოდ გადაეგო. გარდაიცვალა და დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში [41].

იოანე ბატონიშვილის ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერა“ ცალკეა გამოყოფილი გარეკახეთის ტერიტორიაზე მდებარე

სოფლები, რომელთაგან საუფლისწულოდ იხსენიება მხოლოდ ყანდაურა, მის მფლობელად კი მითითებულია ბატონიშვილი მირიან ერეკლეს ძე [42, 66], რომელიც მეფე გიორგი XII-ს ნახევარძმად ეკუთვნოდა (მამა ერთი ჰყავდათ).

ყანდაურში სხვადასხვა დროს დასახლდნენ შიდა ქართლიდან, იმერეთიდან, რაჭიდან და სამეგრელოდან გადმოსახლებულები, მათ შორის: გამყრელიძეები (ზემო რაჭის სოფელ სომინოდან), ჯავახიშვილები (შიდა ქართლის სოფელ ძევერიდან), ფხალაძეები (იმერეთიდან), შენგელიები (სამეგრელოდან), რომლებიც მოგვიანებით შენგელიძეებად დაენერნენ და სხვ. [43, 417].

1797 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს დიკასტერიამ ამ სოფლის მოურავისადმი შემდეგი წერილობითი დავალება გასცა: „ყანდაურის მოურავო ჯანდიერიშვილო როსებ ნასახიბაშო, როგორც განგვინესებია და გაგვირიგებია, იმას ასე აღასრულებდე“ [44, 957].

1800 წლის 7 ნოემბერს, გარეკახეთის სოფელ კაკაბეთთან, მდინარე ივრის პირას მდებარე ნიახურას ველზე გაიმართა ბრძოლა საქართველოში შემოჭრილი ხუნძეთის ნუცალის (მთავარის) უმახანის (იმავე ომარ-ხანის) მრავალრიცხოვან ლაშქართან. მტერი სასტიკად დაამარცხა ქართველთა და რუსთა გაერთიანებულმა ჯარმა, რომელსაც სარდლობდნენ მეფე გიორგი XII-ის ვაჟები – იოანე და ბაგრატ ბატონიშვილები და გენერლები ლაზარევი და გულიაკოვი. ბრძოლაში თავგამოჩენილთა შორის იყო ყანდაურის მოურავი როსებ ჯანდიერი [8, 275].

გიორგი XII-ის გარდაცვალების (1800 წლის 28 დეკემბერი) შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს მართვას შეუდგა მისი უფროსი ვაჟი და სამეფო ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე უფლისწული დავითი (1767-1819), რომელიც სახელმწიფოს 1801 წლის მაისამდე განაგებდა გამგებლის და არა მეფის რანგში. თავისი ხუთთვიანი გამგებლობის პერიოდში, პოზიციების განმტკიცების მიზნით, მან თანამდებობებიდან გადააყენა სამეფო ტახტის მოცილე ბიძის – იულონ ბატონიშვილის (1760-1816) მომხრენი და მათ ადგილას თავისი ერთგული პირები დანიშნა. ამის პარალელურად,

მან არასასურველი პირებისათვის მამულების ჩამორთმევა და საიმედოებზე გადაცემაც დაიწყო.

სწორედ აღნიშნული მიზნით, დავით გამგებელმა ყანდიაურის საუფლისწულო მამული ჩამოართვა თავის ბიძას – მირიანს, რომელიც თავისი უფროსი ძმის – ტახტისმადიებელი იულონ ბატონიშვილის ბანაკში მოიაზრებოდა და გადასცა თავისი ერთგულ თავადებს ზაქარია და აბელ ანდრონიკაშვილებს. იმავდროულად, მან მოურავობა ჩამოართვა როსებ ჯანდიერს, რომელიც მირიან ბატონიშვილს ერთგულობდა.

ოფიციალურ დოკუმენტში, რომელსაც ეწოდება: „Ведомость тем имениям, крестьянам и чинам, кой царевичем Давидом у одних отняты, а другим отданы. 1801 год“ ვკითხულობთ: „Деревня Кандаур составляла удел царевича Мириана, но отдана моураву Захару Андроникову и Авелю, а моурав той деревны Иосиф Джандиеров отрешен от должности“ [45, 303].

XIX საუკუნის დასაწყისიდან ყანდიაურის ნაცვალის თანამდებობა მიანდვეს აზნაურ გამყრელიძეებს, რომლებიც წარმოშობით რაჭის სოფელ სომინოდან იყვნენ. ამ სოფლის მოსახლეობის 1804 წლის აღწერაში ნაცვლის თანამდებობაზე იხსენიება ბერი (ბერო) გამყრელიძე [46, 326], ხოლო 1812 წლის დოკუმენტში – მისი ვაჟი ივანე ბერის ძე გამყრელიძე [47, 118].

ყანდიაურის მცხოვრებნი, ისევე როგორც კახეთისა და ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობა, აქტიურად მონაწილეობდნენ 1812 წლის სახალხო აჯანყებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ერეკლე II-ის შვილთაშვილი, უფლისწული გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი (1789-1830). თებერვლის შუა რიცხვებში ზემოხსენებული ტერიტორია სრულიად განთავისუფლდა რუსთა საოკუპაციო რეჟიმისაგან. ამას მოჰყვა გრიგოლ ბაგრატიონის ქართლ-კახეთის მეფედ გამოცხადება. გრიგოლ I-ის მეფობამ ცოტა ხანს (სულ ორ კვირას) გასტანა, ვინაიდან უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული აჯანყებულები დამარცხდნენ [48].

ამ სახალხო აჯანყების აქტიურ მონაწილეთა შორის იყო ყანდიაურის ყოფილი მოურავის როსებ ჯანდიერის ვაჟი - სვიმონ ჯანდიერი (დაბადებული 1795 წელს). ამის გამო, იგი დააპატიმრეს და პერმში გადაასახლეს. 1818 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან თავისი დეიდის – მარიამ დავითის ასულ ანდრონიკაშვილის შუამდგომლობით, რომელიც იყო მეუღლე უფლისწულ ვახტანგ (ალმასხან) ბაგრატიონისა [9, 267] – მეფე ერეკლე II-ის ვაჟისა მესამე ქორწინებიდან.

1812 წლის მარტში, რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა, თავადმა იოსებ ანდრონიკაშვილმა ყანდიაურის მოსახლეობას სთხოვა წერილობით აეხსნათ, თუ რამ გამოიწვია მათი ჩაბმა ზემოხსენებულ აჯანყებაში.

ყანდიაურის ნაცვალმა, ზემოხსენებულმა ივანე გამყრელიძემ იოსებ ანდრონიკაშვილს წარუდგინა ამ სოფლის მოსახლეობის მოხსენება, რომელშიც ამბობებულნი აცხადებდნენ: „ასე გაგვიჭირდა საქმე ჩვენ ამ დრაგუნებისაგან, ღმერთიც დაგვაინცყეს, ხელმწიფეც და ჩვენი სიცოცხლეცა... გვცარცვაძდნენ... მოგეხსენებათ, ახალი მოსახლე არის სოფელი... ამთენი მწუხარება დრაგუნის მაიორისაგან და იარანალი პატენიერის ჯარისაგან გვჭირდა... და ეს ბუნტიც თიანეთიდან მოჰხდა“. ამ დოკუმენტს ერთვოდა შემდეგი დამოწმება: „ხელს ვაწერ ერთობლივ ყანდიაურელთ თხოვნით მათი ნაცვალი გამყრელიძე ივანე“ [47, 117-118].

მოგვიანებით ყანდიაურის მოურავობა მიანდვეს იმავე სოფელში მცხოვრებ ჯავახიშვილებს, რომელთა წინაპარიც შიდა ქართლის სოფელ ძევერიდან გადმოსახლებული აზნაური გახლდათ. XIX საუკუნის ბოლო მესამედში ამ სოფლის მამასახლისად ოთხჯერ იქნა არჩეული ივანე გიორგის (გლახას) ძე ჯავახიშვილი [49, 313-ბ].

მიუხედავად იმისა, რომ ყანდიაურის მოურავად მყოფი როსებ ჯანდიერი ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ წელს შეცვალეს გამყრელიძეებმა, ხოლო მოგვიანებით ჯავახიშვილებმა, ჩანს, რომ როსებ ჯანდიერის შთამომავლებს ამ სოფელთან კავშირი მაინც არ გაუნწყვეტიათ.

1823 წლის 25 ნოემბერს, ყანდიაურის მკვიდრ თევდორე ჯავახიშვილს ახლად შექმნილი ვაჟი – აბრამი მოუნათლა ზემოხსენებულმა თავადმა სვიმონ როსების ძე ჯანდიერმა. ნათლიის გვარი დოკუმენტში „ჯანდიერიშვილის“ ფორმით იხსენიება [50, 340-ა].

აღსანიშნავია, რომ გარდა სვიმონ ჯანდიერისა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის თავდადებით იბრძოდა ჯანდიერთა საგვარეულოს სხვა არაერთი წარმომადგენელიც, რისთვისაც ისინი საოკუპაციო რეჟიმმა დააპატიმრა და ციმაბრში გადასახლებით დასაჯა. კერძოდ, 1812 წლის სახალხო აჯანყებებში მონაწილეობისათვის ოკუპანტებმა დაატუსაღეს ჯანდიერები – გრიგოლი, დიმიტრი, ივანე (ნინია) და ედიშერი. მათ სასჯელი 1816-1820 წლებში ეპატიათ და სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ [51, 202; 9, 266-267].

სხვათა შორის, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმმა ჯერ კიდევ 1802 წელს დააპატიმრა ზემოხსენებულ სვიმონ ჯანდიერის მამა – როსებ ჯანდიერი, მოურავყოფილი. ამის ინიციატორი იყო რუსეთის იმპერიის მოხელე პეტრე ივანეს ძე კოვალენსკი, რომელიც 1799 წლის ნოემბრიდან მსახურობდა საგანგებო წარმომადგენლად (მინისტრად) – გიორგი XII-ის სამეფო კარზე, ხოლო 1802-1803 წლებში – საქართველოს გამგებლად [9, 68-69]. კოვალენსკიმ იმ მოტივით დაატუსაღებინა როსებ ჯანდიერი, რომ „როდესაც თბილისში ჩამოხვედი და შემხვდი, რატომ არ წარმომიდექიო“ [52, 18].

მაქსიმე ბერძნიშვილის ცნობით, კახეთის აჯანყებისას როსებ ჯანდიერმა საიმპერიო ხელისუფლების მხარე დაიკავა [9, 267]. მან, სამ თავადთან ერთად, 1812 წლის 14 მაისს, აჯანყებულ კახ თავადებს გადასცა წერილი დანაშაულის პატიების შესახებ, რომლის ავტორიც საქართველოს მმართველად დადგენილი გენერალი რტიშჩევი გახლდათ [53, 460].

როგორც ჩანს, როსების ერთგულება მაინც საეჭვოდ მიიჩნია საოკუპაციო რეჟიმმა, რადგანაც არსებობს ცნობა, რომ იგი 1812 წელს გააციმბირეს, საიდანაც 1816 წელს დაბრუნდა [51, 202].

მნივნობარი, თეოლოგი, ფილოსოფოსი და მკვლევარი იონა (იოანე) ხელაშვილი (1772-1837), რომელიც სანქტ-პეტერბურგში



გადასახლებული ქართველი ბატონიშვილების კარის მღვდელი გახლდათ, მეგობრობდა თავად იოანე სვიმონის ძე ჯანდიერთან. შემორჩენილია იონას მიერ 1834 წლის 17 მაისს გაგზავნილი წერილი იოანე ჯანდიერისადმი, რომელიც ასე იწყება: „ბრწყინვალეო თავადო იოანე, ძეო სვიმონიო, სქესით ჯანდიერ, მოფარდულ ველისცხი ბადით“ [54, 1-2]. ეს წერილი ერთვოდა „ქრისტეს მოყუარის მხედრობის განსამხნოებელ წიგნს“, რომელიც იოანე ხელაშვილმა ჯანდიერს გაუგზავნა [55, 659].

XIX საუკუნის ოციანი წლებიდან, როდესაც ქართული სახელმწიფო და ჯარი აღარ არსებობდა, ჯანდიერთა გვარის არაერთი წარმომადგენელი იძულებული გახდა, რომ რუსეთის საიმპერიო არმიაში ემსახურა.

ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა ნუსხაში, რომელიც 1850 წლის 6 დეკემბერს დაამტკიცა რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა (მეფობდა 1825-1855 წლებში), თავად ჯანდიერთა 16 ოჯახი იხსენიება. მათ შორის სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობანი ეკავათ: კაპიტან გიორგი როსების (იმავე იოსების) ძეს, პრაპორშჩიკ გიორგი პაატას ძეს და მის ძმას – ივანე პაატას ძეს, რომელიც „გუბერნსკი სეკრეტარი“, ანუ გუბერნიის მდივანი გახლდათ [56, 85; 258].

საიმპერიო არმიაში ოფიცრად მომსახურე ჯანდიერთა შორის ყველაზე გამოჩენილი გახლდათ ზემოხსენებული გიორგი როსების (იოსების) ძე ჯანდიერი (1808-?), მრავალი სამხედრო კამპანიის წარმატებული მონაწილე და კავალერი საპატიო ჯილდოებისა, მათ შორის წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენისა. იგი 21 წლის ასაკში, პრაპორშჩიკის წოდებით მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომში და ახალციხის განთავისუფლების ოპერაციაში. ქართული მილიციის უფროსის მოადგილის რანგში დაჯილდოვდა ოქროს ხმლით „მამაცობისათვის“ – იმამ შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული წარმატებებისათვის. 1844 წელს კაპიტნის წოდებით მეთაურობდა ქართულ ქვეით ლეგიონს. 1853-1856 წლების ყირიმის ომის პერიოდში დააკომპლექტა ქართველ მოხალისე მხედართა ცხენოსანი შენაერთი – „დრუჟინა“, რომელსაც კავკასიის ფრონტზე თავადვე ხელმძღვანელობდა.

ოსმალეთის იმპერიის არმიასთან მებრძოლი ეს შენაერთი ყველა შეტაკებაში გამოდიოდა გენერალ ივანე ამილახვრის მიერ საგანგებოდ ამ რაზმეულისათვის შექმნილი დრო-შით. მას, როგორც მუდამ წინა ხაზზე მებრძოლს, მხედრული მამაცობისათვის – „დროშა გიორგის“, ანდა „დროშა ჯანდიერს“ უწოდებდნენ. მან და მისი მეთაურობით მოქმედმა რაზმმა თავი განსაკუთრებულად ისახელა 1854 წლის 4 ივლისს, ჩოლოქთან მომხდარ ბრძოლაში. თავისი სამხედრო კარიერა პოლკოვნიკის წოდებით დაასრულა [57, 23; 58, 538]. ცხოვრობდა სოფელ ვაჩნაძიანში (ამჟამად შედის გურჯაანის მუნიციპალიტეტში).

გიორგი ჯანდიერის ვაჟი – ლევანი (1848-1921) – ღირსეული ქართველი მამულიშვილი და ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე იყო. თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების (1867) შემდეგ, სხვადასხვა დროს მსახურობდა: თელავის სამაზრო გამგეობაში, მომრიგებელ შუამავლად, სიღნაღის მაზრის უფროსის მოადგილედ, ჯერ თიანეთის, ხოლო შემდეგ თბილისის მაზრის უფროსად, პოლიცმანისტერად, ერევნის ვიცე-გუბერნატორად, სოხუმის საოლქო პოლიციის სამმართველოს უფროსად, სოხუმის ოლქის უფროსად. სამსახურიდან გადადგა გენერალ-მაიორის წოდებით. მეგობრობდა დიდ ილია ჭავჭავაძესთან, რომლის ინიციატივითაც იყო თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის მმართველობის წევრი, დირექტორი. თავის მაღალ სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებდა აქტიური ეროვნულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და ცარიზმის შოვინისტ მოხელეთა თვითნებობის აღსაკვეთად. მისი ინიციატივით მოხდა ქართველ მთიელთა ჩასახლება მანგლისის მიდამოებში, მანამდე იქ გაჩენილი რუსთა დასახლებების საპირწონედ და სკოლის გახსნა სოფელ მელაანში.

სახელმწიფო სამსახურის პარალელურად, ლევან ჯანდიერი ეწეოდა ლიტერატურულ, კერძოდ, ჟურნალისტურ და მთარგმნელობით საქმიანობასაც. მისი ლიტერატურული ფსევდონიმი იყო „ჭიჩოელი“. მის მიერ თარგმნილი პედაგოგიური თხზულება „კონრად კიფერი“ ილია ჭავჭავაძის წინასიტყვაობით გამოქვეყნდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“. მისი პუბლიცისტური და

საისტორიო ხასიათის წერილები იბეჭდებოდა ქართულ პრესაში, კერძოდ, „ციხკარში“, „დროებაში“, „ივერიაში“, „მოგზაურსა“ და „სასოფლო გაზეთში“ [59, 445].

მაზრის უფროსის თანამდებობაზე ყოფნისას მან საზოგადოების დიდი მადლიერება და სიყვარული დაიმსახურა. მის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ აკაკი წერეთელი (1840-1915) და ვაჟა-ფშაველა (1861-1915). აკაკი სწორედ ლევან ჯანდიერის დამსახურებად მიიჩნევდა, რომ „ჯერ კიდევ კახეთს ქართული არ შეუცვლია ფერი“ [60, 29], ხოლო ვაჟა ქართულ პრესაში აღნიშნავდა, რომ „ლევან ჯანდიერი ერთი უკეთესი ადმინისტრატორია“ [60, 116].

ლევან ჯანდიერთან დაახლოებული იყო ვაჟა-ფშაველას ძმაც – მწერალი და პედაგოგი ბაჩანა (ნიკოლოზ) პავლეს ძე რაზიკაშვილი (1866-1927). იგი თავის უმცროს ძმას, ფოსტის მუშაკ სანდრო (ალექსანდრე) რაზიკაშვილს (1874-1943) 1902 წლის 13 მარტს გაგზავნილ წერილში ასეთ დავალებას აძლევდა: „ნადი, ტფილისის მაზრის უფროსი და ლევან ჯანდიერი ნახე, აუხსენი ყველაფერი და სთხოვე – საქმე მოასპობინოს. ყოველ შემთხვევაში, სულ ყველაფერი მომწერე“ [61, 28].

ლევან ჯანდიერის ორი ვაჟი ცნობილი სამხედრო პირი იყო. მათგან უფროსი – გიორგი (1868-1922) იყო პოლკოვნიკი, ყუბანის 593-ე ქვეითი დრუჟინის მეთაური, ხოლო მისი უმცროსი ძმა - ივანე (1869-1922) იყო პოდპოლკოვნიკი, თბილისის მაზრის სამხედრო უფროსი.

ივანეს (ვანო) ჯანდიერს ცოლად ჰყავდა სოფიო იოსების ასული ქობულაშვილი, რომელთანაც 6 შვილი შეეძინა. მათი ნაბოლარა ვაჟი – იოსები (1901-1921), შინაურებში „ოსიკად“ წოდებული – ქართველ იუნკერთა სახელოვანი კოჰორტის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ. საუკეთესო მხედრული ტრადიციებით აღზრდილმა, თავისი ჭაბუკობის საუკეთესო წლები და სიცოცხლე უყოყმანოდ შესწირა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას [62, 41].

იოსების ნათლობა შედგა სოფელ კისისხევის (ამჟამად –

თელავის მუნიციპალიტეტი) ღვთაების ეკლესიაში. მისი ნათლიები იყვნენ ქართველი წარჩინებული გვარების წარმომადგენლები: დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი, ნინო ელიზბარის ასული ქობულაშვილისა, ნიკოლოზ გულბაათის ძე ჭავჭავაძე და ნინო მიხეილის ასული ამილახვრისა.

17 წლის ჭაბუკი მოხალისედ წავიდა სომხეთის არმიასთან საბრძოლველად, რომელიც 1918 წლის დეკემბრის დასაწყისში საქართველოში ტერიტორიის მითვისების მიზნით შემოიჭრა. ჩაირიცხა ქართულ ცხენოსან პოლკში. დაბა მულავერის ალექსანდრის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა წმ. გიორგის ჯვრით [63]. დღემდე შემორჩენილ ფოტოზე მას მკერდს ეს ჯილდო უმშვენებს.

აქვე განვმარტავთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტრო 1918-1919 წლებში განაგრძობდა ბრძოლაში თავგამოჩენილ მხედართა დაჯილდოებას წმ. გიორგის ჯვრებით, რომელიც რუსული წარჩინების ნიშანი იყო და რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო საწყობებში მრავლად შემორჩა [64, 12-18].

წმ. გიორგის ჯვრის კავალერი იოსებ ჯანდიერი ასევე მონაწილეობდა გაგრასთან ბრძოლაში, ხოლო 1920 წლის გაზაფხულზე, აზერბაიჯანის მხრიდან შემოჭრილი წითელი არმიის განდევნის ოპერაციაში. 1920 წლის 15 სექტემბერს ჩაირიცხა ქართულ სამხედრო სკოლაში, რომელსაც „იუნკერთა სკოლასაც“ უწოდებდნენ.

1921 წლის თებერვალში, საქართველოში შემოჭრილი საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ კოჭორ-ტაბახმელასთან მიმდინარე ბრძოლებში, სხვა ქართველ იუნკრებთან ერთად, 19 წლის იოსებ ჯანდიერიც გამირულად დაეცა. იმხანად დაღუპულთა შორის იყო მისივე ნათესავი – ილია ჯანდიერი [65, 12-17].

საქართველოს სამხედრო სკოლის უფროსის, გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის (1873-1941) ცნობით, 1921 წლის 24 თებერვალს, იერიშის დროს, იოსებ ჯანდიერთან ერთად დაიღუპნენ მისი მეგობარი იუნკრები – შალვა ქსნის ერისთავი და

იოსებ ლორთქიფანიძე [66, 97].

სოფიო ქობულაშვილი-ჯანდიერისას დღიურში შემონახულია მისი ვაჟის დაბადების, აღზრდის, მის მიერ ღირსეულად განვლილი საბრძოლო გზისა და სამშობლოსათვის გმირული თავგანწირვის ისტორია, ასევე მტრის მიერ განგმირული რაინდის ცხედრის ძიებისა და საფლავის პოვნის სევდიანი ქრონიკა. ამ ფრიად ემოციურად დაწერილი ტექსტიდან ვრცელი ამონარიდი აქ მოგვყავს იმის საჩვენებლად, თუ როგორ აისახა ერთ-ერთი ღირსეული ქართული ოჯახის მათიანეში 1921 წლის თებერვალ-მარტში განხორციელებული საქართველოს ოკუპაცია და იძულებითი გასაბჭოება, რაც ჩვენი სამშობლოს უახლესი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული თარიღია. აქვე დავძენთ, რომ იმხანად, სამშობლოს დამოუკიდებლობას, 19 წლის იოსებთან ერთად იცავდნენ მისი ძმები და მათი მამა – ივანე (ვანო) ჯანდიერი, რომელიც უკვე 52 წლისა გახლდათ.

დღიურში ვკითხულობთ: „ოსიკა 1921 წლის 17 თებერვალს წავიდა ბრძოლის ველზე, კოჭრის მთებზე, ტაბახმელაში. ბოლშევიკებთან ომობენ ჩვენი ქართველები, მამაცურად ომობენ საძინელ ომში, ნამეტნავად იუნკრები. იუნკრებმა დაიწყეს ომი საღამოს, 17 თებერვალს... ოსიკას მამაცობის ხმა მოდის. ძალიან მამაცურად ეომება თურმე, დაჭრილი ამხანაგები გამოჰყავს თავისი ზურგით ბრძოლის ველიდან და ისევ ბრძოლაში შედის. ამას დაჭრილები ამტკიცებენ.

4 მარტს დააგდეს ხმა, რომ ჩემი ოსიკა მკვდარი არის ჩამოყვანილი მიხეილის საავადმყოფოში. ჩემი მაზლი გიორგი და ორივე სიძეები: გიორგი ვაჩნაძე, საშა მაჭავარიანი და ჩემი მამიდაშვილი თამარ ვახვახოვისა გაქცეულან სანახავად, მაგრამ ტყუილი აღმოჩნდა. დამარწმუნეს, რომ ოსიკა არ არისო... მითხრეს, რომ როცა კოჭორი დაცალეს, ბათუმისაკენ წაიყვანეს ჯარი. ოსიკასაც მაშინ გაუვლია და არ ვიცი, მართალია, თუ არა. არ ვიცი, რომელი შვილი ვინუხო, თუ ქმარი... 24 მარტს ვანო (აქ იგულისხმება ოსიკას მამა – ნ. ჯ.) – გოგიათი და დათიკო ბათუმიდან ჩამოვიდნენ. ვანოს ეგონა, რომ ოსიკა ჩემთან არის. ვაიმე შვილო, მგონი უბედური დედა გავხდი. ზოგი ამბობს, რომ მომიკლეს, ზოგი

მეუბნება - დაჭრილი ბაქოში არის ტყვეთათ. 8 აპრილს ვანო ავიდა კოჭორისაკენ და ამოათხრევინა მიცვალებულები, მაგრამ ვერ ვიპოვეთ ოსიკა. ახლა ბაქოში ვეძებთ. თუ იქაც არ აღმოჩნდა, დიდი უბედურება მომივა...

დღეს, 10 აპრილს, დავრწმუნდით, რომ უბედურება მოგვივიდა. მე და ვანოს ოსიკა აღარა გვყავს. ლალა ვაჩნაძე დარწმუნებით ამბობს, რომ მიხეილის საავადმყოფოში ნახა მიცვალებული ჩემი ოსიკა. წამოსულა, რომ ეთქვა, მაგრამ თამარა ვახვახოვისამ თურმე არ მოუშვა ჩემთან სათქმელად. თამარამ დამღუპა, რომ უკანასკნელათ ჩემი შვილი ვერ ვნახე და ჩემი ხელით არ დავასაფლავე. ლალამ მითხრა, რომ გულში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი და მკერდში ერთი შტიკი. ვაი შენ დედას შვილო, რატომ არ მოვკვდი შენ მაგივრად, რომ შენ დაგეყარა ჩემთვის მინა. 17 აპრილს გადავუხადეთ ჩვენ მშვენიერს ოსიკას პირველი პანაშვიდი ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. ბევრი ნაცნობი, ნათესავი და ამხანაგები იყვნენ.

16 მაისი, 1921 წელი, თბილისი. დღეს ვიპოვნე ჩემი გმირი 19 წლის ვაჟაკის საფლავი ვანნი სობოროში. წმინდა ალექსანდრეს ტაძრის ეზოში არის ჩემი ოსიკა ბევრ სხვა ამხანაგებთან ერთად დამარხული. ოსიკას საფლავი მიპოვნა დიმიტრი სულაძემ, რომელმაც დამარხა ოსიკასთან ერთად 36...“ [63].

საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ და იძულებით გასაბჭოებულ სამშობლოში დარჩენილ ჯანდიერებს, ისევე როგორც სხვა წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლებს, ცხოვრება უმძიმეს პირობებში მოუწიათ. მათ დაკარგეს მამა-პაპური სახლები, მამულები და იძულებულნი გახდნენ, რომ ძირითადად დედაქალაქში გადმოსახლებულიყვნენ.

სსრ კავშირში პერიოდულად გაჩაღებულ რეპრესიებს ჯანდიერთა გვარის არაერთი წარმომადგენელი ემსხვერპლა.

1924 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოში მომხდარი ანტისაბჭოთა სახალხო აჯანყების ჩახშობისას ხუთი ჯანდიერი დააპატიმრეს და დახვრიტეს. მათგან პირველი – დავით გიორგის ძე (1894-1924) დააპატიმრეს თბილისში, ივანე დავითის ძე (1875-1924) – თელავის მაზრაში, ხოლო გიორგი ივანეს ძე (1886-

1924), არჩილ რაუდენის ძე (1900-1924) და ევგენი ზაქარიას ძე (1893-1924) – სიღნაღის მაზრაში [67, 485-486].

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან რეპრესიებმა სსრ კავშირში მასობრივი ხასიათი შეიძინა. იმ ავადსახსენებელ პერიოდს შეეწირა ზემოხსენებული გენერალ-მაიორის ლევან ჯანდიერის ვაჟი, გამოჩენილი ზოოტექნიკოსი, საქართველოში ზოოტექნიკური მეცნიერების ფუძემდებელი, პროფესორი ილია ლევანის ძე ჯანდიერი (1880-1937). მან დაამთავრა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1906), ხოლო სტაჟირება გერმანიაში გაიარა. 1914 წლიდან მოღვაწეობდა პეტროგრადის აგრონომიული ინსტიტუტში, სადაც იყო: ზოგადი ზოოტექნიკის კათედრის პროფესორი, გამგე, პრორექტორი და რექტორი (1919-1922). 1925 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. 1927 წელს მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსდა საქართველოს ზოოტექნიკური სადგური, რომელიც 1931 წლიდან გადაკეთდა ამიერკავკასიის, ხოლო 1936 წლიდან – საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად, რომელსაც თავადვე დირექტორობდა. 1930 წლიდან იყო საქართველო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ხოლო 1932 წლიდან – ზოოტექნიკური ინსტიტუტის კვების კათედრის გამგე. მან ექსპედიციური და სტაციონარული გამოკვლევების საფუძველზე დაადგინა ადგილობრივი ჯიშების გენოფონდი, მათი პოტენცია, საქართველოს ზონების ბალახის ყუათიანობა, ცხვრის ცხიმის ბიოლოგიური მნიშვნელობა მისი წყურვილისა და შიმშილის დროს, გამოიკვლია მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკითხები და სხვ. მისივე ინიციატივით შეიმუშავეს რძისა და ყველის ქარხნების განლაგების და ტიპების პროექტები. 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს, როგორც ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მეთაური [68, 1003].

ილია ჯანდიერი იყო წარმომადგენელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა იმ ბრწყინვალე კოჰორტისა, რომელსაც მოღვაწეობა დიდი ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) რექტორობის პერიოდში მოუწია. ილია ჯანდიერის, როგორც უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წევრის

ხელმოწერები, სათანადო ოქმებზე 1926 წლიდან ფიქსირდებოდა [69, 431-436].

იმავე წელს, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს ილია ჯანდიერის ნათესავი – აგრონომ-მიკრობიოლოგი თამარ გიორგის ასული ჯანდიერი (1900-1937), რომელიც საცივარი მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალში მიკრობიოლოგიის სექტორის გამგედ მუშაობდა.

თბილისის თანამედროვე არქიტექტურას დიდი ამაგი დასდო საქართველოს დამსახურებულმა არქიტექტორმა ლევან ილიას ძე ჯანდიერმა (1934-1995), რომელიც შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახლდათ. მის ნამუშევართა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ამჟამად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციული შენობა, რომელშიც სსრ კავშირის არსებობის ხანაში განთავსებული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი [70, 1003].

1956 წლიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვან ბალერინად ითვლებოდა ირინე ალექსანდრეს ასული ჯანდიერი (დაბადებული 1940 წელს), რომელიც საქართველოს სახალხო არტისტი და 1972 წელს ვარნაში გამართული ბალეტის მსახიობთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია [71, 1003].

თანამედროვე ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე (კოტე) ირაკლის ძე ჯანდიერი (დაბადებული 1958 წელს).

აღსანიშნავია, რომ ჯანდიერთა ქალებმა შვეს და აღზარდეს არაერთი სახელოვანი ქართველი მოღვაწე.

გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846-1925), რომლის საგვარეულოს ისტორიის შესწავლასაც საგანგებო ნაშრომი მივუძღვენით [72, 125-140], დაიბადა და აღიზარდა თავად ნიკოლოზ (იმავე ჯანასლან, ესტატე და ტატო) კონსტანტინეს ძე ჩერქეზიშვილისა (1807-1869) და ქეთევან გიორგის ასული ჯანდიერის (1816-1888) ოჯახში.

საქართველოს გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდო-



მარის, იური ჩიქოვანის მიერ მოპოვებული საარქივო მასალების თანახმად, თავად ჩერქეზიშვილთა რძალი და სახელოვანი ვაჟის დედა – ქეთევან ჯანდიერი დაიბადა თავად გიორგი (გოგია) დავითის ძე ჯანდიერისა (1785-1847) და სიდონია დიმიტრის ასული ანდრონიკაშვილის (1793-1871) ოჯახში. ამ წყვილმა ჯვარი 1810 წლის 15 დეკემბერს დაიწერა.

ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოღვაწე ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის რაჟდენ გრიგოლის ძე რუსიშვილის (1900-1984) დედა გახლდათ ნატალია ილიას ასული ჯანდიერი [73, 336-337].

1995 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, საქართველოში ცხოვრობდა 239 ჯანდიერი, რომელთაგან 167 ცხოვრობდა თბილისში, 38 – თელავში და 13 – რუსთავში [74, 246].

აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გვარის ამჟამინდელ მატარებელთაგან მხოლოდ ერთი ნაწილია გენეტიკური შთამომავალი თავად ჯანდიერებისა – პირდაპირი, ანუ მამრობითი ხაზით. მათი რაოდენობა ექვს ათეულს არ აღემატება [75, 327-330]. მეორე ნაწილს აღებული აქვს დედის, ბებუის ან დიდი ბებუის გვარი, ანუ ამ გვარს ენათესავება მდედრობითი (არაპირდაპირი) ხაზით, ხოლო მესამე ნაწილს ამ გვართან არავითარი გენეტიკური ნათესაობა არ აკავშირებს.

\* \* \*

ამრიგად, თავადი ჯანდიერები (იგივე ჯანდიერიშვილნი) წარმოადგენდნენ ერთ-ერთ წარჩინებულ ქართულ საგვარეულოს, რომელსაც ყმა-მამული ვახეთში ჰქონდა. საქართველოსა და მის სათავეში მდგარ ბაგრატიონთა დინასტიისადმი ერთგულებითა და თავდადებით ტრადიციულად გამორჩეულ ამ გვარს მეფენიც წყალობდნენ. ბაგრატიონმა ხელმწიფეებმა ჯანდიერებს უბოძეს როგორც ნასახიბაშობა, ასევე მოურავობა 11 სოფლისა, რომელთა შორისაც იყო: ერწო, საგარეჯო, ქვემო ხოდაშენი, ვანთა, შაშიანი, კალაური, ურიათუბანი, ველისციხე, გურჯაანი, ჭიმითი და ყანდიაური/ყანდაურა.

ჯანდიერთა გვარიდან გამოსული არაერთი სახელოვანი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, მეცნიერი, ხელოვანი

და მწერალი ნაცოფიერად იღვწოდა საქართველოს სამეფოს, რუსეთის იმპერიის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის არსებობის ხანაში და თანამედროვე ეტაპზეც წარმატებით საქმიანობს.

აღნიშნული გვარის წარმომადგენლებმა თავი ისახელეს როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ბრძოლაში, ასევე ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი IV, თბილისი, 1973.
2. ბაგრატიონი იოანე, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბილისი, 1997.
3. გეორგიევსკის ტრაქტატი, 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი პაიჭაძემ, თბილისი, 1983.
4. თოფჩიშვილი როლანდ, საქართველოს თავადაზნაურთა გვარების ისტორია, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2021.
5. ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები (1736-1797 წლები), შეადგინა მანანა ჭუმბურიძემ, თბილისი, 2008.
6. საქართველოს სიძველენი, ტომი III, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით, ტფილისი, 1910.
7. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტომი II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1953.
8. იოსელიანი პლატონ, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი განერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936.

9. ბერძნიშვილი მაქსიმე, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბილისი, 1983.
10. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტომი I, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, ელენე ცაგარეიშვილმა და გიორგი ჯანდიერმა, ტომის რედაქტორები მზია სურგულაძე და ჯუმბერ ოდიშელი, თბილისი, 1991.
11. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტომი I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940.
12. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი, 1965.
13. ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება (XVIII საუკუნის დამდეგი), ტ. I, ტექსტი ივანე ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბილისი, 1940.
14. კაკაბაძე სარგის, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე“, ტ. II, ტფილისი, 1925.
15. საქართველოს მეფეები, ავტორთა კოლექტივის ერთობლივი ნაშრომი მარიამ ლორთქიფანიძისა და როინ მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 2000.
16. დადიანი ნიკო, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შოთა ბურჯანაძემ, თბილისი, 1962.
17. ნატროშვილი თამაზ, მაშრიყით მალრიბამდე, თბილისი, 1991.
18. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბილისი, 1980.
19. ჯამბურია გივი, ჯანდიერი (ასლანიშვილი) დავით, ქსე, ტომი 11, თბილისი, 1987.
20. ჯამბურია გივი, ქართველი ხალხის ბრძოლა არსებობის

შენარჩუნებისათვის XVII საუკუნის პირველ მესამედში, რვატომეულში“ „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტომი IV, თბილისი, 1973.

21. ჯავახიშვილი დავით, ბაგრატიონთა კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარება (XV-XXI საუკუნეები), თბილისი, 2020.
22. ქართველ მეფეთა მწერლობა, შემდგენელი მარინე ჯალიაშვილი, თბილისი, 1996.
23. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტომი V, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: დარეჯან კლდიაშვილმა, ნანა მშვიდობაძემ, გულიკო მჭედლიძემ და მზია სურგულაძემ, ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მზია სურგულაძემ, თბილისი, 2015.
24. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII საუკუნეები), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი, 1972.
25. Сычев Н., Книга Династий, Москва, 2006.
26. ქართულ-სპარსული (ორენოვანი) ისტორიული საბუთები (XV-XVIII სს.), ტექსტი დაადგინა, თარგმანი, კომენტარი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნუგზარ ღუნდუამ, თბილისი, 1984.
27. Какабадзе С., Грузинские документы Института народов Азии АН СССР, Москва, 1967.
28. ჟორდანია თედო, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ, წიგნი III (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე), გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბილისი, 1967.
29. საქართველოს ისტორიის ქრონიკები (XVII-XIX სს.), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთანდილ იოსელიანმა, თბილისი, 1980.

30. ორბელიანი პაპუნა, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981.
31. იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა, თბილისი, 1950.
32. ქართული ეპისტოლური წყაროები (XV-1762 წ.), შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მამისა ბერძნიშვილმა, თბილისი, 1989.
33. ნადირაძე ქეთევან, კათოლიკოს-პატრიარქი იოსები (ჯანდიერი), წიგნი: „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები“, როინ მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 2000.
34. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანიურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, თბილისი, 1962.
35. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VII, სასამართლო განჩინებანი არზა-ოქმები, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი, 1981.
36. Джавахишвили Н., Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.), Тбилиси, 2003.
37. ბაგრატიონი თეიმურაზ, დავით ბაგრატიონის ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ, თბილისი, 1972.
38. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი, 1985.
39. კეკელია მიხეილ, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I (ქართლ-კახეთის სამეფო), თბილისი, 1970.
40. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX საუკუნეები), ტექსტები გამოსცა,

შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი, 1977.

41. ჯავახიშვილი დავით, სახელმწიფო მოღვაწე და პოეტი – მირიან ბაგრატიონი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის სამეცნიერო შრომათა კრებული, №16, თბილისი, 2018.
42. ბაგრატიონი იოანე, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, 1986.
43. ჯავახიშვილი ნიკო, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის ბიოგრაფიისათვის, მასალების კრებული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ ორგანიზებული VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა თემაზე: „ჩვენი სულიერების ბალავარი“, რომელიც გაიმართა 2015 წლის 17-18 აპრილს იმავე უნივერსიტეტში, ტომი VII, თბილისი, 2015.
44. საქართველოს ეროვნულ არქივთან არსებული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1448, საბუთი №957.
45. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией А. Берже), т. I, Тифлис, 1866.
46. საქართველოს ეროვნულ არქივთან არსებული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 254, აღწერა 1, საქმე 75.
47. დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის, გამოსაცემად მოამზადა შოთა ხანთაძემ, თბილისი, 1999.
48. ჯავახიშვილი ნიკო, გრიგოლ I – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, თბილისი, 2020.

49. საქართველოს ეროვნულ არქივთან არსებული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 254, აღწერა 3, საქმე 279.
50. საქართველოს ეროვნულ არქივთან არსებული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 20.
51. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თამარ ლომოურის გამოცემა, ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941.
52. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией А. Берже), т. II, Тифлис, 1868.
53. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией А. Берже), т. V, Тифлис, 1873.
54. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი S-137.
55. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, VI-VII, იოანე ხელაშვილის ეპისტოლური არქივი (1809-1835 წწ.), შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო გულნარა დედაბრიშვილმა, თბილისი, 2000.
56. ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები, ფოტოტიპური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბილისი, 2005.
57. მეგრელიძე შამშუ, საქართველო აღმოსავლეთის ომებში (რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან), თბილისი, 1974.
58. ჯავრიშვილი ვლადიმერ, ჯანდიერი გიორგი, ქსე, ტომი 11, თბილისი, 1987.
59. ქართული მწერლობა: ლექსიკონი-ცნობარი, წიგნი I, გურამ ასათიანის რედაქციით, თბილისი, 1984.
60. გოგბაიძე მარინე, თამაზაშვილი ნათია, აკაკი წერეთლის მოგზაურობა კახეთში, თბილისი, 2002.
61. რაზიკაშვილების მიმოწერა. ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი), ბაჩანა (ნიკო რაზიკაშვილი), თევდორე

- (თედო) რაზიკაშვილი, ალექსანდრე (სანდრო) რაზიკაშვილი, მიხეილ (მიხა) რაზიკაშვილი, გამომცემელი ლაშა ბაქრაძე, თეა თვალავაძის რედაქციით, თბილისი, 2011.
62. ჯავახიშვილი ნიკო, ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთ-მცოდნეობა), თბილისი, 1995.
63. იოსებ (ოსიკა) ჯანდიერი, ამონაწერი დედის დღიურიდან, გაზეთი „ექსპრესი“, №2 (10), თბილისი, 1991.
64. ჯავახიშვილი ნიკო, რუსული საიმპერიო ჯილდოები საქართველოს დაცვისთვის... სახელმწიფო ჯილდოები ამიერკავკასიის ფედერაციასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“, თბილისი, 2019, №6 (102).
65. საქართველოს ეროვნულ არქივთან არსებული ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 15.
66. ჩხეიძე ალექსანდრე, სამხედრო სკოლა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ლელა სარალიძემ, არჩილ ჩაჩხიანის რედაქციით, თბილისი, 2018.
67. კირთაძე ნესტან, კაენ, სად არის ძმა შენი?! ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ.), წიგნი I, თბილისი, 1998.
68. ჯანდიერი ილია ლევანის ძე, ენციკლოპედიური ლექსიკონი „თბილისი“, თბილისი, 2002.
69. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები (1917-1926 წწ.), გამოსაცემად მოამზადეს და საძიებლები დაურთეს მანანა ლილუაშვილმა და ზურაბ გაიპარაშვილმა, თბილისი, 2006.
70. ჯანდიერი ლევან ილიას ძე, ენციკლოპედიური ლექსიკონი „თბილისი“, თბილისი, 2002.
71. ჯანდიერი ირინე ალექსანდრეს ასული, ენციკლოპედიური ლექსიკონი „თბილისი“, თბილისი, 2002.
72. ჯავახიშვილი ნიკო, ჩერქეზიშვილთა საგვარეულოს ისტორიიდან, ვარლამ ჩერქეზიშვილისადმი მიძღვნილი პირველი დარგთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია,



პროგრამა და მოხსენებები, გოჩა ფერაძისა და რატი ყოლბაიას რედაქციით, თბილისი, 2021.

73. ჯავახიშვილი ნიკო, რუსიშვილი რაჟდენ გრიგოლის ძე, ენციკლოპედია-ლექსიკონი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ავტორთა კოლექტიური ნაშრომი დიმიტრი შველიძის რედაქციით, თბილისი, 2018.
74. სილაგაძე ავთანდილ, თოთაძე ანზორ, გვარ-სახელები საქართველოში, თბილისი, 1997.
75. ჩიქოვანი იური, საქართველოს სამეფოს თავადთა მთამომავალნი (XX-XXI საუკუნეები), თბილისი, 2019.

### **Niko Javakhishvili**

*Doctor of historical sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief scientist-researcher of the Department Modern and Contemporary History*

## **FROM THE HISTORY OF THE PRINCES JANDIERI'S SURNAME**

### **Summary**

This article reviews the history of the Jandieri's – one of the prominent noble surnames in Kakheti – the East part of Georgian kingdom. They were higher nobles – princes, in Georgian – „*Tavadi*“.

In the historical sources of XVI-XIX centuries, the princes Jandieri's were named as the faithful warriors and administrators, specifically, community governors (in Georgian – „*Mouravi*“) of Georgian kings, from the royal dynasty of Bagrationi (the Bagratids).

For such loyalty to the kings the Jandieri's were highly appreciated by Georgian kings.

# რელიგია და პოლიტიკა Religion and Policy

**მაია ყიფიანი**

*ისტორიის აკადემიური დოქტორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთო-  
ბების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთა-  
შორისო ურთიერთობების დეპარტამენტის  
პროფესორი*

## **თანასწორობა, ქალი, ქრისტიანობა**

### **შესავალი**

თანასწორობის იდეა, ქრისტიანული ცივილიზაციური ფენომენია, რომელიც თანამედროვე მოწინავე სამყაროს პრიორიტეტია. ბიბლიური დოქტრინა ჰუმანურობის, სიყვარულის, მიმტევებლობის ნამდვილი ჰიმნია. ქრისტიანობა ერთ-ერთი ყველაზე მეტად შემწყნარებლური რელიგიაა, მან ვაცლობობას შესთავაზა მანამდე არგაგონილი იდეა ერთიანობისა და თანასწორობის შესახებ, რომელშიც ცენტრალური ფიგურა ადამიანია. ქრისტეს შობიდან იწყება ახალი ერა ვაცლობობის ისტორიაში, ახლი წელთაღრიცხვა. ქრისტიანული ფასეულობები და ღირებულებები ევროპული აზროვნების ერთ-ერთი საყრდენია. ქრისტიანული რელიგიის მესაძირკვლის, პავლე მოციქულის სიტყვები, რომელზედაც ფაქტობრივად დგას თანამედროვე მოწინავე საზოგადოებრივი აზრი, თანასწორობის იდეის ბრწყინვალე ნიმუშია – „აღარ არის იუდეველი, აღარც წარმართი; აღარც მონა, აღარც თავისუფალი; აღარც მამრი და აღარც მდედრი, რადგან ყველანი ერთნი ხართ ქრისტე იესოში“ [1, 1158].

XVI საუკუნის პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენელმა, ნიკოლო მაკიაველმა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე

პოლიტიკა გაათავისუფლა რელიგიისა და მორალისაგან. მისი ამოსავალი წერტილი რეალური პოლიტიკური პრაქტიკა იყო. მან ადამიანური მორალი და რწმენა კერძო სიბრტყეში გადაიტანა, ხოლო პოლიტიკა სახელმწიფო ინტერესებს დაუქვემდებარა, საზოგადო განზომილებას მიაკუთვნა [2, 108]. პოლიტიკისა და რელიგიის განცალკევების საკითხი საუკუნეების მანძილზე არ კარგავდა აქტუალობას და მრავალი მოაზროვნის მსჯელობის საგანი გამხდარა. საბოლოოდ თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ერთმანეთისაგან გაიმიჯნა საერო და სასულიერო ხელისუფლება, ჩამოყალიბდა დემოკრატიული, თანასწორობის პრინციპებზე დამყარებული სისტემა.

ადამიანისა და საზოგადოების კომპლექსური შესწავლა ყოველთვის იყო მეცნიერთა ინტერესის საგანი. აღნიშნული საკითხის არსში ჩანვდომის მიზნით მნიშვნელოვანია სქესის თეორიის დინამიკაში დანახვა და გათვალისწინება. ეპოქებისა და აზრის ცვლილებებთან ერთად იცვლებოდა ქალთა მიმართ დამოკიდებულებებიც. პატრიარქალურ აზროვნებაში, რომელიც ანტიკური პერიოდის ფილოსოფიიდან და ქრისტიანული სწავლებიდან იღებს სათავეს, ქალი იდენტიფიცირებული იყო მეორეხარისხოვან არსებად, რამაც გარკვეულწილად ჩამოაყალიბა ქალის არაპრესტიჟული გენდერული სტერეოტიპი, სადაც იგი მარგინალიზებული და დათრგუნულია [3, 66].

წინამდებარე სტატიაში ამ სტერეოტიპის დამკვიდრების წყაროების განსხვავებული რაკურსით წარმოდგენას შევეცდები.

ტრადიციულმა აზროვნებამ განაპირობა სქესის თეორიების ბიოდეტერმინისტული ხასიათი და მკვეთრად გამოხატული მიზოგინურობა. სქესის აღქმაში წამყვანი ადგილი დაიკავა ბინალურმა ოპოზიციამ – გონებამ და სხეულმა. გონება დადებით მახასიათებლად მიიჩნევა და მამაკაცურ სანცის უკავშირდება, სხეული – ქალურს, უარყოფით მახასიათებელს, მამაკაცი სუბიექტია, ქალი – ობიექტი [3, 66].

ქალთა საკითხების მკვლევართა აზრით, ისტორია, ფილოსოფია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები მიზოგინიურია. ანტიკური პერიოდის ფილოსოფიურმა აზრმა შვა ქალური და

მამაკაცური საწყისების შეპირისპირება, რომელმაც განაპირობა პატრიარქალური მეტაფიზიკის ჩამოყალიბება [3, 66]. კულტურული სიმბოლოების, რაციონალურისა და ბუნებრივის დიფერენცირება-დაპირისპირება შუა საუკუნეებში კიდევ უფრო გაღრმავდა. ქრისტიანობა თანასწორობის, მათ შორის სქესთა თანასწორობის პრინციპის ფუძემდებელი, ამ პერიოდში ქალთა დისკრიმინაციის განმამტკიცებელი აღმოჩნდა. განსაკუთრებით ევროპელი ქალების მდგომარეობა გამწვავდა კათოლიკური ეკლესიის წიაღში, ინკვიზიციის პერიოდში [4, 27]. ამ ყველაფერმა ერთად პატრიარქალური საზოგადოების აზროვნება ქალთმოძულედ ჩამოაყალიბა.

XIX-XX საუკუნეებში ლიბერალურმა და სოციალისტურმა იდეოლოგიებმა ასახვა პოვეს სქესის თეორიის განვითარებაზე, ბიოდეტერმინიზმმა უკან დაიხია და პრიორიტეტული ეგალიტარული შეხედულებები გახდა. ქალი დაწინაურდა. ის დღეს საერთაშორისო არენაზე, პოლიტიკაში, ეკონომიკაში, მეცნიერებაში, მედიცინაში, განათლებასა და ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში აქტიურად არის წარმოდგენილი. ქალები საზოგადოების მნიშვნელოვანი სოციალური ჯგუფია, ისინი მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ [4, 27].

მიუხედავად იმისა, რომ ქალი და მამაკაცი კანონის წინაშე თანასწორია, ცათა სასუფეველის კარიც ორივე სქესისათვის თანაბრად ღიაა, რეალურ ცხოვრებაში სქესთა თანასწორობა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. აღნიშნულის გამომწვევი მიზეზები ძირითადად მენტალობაში დაღეჭილი ზემოთ ხსენებული მოძველებული სტერეოტიპებია, რომლებიც ხშირ შემთხვევაში პატრიარქალური პრიზმიდან არასწორად დანახული შეხედულებებიდან მომდინარეობს [5, 17].

### **დღევანდელი საქართველო და ქრისტიანობა**

საქართველო მსოფლიოსათვის ისტორიულად ტოლერანტობის, ურთიერთდახმარების, თანადგომისა და მიმტევებლობის მაგალითია. ამ ღირებულებების ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი წვლილი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას მიუძღვის.

თანამედროვე საქართველო დემოკრატიული სეკულარული რესპუბლიკაა, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე სამოქალაქო საზოგადოებას აშენებს [6].

ქრისტიანობა, როგორც კულტურული ცივილიზაციური ფენომენი, ქართულ აზროვნებაზე უდიდეს გავლენას ახდენდა და დღესაც ახდენს. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, მისი განმანათლებელი წმინდა ნინოა. ქალისადმი პატივისცემა და მოწინება ჩვენი საზოგადოების აზროვნების განუყოფელი ნაწილია. ქრისტიანობა და ქართველობა ყოველთვის სინონიმები იყო. ქართველთა სულიერი საყრდენი „ენა, მამული, სარწმუნოებაა“. საქართველოს მოსახლეობის 83%-ს თავი მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლად მიაჩნია, კათოლიკოს-პატრიარქის ავტორიტეტი და პატივისცემა ქვეყანაში ყველა პოლიტიკური ლიდერისა და სახელმწიფო ინსტიტუტების რეიტინგებზე მაღალია. შესაბამისად სასულიერო პირების გავლენაც მოსახლეობის შეხედულებებზე მნიშვნელოვანია. ეკლესიის განსაკუთრებული წვლილი გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციაში. 2002 წელს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას შორის დადებულია კონსტიტუციური შეთანხმება, რომელშიც „ეკლესიის განსაკუთრებული მნიშვნელობა“ საქართველოს ისტორიაში, ამასთანავე რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება ხაზგასმითაა აღნიშნული [7].

თანამედროვე საქართველოში მომხდარი პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ცვლილებების დროს ძველი და ახალი ღირებულებები, ფასეულობები, სტანდარტები და სტერეოტიპები ერთმანეთში ირევა, ადამიანები სწორი პასუხების მისაღებად ხშირ შემთხვევაში ეკლესიას მიმართავენ. საქართველოში ქალისადმი დამოკიდებულება მონარქიის, სოციალიზმისა და თანამედროვე დემოკრატიის პირობებშიც დიქტომიურია. ერთი მხრივ, დედა უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი და ქართლის დედას ძველიც დავედგით, მეორეს მხრივ ქალი მხოლოდ სამკაული, ანტურაჟი და მეორეხარისხოვანია [8, 67].

## ქრისტიანობა და ქალი

ქრისტიანობა პატრიარქალური აზროვნების ქვაკუთხეა. ცნობილია, რომ ბიბლია ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული ნაწილისაგან, ძველი და ახალი აღთქმისაგან შედგება, იგი თავისი არსით ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ძველი აღთქმა ძვ. წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწერებოდა. იგი მოგვითხრობს ებრაელი ხალხის თავგადასავალს, მათ სულიერ ცხოვრებას, განსაცდელს, ბედისწერას, გამარჯვებას [9, 3]. ერის მძიმე ცხოვრების შესაბამისად მისი კანონები მეტად მკაცრი და დაუნდობელია.

ძველი აღთქმის წიგნები ქალს მეტად დაკნინებულ მდგომარეობაში წარმოაჩენს, ფაქტობრივად განსაზღვრავს მის მარგინალიზებულ მდგომარეობას ოჯახსა და საზოგადოებაში. დაბადების წიგნში აღწერილი ადამისა და ევას შექმნის ეპიზოდები მნიშვნელოვანი საბაზისო მონაცემებია სქესთა ურთიერთობის, ძირითადად, დაპირისპირების მიზეზის დადგენის თვალსაზრისით. ძველი აღთქმა იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის საფუძველია, შესაბამისად ამ რელიგიების მიმდევრებშიც პატრიარქალური შეხედულებებია დამკვიდრებული [10, 102].

დაბადების წიგნში ნათქვამია, რომ ღმერთმა ადამი მიწისაგან შექმნა, ევა ადამის გვერდისაგან, ნევნისაგან. ყურადღებას იქცევს აკრძალული ხილის, „სიკეთისა და ბოროტის ცნობადი ხის ნაყოფის გემოს ხილვის“ ამბავიც, სადაც ევა ითვლება ადამის მაცდუნებლად, რასაც მოჰყვა ედემის ბაღიდან მათი გაძევება. დაბადების წიგნიდან ეს ორი მომენტი წარმოადგენს მთელი ძველი აღთქმის სულისკვეთებას, ქალთა მოდგმის დისკრიმინაციის საფუძველს, რომელიც აირეკლება ახალ აღთქმამაც.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ქრისტიანობა ქალის მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულებით გამოირჩევა, რომლის საფუძველი ძველ და ახალ აღთქმაში ქალის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებებში უნდა ვეძიოთ. კონკრეტულად რისი თქმა გვინდა: ცნობილია, რომ ფილოსოფია, მეცნიერება, რელიგია მამაკაცების საქმედ მიიჩნეოდა, ბიბლიის განმარტებებიც მათ მიერაა სხვადასხვა დროს დაწერილი და მათი ხედვები ცხადია,

ქალისადმი ნეგატიურად განწყობილია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაბადების წიგნის პირველი ორი თავი მიზოგინიის ერთ-ერთი საფუძველია, მაგრამ თუ სწორად გავაანალიზებთ აღნიშნული წიგნის შესაბამის მუხლებს, დავიმოწმებთ თბილისში 2004 წელს, „შესაქმის განმარტებებსა“ და 2020 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამოცემულ ფუნდამენტურ ნაშრომს, „ბიბლია განმარტებებით“, კარდინალურად სხვა სურათს აღმოვაჩინეთ. კონკრეტულად საკითხი ეხება ქალისა და მამაკაცისადმი უფლის ერთნაირ დამოკიდებულებას.

### **ძველი აღთქმა**

ძველი აღთქმის I თავში ნათქვამია, „თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსად. ეპატრონოს ზღვაში თევზს და, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემდრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს“ [1, 13]. ციტატაში სიტყვა კაცი, გულისხმობს ადამიანს, რასაც შემდეგი მუხლი ადასტურებს: „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი. აკურთხა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას...“ [1, 13].

„და შექმნა ღმერთმა კაცი, ღვთის ხატისაებრ შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“, პროფესორი ზურაბ კიკნაძე განმარტავს შემდეგნაირად: „მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ - აქ გამორიცხულია პირველგაჩენილი ადამიანის წარმოდგენა ანდროგინად, ორსქესიან არსებად, ამის ნებას არ იძლევა მრავლობითი „ისინი“ („ოთამ“). ადამიანი არ არის მხოლოდ მამრი, არ არის მხოლოდ მდედრი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ წყვილი (მამრი და მდედრი), არის მთლიანი ადამიანი, ღვთის ხატად შექმნილი ადამის იდეის მატარებელი“ [11].

უნდა აღინიშნოს, რომ ეფრემ ასური სხვა მოსაზრების იყო და წერდა: “მოსე ამ სიტყვებით („მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“) გვაუწყებს იმის შესახებ, რომ ევა უკვე არსებობდა ადამში, იმ ძვალში, რომელიც გამოღებულ იქნა ადამისგან. მაგრამ ევა მასში იყო არა გონებით, არამედ სხეულით, თუმცა არა მხოლოდ

სხეულით, არამედ სამშვინველითა და სულითაც, რადგან ღმერთს არაფერი მიუმატებია ადამისაგან გამოღებული ნაწილისათვის გარდა სილამაზისა და გარეგნული სახისა, ვინაიდან თვით ამ ძვალში არსებობდა ყველაფერი, რაც საჭირო იყო ევას წარმოსაქმნელად“ [11].

როგორც ტექსტი გვამცნობს, ღმერთი არ ასხვავებს ერთმანეთისგან კაცსა და ქალს, რადგან ნათქვამია, რომ ისინი შექმნილია „უფლის ხატად“ და არ არის ნათქვამი ადამი შექმნა უფლის მსგავსად. ასევე, ღმერთი ერთნაირად აკურთხებს ორივე მათგანს, არ ლოცავს მხოლოდ ადამს.

II თავში მეტად ძუნწი ხერხებით და მოკლედ არის აღწერილი ადამისა და ევას შექმნის ისტორია: „გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვერისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად... აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში... უთხრა, ყველა ხის ნაყოფი გექმევა ამ ბაღში. მხოლოდ კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდებით. თქვა უფალმა ღმერთმა არ ვარგა ადამის მართოდ ყოფნა. გავეჩენ შემწეს, მის შესაფერს“ [1, 14]. სიტყვები „არ ვარგა ადამის მართოდ ყოფნა“ „შესაქმის განმარტებებით“ მხოლოდ იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ მართლობა მძიმეა და არ არის ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა. „და გამოსახა მიწისაგან ცხოველები, ფრინველები, მიჰგვარა ადამს, რომლებსაც მან სახელები დაარქვა, მაგრამ „ადამს არ გამოუჩინდა შემწე და მისი შესაფერი“ [1, 19]. უფალმა ძილქუში მოუვლინა ადამს, გამოუღო ნეკნი, მისგან დედაკაცი შექმნა და ადამს მიუყვანა. „თქვა ადამმა: ეს კი ძვალია ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი, დედაკაცი ერქვას მას, რაკი კაცისგან არის გამოღებული“ [1, 14].

პატრიარქალური საზოგადოების მიერ ამ ეპიზოდში დანახულია მხოლოდ ის მომენტი, რომ ქალი კაცის ნეკნისგან არის შექმნილი, რაც თითქოს ქალისთვის დამაკნინებელია.

„ბიბლია განმარტებებით“ აღნიშნავს, რომ „ამის გამო დატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას და შეუერთდება თავის ცოლს, და იქნებიან ორნი ერთხორცი. „სიტყვა “შეერთება“



მიუთითებს არა მხოლოდ ფიზიკურ კავშირს მეუღლეთა შორის, არამედ მათი ინტერესების სულიერ გაერთიანებას იმდენად მჭიდროდ, რომ ისინი წარმოადგენდნენ არა ორ არსებას, არამედ როგორც ერთ საერთო პიროვნებას. როგორც წმ. წერილში, ასევე ეკლესიის მამებთან მეუღლეთა ეს მჭიდრო სულიერი კავშირი სახეა ქრისტეს კავშირისა ეკლესიასთან (ეფ. 5, 30-31)“ [11].

ჩვენი აზრით, თუ ობიექტურად გავაანალიზებთ აღნიშნულ მუხლს, ვნახავთ რომ ადამი, რომელიც უშუალო კავშირშია ღმერთთან, მისთვის არის ყველაფერი შექმნილი, მაინც მარტოა, ვფიქრობ აქ სულიერი, ინტელექტუალური სიმართოვე იგულისხმება. სიმართოვის დასამარცხებლად უფალი „გამოსახავს“ ადამისთვის ცხოველებს, მცენარეებს, ადამი გარკვეულნილად კოსმოგონიაში იღებს მონაწილეობს, იგი ღვთის მიერ განბრძობილია, რადგან სწვდება მათ არსს და შესაბამისად არქმევს სახელებს [9, 7], მაგრამ, როგორც აღმოჩნდება, ადამი მაინც მარტოა, როგორც ტექსტი გვამცნობს, მას „არ გამოუჩნდა შემწე, მისი შესაფერი“. უფალი მხოლოდ ამის შედეგ შექმნის ადამის ნეკნისაგან ქალს, რომელიც ადამს მოეწონება და იტყვის, რომ იგი მისი „ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი“. ცხადია ადამი შეიცნობს ქალის არსს, მასაც სახელს დაარქმევს, დედაკაცს უწოდებს. ქალისადმი აქ არ ჩანს არავითარი უარყოფითი დამოკიდებულება და მიუღებლობა, პირიქით აშკარაა ადამის კმაყოფილება, რადგან უფალმა ახლა უკვე ნამდვილად მოუვლინა მას შემწე და შესაფერისი. ქალის შექმნით ადამმა დაძლია მარტოობის გრძნობა.

ჩვენი აზრით, შემწეობას, დახმარებას ადამიანი სთხოვს მასზე დიდს, ღმერთს „შემწე, უფალო“, ან მასზე მაღალი იერარქიის წარმომადგენელს „შემწე, ბატონო“, ან თანასწორს – „შემწე, მეგობარო“ ანუ „დამეხმარე, მეგობარო“. შემწეობა ნიშნავს დახმარების თხოვნას, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს ან ღმერთის, ან უფრო მაღალ საფეხურზე მყოფი ადამიანის ან იმათ მიმართ, რომელთაც შეუძლიათ წყალობა, ხელის გამართვა, გვერდით დგომა, ან უბრალოდ ინტელექტუალური, მორალური დახმარება. ვფიქრობ, ადამს ესაჭიროებოდა ინტელექტუალური

და სულიერი შემწე, მეგობარი, მისი აზრების გამზიარებელი, რომელიც მისი შესაფერისი იქნებოდა. ღმერთმა ადამს მოუვლინა მისი შესაფერისი - თანასწორი შემწე, გონიერი არსება, და არა მონა, მოსამსახურე. თუ ქალი ღმერთისთვის მიუღებელი იყო არ შექმნიდა, არც ადამს მიუვლენდა და არც აკურთხებდა! „აკურთხა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა“ [1, 13].

„ბიბლია განმარტებებით“ გვაუწყებს: „**შემწე**. სიტყვა „შემწეს“ აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ჩვეულებრივი, ყოველდღიური დახმარების განვსა. ეს სიტყვა ებრაულ ტექსტში ნიშნავს ორეულს, ასლს, სარკეს – პიროვნებას, შექმნილს იმისათვის, რომ მამაკაცმა თავისი თავი აღმოაჩინოს... **მის შესაფერს**. როგორც მამაკაცი, ისე დედაკაცი საკუთარ არსში ღმერთის ხატების მატარებელია“ [12, 27].

აღსანიშნავია, რომ ქალის უარყოფითი სახის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ბიბლიის მეორე ეპიზოდმაც, რომელიც აკრძალული ხილის გემოს ხილვას უკავშირდება. ეს ტექსტიც გასაანალიზებელია. ყველაზე ცბიერი, გველი, ევას ეუბნება, რომ თუ ის აკრძალულ ხილს შეჭამს არ მოკვდება, აეხილებათ თვალი და „შეიქმნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი... დედაკაცმა, მონყვიტა ნაყოფი და შეჭამა, მისცა თავის ვაცს და ვაცმაც შეჭამა“ [1, 14]. ამის შემდეგ მათ აეხილათ თვალი და იგრძნეს თავიანი სიშიშველე და დაიმაღლნენ. როდესაც ღმერთმა ადამს დაუძახა, ადამმა „მიუგო: შენი ხმა შემომესმა და შემეშინდა, შიშველი რომ ვარ და დავიმაღლე. უთხრა... იმ ხის ნაყოფი ხომ არ გიჭამია, მე რომ აგიკრძალე? უთხრა ადამმა: შენ, რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც შევჭამე. უთხრა უფალმა ღმერთმა დედაკაცს: ეს რა ჩაიდინე? თქვა დედაკაცმა: გველმა შემაცდინა და მეც შევჭამე“ [1, 15]. ამ ეპიზოდის შესახებ „შესაქმნეს განმარტებები“ გვაუწყებს „თუ ცოდვით დაცემა ევას გარკვეულწილად შეიძლება ევატიოს მისი სისუსტის გამო, ადამს, რომელსაც თავად უფლისგან ჰქონდა მოსმენილი მცნება და რომელმაც საკუთარ თავზე გამოცადა

უფლის სიყვარული, შემამსუბუქებელი გარემოებები არ გააჩნია. ამიტომ მისი დანაშაული უფრო მძიმეა ვიდრე ევასი“ [11].

„ბიბლია განმარტებებით“ ამ ეპიზოდს შემდეგნაირად განმარტავს: „გველი მიმართავს ცოლს, როგორც სუსტ ჭურჭელს, მისი მეშვეობით უფრო ადვილია მიზნის მიღწევა, ალბათ იმიტომ, რომ ცოლს თვითონ არ მოუსმენია მცნება უფლისგან, არამედ მიიღო ქმრისაგან და ამიტომ იცოდა ნაკლებ მტკიცედ“ [12, 31]. აქვე მინდა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სასულიერო ლიტერატურაში პირველ ცოდვას, ადამის ცოდვას უწოდებენ და არა ევას ცოდვას.

ჩვენი აზრით, ამ ეპიზოდს თუ კარგად გავაანალიზებთ, დავინახავთ, როგორც ადამი, ასევე ევა შეცდნენ, აკრძალული ხილი შეჭამეს, წინააღმდეგობა არც ერთს არ გაუწევია, თავისუფალი არჩევანის ნება, უფლება ორივე მათგანს ჰქონდა და მათ აირჩიეს შეცნობის გზა, მაგრამ ამით არ სრულდება ეს ამბავი, ქრისტიანული მრწამსის თვალსაზრისით, რაც შემდეგ მოხდება უარესია. უფალი, როდესაც ცოდვით დაცემულ ადამს ეკითხება აკრძალული ნაყოფი ხომ არ გიჭამიაო, ადამი იმის ნაცვლად, რომ სინანულში ჩავარდეს და პატიება ითხოვოს, პასუხობს, შენმა შექმნილმა ევამ მაცდუნაო, ევაც იმავეს იმეორებს, გველმა მაცდუნაო. არც ერთი არ ინანიებს თავის ცოდვას, პირიქით თვით უფალს აბრალებენ თავიანთ საქციელს. მავანი ამბობს, ქალი დამნაშავეა, რატომ დაელაპარაკა ეშმაკსო, მაგრამ თუ კაცი უფრო ძლიერია, რატომ არ დაიცვა ქალი ცოდვისაგან, რატომ შეჭამა თვითონაც აკრძალული ხილი და შემდეგ თავის საქციელზე პასუხისმგებლობა რატომ არ აიღო, რატომ არ შეინანა? ორივე ქალიც და კაციც შეცდნენ, ისინი ადამიანები არიან და ადამიანურად შეცდნენ. „ბიბლია განმარტებებით“ შემდეგს ამბობს: **„იმ ხის ნაყოფი ხომ არ გიჭამია.** ღმერთმა ადამს მონანიების შესაძლებლობა მისცა, მაგრამ ადამიანი უკვე „შიშველი“ და „ცბიერია“. სიმართლის დამახინჯებით, ერთმანეთსა და ღმერთზე გადაბრალებით, ადამიანები მთლიანად იმ „თავისებურების“ შესაბამისად მოიქცნენ, რაც მათ გველისაგან შეიძინეს“ [12, 35]. ამ ციტატაში არ საუბრობს განმმარტებელი, რომ შეცდა ევა და შეაცდინა ადამი, არამედ ამბობს, რომ ადამიანი, ე. ი. ადამიც და ევაც შეცდნენ.

ამ საქციელისათვის ღმერთი ორივეს სჯის შემდეგი სიტყვებით: „დედაკაცს უთხრა: სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას, ტანჯვით შობ შვილებს. ქმრისკენ გეყენება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე. ადამს უთხრა: ...მიწა დაიწყევლოს შენს გამო, ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე“ [1, 15].

საინტერესოა, უფალმა რატომ არ დასაჯა მხოლოდ ევა, ორივე რატომ გააძევა ედემის ბაღიდან? პასუხი ერთია, ისინი, ორივე ქალიც და კაციც უფლის თვალში ერთნაირად შემცდარნი არიან! აქ იკვეთება უფლის დამოკიდებულება ორივე სქესის წარმომადგენლის მიმართ, რომლისთვისაც სქესს კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ ადამიანის საქციელს.

მეოთხე თავი. „დაორსულდა ევა და შვა კავნი და თქვა: კაცი შემეძინა უფლისაგან“. განმარტებებში ვკითხულობთ: „**კაცი**. თავდაპირველად ქალი მამაკაცისაგან შეიქმნა, ახლა კი მამაკაცი გაჩნდა ქალისაგან. ორივე სქესი ურთიერთკავშირშია და ორივე ღმერთზეა დამოკიდებული. **ღმერთისაგან**. ადამიანი წარმოშობითაც, დაბადებითაც, არსებობითაც ღმერთს უნდა უმადლოდეს“ [12, 41]. არსად გვხვდება ცალკე ან ევა ან ადამი, ყოველთვის გამოიყენება სიტყვები ადამიანი, ისინი და სხვ. [12, 16], რაც ადასტურებს დაბადების წიგნის პირველ და მეორე თავებში სქესთა თანასწორობას. სამწუხაროდ პატრიარქალური აზროვნების გამო აღნიშნული ეპიზოდები არასწორად იყო აღქმული.

### **ახალი აღთქმა**

საკაცობრიო აზროვნებაში ახალი აღთქმა პრინციპულად ახალი ფასეულობების შემომტანია, უფლის მოციქულების, მახარებლების მიერ დაწერილი სახარებები და ეპისტოლეები, ქმნიან ქრისტიანულ რელიგიას. ამ წიგნებში გაცხადებული სწავლებები გახდა არამართო მორწმუნეების სულის ცხოვნების გზა, არამედ მთელი ევროპული აზროვნების ფუნდამენტი. ძველი აღთქმისაგან აბსოლუტურად განსხვავებულია, ახალი აღთქმის პათოსი, სადაც მთავარი ფასეულობები შემწყნარებლობა, პატიებაა.

ახალ აღთქმაში ქალისადმი დამოკიდებულება ამბივალენტურია. ერთის მხრივ მასში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ და შარავანდედით არიან მოსილნი ქალები, განსაკუთრებით ღვთისმშობელი მარიამი, ლაზარეს დები მართა და მარიამი, მენელსაცხებლე დედები და სხვები, მაგრამ მეორეს მხრივ, ქალის მიმართ დამოკიდებულება სუბორდინაციულია.

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანობის გავრცელების ადრეული პერიოდიდანვე ჩამოყალიბდა ქალის ხატის მიმართ ორმაგი, ნეგატიური და პოზიტიური მიდგომა – ძველი აღთქმის მთავარი ქალი ევა – მაცდუნებელი, სექსუალური, ყბედი, ხოლო ახალი აღთქმის მარიამ ღვთისმშობელი – ამაღლებული, ასექსუალური, თავმდაბალი. აღნიშნული ორმაგი სტანდარტი მყარად დამკვიდრდა საზოგადოების აზროვნებაში, ღვთისმშობლის სახეების ანალოგიით ჩამოყალიბდა ქალის, დედის იდეალი, რომლის საფუძველი მორჩილებაა, ხოლო მთავარი ღირსებები – თავგანწირვა, თანაგრძნობა, უბიწობა და უმანკობა [5, 73], ხოლო ევას მაგალითზე შექმნილი მაცდური ქალის სტერეოტიპული სახე შენარჩუნდა.

ქრისტიანობის ქალთა მიმართ დამოკიდებულებები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული პავლე მოციქულის ეპისტოლეებში, სადაც ნათლად ჩანს ადამიანებს შორის ქრისტიანული ურთიერთობების სტანდარტები, ურთიერთსიყვარული, პატივისცემა, თანასწორობა და თავისუფლება.

თავდაპირველად ყურადღებას გავამახვილებთ ახალი აღთქმის იმ ეპიზოდებზე, სადაც ქალი დაკნინებულია. მათეს სახარება იესო ქრისტეს გენეალოგიით იწყება, სადაც ქალის სახელები განსაკუთრებული შემთხვევის გარდა არ მოიხსენიება: „აბრაამ შვა ისააკი, ისააკმა შვა იაკობი, იაკობმა შვა იუდა და ძმანი მისნი“ [1, 959]. აღნიშნული ეპიზოდი ძველი აღთქმის ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობის ანარეკლია.

პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში აღნიშნავს, რომ „კაცის თავი ქრისტეა, ხოლო ქალის თავი კი კაცია. კაცმა არ უნდა დაიბუროს თავი, ვინაიდან ხატია და დიდება ღვთისა, ხოლო ქალი ქმრის დიდებაა, რადგან კაცი კი არ

არის ქალისაგან, არამედ ქალი კაცისაგან და კაცი კი არ შეიქმნა ქალისათვის, არამედ ქალი კაცისათვის“ [1, 1141].

ქალისადმი დამოკიდებულება იმდენად დაცემული იყო, რომ 585 წელს მეკონის კრებაზე განიხილებოდა საკითხი იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა ქალს სული. ქალის სულიერების საკითხი კენჭისყრისას დადებითად მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობამ გადაწყვიტა. სქოლასტიკოსების აზრით, „ქალი სატანის ჩირაღდანია, რომელიც გზას უნათებს ეშმაკს“ [1, 73].

ქრისტიანობა შუა საუკუნეებში გაბატონებული პატრიარქალური აზროვნების იდეოლოგიად ჩამოყალიბდა, ფეოდალიზმის პერიოდში არსებული სოციალური უსამართლობა ქრისტიანული სწავლებით ნეიტრალდებოდა, ჩაგრულ ფენას მომავალი ცხოვრების იმედს უსახავდა და ამით ანუგეშებდა. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ევროპელი ქალებისათვის შუა საუკუნეები, როდესაც დაიწყო ე. წ. „კუდიანებზე ნადირობა“, აღნიშნული ამყარებდა ქალთა მიმართ უარყოფით შეხედულებებს.

ქალის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების დამადასტურებელია პეტრე მოციქულის შემდეგი შეგონება: „...თქვენც, ქმრებო, სათუთად მოეპყარით ცოლებს, როგორც უმციფეს ჭურჭელს, პატივი ეცით მათ [1, 1109]. ცოლისა და ქმრის თანასწორობას მიუთითებს პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ წარმოთქმული ფრაზა: „ქმარი ჯეროვან პატივს მიაგებდეს ცოლს, ასევე ცოლი-ქმარს. ცოლი კი არ არის საკუთარი სხეულის უფალი, არამედ ქმარი; ასევე ქმარიც როდია თავისი სხეულის უფალი, არამედ ცოლი“ [1, 1138].

განსაკუთრებით საინტერესოა ეფესელთა მიმართ შემდეგ ეპიზოდში გამოთქმული აზრები: „ჰმორჩილებდეთ ერთმანეთს ქრისტეს შიშით. ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს; ვინაიდან ქმარია ცოლის თავი, ისევე როგორც ქრისტე თავია ეკლესიისა, და თვითვეა სხეულის მხსნელი. მაგრამ როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, ასევე ცოლებიც თავიანთ ქმრებს ყველაფერში. ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია, და მისცა თავისი თავი მისთვის“ [1, 1164]. ამ ამონარიდიდან ნათლად ჩანს, რომ უფალი მოითხოვს

ქალისაგან ქმრის მორჩილებას, ხოლო ქმრისაგან სიცოცხლის განირვას. პატრიარქალურ საზოგადოებაში ხშირად ისმის ქალის ქმრისადმი მორჩილების ქრისტიანული ვალდებულება, მაგრამ არავის ახსენდება, რომ ცოლისათვის ქმარმა სიცოცხლე უნდა განიროს, როგორც უფალმა კაცობრიობისათვის.

ქრისტიანებისათვის წმინდათანმინდაა ოჯახი, იგი სინმინდესა და უბიწობას ეფუძნება, საქორწინო თეთრი კაბა ქალის ქალწულების სიმბოლოა. ერთგულება და პატიოსნება მან მთელი ცხოვრების მანძილზე ღირსეულად უნდა ატაროს, ღალატის შემთხვევაში იგი სასტიკად იკიცხება. იგივე მოეთხოვება კაცსაც, მაგრამ საზოგადოება მის მიმართ შემწყნარებელია.

ახალ აღთქმაში ქალის მიმართ დამოკიდებულება ორმაგი სტანდარტით გამოირჩევა. მამაკაცი ქალთან მიმართებაში ყოველთვის პოზიტიურად არის წარმოდგენილი, ძველი აღთქმისგან განსხვავებით ქალის მიმართ დამოკიდებულება შერბილებულია, მეტიც, არის ისეთი ეპიზოდები, რომლებიც ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპს უსვამს ხაზს.

### **დასკვნა**

ძველი აღთქმა ქადაგებს შურისძიებას, „კბილი კბილის წილ, სისხლი სისხლის წილ“, ხოლო ახალი აღთქმა, სიყვარულსა და მიმტევებლობას. „ნუ მიაგებთ ბოროტს ბოროტის წილ, ნურც გინებას გინების წილ, არამედ აკურთხევდეთ წინააღმდეგომს და იცავდეთ, რომ იმისთვის ხართ ხმობილნი, რათა დაიმკვიდროთ კურთხევა“ [1, 1109]. აღსანიშნავია, რომ იესო ქრისტეს ჭვარცმის დროს ტაძარში კრეტსაბმელი გაიპო, რაც მიმანიშნებელია ძველი სასტიკი პერიოდის დასრულებისა და ახალი ერის დაბადების. ქრისტემ ჭვარცმით კაცობრიობის ცოდვები გამოისყიდა (პირველ რიგში „ადამის ცოდვა“), სიყვარული, მიმტევებლობა და თანასწორობა გახდა ადამიანების მთავარი ორიენტირი.

ახალმა აღთქმამ განუსაზღვრა ქალსა და კაცს თავიანთი როლები, დააკანონა მათი მოვალეობები. მიუხედავად თანასწორობის ქადაგებისა ქალისადმი დამოკიდებულება ორმაგია, როგორც პოზიტიური, მამაკაცთან თანასწორი, ასევე დაქვემდებარებული. ქალის მთავარი ვალდებულებები რეპროდუქციულობა და

ქმრისადმი მორჩილებაა.

ქალის მიმართ დამკვიდრებული სტერეოტიპული აზრის გაბათილება არაერთმა მოაზროვნემ სცადა. მათ შორის აღსანიშნავია XIX საუკუნის დიდი ინგლისელი მოაზროვნე ჯონ სტუარტ მილი. მან ლაკონიურად, ამომწურავად მიუთითა საზოგადოებას ქალთა თანასწორობის სანინააღმდეგო ფსევდო მიზეზების არარელევანტურობაზე - „ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობის ისტორიულად დიდი ხნის მანძილზე არსებობა, თავისთავად არ წარმოადგენს არგუმენტს, რომელიც გაამართლებდა ამ მდგომარეობის შენარჩუნებას მომავალშიც“ [13, 24]. აღნიშნული აზრი უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის საქმეში და დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

ქალებისადმი დამოკიდებულების ცვლილების საკითხში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის უტოპისტ სოციალისტებს, განსაკუთრებით შარლ ფურიეს, მისი აზრით, „საზოგადოების ცივილიზაციის დონე ქალთა მდგომარეობის პირდაპირპროპორციულია“ [4, 28]. ასევე მნიშვნელოვანია XX საუკუნის ინგლისელი მეცნიერის ა. ბარნეტის შეხედულება, რომელიც აღნიშნავს, რომ ქალისა და მამაკაცის გონებრივი შესაძლებლობები თანაბარია, რასაც ადასტურებს სამედიცინო სფეროში მომხდარი ცვლილებები. იგი ამბობს, რომ „100 წლის წინ არ არსებობდნენ ექიმი ქალები, რომ მათ მედიცინის ათვისება თითქოს არ შეეძლოთ. დღეს კი ექიმების ნახევარი ქალებია“ [4, 29]. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციამ დააკანონა ქალისა და მამაკაცის თანასწორობა, ქალის მიმართ დამოკიდებულებები ფორმალურად შეიცვალა, თუმცა სსრკ-ში რეალური თანასწორობა მაინც ვერ დამკვიდრდა.

თანამედროვე საქართველოსათვის განვითარების გზა დემოკრატიული პრინციპებით ხელმძღვანელობას უკავშირდება, სადაც ქალისა და მამაკაცის თანასწორობა პრიორიტეტულია. აღნიშნული, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არახალია, რადგან ისტორიულად ქალი, დედა დიდი პატივისცემით სარგებლობდა ქართულ ცნობიერებაში, ასევე საბჭოთა საქართველოშიც



კონსტიტუციით დეკლარირებული იყო სქესთა თანასწორობა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ენაში დავანებულია ერის მსოფლმხედველობა. სიტყვა მეუღლეს ორმაგი დატვირთვა აქვს, ნიშნავს როგორც უღელში შებმულ ორ ხარს, ასევე ცოლსა და ქმარს, რომლებიც ოჯახის ჭაპანს ერთად ეწევიან და თანასწორნი არიან. ქართულ ენაში საუკუნეების მანძილზე ამ სიტყვის არსებობა ადასტურებს, რომ ჩვენში სქესთა თანასწორობის იდეა ორგანულია და არა თავსმოხვეული, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი ამოაგდებდა. ზოგადად, საქართველო ორმაგი სტანდარტების ქვეყანაა, გვაქვს ორი დამოუკიდებლობის დღე, ორი ახალი წელი, ასევე ქალის მიმართ ორმაგი მიდგომა. ქრისტიანობაშიც ქალთან დაკავშირებით ორმაგი დამოკიდებულებებია. ხაზგასასმელია, რომ ძველ აღთქმაში ღმერთი ადამიანს, ქალსაც და კაცსაც ერთნაირად ლოცავს და სჯის, ახალ აღთქმაში სქესთა თანასწორობა მრავალჯერ არის დადასტურებული, თუმცა ქალის მიმართ დამოკიდებულება ამბივალენტურია.

საქართველოში ძველი დროის ბიბლიის განმმართველები და თანამედროვე მკვლევრებიც, რომელთა შორის უკვე ქალებიც არიან, განსხვავებული რაკურსიდან განიხილავენ ბიბლიის ტექსტს. აღსანიშნავია, რომ დღეს სასულიერო ლიტერატურასა და ქადაგებებში სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სეკულარული სახელმწიფოა, ქრისტიანობა, როგორც ერის ცხოვრების ერთ-ერთი განმსაზღვრელი, ჩვენი საზოგადოების აზროვნებაზე – მორწმუნეებზეც, ათეისტებზეც, პირდაპირ თუ ირიბად, მაინც გავლენას ახდენს და სტერეოტიპებს აყალიბებს. სქესთა თანასწორობისადმი ეკლესიის დადებითი დამოკიდებულება ქართული საზოგადოებისათვის, ფემიციდის აღკვეთისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის დასაძლევად მნიშვნელოვანია.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ბიბლია, თბილისი, 1989.
2. ნიკოლო მაკიაველი, ავტორთა კოლექტივი, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, თბილისი, 2017.
3. კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2003.
4. ნ. დონაძე, თ. კვიციანი, გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, თბილისი, 2006.
5. ლ. სურმანიძე, ქართული კულტურის ზოგიერთი ორიენტაცია (ძალადობა და გენდერი), გენდერული პრობლემემატიკა საქართველოში, თბილისი, 2002.
6. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 3, დემოკრატია. <https://matsne.gov.ge> (უკანასკნელად გადამონმებულია 02.06.2021).
7. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის, <https://patriarchate.ge> (უკანასკნელად გადამონმებულია 02.06.2021).
8. მ. ყიფიანი, „აფხაზეთიდან დევნილ ქალთა ინტეგრაცია თანამედროვე საქართველოში“, ჟურნალი, „საისტორიო ვერტიკალები“ № 13, თბილისი, 2008.
9. ზ. კვიციანი, საუბრები ბიბლიაზე, თბილისი, 1989.
10. მ. ჯავახიშვილი, ქალის საკითხი ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, გენდერული პრობლემემატიკა საქართველოში, თბილისი, 2002.
11. შესაქმის განმარტება (პირველი ნაწილი), თბილისი, 2004. <https://www.tsu.ge> (უკანასკნელად გადამონმებულია 02.06.2021).
12. ბიბლია განმარტებებით, ტ. 1, თბილისი, 2020.
13. ჯონ სტუარტ მილი, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, თბილისი, 2017.

**Maia Kipiani**

*Academic Doctor of History, Faculty of Law and International Relations, Professor, Department of Politics and International Relations, Georgian Technical University*

## **EQUALITY, WOMEN, AND CHRISTIANITY**

### **Summary**

The article "Equality, Women, and Christianity" emphasizes that Christian values are one of the pillars of European thought. The article highlights the particular importance of the idea of equality in the thoughts of the modern civilized world. Here we have to say that the Christian religion is focused on the issue of gender equality. Thus, the article analyzes the foundations of discrimination against women, dating back to the philosophical views of the ancient period and the Old Testament. The article presents episodes confirming the equality of men and women in the Bible. It is noted that due to patriarchal thinking, women are still considered as the secondary part of society since one of the basis of the Bible has an ambivalent attitude towards women. The article presents the thoughts of the women's rights activists J.S., Miles, C. Fourier, and A. Barnett. Based on the study of specific episodes of the Bible and the analysis of the fundamental work "Biblical Explanations" (Tbilisi, 2020), it was concluded that Christianity is against all forms of discrimination, including inequality between men and women.

## ავთანდილ სონღულაშვილი

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე*

### რელიგია და ქალის უფლებები (ისლამის მაგალითზე)

ყოველი რელიგია განსაზღვრავს ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას სამყაროში, თუ როგორ და რისთვის უნდა იცხოვროს მან. ეს კი მოითხოვს გარკვეული ზნეობრივი ნორმების დანერგვას, რომელთა დაცვა და შესრულება ადამიანს მიიყვანს სასურველ მიზნამდე. ამისთვის რელიგია აყალიბებს მცნებებს, რომლებიც შეიცავენ მოთხოვნებს – თუ რა უნდა აკეთოს და რა არ უნდა აკეთოს ადამიანმა. ძველი აღთქმიდან ცნობილია ათი მცნება. მათგან სანიშნოდ გამოვყოთ რამდენიმე: „არა ვაც-ჰკლა“, „არა იქურდო“, არა ცილი სწამო“ და „არა იმრუშო“. ეს შეგონებები საფუძვლად დაედო არა მარტო ქრისტიანულ, არამედ საერთოდ ყოველგვარ მორალს. ისინი, საერთოდ, ადამიანური ქცევის ნორმებად იქცნენ. მათ შეიძინეს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა [1, 51].

ისლამის დამოკიდებულება ქალისადმი მეტად მკაცრია. ამ საქმეში იგი მხარში უდგას სხვა რელიგიებს. თუ მორწმუნე ებრაელი დილის პირველი ლოცვით მადლობას სწირავს ღმერთს, რომ ქალად არ გააჩინა, ისლამი უფრო შორს მიდის. იგი ქალს უკიდურესად დამამცირებელ მდგომარეობაში აყენებს, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს სპეციალური აღმოსავლური დესპოტიზმი. ქალი პატარაობიდანვე ვაჭრობის საგნად არის გადაქცეული. იგი შეიძლება იყიდო, გაყიდო, გაასაჩუქრო. ყურანი ქალს მამაკაცთან შედარებით დაბალ არსებად თვლის: „თქვენი ცოლები მინდორ თქვენდა არიან. თქვენ მინდორზე გადით, როგორც გნებავდესთ“. ისლამი ქალს უწოდებს „შებლუდული ჭკუის არსებას, რომელიც უდიდესი სასჯელია მამაკაცისთვის“ და ა. შ. ქალი საზოგადოების წევრადაც არ ითვლება, იგი მხოლოდ მონაა, რომელმაც ჩადრით

უნდა იაროს. ქალები ჯოჯოხეთში იცხოვრებენ; სამოთხეში მხოლოდ ქალიშვილები იქნებიან მამაკაცის გასართობად [2, 79-80].

შარიათის მიხედვით ქალი დაბალი დონის არსებაა; როდესაც მაჰმადიანს გოგონა შეეძინება მას „სახე შავი უხდება და დამწუხრებულია“ [3, 149].

ჯერ კიდევ ისლამამდელ არაბ ტომებში ქალიშვილის დაბადება უბედურებად ითვლებოდა: მისგან ნაკლებ სიკეთეს ელოდა მოხეტიალე და მძარცველური ყოფის მატარებელი ტომი. ამიტომ არაბები სალოცავებისადმი მსხვერპლშენიშვნის დროს „უპირატესობას“ გოგონებს აძლევდნენ, ან ცოცხლად მარხავდნენ [4, 11].

ბოგადად, ყველა მომთაბარე ხალხში ქალი არ იყო გათანაბრებული მამაკაცთან. მომთაბარეთა სამეურნეო ცხოვრებაში ქალის როლი საკმაოდ დაბლა იდგა. იმისათვის, რომ ტომს თავისი ტერიტორიის საზღვრები გაეფართოებინა საჭირო იყო პირველ რიგში მებრძოლი მამაკაცი და არა ქალი [5, 16].

არაბ მომთაბარეს შეეძლო ჰყოლოდა შეუზღუდავი რაოდენობის ცოლები, და ასევე, ხარჭა განუსაზღვრელი რაოდენობით. გოგონას დაბადება კი აღიქმებოდა უბედურებად. ასეთი ფაქტები, მხოლოდ წარმართი არაბებისათვის არ იყო დამახასიათებელი. მსგავსი დანაშაული დღესაც წარმოადგენს ტრაგიკულ სინამდვილეს: ინდოეთში ახალდაბადებულ გოგონას ზოგჯერ კლავენ, რამდენადაც ეშინიათ სიღარიბისა და სირცხვილისა, როცა მათი გამზითვების დრო დადგება. ჩინეთში, სადაც კანონით აკრძალულია ერთ შვილზე მეტის ყოლა, ქალები ხშირად აბორტს იკეთებენ, როდესაც გაიგებენ, რომ ქალიშვილი შეეძინებათ [6, 226].

ქალებზე დამამცირებელი წარმოდგენა მუსულმანურ რელიგიაში ნასესხებია წარმართობის დროინდელ არაბთა ყოფა-ცხოვრებიდან. ბედუინ არაბს ყოველთვის თავი მოჰქონდა ვაჟიშვილებით; როგორც აღვნიშნეთ, მისთვის ქალიშვილის დაბადება უბედურება იყო. როდესაც არაბეთში იქმნებოდა მრავალმერთიანობის კულტიდან ერთმერთიანობის კულტი

და გაბატონდა ღმერთი ალაჰი, ალაჰმა დაამცირა და მოიძულა არაბისათვის „არასრულფასოვანი“ ქალის არსება. ფეოდალური საზოგადოების მმართველმა წრეებმა კი ალაჰის სახელით, ყურანით დააკანონეს ქალების უთანასწორობა. საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებაში მას მიაკუთვნეს არასრულფასოვანი, მორჩილი და დამცირებული ადგილი. ყურანის თანახმად მემკვიდრეობის განაწილებისას „მამაკაცს იმდენი უნდა ერგოს, რამდენიც ორ ქალს, ანდა, თუ მიცვალებულს მემკვიდრედ ვაჟი არა ჰყავს, ქალი მემკვიდრეები მაინც ვერ მიიღებენ მამის მთლიან ქონებას. უფალი განმარტავს ამას, რომ თქვენ არ გადაცდეთ. ღმერთმა იცის ყველა საგანი“ [7, 118-119]. რელიგიური დოგმებით „ქალი ეშმაკის მარყუჟი და სიყვარული მიწიერისადმი ყველა ცოდვათა საფუძველია...“ [7, 55]. ყურანის მეორე სურის 228-ე აიათში აღნიშნულია: „ქმრებსა აქვთ ხარისხი თავიანთი ცოლთა უმაღლეს“ [8, 34].

ქალის უფლებების შეზღუდვას ასევე განაპირობებს ის ფაქტი, რომ ისლამი ოფიციალურად ნებას რთავს მამაკაცს ოთხი ცოლი იყოლიოს. ასევე ხშირია მცირეწლოვანთა გათხოვება. მაგალითად, ახალი რელიგიის ფუძემდებელმა, წინასწარმეტყველმა მუჰამედმა ცოლად შეირთო მომავალი ხალიფა აბუ-ბექრის 7 წლის ქალიშვილი აიშა [4, 75]. ამ დროს მუჰამედი 54 წლის იყო. ვიდრე აიშა წამოიზრდებოდა მუჰამედი ხის თოჯინებით ეთამაშებოდა. ამავე დროს, მუსულმანებში ჩვეულებრივი მოვლენაა ბიძაშვილების, დეიდაშვილების და ბიძაშვილ-მამიდაშვილის ურთიერთზე დაქორწინება [9, 12, სქოლიო 24].

როგორც ცნობილია ახლო ნათესავებს შორის ქორწინების ფაქტები დადასტურებულია ისლამამდელი პერიოდის ირანელებშიც. კერძოდ, ზოროასტრელთა ორ საღვთო წიგნში: შ ა ი ა ს თ ლ ა-შ ა ი ა თ ს ა და დ ი ნ კ ა რ ტ შ ი, სადაც ასეთი ვავშირი დასაშვებად და მოსაწონად არის მიჩნეული. ზოროასტრელებისათვის ახლო ნათესავებს შორის ქორწინება ითვლებოდა წმინდა საქმედ. შაიასთ და შაიასთის განმარტების მიხედვით ღმერთი ეუბნება ზოროასტრელთ..., რომ სწორია მისი მოქმედება, ვინც ურყევია ღმერთის (აჰურამაზდას) თაყვანისცემაში

და განამტკიცებს ღვთისმოყვარეობას თავის ახლო ნათესავთან ქორწინებით [10, 101-102].

შაჰ-თამაზ I დროს (1524-1576 წწ.) ირანის ქალაქებში პროსტიტუცია ფართოდ გავრცელდა. აქედან მიღებული შემოსავლის ნაწილს მეძავები სახელმწიფოს უხდიდნენ. პროსტიტუციის ბუმმა მრავალი ადამიანი დაავადმყოფა. ვენერიული დაავადება მოედო მოსახლეობას. შაჰი იძულებული გახდა მკაცრი ზომები მიეღო. „სადაც გამოჩნდებოდა ასეთი დედაკაცი, ბრძანებდა, საშინელი წამებით მოეკლათ იგი“ [11, 44]. მოგვიანებით, შაჰის ხელისუფლებას შემოსავლის წყარო რომ არ დაეკარგა, სხვა ფუნქციებთან ერთად მ ა შ ა ლ დ ა რ ბ ა შ ი ს („მეჩირადღნეთა უფროსი“), მის კომპეტენციაში შევიდა და მას დაექვემდებარა ისპაჰანში მდებარე საროსკიპოები [12, 146].

სეფიანი შაჰების ჰარამხანა (საქალაქი) დიდი და რთული დანე-სებულება იყო. იგი ზოგჯერ მნიშვნელოვან, არაიშვიათად კი, გადამწყვეტ როლს თამაშობდა იმპერიის როგორც საშინაო, ასე საგარეო პოლიტიკაში. აქ ცხოვრობდნენ შაჰების როგორც ახლო ნათესავები (დედები, დები, ქალიშვილები, ბიძაშვილები და სხვ.), ისე მათი ცოლები, ხარჭები და მხევლები, ზოგჯერ ათასამდე სული [13, 304].

შაჰის ცოლებს მეტი ძალაუფლება ჰქონდათ სამეფო კარზე, ვიდრე დედებს. პ ი ე ტ რ ო დ ე ლ ა ვ ა ლ ე ს ცნობით, მეფის სისხლით ნათესავ ქალებს სეფიანთა ხანაში ბ ე გ უ მ ი ს წოდებით იხსენიებდნენ, ხოლო სხვა ცოლებს, რომელნიც შაჰის ნათესავები არ იყვნენ (ირანის შაჰის ცოლებში ცოტა როდი იყო თვითონ შაჰის სისხლით ნათესავი, ვთქვათ, ბიძაშვილი), ხანუმს უწოდებდნენ [13, 305].

კ ე მ პ ფ ე რ ი ს ცნობით, მის დროს (1683-1685 წლებში) „ჰარამხანაში პირველი ადგილი შაჰის დედას უჭირავს“ [13, 304].

ირანის შაჰს ბ ა ბ ა - ხ ა ნ ს 300-ზე მეტი კანონიერი ცოლი ჰყავდა. მის ჰარემში დაახლოებით 700 ქალი ყოფილა. ხელმწიფეს 60-მდე ვაჟიშვილი და 50 ქალიშვილი ჰყოლია. საერთოდ კი, ფ ა თ ჰ ა ლ ი - შ ა ჰ ი ს მემკვიდრეებს ორი ათასამდე ანგარიშობენ: 200 შვილი, 600-მდე შვილიშვილი და დანარჩენი – შვილიშვილის შვილები [14, 48].

ზოგადად, მთელ მუსულმანურ სამყაროში ფართოდ გავრცელდა მცირეწლოვანი ბავშვის გათხოვება ასაკოვან მამაკაცზე. მათი რწმენით ასეთ საქციელს გამართლება ჰქონდა თვით მუჰამედისა და აიშას ქორწინების მაგალითით [15, 35].

ბაბა-ხანის დროს ირანში გავრცელებული ყოფილა ერთი მეტად მანკიერი წესი. ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან შაჰს უგზავნიდნენ ხოლმე ახალგაზრდა ქალიშვილებს. შაჰი მხოლოდ ერთ ღამეს ატარებდა მათთან და შემდეგ გადასცემდა თავის ერთ-ერთ დიდებულს ან მაღალ სამხედრო პირს, რომელიც ამას უდიდეს პატივად თვლიდა და ასეთი შემთხვევის აღსანიშნავად დიდ წვეულებას მართავდა; ამ წვეულებას თვით შაჰიც ესწრებოდა [14, 48, სქოლიო 8].

მეჩეთებში ქადაგების დროს ხშირად მოუწოდებდნენ შემდეგი სიტყვებით: „ვინც არ უნდა გახდეს, როგორი განათლებაც არ უნდა მიიღოს, თქვენ დაბადებიდან მუსულმანები ხართ და უნდა შეასრულოთ თქვენი ხალხისა და წინაპრების ვალდებულება [16, 50].

ყოფაში, ოჯახში შედარებით ნათლად მჟღავნდება ქალის უფლებობა. ქალისადმი დამოკიდებულებაში სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმები, რაც მოცემულია ყურანსა და შარიათში, გამოხატავს რეალურად არსებულ ფეოდალურ-პატრიარქალურ დამოკიდებულებას „მუსულმანურ სამყაროში“.

ყურანზე დაფუძნებული ისლამის მორალი ბლაღავდა ქალის უფლებებსა და ღირსებას, მას განიხილავდა, როგორც ნივთს, რომელიც შეიძლება გაყიდოს, იყიდოს, გააჩუქოს. უარყოფით როლს თამაშობდა მაჰმადიანი ქალის მდგომარეობაზე ოჯახსა და საზოგადოებაში ყურანის მითითება ქალის „ჩაკეტვაზე“ და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა რიტუალურ ტანსაცმელზე (ჩადრი და სხვ.).

ქალის იზოლირებაზე მითითებამ თავი იჩინა მუსულმანური დასახლებების მშენებლობაში: სახლები შემორტყმული იყო მაღალი ღობით, აშენებდნენ სპეციალურ შიდა ეზოებს, სადაც იმყოფებოდნენ ქალები და სადაც უცხო მამაკაცს შესვლის უფლება არ ჰქონდა. ფანჯარა გადიოდა არა ქუჩის მხარეს, არამედ ეზოში,



და თუ ქუჩას უყურებდა მაშინ წვრილი ბადით იყო გადავსებული, რომლის მიღმა ატარებდნენ მთელ თავის ცხოვრებას ქალები. საუკეთესო ქებას იმსახურებდა მამაკაცი, რომლის მეუღლის, დის, ქალიშვილის სახეს ვერ ნახავდა უცხო ადამიანი [16, 56].

„ყაბუს-ნამეში“ (XI ს.) აღნიშნულია, რომ „თუ გეყოლებათ ქალიშვილები... მოუყვანეთ აღმზრდელი, რომ ასწავლოს ნამაზი, მარხვა და შარიათის პირობები... მაგრამ არ ასწავლოთ წერა. ხოლო როდესაც გაიზრდება, ეცადეთ სწრაფად გაათხოვოთ. ისე უკეთესია ქალიშვილები არ გყავდეთ, და თუ მაინც გეყოლებათ უკეთესია გათხოვილი იყვეს ან საფლავში იწვეს“ [16, 57].

ქალის უფლებებთან დაკავშირებით, შედარებისთვის მოვიტანოთ ერთი მაგალითი ინდოელი ქვრივი ქალის ცხოვრებიდან: ინდოელი პროგრესული მოღვაწეების ძალისხმევით ინგლისის ხელისუფლებამ 1829 წელს კანონით აკრძალა ს ა ტ ი – ქვრივი ქალის თვითმკვლელობა (დანვა) გარდაცვლილი ქმრის ნეშტთან [17, 68].

ძველი ტრადიციების გადმონაშთების თანახმად ქმრის გარდაცვალების შემდეგ ქვრივი არ მონაწილეობდა ოჯახის სხვა წევრებთან ერთად დღესასწაულებში და რელიგიურ ცერემონიებში, რათა არ მოეტანა უბედურება, ქვრივს მშობლებთან დაბრუნება არ შეეძლო... მას ეძინა ცარიელ მიწაზე, საკვებს იღებდა დღეში ერთხელ, არ შეეძლო ეჭამა თაფლი, ხორცი, გამოეყენებინა მარილი, დაეღია ღვინო და ა. შ. უფლება არ ჰქონდა ეტარებინა ძვირფასეულობა, ღია ფერის ტანსაცმელი, შეეღება თმები. უფრო ადრე პერიოდში თავს იპარსავდნენ. ქვრივი ეწეოდა ასკეტურ ცხოვრებას: კითხულობდა დაუსრულებელ ლოცვებს და აწყობდა რიტუალებს ქმრის ხსოვნასთან დაკავშირებით... გასაკვირი არ არის, რომ ისინი თვითმკვლელობას მიმართავდნენ... [17, 69].

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციაში დევლარირებულია ოჯახსა და საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის უფლებების ფორმალური თანასწორობა. მაგრამ სინამდვილეში ირანელმა ქალებმა დაკარგეს ბევრი ის უფლება, რაც მათ მონარქიული რეჟიმის დროს მოიპოვეს. ისლამურმა ხელისუფლებამ კვლავ აღადგინა პოლიგამია, რაც მეტად

ამცირებს ქალის ღირსებას. ქალს კვლავ დაუბრუნეს ჩადრი, რომელიც აკრძალული იყო მონარქიულ ირანში. მას უკვე აღარ შეუძლია დაიკავოს მნიშვნელოვანი თანამდებობები სახელმწიფო აპარატში, ეკრძალება საზოგადოებრივ ადგილებში (მაგალითად, საპარაკმახეროებში, რესტორნებში და სხვ.) მოემსახუროს მამაკაცს და ა. შ. ყოველივე ეს კონსტიტუციურ დაპირებათა მიღმა რჩება [18, 179].

ირანის ქალაქების ქუჩებში ხშირად შეხვდებით „ზნეობის პატრულებს“. როდესაც შენიშნავენ ქალს, რომლის ტანსაცმელიც მათი აზრით, ისლამის ნორმებს არ შეესაბამება, აკავებენ მას და იქვე უწყობენ „ტრიბუნალს“ მოლას მონაწილეობით. თუ ქუჩაში კაცმა ქალს ხელი ჩამოართვა, „ტრიბუნალი“ მაშინვე იქვეა.

სასჯელი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: გაკიცხვიდან ცემამდე. იყო შემთხვევები, როცა სასამართლომ სოფლის მოლას თავმჯდომარეობით ქალებს – ფეხმძიმეებსაც კი – სიკვდილი მიუსაჯა. ისინი ქვებით ჩაქოლეს. იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა მუსულმან ფანატიკოსთა ჯგუფები – „ზნეობის პატრულების“ მოხალისე თანაშემწეები – სამართლებლით სერავენ არამუსლიმური ნორმებით ჩაცმულ ქალებსა და გოგონებს, მათ ხელკეტებით სცემენ, სახეში ქერძაფს ასხამენ.

ნორმები მკაცრია. ავტობუსებში, კინოთეატრებში, რესტორნებში ადგილები გაყოფილია კაცებისა და ქალებისათვის. ოჯახში, სამუშაოზე, საზოგადოებრივ ადგილებში ქალი აღიარებულია „მეორეხარისხოვან“ არსებად. მისთვის აკრძალულია ბევრი პროფესია, წართმეული აქვს სამსახურში დაწინაურების შესაძლებლობა. სასამართლოშიც კი არ სარგებლობს თანაბარი უფლებით. ერთი მამაკაცის მოწმობა გათანაბრებულია ორი ქალის მოწმობასთან. ყოველგვარ ძალმომრეობას ქალთა უფლებების მიმართ ირანში ღვთისმეტყველი კანონმდებლები განამტკიცებენ. მათი მტკიცებულებით „გოგონას შეუძლია 9 წლიდან გათხოვდეს“, – და ათასობით ბავშვისათვის სამუდამოდ იკეტება სკოლის გზა. სხვა მითითებით „ქალთა სპორტი შეუთავსებელია ისლამთან“, – და აუზები, სტადიონები, ჩოგბურთის კორტები ნორჩი სპორტსმენი გოგონებისათვის აკრძალულ ადგილად იქვეა [19].

საინტერესოა, როგორი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის მაჰმადიან მოსახლეობაში ქალის უფლებების მდგომარეობა. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში და ზოგადად საქართველოში ისლამის აღმსარებელთა ცხოვრება თავისებურებებით გამოირჩეოდა.

ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის საწყის ეტაპზე მუსულმანური სამართალი „კანონგარეშე“ მაინც განაგრძობდა არსებობას, გამოჰქონდათ გადაწყვეტილებები და განაჩენი შარიათისა და ადათის მიხედვით. მონმის სტატუსის განსაზღვრისას ერთი მამაკაცის ჩვენება სასამართლოში თანაბარი იყო ორი ქალის ჩვენებისა.

ყადის (მოსამართლის) გადაწყვეტილებით ქალი ისჯებოდა, თუ ქუჩაში ჩადრის გარეშე გამოვიდოდა, უცხო მამაკაცს დაელაპარაკებოდა ან უარს იტყოდა ცოლად გაჰყოლოდა იმ პიროვნებას, რომელზეც ბავშვობაში იყო დანიშნული. ამავე დროს ყადი დასაშვებად თვლიდა არასრულწლოვანის გათხოვებას, სკოლაში სიარულზე უარის თქმას და ა. შ. [16, 14]. შარიათიდან გამომდინარე 9 წლის გოგონას კალიმის (გამოსასყიდის) შემდეგ ხშირად ათხოვებდნენ მოხუცზე, რომელსაც უკვე ჰყავდა რამდენიმე ცოლი. კალიმის გადახდის შემდეგ „მამაკაცი სრულუფლებიანი მბრძანებელი ხდებოდა მეუღლეზე“ [16, 57]. ტაჯიკეთში ბევრი მამაკაცი იძულებული ხდებოდა ცოლად შეერთო ახლო ნათესავი, რადგანაც ასეთ შემთხვევაში კალიმს გადაიხდიდა მცირე რაოდენობით ან საერთოდ გადახდის გარეშე გადარჩებოდა [20, 19].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საუკუნეთა განმავლობაში ისლამის გავრცელებას სხვადასხვა ხალხებში მოჰყვა ამ რელიგიის ადგილობრივი ფორმების თავისებურებათა აღმოცენება. მაგალითად, რწმენა და რიტუალები აზერბაიჯანში განსხვავდება უზბეკეთში ანალოგიური ტრადიციებისაგან.

შუა აზიაში და აზერბაიჯანში ისლამი უკრძალავდა რელიგიური წამოსასხამის გარეშე გავლას. ეს წესი კი მომთაბარე მუსულმანებში, მაგალითად, ჩრდილო კავკასიასა და ბაშკირეთში, სავალდებულოდ არ მიიჩნეოდა, რადგან იგი ხელს უშლიდა მათ

სწრაფ მოძრაობაში, რაც ამ ხალხის ტრადიციულ თავისებურებას წარმოადგენდა;

საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილსა და ციმბირში მუსულმანობა ქალებს მეჩეთში სალოცავად სიარულის ნებას რთავდა, ხოლო კავკასიაში მცხოვრებ ქალებს ეკრძალებოდათ ამგვარი რამ; უზბეკეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთსა და სხვა რესპუბლიკებში მუსულმან ქალებს ეკრძალებოდათ სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობის მიღება. იგივე წესი კი ყაზახეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში მცხოვრებ კულტის მსახურ ქალებს არ უკრძალავდა სასაფლაომდე მიეცილებინათ მიცვალებული [7, 86].

პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები მიცვალებულისთვის ამოთხრიდნენ საფლავს ორი მეტრის სიღრმეზე და შეჭრიდნენ გვერიდან. ქალის საფლავი მამაკაცის საფლავზე 10 სანტიმეტრით ღრმად ითხრებოდა. მათი რწმენით „ქალისა და მამაკაცის სული საიქიოში ერთმანეთს არ უნდა შეხვდეს. ცხოვრებაში ქალისაგან შეწუხებულმა მამაკაცმა სამარეში უნდა დაისვენოს და ქალთან მიმავალ ეშმაკს დაუდარაჯდეს და მუდმივი მფარველი იყოს მისი“ [21, 196].

ჩეჩენი ქალი დაქვრივების შემდეგ იშვიათად ინარჩუნებდა ქმრის გვარს. შვილებს ბებია-პაპას უტოვებდა და მშობლიურ ოჯახში ბრუნდებოდა; ერთ-ორ წელიწადში კი აუცილებლად ახალ ოჯახს ქმნიდა [21, 198].

შუა აზიის რესპუბლიკების ცხოვრებაში უარყოფით როლს თამაშობდა ქალისადმი აგდებული დამოკიდებულება, ფეოდალურ-ბეგური ურთიერთობის რეციდივები. ქალები დილიდან დაღამებამდე მძიმე სამუშაოს ასრულებდნენ. ხშირად გადაჰქონდათ მძიმე ტვირთი და ამავე დროს უძღვებოდნენ საოჯახო საქმეს. უზბეკეთის სახალხო მწერალი ა. ი ა კ უ ნ ო ვ ი სამართლიანად წერდა ამასთან დაკავშირებით, რომ: „დღეს ჩვენი მამაკაცები რომლებმაც უარყვეს „წარსულის გადმონაშთები“, უპირატესობა მიანიჭეს ნაკლებად დამღლეულ სამუშაოს. ივლისში ისინი მუშაობენ მწონავებად. და, როგორ მძიმეა უყურო, როდესაც ქმარი ასწორებს სასწორს, როცა წელში მოხრილ ცოლსა და შვილს წინსაფრით მოაქვს ბამბა“. აღნიშნულ რეგიონში გოგონას ხელს

უშლიდნენ სწავლაში, ძალით ათხოვებდნენ მშობლები მათთვის სასურველ კანდიდატურაზე, სცემენ, აბუჩად იგდებენ, რის გამოც ასობით თავს ინვაზია უზბეკეთში, ათობით – ტაჯიკეთში...” [22, 118].

მიუხედავად იმისა, რომ ისლამს ასეთი მკაცრი დამოკიდებულება აქვს ქალისადმი, სექტანტ – მიურიდებს წმინდანთა შორის შერაცხილი ჰყავთ ქალებიც. ერთ-ერთ ასეთ წმინდანს წარმოადგენს საქართველოში, მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოში დ ე ლ ი ე თ ა რ ი ს (ეთერი) საფლავი. ეს ქალი ყოფილა მიურიდი და გამოირჩეოდა განსაკუთრებული რელიგიურობით, რის გამო, სუნიტმა მორწმუნეებმა ის წმინდანად ჩათვალეს. ასეთივე წმინდანადაა ჩათვლილი აგრეთვე აზერბაიჯანში ვინმე ს ე ი დ ნ ი გ ა რ ი. მის საფლავზე მიდიან სხვადასხვა ვითარების გამო, აღთქმის შემთხვევაში, უმეტესად – უშვილო ქალები [23, 19-20].

და მაინც, ქალის უფლებების დარღვევის მთავარი მაგალითია არაბული სამყარო. საილუსტრაციოდ მოვიტანთ შემდეგ მაგალითს: საუდის არაბეთში XX საუკუნის 70-იან წლებში არცერთ ქალს არ ჰქონდა უფლება მიეღო უმაღლესი განათლება. მიუხედავად ამისა მ უ ჰ ა მ ე დ ი ბ ნ ს ა უ დ ი ს შვილიშვილი მ ი შ ა ა ლ ი მრავალრიცხოვანი დაცვისა და მსახურების თანხლებით 1977 წელს 19 წლის ასაკში გაემგზავრა არა ევროპაში, არამედ, მრავალკონფესიურ ისლამურ ქვეყანაში – ლ ი ბ ა ნ შ ი. პრინცესას შეუყვარდა ლიბანში საუდის არაბეთის ელჩის ვაჟიშვილი ხ ა ლ ი დ ა ლ-შ ა ი რ ი, რაც მიუღებელი აღმოჩნდა სამეფო ოჯახისათვის. სამშობლოში დაბრუნებულ მიშაალს სიკვდილი ელოდა. მან გაქცევა სცადა, თუმცა უშედეგოდ. მიუხედავად იმისა, რომ ადათობრივი სამართლის მიხედვით არ აღმოჩნდა ოთხი მონმე, ვინც დაადასტურებდა პრინცესას სასიყვარულო ურთიერთობას, მაინც მიესაჯათ ორივეს სიკვდილი.

მიშაალი და ხალიდი სახალხოდ დასაჯეს 1977 წლის 15 ივნისს. პირველი იყო მიშაალი. ქალი, რომელსაც ბრალად ედება მრუშობა, ქვებით ქოლავენ. პრინცესას მიმართ გამონაკლისი დაუშვეს. სწრაფად, რომ მომკვდარიყო მუხლებზე დააჩოქეს და

კეფაში ესროლეს. ხალიდს აყურებინეს სატრფოს დასჯა. ასეთი განაჩენი სისრულეში მოჰყავს პროფესიონალ ჯალათს, რომელსაც შეუძლია ერთი დარტყმით თავი მოაცილოს ტანს და ამით შეუმსუბუქოს ზედმეტი ტანჯვა დამნაშავეს. ხალიდის შემთხვევაში პროფესიონალი ჯალათი არ იყო. ხმალი გადასცეს სამეფო ოჯახის ერთ-ერთ წევრს, რომელსაც ბუნებრივია არ ჰქონდა აუცილებელი უნარ-ჩვევები და გამოცდილება. მან მხოლოდ მეხუთე დარტყმაზე შეძლო ახალგაზრდისთვის თავის მოკვეთა. ძნელია წარმოვიდგინოთ, როგორი ტანჯვით გარდაიცვალა ახალგაზრდა, რომელიც პრინცესისადმი სიყვარულს შეენირა.

1980 წელს ინგლისელებმა გადაიღეს დოკუმენტური ფილმი „პრინცესას სიკვდილი“, რასაც საერთაშორისო სკანდალი მოყვა. საუდის არაბეთის ხელისუფლებამ ფილმის ჩვენება ჩათვალა ქვეყნის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად. ერ-რიადიდან გააძევეს ბრიტანეთის ელჩი, ხოლო საუდის არაბეთში დაბრუნდნენ ინგლისში სხვადასხვა მიზეზით მყოფი სამეფო ოჯახის წევრები... [24, 31].

მიუხედავად ქალისადმი ასეთი დამოკიდებულებისა, ზოგიერთ ისლამურ სახელმწიფოში შედარებით რბილი კანონები მოქმედებს. ასეთ ქვეყნებში, რომელთა რიცხვი ძალიან მცირეა, ქალებს შეუძლიათ მონაწილე გამოვიდნენ სასამართლოში, ჰქონდეთ საკუთრება და მიიღონ მემკვიდრეობა გარდაცვლილი მშობლებისგან, ნათესავებისა და მეუღლისაგან. ამიტომ ქმრის ხელისუფლება არ ვრცელდება ცოლის საკუთრებაზე. ქალის ღირსებაზე თავდასხმა მკაცრად ისჯება [25, 24].

ზოგადად, ისლამი, იუდაიზმისა და ქრისტიანობის მსგავსად, აბრაამისტული რელიგიაა, ანუ საკუთარ თავს ძველი აღთქმის ერთ-ერთი პატრიარქის, აბრაამის რწმენის მემკვიდრედ მიიჩნევს. მას შემდეგ, რაც (ისლამის შეფასებით) იუდეველებმა და ქრისტიანებმა დაამახინჯეს აბრაამის რწმენა, ღმერთი მუჰამედს შემდეგს ავალებს: „დაიცავი აბრაამის რელიგია, რომელიც ჭეშმარიტი რწმენა იყო“ (ყურანი 16:123).

„უფალმა აბრაამი გამოარჩია თავის მეგობრად“ (ყურანი 4: 125). ეპითეტი „უფლის მეგობარი“ მხოლოდ აბრაამის

მიმართ არის გამოყენებული ყურანში. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ღმერთთან ადამიანის ურთიერთობის აღსანიშნავად გამოყენებულია გამოთქმა „მონა ღვთისა“.

ფაქტია, რომ არაბი მუსულმანები საკუთარ თავს მიიჩნევენ აბრაამის არა მხოლოდ სულიერ მემკვიდრეებად (მსგავსად ქრისტიანებისა), არამედ საკუთარ სისხლისმიერ წინაპრადაც (იუდეველთა მსგავსად) თვლიან ისმაილს, აბრაამისა და აგარის ვაჟს. სწორედ ამიტომ XX საუკუნის დასაწყისამდე ქრისტიანულ ლიტერატურაში მუსულმანები ხშირად იწოდებოდნენ აგარიანებად, ისმაილიტებად, ან სარკინოზებად [26, 182-183].

ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში მუსულმანური თემები გავრცელებული იყო მსოფლიოს 120-ზე მეტ სახელმწიფოში და დაახლოებით 800 მილიონ მოსახლეს შეადგენდა. 35 ქვეყანაში მაჰმადიანები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, ხოლო 18 ქვეყანაში – გავლენიან უმრავლესობას. 28 სახელმწიფოში ისლამი სახელმწიფო რელიგიის რანგშია აყვანილი [27, 7].

მიუხედავად გლობალიზაციისა და მმართველობის დემოკრატიული პრინციპების გავრცელებისა, ისლამის აღმსარებელ უმეტეს სახელმწიფოებში, ქალისადმი დამოკიდებულება კვლავ ტრადიციულ ნორმებს ემყარება და მათი უფლებების შეზღუდვას აანონსებს.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ვ. ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბილისი, 2005.
2. ორი მორალი, თბილისი, 1978.
3. История и Теория атеизма, Москва, 1990
4. В. Ирвинг, Жизнь Магомета, Москва, 1987.
5. В. П. Панова, Ю. Б. Вахтин, Жизнь Мухаммеда, Москва, 1990.
6. Таня Ал Харири-Вендель, Символы ислама, М-П., 2005.
7. ბ. დავითაძე, მოდერნიზმი - ისლამის ამაო იმედი, ბათუმი, 1989.
8. ყურანი, თბილისი, 1906.
9. მ. ძნელაძე, ემირ დოსთ მუჰამედის ბრძოლა ავღანეთში

ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის, ვრ. „მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია“, თბილისი, 1983.

10. მ. მეტრეველი, ირანული გავლენა დრუიზმზე, ვრ. „მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია“, თბილისი, 1983.
11. არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები ვარლო კუციასი, თბილისი, 1974.
12. ნ. სურგულაძე, სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა, თბილისი 1990
13. მ. თოდუა, დედოფლის ინსტიტუტი სეფიანთა ირანის სამეფო კარზე, ვრ. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, თბილისი, 1991.
14. ზ. შარაშენიძე, ირანის შინაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობანი XIX საუკუნის დასაწყისში, თბილისი, 1994.
15. Густав Эдмунд Фон Грюнебаум, Классический ислам, пер. с английского, Москва, 1988.
16. Ислам в СССР, Москва, 1983.
17. В. Я. Ивбулис, Моя золотая бенгалия, пер. С Латиш, Москва, 1988.
18. გ. ჭიპაშვილი, ირანის სახელმწიფო წყობილება, თბილისი, 1990.
19. კომუნისტი, 1984, 29 აპრილი.
20. Д. Валентей, монолог о человеке и препонах экономического развития, сб., СССР: Демографический диагноз, Москва, 1990.
21. ლ. მარგოშვილი, პანკისის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბილისი, 2006.
22. Ю. И. Римаренко, По следам „снежного человека“, Москва, 1989.
23. რ. ანდრიაშვილი, ისლამის გადმონაშთები საქართველოში, თბილისი, 1983.



24. Н. Артонкина, Аладин и Жасмин XX века, журн. „Загадки истории“, 2021 №43.
25. Алим Ахмедов, Социальная доктрина ислама, Москва, 1982.
26. დ. თინიკაშვილი, ზ. ჯაში, მსოფლიო რელიგიები, თბილისი, 2012.
27. Алим Ахмедов, Ислам в современной идейно-политической борьбе, Москва, 1985.

**Avtandil Songulashvili**

*Doctor of Historical sciences, Professor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Ivane Javakhishvili Institute of History and  
Ethnology, The Head of Department of the  
Modern and Contemporary History*

**RELIGION AND WOMEN'S RIGHTS  
(ON THE EXAMPLE OF ISLAM)**

**Summary**

Each religion determines the place and destination of man in the world, how and for what he should live. It even requires the establishment of certain moral norms, the observance and observance of which will lead a person to the desired goal. Nearly one-fifth of the world's population (more than a billion people) is Muslim. There are more than 20 million adherents of Islam in Western Europe and the United States, and their number is growing systematically. According to believers, Islam is the second religion in the world after Christianity. Islam's attitude towards women is very strict. In this case he supports other religions, though he goes further. It puts a woman in an extremely humiliating situation, which is further reinforced by a special oriental despotism. Women have been traded since childhood. It can be bought, sold, gifted. The Qur'an considers women to be inferior to men. Restrictions on women's rights are also due to the fact that Islam officially allows men to have four wives. In life, a woman's rights are relatively clearly manifested in the family. The legal and moral norms regarding women, as given in the Qur'an and Sharia, reflect the actual feudal-patriarchal remnants of "Muslim law."

# მსოფლიო ისტორია The History of the World

## ნათელა ხაჩიძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი*

### ISIS-ის პერიოდი და ნავთობის საკითხი სირიის კრიზისში

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე გლობალური საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მომხდარმა კარდინალურმა ცვლილებებმა, რომელიც ბიპოლარული სისტემის დაშლით იყო გამოწვეული, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ცალკეულ რეგიონებში, კერძოდ ახლო აღმოსავლეთში, რასაც შედეგად ძალთა რეგიონული ბალანსის დარღვევა მოჰყვა.

ერთი მხრივ, გლობალური ხასიათის კარდინალურმა გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა, რომელიც სოციალისტური მსოფლიო სისტემისა და საბჭოთა ზესახელმწიფოს დაშლით იყო გამოწვეული, საბჭოთა გეოპოლიტიკური სივრცის ახლო აღმოსავლეთის ზონაში გეოპოლიტიკური ვაკუუმის ფორმირება მოახდინა. მეორე მხრივ, შეერთებულმა შტატებმა თავისი ჰეგემონიის დამყარება რეგიონული მასშტაბით ვერ შეძლო. შექმნილ ვითარებაში მოხდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში განვითარებადი მრავალპოლარული სამყაროს სხვადასხვა სუბიექტის ინტერესთა შეჯახება. რევოლუციური მოვლენების სერია, რომლის საწყისად 2010 წლის ტუნისის მოვლენები დაედო საფუძვლად, მოგვიანებით „არაბულ გაზაფხულად“ მოინათლა, რამაც რეგიონის გეოპოლიტიკურ რუკაზე რიგი ცვლილებები გამოიწვია (ე. წ. ისლამური სახელმწიფოს შექმნა).

2011 წლის იანვარში, ტუნისის მთავრობამ 26 წლის მოვაჭრეს, მოჰამედ ბუაზიზის დედაქალიდან 260 კილომეტრის მოშორებით ხილისა და ბოსტნეულის გაყიდვა აუკრძალა, მეტიც

პოლიციელებმა მას პროდუქცია ჩამოართვეს. სახელმწიფოს თვითნებობით და პოლიციის ძალადობით შეწუხებულმა ბუაზიზიმ ბენ არუსის ცენტრალურ ბაზრობაზე ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა.

ბუაზიზის კადრები ინტერნეტის საშუალებით მთელმა მსოფლიომ იხილა. 10 დღის შემდეგ ბუაზიზი მიღებული დამწვრობებისგან გარდაიცვლება, ხოლო რეგიონში პროტესტის ტალღა დაიწყება, რომელიც არაბული გაზაფხულის სახელით გახდება ცნობილი.

არაბული გაზაფხულის შედეგად რეგიონმა დეკოლონიზაციის შემდეგ, არნახული მასშტაბის პოლიტიკური ტრანფორმაცია განიცადა. ამ პერიოდში ხელისუფლება შეიცვალა ოთხ სახელმწიფოში, მათ შორის ტუნისშიც, სამოქალაქო დაპირისპირებამ იფეთქა სირიასა და ბაჰრეინში, ხოლო რეგიონის კიდევ შვიდ სახელმწიფოში მასობრივი სამოქალაქო პროტესტი დაიწყო.

ყველაზე დრამატულად მოვლენები სირიაში განვითარდა. საპროტესტო დემონსტრაციები ასადების დინასტიის წინააღმდეგ მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტით დამთავრდა. 2011 წლის 15 მარტს სირიაში სამოქალაქო ომი დაიწყო.

ცხადია პროცესში ჩაერთნენ ჯიჰადისტებიც. ამ დროისთვის სირიაში უკვე მოქმედებდა ალ-ნუსრას სახელით ცნობილი ჯიჰადისტების დაჯგუფება. ალ-ნუსრას ადგილზე აბუ მოჰამედ ალ-ჯავლანი ხელმძღვანელობდა, რომელიც ადგილზე სწორედ ალ-ბაღდადიმ გააგზავნა, თუმცა ჯავლანის ვითარების თავისი ხედვა ჰქონდა.

შედარებით პრაგმატული და სასტიკი ნაბიჯების გამო ალ-ნუსრა აჯანყებულთა სხვადასხვა დაჯგუფებებთან მალევე შევიდა ალიანსში და სირიის მოცულობითი ტერიტორიაც დაიკავა.

2014 წლის გაზაფხულზე ისლამური სახელმწიფო ერაყში უკვე აკონტროლებდა ფალუჯასა და სადამ ჰუსეინის მშობლიურ ქალაქ ტიკრიტს. 2014 წლის ივნისში, ჯიჰადისტებმა ერაყის სიდიდით მეორე ქალაქი მოსული დაიკავეს. მოსულის დაკავება გარდამტეხ მოვლენად იქცა, ისლამური სახელმწიფო აღარ იყო იატაკქვეშეთში მოქმედი ტერორისტული დაჯგუფება. ნათელი

გახდა, რომ დაჯგუფება არამხოლოდ ერაცსა თუ სირიას, არამედ მთელ მსოფლიოს უქმნიდა საფრთხეს.

ყველაზე დიდი საბადოები მდებარეობდა უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთში (ყარაჩუკში, სუვაიდიიაში, რუმაილანში – ეს ტერიტორიები სირიელი ქურთების კონტროლის ქვეშ იყო და არა DAESH და დეირ ეზ-ზორის გარშემო). ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით, ევფრატის ხეობაში, საბადოების განვითარება დაიწყო 1960-იანი წლების ბოლოს, ხოლო დეირ-ეზ-ზორის რეგიონში, სადაც განსაკუთრებით მაღალი ხარისხის მსუბუქი ზეთი იწარმოებოდა, 1980-1990 წლებში. სწორედ ამ ტერიტორიაზე ხდებოდა ნავთობის მოპოვება, რომელიც გახდა რესურს ბაზა DAESH-ის ბიზნესისთვის.

სირიის სამთავრობო გაზეთის Al Watan-ის ცნობით, დაეშა აკონტროლებდა ალ-ომარს, რომელიც დღეში 15000 ბარელამდე აწარმოებდა, შედარებით ახლოს ერაცის საზღვართან. აღსანიშნავია, რომ ISIS/DAESH-ის მოსვლის შემდეგ ამ დაწესებულების სამუშაო კოლექტივი ძირითადად იგივე დარჩა.

დაეშა 2014 წლიდან აკონტროლებდა თურქეთის მოსაზღვრე ტერიტორიის შედარებით მცირე ნაწილს-ქალაქ დაბიკსა და ჯარაბულუსს შორის. მაგრამ ამ დერეფანში, რუსეთის საჰაერო კოსმოსური ძალების ჩამოსვლის შემდეგ ძალიან აქტიურად მუშაობდა კოალიციის და სირიის სამთავრობო ავიაცია. ასე რომ, ამ სატრანზიტო დერეფნის გამტარუნარიანობა, არ შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო მაღალი.

DAESH-ის კონტრაბანდის სქემები სირიის ნავთობთან მიმართებაში აჩვენებს, რომ ტრანზიტი ხორციელდებოდა ორი გზით: ჩრდილო-დასავლეთით ქალაქ აზაბის გავლით და ჩრდილო-აღმოსავლეთით. მაგრამ აზაბი "სირიის თავისუფალი არმიის" ნარჩენების და ჯაბჰათ ალ-ნუსრას ბოევიკების კონტროლის ქვეშ იყო, რომლებიც საკმაოდ სერიოზულ საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებდა დაეშის წინააღმდეგ, ალექსოს პროვინციის ჩრდილოეთით [1, 3-7].

რუკებზე ნაჩვენებია DAESH-ის ნავთობის ტრანზიტის ჩრდილო-აღმოსავლეთი მარშრუტი, რომელიც როგორც წესი,

გადიოდა ქურთისტანის ტერიტორიებზე (ეს არიან სირიელი ქურთები, რომლებიც ახლა აკონტროლებენ სირია-თურქეთის საზღვრის ამ მონაკვეთს). ამ ფაქტებზე დაყრდნობით მხოლოდ ორი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ან წარმოდგენილი რუკები არასწორი იყო, ან არა მხოლოდ DAESH-ი იყო ჩართული სირიის ნავთობის მოპოვების არალეგალურ ოპერაციებში. DAESH-ის შესახებ ერთ-ერთი მთავარი მითი იყო ჯგუფის ფინანსური მოდელი, რომელიც ძირითადად დაფუძნებული იყო ნავთობის ექსპორტზე მეზობელ ქვეყნებში, პირველ რიგში თურქეთში. თუმცა, Financial Times წერდა, რომ DAESH ძირითად შემოსავალს შიდა ბაზრებზე ნავთობის გაყიდვიდან იღებდა. FT-ში მოცემული ვერსიის თანახმად, ფაქტობრივად, გარიგებები იღებოდა ნავთობის წარმოების ადგილზე, სადაც მუდმივად იმყოფებოდნენ დამოუკიდებელი მოვაჭრეები, რომლებიც ყიდულობდნენ „შავი ოქროს“ მთელ მოცულობას მისი შემდგომი გაყიდვის ან გადამუშავებისთვის. ყველაზე ხშირად, ნავთობი გადამუშავდებოდა ბენზინში და მაზუთში, მაგრამ იმის გამო, რომ გადამამუშავებელი ქარხნების უმეტესობას არ შეეძლო მაღალი ხარისხის ბენზინის წარმოებას, ადგილობრივ მოსახლეობაში მოთხოვნილ ძირითად პროდუქტს წარმოადგენდა მაზუთი.

ზოგადად, სირიის ნავთობის გაყიდვიდან განაწილების მექანიზმის სწორად განსაზღვრის შემდეგ, შეიძლება სერიოზულად მივუდგეთ ქვეყანაში პოლიტიკური კომპრომისის ძიებას და, შედეგად, დასრულდეს გაჭიანურებული სამოქალაქო ომი.

ნავთობი არის „შავი სისხლი“, რომელიც ამწვავებს სირიის კონფლიქტს. სირიის კრიზისის ოთხივე ძირითადი მხარე ომობს, ყიდულობს იარაღს, საბრძოლო მასალას და პროდუქციას შავ ან ოფიციალურ მსოფლიო ბაზარზე. ესენი იყვნენ სირიის არაბული არმია (სამთავრობო ძალები, CAA), სირიის თავისუფალი არმია (FSA), რომელსაც ე. წ. „ზომიერი ოპოზიცია“, ტერორისტული კვაზიფორმაცია ISIS და Jabhat al-Nusra, ასევე გასამხედროებული ქურთული ნაწილები.

ქურთები 40 მილიონიანი ხალხია, რომლებიც კომპაქტურად ცხოვრობენ ერთდროულად ოთხი ქვეყნის ტერიტორიაზე: სირია,

ერაყი, ირანი და თურქეთი. 2003 წელს შეერთებული შტატების ერაყში შეჭრის შედეგად ქურთებმა გამოიყენეს შესაძლებლობა, რომ შექმნან ერაყული ქურთისტანი. უნდა აღინიშნოს, რომ ერაყელი და სირიელი ქურთები, რომლებიც იბრძოდნენ ISIS-ის მებრძოლების წინააღმდეგ, არ იყვნენ ერთი და იგივე.

ქურთების ფინანსური მხარდაჭერის მთავარი წყარო ჩრდილოეთ სირიის უმდიდრესი ნავთობის საბადოები იყო. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შადადი და რუმელანი. მათი მარაგი ასობით მილიონი ბარელი „შავი ოქროთი“ იყო შეფასებული. ომამდე ქალაქ ალ-ჰასაკის მიდამოში, რომელიც დღეს, ზოგიერთი ინფორმაციით, უკვე მთლიანად დასავლეთ ქურთისტანის უზენაესი ქურთული საბჭოს კონტროლს ექვემდებარება, დღეში დაახლოებით 40 ათასი ბარელი ნავთობი იწარმოებოდა [2, 8-14].

მიუხედავად იმისა, რომ ქურთები ოფიციალურ დამასკოს ერთგულებას აცხადებდნენ, სინამდვილეში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ 2014 წლის 1 იანვარს გამოცხადებული ავტონომიით. დიდი მოსახლეობით, საბრძოლო მზადყოფნით, შეერთებული შტატების, ევროკავშირის მხარდაჭერით, აბდულა ოჯალანის ქურთისტანის მუშათა პარტიის (PKK) სერიოზული იდეოლოგიით, სირიის ქურთისტანი ადვილად შეიძლება იქცეს ფორმირების კერად.

ამავდროულად, ერაყელი ქურთებისგან განსხვავებით, რომლებიც რეალურად ექვემდებარებოდნენ ანკარას, სირიელ ქურთებს აქვთ ძლიერი მხარდაჭერა თურქეთსა და ჩრდილოეთ ერაყში მოქმედი PKK-ის წინააღმდეგ, ევროპული მემარცხენეებისა და მსოფლიო ანტიიმპერიალისტური მოძრაობის სახით.

გასათვალისწინებელია, რომ ქურთების წარმატებული შეტევის შედეგი რაქას წინააღმდეგ შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი ნავთობის საბადოების დაკარგვა სირიის რესპუბლიკის მიერ. ამ საბადოების დაბრუნება თითქმის შეუძლებელი იქნება, რადგან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ქურთები ნავთობის შემოსავალს არ უზიარებენ დანარჩენ სირიელ ხალხს, თუმცა ამუშავებენ სირიის მიწაზე მდებარე ჭაბურღილებს.

ქვეყანაში ნავთობის მოპოვება ხომ ჯერ ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი მემარცხენეების ხელში იყო, შემდეგ

კი ტერორისტების ხელში, რომლებიც ებრძოდნენ როგორც მთავრობას, ასევე ამბოხებულებს. 2014 წლიდან სწორედ ისლამური სახელმწიფო აკონტროლებდა სირიაში ნავთობისა და გაზის თითქმის მთელ წარმოებას და ტერორისტული ჯგუფისთვის ნახშირწყალბადების კონტრაბანდაც შემოსავლის მთავარ წყაროდ იქცა [3, 3-7]. მაგრამ სამოქალაქო ომის დაწყებამდე ბევრ სახელმწიფოს ჰქონდა თავისი ბიზნესინტერესები სირიის ნავთობის სექტორში. კერძოდ, ნავთობის სახელმწიფო მონოპოლია Syrian Petroleum Company მუშაობდა ისეთ ტრანსნაციონალურ მონსტრებთან, როგორებიცაა Royal Dutch Shell (დიდი ბრიტანეთი-ჰოლანდია), ნავთობისა და ბუნებრივი გაზის კორპორაცია (ინდოეთი) და ჩინეთის ნაციონალური ნავთობკომპანია (ჩინეთი).

„ქვეყნის ეკონომიკური აღდგენისა და ენერგორესურსების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების განაწილების საკითხები, ასე თუ ისე, უნდა გახდეს სირიის პოლიტიკური კრიზისის მოგვარების პროცესის ნაწილი, რომელსაც რუსული მხარე აქტიურად უჭერს მხარს“, ასეთ განცხადებას აკეთებდა სტრატეგიული კულტურის ფონდისა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მკვლევარი ანდრეი არშევი [4, 1-3].

კერძოდ კი, შემოთავაზებული ეროვნული დიალოგის კონგრესის მიზანი უნდა ყოფილიყო დისკუსიის დაწყება ქვეყნის სამომავლო სახელმწიფო სტრუქტურის განვითარების შესახებ.

ახლო აღმოსავლეთში ნავთობისა და გაზის მწარმოებელ ქვეყნებში სირია ახლა მეოთხე ადგილზეა, თვლის ენერგეტიკის ექსპერტი ოსამა მონაჰიდი ახლო აღმოსავლეთის კარნეგის ცენტრიდან, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ნორვეგიელმა ექსპერტებმა და ნორვეგიულმა კომპანიამ, ჯერ კიდევ ომამდე ჩაატარა გეოლოგიური კვლევა სირიის ტერიტორიულ წყლებში და აღმოაჩინა 14 უზარმაზარი ნავთობის აუზი. მათ შორის არის ოთხი უდიდესი საბადო ლიბანის საზღვრიდან სირიის ქალაქ ბანიასამდე მონაკვეთში. გამოიკვლიეს გაზის უდიდესი საბადოების არსებობა სირიის ტერიტორიაზე.

სამოქალაქო ომამდე სირიის ნავთობის მარაგი 2,5 მილიარდ



ბარელს შეადგენდა. ამავდროულად, სირიის ნავთობისა და გაზის საბადოები კონცენტრირებულია ძირითადად ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ისინი დაკავშირებულია მილსადენებით დამასკოსთან, ჰომსთან და ალეპოსთან.

ქვეყანაში სამოქალაქო ომის გაჩაღებასთან ერთად ის თანდათან დაეცა და 2012 წელს 186 ათასი ბარელი შეადგინა. დღეს, ინფრასტრუქტურის განადგურებისა და IS 1-ის ბოევიკების მიერ მინდვრების დაკავების გამო, სირიის მთავრობა ოფიციალურად აწარმოებს მხოლოდ 20 ათას ბარელს დღეში.

რაც შეეხება „დაემს“, 2016 წელი მისთვის ყველაზე უიღბლო გამოდგა. ამ პერიოდში დაჯგუფებამ დაკარგა კონტროლი ერაყისა და სირიის რამდენიმე მნიშვნელოვან პოზიციაზე. მათ შორის დაიწყო გადამწყვეტი შეტევები მოსულისა და რაქას მიმართულებით.

2016 წლის 17 ოქტომბერს ერაყის სამთავრობო ძალებმა მოსულის გათავისუფლების ოპერაცია დაიწყეს. დეკემბერში ისინი ქალაქის დასავლეთ სანიპიროს სრულად აკონტროლებდნენ. თებერვალში კი ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილის გათავისუფლება დადგა დღის წესრიგში.

2017 წლის ივნისში ამერიკელების მხარდაჭერილმა კოალიციამ რაქას გათავისუფლების ოპერაცია დაიწყო. აშშ-ის ავიაიერიშების დროს დაიღუპნენ დაემის პირველი პირები, აბდულ-რაჰმან მუსტაფა ალ-კადული, აბუ მოჰამედ ალ-შიმალი და უმარ ალ-შიმანის სახელით ცნობილი, საქართველოს მოქალაქე თარხან ბათირაშვილი.

სირიისა და ერაყის მასშტაბით ჯიჰადისტები მასიურად გარბოდნენ დაკავებული ტერიტორიებიდან, დაემის რიგებს ტოვებდნენ ევროპული სახელმწიფოს მოქალაქეებიც [5, 3-4].

ახალი ხალიფატი იქ დასრულდა, სადაც დაიბადა. 2017 წლის 29 ივნისს, ხალიფატის დაარსებიდან ზუსტად სამი წლის შემდეგ, ერაყის სამთავრობო ძალებმა მოსულში ალ-ნურის დიდი მეჩეთი დაიკავეს. სწორედ, აქ გამოაცხადა ხალიფატის დაარსება აბუ ბაქრ ალ-ბადდადიმ.

2018 წლის განმავლობაში მოკავშირეებმა ისლამური

სახელმწიფოს დევნა გააგრძელეს როგორც სირიაში, ასევე ერაყში. ამ დროისთვის დაეში პრაქტიკულად აღარ არსებობდა. რაქას დაცემის შემდეგ დაეშის ბოლო დასაყრდენად სირიის ერთ-ერთი პატარა დასახლება ბალუზი დარჩა.

ისლამური სახელმწიფოს აღმშენებლისა და დაცემის ისტორია აჩვენებს, რომ ტერორიზმთან ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. სალაფიზმის ნიადაგზე აღმოცენებული ექსტრემისტული განწყობები საოცრად სიცოცხლის უნარიანი აღმოჩნდა.

ნებისმიერი პოლიტიკური თუ იდეოლოგიური სიცარიელე ახლო აღმოსავლეთში შესაძლოა ახალი, უფრო მძლავრი და დაუნდობელი მსოფლმხედველობის არენა გამოდგეს. სწორედ ამას აჩვენებს ისლამური სახელმწიფოს აღმშენებლისა და დაცემის ისტორია.

ეკონომისტების აზრით, სირიის ინდუსტრია და წარმოება შედარებით სწრაფად შეიძლება აღდგეს. მართლაც, სირიაში, თუნდაც უზარმაზარი სამხედრო დანაკარგების და მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციის გათვალისწინებით, არის ათიათასობით სპეციალისტი, რომლებსაც შეუძლიათ სწრაფად აღადგინონ ქარხნები, გაიხსენონ თავიანთი პროფესიული უნარები და შეუდგენ საქმეს.

ბოგადად, ნავთობის ინდუსტრიის განვითარება ძალიან ეფექტურ ბიძგს მისცემს სირიის აღორძინებას და საქმე მხოლოდ ფულს არ ეხება. აღდგენის პროცესში ბევრი შრომა იქნება საჭირო, უმუშევრობა გაქრება და მოსახლეობა თავისი ქვეყნის პერსპექტივას ირწმუნებს.

ბოლო რაც შეეხება „დაეშს“, ის სრულად განადგურებული არაა. მან მხოლოდ ტერიტორიებზე კონტროლი დაკარგა. ამიტომ, „დაეშისგან“ მომდინარე საფრთხეები არ გამქრალა არც ადგილზე და არც გლობალურად (სამიზნეში, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთია ამოღებული);

კვლავ ძლიერი რჩება „დაეშისა“ და სხვა ჯიჰადისტური ორგანიზაციების იდეოლოგია, რის შედეგადაც მათ არ უჭირთ ახალი ძალებისა და ფინანსური რესურსების მოზიდვა ორგანიზაციის მოსაძლიერებლად;

ახლო აღმოსავლეთში არ აღმოფხვრილა რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის გამომწვევი მიზეზები უსამართლობა, უთანასწორობა, კორუფცია, სექტარიანიზმი, გაუმართავი პოლიტიკური და ეკონომიკური მოდელები. ამიტომ უახლოეს მომავალში ამ რეგიონში ნაკლებადაა მოსალოდნელი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის განეიტრალება. ამასთანავე გლობალურ და ადგილობრივ დონეზე არ არსებობს საერთო ხედვა, თუ როგორი უნდა იყოს ISIS-ის შემდგომი პერიოდის სირია და ერაყი, რაც ასევე ართულებს ბრძოლის ბოლომდე მიყვანას.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ჯონ დევისი, „არაბული გაზაფხული და არაბული სიცხე, დაუმთავრებელი რევოლუციები და დემოკრატიის საკითხი“, ნიუ-იორკი, 2013.
2. კენედ პოლაკი, „არაბების გამოვლინება, ამერიკა და ახლო აღმოსავლეთის ტრანსფორმაცია“, ვაშინგტონი, 2011.
3. ზურაბ ბატიაშვილი, „პოსტ ISIS-ის პერიოდი:საფრთხეები და გამონწვევები გლობალურ და ლოკალურ დონეებზე“, თბილისი, 2019.
4. Wintour Patrick, Russia Accused of Deliberately Targeting Civilians in Syria / Wintour, Patric. // The Guardian. – 2016, 15 January. – URL: <https://www.theguardian.com/politics/2016/jan/15/russiaaccused-of-breaching-norms-of-war-by-targeting-civilians-in-syria>
5. قواعد اسخدام السلاح من قبل وحدات قوات مراقبة تخفيف القصف في منطقة تخفيف القصف الالهرة 0.92 يوليو 39 2017. في محافظة حمص. *ქვედანაყოფების მიერ დეესკალაციის ზონაში, ჰომსის პროვინციაში სამხედრო ძალის გამოყენების წესები (2017).*

**Natela Khachidze**

*Georgian Technical University,  
Faculty of Law and International  
Relations, Doctoral student*

## **THE ISIS PERIOD AND THE OIL ISSUE IN THE SYRIAN CRISIS**

### **Summary**

On March 15, 2011, the civil war in Syria began. Clearly jihadists were also involved in the process. By this time, a group of jihadists known as al-Nusra was already operating in Syria. Al-Nusra was led by Abu Mohammed al-Jawlani, who was sent to the scene by al-Baghdadi, although he had his own vision of the situation.

Due to relatively pragmatic and brutal moves, al-Nusra soon entered into alliances with various rebel groups and also occupied large areas of Syria.

In the spring of 2014, Islamic State in Iraq already controlled Fallujah and Saddam Hussein's hometown of Tikrit. In June 2014, jihadists captured Mosul, Iraq's second largest city. The capture of Mosul became a turning point, the Islamic State was no longer a terrorist group operating underground. It became clear that the group posed a threat not only to Iraq or Syria, but to the entire world.

# ს ა მ ხ ე ლ ზ ო   ი ს ტ ო რ ი ა Military History

**ლევან კურცხალია**

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი*

## **სამხედრო დიპლომატიის ჩამოყალიბებისა და ბანკითარების ძირითადი ეტაპები**

დიპლომატია უძველესი ხელოვნებაა და სათავეს იმ დროიდან იღებს, როდესაც ადამიანი საზოგადოებრივი განვითარების პირველ ნაბიჯებს დგამდა. დიპლომატია საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა და მას მდიდარი და საინტერესო ისტორია გააჩნია. ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ, წარმოიშვა ისეთი საკითხები, რომლებსაც პირდაპირი ვაჭვობრივი ჰქონდათ უსაფრთხოებასთან და რომლებიც მოლაპარაკებების გზით, მშვიდობიან გადაწყვეტას საჭიროებდა. ძველი აღმოსავლეთის დიპლომატიისა და საერთაშორისო სამართლის საინტერესო და უნიკალურ ძეგლად ითვლება მანუსკრიპტები. ისინი დანერვილია კლასიკურ სანსკრიტზე ჩვენს წელთ აღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში. ამ კანონების მიხედვით საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე რთული საკითხები უნდა გადაიჭრას დიპლომატიური გზით, ძალის პოლიტიკა მეორე პლანზეა. უშუალოდ ტერმინი – დიპლომატია სათავეს იღებს ბერძნული „Diploun“. „Diploun“-ი ეწოდებოდა სიგელს, რომელიც შედგებოდა ხის ორი თხელი ფირფიტისაგან. როგორც რწმუნებათა სიგელი, რაც ფაქტობრივად ახდენდა მის, როგორც სახელმწიფო წარმომადგენლის უფლებამოსილების ცნობას. ანტიკურ საბერძნეთში – ათენში, სპარტაში, კორინთში ელჩებს სახალხო კრებაზე ირჩევდნენ. არ შეიძლებოდა 50 წელზე უმრწემესის არჩევა. აქედან იღებს სათავეს ტერმინი „უხუცესი“. ისტორიულ

წყაროებზე დაყრდნობით ცნობილია, რომ მოლაპარაკებების მიზნით წარგზავნილი დიპლომატები იმუნიტეტით სარგებლობდნენ. დიპლომატების შერჩევას აუცილებელი პირობა იყო, რომ ისინი კარგი ორატორები და სამართლის საკითხის მცოდნე პირები ყოფილიყვნენ [1, 28].

XVII საუკუნეში ქვეყნებს შორის ურთიერთობების მზარდი დინამიკა (ვაჭრობა, კულტურა, განათლება და ა. შ.) წარმოიქმნა, საფრანგეთი გახდა პირველი სახელმწიფო, რომელმაც ოფიციალურად საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩამოაყალიბა. საფრანგეთის ამ ნაბიჯს მალევე სხვა ევროპულმა ქვეყნებმაც მიბაძეს. ამავე პერიოდში დღის წესრიგში სამხედრო დიპლომატიის განვითარების აუცილებლობის საკითხი დადგა, რომელიც ქვეყნებს შორის არსებული უსაფრთხოების გარემოებების უზრუნველყოფის საჭიროებით იყო განპირობებული.

ნებისმიერი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის წარმატება, დიპლომატიის სტრატეგიაზე და ბუნებაზეა დამოკიდებული. პიტერ მარშალის აზრით, დიპლომატიის კონცეფციის გამოყენების რამდენიმე მიმართულება არსებობს: პირველი, დიპლომატია წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის სინონიმს და საგარეო პოლიტიკის განხორციელების წესს; მეორე, დიპლომატია არის ინსტრუმენტი საერთაშორისო ურთიერთობებში მოლაპარაკებების ან სხვა მშვიდობიანი საშუალებით პროცესების დარეგულირებისათვის; მესამე, დიპლომატია საგარეო ურთიერთობების საკითხებში დასაქმებული ადამიანების ერთობაა და ბოლოს, დიპლომატიის კონცეფცია მოითხოვს პროფესიონალი დიპლომატებისგან შესაბამის ნიჭსა და უნარებს დასახული მიზნების მიღწევისათვის [2, 4-5]. ქვეყნებს შორის შესაძლო კრიზისის არსებობის შემთხვევაში, მისი მშვიდობიანად გადაწყვეტა არის პროცესი, რომელშიც ჩართული ადამიანები წარმოადგენენ საშუალებებს, ხოლო შემუშავებული გეგმები წარმოადგენენ გზებს საბოლოო მიზნის მისაღწევად, სწორედ ასეთი გეგმების ლოგიკურობაზეა დამოკიდებული საბოლოო შედეგიც. საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი უწყება – საგარეო საქმეთა სამინისტრო – წარმართავს ქვეყნის

საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას. სამხედრო დიპლომატია ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების ნაწილს წარმოადგენს და საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ეროვნული თავდაცვის სამინისტროს საქმიანობაა.

მიუხედავად სამხედრო დიპლომატიის მნიშვნელობისა, არცთუ ბევრი სამეცნიერო ნაშრომია გამოქვეყნებული სამხედრო დიპლომატიის, როგორც ცალკე აღებული მიმართულების შესწავლისათვის, რის მიზეზსაც, ძირითადად, მისი ხასიათი წარმოადგენს. ვინაიდან სამხედრო დიპლომატია პირდაპირ კავშირშია ქვეყნის უსაფრთხოებასთან, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, ამიტომ სრულყოფილი კვლევისთვის ეს ხელისშემშლელი გარემოებაა.

სამხედრო დიპლომატია კონკრეტული ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს მიერ დასახული ამოცანების და მიზნების განხორციელებას მხოლოდ სახელმწიფოს გარეთ წარმართავს.

შედარებისთვის, თუ სახალხო დიპლომატიის მიზანს წარმოადგენს უცხო ქვეყნის მოსახლეობისა და მოქალაქეების ინფორმირება, რაც ორმხრივი კულტურული, გაცვლითი სასწავლო და სამუშაო პროგრამების საშუალებით მიიღწევა, სამხედრო დიპლომატია, ძირითადად, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში სამხედრო თანამშრომლობაზე არის ორიენტირებული. ასეთი თანამშრომლობის განხორციელების საუკეთესო მექანიზმს კი ერთობლივი სამხედრო წვრთნების, მნიშვნელოვანი ხასიათის ინფორმაციის ურთიერთგადაცემის, სასწავლო და საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების, თავდაცვის და უსაფრთხოების ერთობლივი პროექტების რეალიზება, ურთიერთნდობა, უსაფრთხოების საკითხებზე ორმხრივი და მრავალმხრივი კონფერენციების გამართვა და მაღალი დონის ვიზიტების ორგანიზების უზრუნველყოფა წარმოადგენს. თუ შესაძლებელია, რომ სამხედრო დიპლომატია დონეების მიხედვით დავეყოთ, მრავალეროვნულ მოლაპარაკებებს და სხვა აქტივობებს, სადაც ორზე მეტი ქვეყანა იქნება წარმოდგენილი შესაძლოა სტრატეგიული ენოდოს, ხოლო ორი ქვეყნის შემთხვევაში – ოპერატიული დონე.

სამხედრო დიპლომატიას ერთიანი დოქტრინული განმარტება არ აქვს, მაგალითად სლოვაკი მკვლევარი ფ. შკვრნდა (F. Škvrnda) სამხედრო დიპლომატიას შემდეგნაირად განმარტავს – „სამხედრო დიპლომატია არის შეიარაღებული ძალების მოქმედება დიპლომატიურ ჩარჩოებში“ [3, 137]. ამერიკელი მეცნიერი მ. ედმონდი სამხედრო დიპლომატიას არასაბრძოლო ოპერაციებში სახელმწიფოს გარეთ ქვეყნის ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით სამხედრო ქვედანაყოფების გამოყენებას უწოდებს [4, 106]; ხოლო ბრიტანელი მკვლევარი ანტონ დუპლესი გაერთიანებული სამეფოს სამხედრო დიპლომატიას შემდეგნაირად განმარტავს: „სამხედრო კონფლიქტების პრევენციისა და მათი გადაწყვეტის მიზნით, სამხედრო ოპერაციებში სამხედრო პერსონალის გამოყენება (მათ შორის სამხედრო ატაშეების), რომელიც ხელს შეუწყობს სხვა ქვეყანაში მშვიდობის დამყარებას (იგულისხმება სამშვიდობო ოპერაციები)“ [5, 92-93].

ამრიგად, ავტორთა განმარტებით, სამხედრო დიპლომატია მოიცავს სამხედრო ქვედანაყოფების არასაბრძოლო (არა-ძალადობრივი) აქტივობებს, რომლებიც ბუნებით "დიპლომატიურია" ან დიპლომატიის ნაწილია, როგორც საგარეო პოლიტიკის სპეციფიკური ინსტრუმენტი, რომელიც საქმიანობის ძირითად მეთოდად მოლაპარაკებებს და სამშვიდობო ოპერაციებს იყენებს და მისი საბოლოო მიზანი საომარი მოქმედებებისა და დაპირისპირების პრევენციაა.

XVIII-XIX საუკუნეებში დიპლომატია სრულიად ეფუძნებოდა მსოფლიო პოლიტიკურ სცენაზე ძლიერი ქვეყნების (საფრანგეთი, რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი გაერთიანებული სამეფო, პრუსია) ძალთა დაბალანსების პოლიტიკას. სამხედრო დიპლომატიამ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა. სამხედრო დიპლომატია ფოკუსირებული იყო ძირითადად საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ინფორმაციის მოპოვებაზე და მათ ანალიზზე. მათ შორის ყველაზე დიდი ყურადღება ეთმობოდა უცხო ქვეყნების შეიარაღებული ძალების შესახებ მიღებულ ინფორმაციასა და უსაფრთხოების გარემოს შესწავლას, აგრეთვე შესაძლო სამხედრო საფრთხეებისა და აგრესიის ალბათობის განსაზღვრას.



იმ პერიოდისთვის დიპლომატების ძირითადი მიზანი იყო ემუშავათ სახელმწიფოებს შორის საერთო ინტერესების თანხვედრისათვის, რათა აერიდებინათ სამხედრო კონფრონტაცია. ასეთ ვითარებაში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა ხსენებული ქვეყნების თავდაცვითი შესაძლებლობები. ძალთა ბალანსი არა მხოლოდ ქვეყნების რაოდენობას, არამედ ის ასევე დაბალანსებულ სამხედრო შესაძლებლობებს გულისხმობდა, რათა არც ერთ ქვეყანას არ გასჩენოდა სურვილი სამხედრო მოქმედებებით მოეხდინა უცხო ქვეყნების ან ტერიტორიების ანექსია. ერთი სახელმწიფოს ჭარბი ძალა სხვა ქვეყნებში ნერგავს უნდობლობას და მათ გაერთიანებისაკენ უბიძგებთ. მაგალითად გერმანიის გაძლიერებამ, რამაც მას 1905 წლიდან ევროპაში უძლიერესი სახელმწიფოს სტატუსი მიანიჭა, დიდ ბრიტანეთს, რუსეთს და საფრანგეთს უბიძგა თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით აუცილებელი თანამშრომლობისაკენ. სწორედ ამიტომაც, კანცლერი ბისმარკი აღნიშნავდა, რომ „ძალთა ბალანსის“ პირობებში ხუთი მოთამაშის შემთხვევაში, სასურველია იმ მხარეს იდგე, სადაც სამი მოთამაშეა [6, 139]. დიპლომატების უმთავრესი ამოცანაც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობდა. იმ პირობებში, როდესაც მსოფლიო მშვიდობა და უსაფრთხოება დამყარებულია ძალთა ბალანსზე, არ მუშაობს საერთაშორისო მექანიზმები და შეთანხმებები, დიდია ალბათობა სხვადასხვა მასშტაბის ომების წარმოებისა, ვინაიდან ასეთი საგარეო პოლიტიკის პირობებში მზარდია მილიტარიზმისკენ სწრაფვა, რაც თავისთავად ქვეყნებს შორის უნდობლობით და მსოფლიო წესრიგის არარსებობით არის განპირობებული. ძველ ეპოქაში ძალთა ბალანსი არა კონფლიქტების პრევენციებს, არამედ მხოლოდ მათ შეზღუდვებს ემსახურებოდა. ამ კონტექსტში შესაძლებელია XVIII-XIX საუკუნეებში არსებულ ძალთა ბალანსის ძირითადი პრინციპები შევადაროთ აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის სამ ძირითად ლიბერალურ თეორიას, რომელიც ეფუძნებოდა შემდეგს: 1) ეკონომიკურად ერთმანეთზე დამოკიდებული სახელმწიფოები არ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს; 2) დემოკრატიული სახელმ-

ნიფოებს შორის არ მოხდება დაპირისპირება; 3) საერთაშორისო ინსტიტუტების არსებობა უზრუნველყოფს მშვიდობას და ქვეყნები კონცენტრირებულნი იქნებიან საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებაზე [7, 2]. არცერთი ზემოთაღნიშნული თეორია XVII-XVIII საუკუნეებში არ მუშაობდა, ამიტომაც კონფრონტაცია გარდაუვალი იყო.

პოლიტიკურად ნეიტრალურ ქვეყნებს შორის ნდობის გამყარებისთვის მეტად აპრობირებული და გავრცელებული იყო უცხო ქვეყნის სამხედრო დამკვირვებლების მიწვევა სხვადასხვა სამხედრო სწავლებებსა თუ სამხედრო კამპანიებში, რაც სამხედრო დიპლომატიის ჩარჩოებში ჯდებოდა. მაგალითად, ნაპოლეონ ბონაპარტის მმართველობის პერიოდში, საფრანგეთის ხელისუფლება არ მოერიდა ესპანეთში ინტერვენციის დროს მოეწვია ნეიტრალური ქვეყნის – რუსეთის სამხედრო დამკვირვებლები, რომლებიც საბრძოლო მოქმედებებს და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობებს აკვირდებოდნენ. ასეთი მოქმედებით საფრანგეთის ხელისუფლება ცდილობდა, გაემყარებინა ნდობა ნეიტრალურად განწყობილ რუსეთის ხელისუფლებასთან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმ პერიოდშიც არსებობდა შეთანხმებები, რომლებიც კრძალავდა სამხედრო შესაძლებლობების და საბრძოლო ტაქტიკის დაინტერესებული მხარისთვის მიწოდებას. იშვიათად, თუმცა მაინც ხდებოდა ხოლმე, რომ ნეიტრალური ან მეგობარი ქვეყნის წარმომადგენლებს არ ეძლეოდათ საშუალება დაკვირვებოდნენ სამხედრო კამპანიების მსვლელობას. მაგალითად, ყირიმის ომის დროს რუსეთის ხელისუფლებამ უარი განუცხადა ნეიტრალური ქვეყნის პრუსიის სამხედროებს დაკვირვებოდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების მოქმედებებს. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ამის მიზეზი იყო საფრანგეთის აგენტურის მიერ ბერლინში მოპოვებული პრუსიის სამხედრო დამკვირვებლის საიდუმლო მოხსენება, რომელიც რუსეთის არმიის სავალალო მდგომარეობას შეეხებოდა. ყირიმის ომის დროს რუსეთი ცდილობდა, ყოველმხრივ დაემალა თავისი შეიარაღებული ძალების მოქმედებები, რაც არცთუ კარგი გზავნილი იყო მეგობარი და ნეიტრალურად განწყობილი ქვეყნის ხელისუფლებისთვის [8, 18].

როგორც აღინიშნა სამხედრო დიპლომატია მონოღებულია თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობით და მიაღწიოს სტრატეგიულ მიზნებს არაძალადობრივი საშუალებებით. ასეთ მაგალითად ჩვენ შეიძლება მივიჩნიოთ XVII-XIX საუკუნეებში იმპერიალისტური ევროპის მიერ წარმოებული „იძულების დიპლომატია“, რომლის ერთ-ერთ სახეობას „Gun Boat Diplomacy“ [9, 39] ეწოდება. მის ამოცანას წარმოადგენდა ოპონენტი მხარის იძულებით მიღწეული ყოფილიყო სასურველი შედეგი, კერძოდ, სანაპიროებთან საბრძოლო გემების განლაგებით, მონინაალმდევე აიძულებდა მეორე მხარეს დათანხმებულიყო მის მოთხოვნას. ასეთი მოქმედებაც შესაძლოა სამხედრო დიპლომატიის ნაწილად მივიჩნიოთ. განსხვავებით ქაოსურად მიღებული გადაწყვეტილებისა, რა დროსაც ერთი ქვეყანა მეორეს საბრძოლო იარაღის ან სხვა ტექნიკური საშუალებების ერთჯერადი ან მრავალჯერადი მიწოდებით სამხედრო დახმარებას აღმოუჩენს. სამხედრო დიპლომატია ქვეყნებს შორის თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში გრძელვადიანი გეგმების და პროგრამების შემუშავებასა და მათ რეალიზაციაზეა ფოკუსირებული. სამხედრო დიპლომატიის მიზანი და ამოცანა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გრძელვადიან გათვლაზეა ორიენტირებული, რომელიც არა მხოლოდ შეიარაღების მიწოდებას, არამედ ფართო სპექტრით აუცილებელ დახმარებას გულისხმობს.

პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანიისა და ოსმალეთის იმპერიების სამხედრო დიპლომატიური თანამშრომლობის შედეგად, რომელიც გერმანიის საგარეო პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა, შესაძლებელი გახდა ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების მოდერნიზება, კერძოდ, სხვადასხვა მიმართულებით შემუშავებული დახმარების პროგრამებით, გერმანელი სამხედრო ინსტრუქტორების მიერ გადამზადდა თურქეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები. გადამზადების შემდეგ მათ შესწევდათ უნარი გამოეყენებინათ იმ დროისთვის ყველაზე თანამედროვე სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება. ამ დახმარების მიღებით თურქეთის სამხედრო

ძალები აღმოსავლეთ ფრონტზე ანგარიშგასაწევ ძალად გარდაიქმნა [10, 5-6]. ეს ფაქტი ადასტურებს იმასაც, რომ სამხედრო დიპლომატიური თანამშრომლობით შესაძლებელია მიღწეული იყოს კონკრეტული ქვეყნის საგარეო მიზნები. მაგალითად გერმანია, რომელიც თურქეთთან სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობით აღმოსავლეთ ფრონტზე რუსეთის შეკავებას ისახავდა მიზნად, ცდილობდა, ძალისმიერი საშუალებებით თავისი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, ასეთ შემთხვევაში სამხედრო თანამშრომლობა აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ თუ სამხედრო და სამოქალაქო მიზნები არ არის სინქრონიზებული, დიდია რისკი მიზნის მიუღწევლობისა. მაგალითად, პრუსიის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა ერთიან აზრზე იდგა და მათ ერთი ამოცანა ჰქონდათ – პრუსიის სამხედრო ძალების გაძლიერებით უზრუნველყოთ გერმანიის გაერთიანება [11, 16-17], ამიტომაც მიღწეულ იქნა მათი სტრატეგიული მიზანი.

როგორც ჰანს მორგენტაუ აღნიშნავს, საერთაშორისო ურთიერთობები გამომდინარეობს ქვეყნის შიდა ინტერესებიდან, ხოლო ინტერესი თავის მხრივ ეფუძნება შესაძლებლობებს, ამიტომ სახელმწიფოები თვითონ არიან პასუხისმგებელი საკუთარი ინტერესების დაცვასა და უსაფრთხოებაზე [12, 5-6]. ამავდროულად, ხელისუფალთა მხრიდან საჭიროა დადგინდეს, თუ რა არის ქვეყნის ინტერესები, რამდენად რეალურია ის და, როგორ უნდა მოხდეს მიზნის მიღწევა. იქ სადაც ინტერესების თანხვედრა არ ხდება შესაძლოა, წარმოიქმნას პრობლემები, რომლებმაც შეიძლება სამხედრო დაპირისპირება გამოიწვიოს. აქედან გამომდინარე, ოპონენტი მხარის შესაძლებლობები ზედმიწევნით შეფასებული და შესწავლილი უნდა იქნას, რათა გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა ზუსტად განსაზღვრონ საკუთარი ქვეყნის შესაძლებლობები და მოქმედებების არეალი. კარლ ფონ კლაუზევიცი აღნიშნავს, რომ „ომი წარმოადგენს ძალადობის აქტს, რომლის მიზანია აიძულო მოწინააღმდეგე შეასრულოს შენი მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, კლაუზევიცი ასკვნის, რომ ბრძოლაში მონაწილე ერთმა მხარემ უნდა მიაღწიოს სრულ

გამარჯვებას და ომის წარმოებისთვის აუცილებელია გამოიყენოს ყველა არსებული რესურსი [13, 14]. სწორედ ამ მიზნით სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნის მმართველი ყოველმხრივ ცდილობდა, ერთის მხრივ, მიეღო ინფორმაცია სავარაუდო მოწინააღმდეგის შესაძლებლობებზე და, მეორეს მხრივ, გაეძლიერებინა თავისი ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობები.

პრუსიის მეფე ფრედერიკ დიდი არა მხოლოდ სამხედრო თეორიის შესახებ წერდა, არამედ თეორიას პრაქტიკაშიც ახორციელებდა. მან 1747 წელს დაწერა „ფრედერიკ დიდის ინსტრუქცია მისი გენერლებისთვის“. ამ ინსტრუქციაში ფრედერიკმა ხაზი გაუსვა მშვიდობიანობის დროს იმ ქვეყნებისა და ადგილების შესწავლის აუცილებლობას, სადაც მისი გენერლები პოტენციურად იმოქმედებდნენ. ფრედერიკმა განმარტა, რომ მის გენერლებს საბრძოლო მოქმედებების წინ უნდა მოენახულებინათ და შეესწავლათ ადგილები ბანაკების მოსაწყობად, დაეგეგმათ მარშრუტები, გადასასვლელები და აღერიცხათ დასახლებული პუნქტები. ფრედერიკი ასევე აცხადებდა, რომ აუცილებელი იყო სოფლების მმართველებთან და გლეხებთან საუბარი, რითაც არა მხოლოდ შენს მოწინააღმდეგეზე მიიღებდი ინფორმაციას, არამედ გაიგებდი თუ ვინ იქნებოდა შენი მოკავშირე, რომელთანაც შესაძლებელი იქნებოდა ურთიერთობის დამყარება [14, 403-411]. თუმცა ფრედერიკი ამ ქმედებებს კონკრეტულად სამხედრო დიპლომატიის ჩარჩოში არ განიხილავდა. მისი გენერლების მიერ წარმოებული მოლაპარაკებები და შეხვედრები, რა თქმა უნდა, სამხედრო დიპლომატიურ ხასიათს ატარებდა, რომლის მიზანს სხვა ქვეყნის სუბიექტებთან მეგობრული გარემოს შექმნა წარმოადგენდა. ასეთმა მოქმედებამ ფრედერიკს საშუალება მისცა გაეუმჯობესებინა, როგორც თავისი სახელმწიფოს სტრატეგიული პოზიცია, ასევე მისი შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები.

სამხედრო დიპლომატიის როლი მნიშვნელოვანია „განვითარებადი და პოლიტიკურად მოწყვლადი სახელმწიფოების“ სტაბილურ განვითარებაში, დემოკრატიის ხელშეწყობასა და არასტაბილურ რეგიონებში კონფლიქტის აღბათობის შემცირებაში. მსოფლიო და რეგიონული ლიდერი სახელმწიფოების პოლიტი-

კური, ეკონომიკური თუ სამხედრო ინტერესები განსაზღვრავენ მათ საგარეო პოლიტიკას არასტაბილურ რეგიონებში. აგრეთვე განვითარებული სახელმწიფოები ყოველმხრივ ცდილობენ სამხედრო დიპლომატია გამოიყენონ ასეთ ქვეყნებში მშვიდობის უზრუნველსაყოფად. სამხედრო დიპლომატიის ქოლგის ქვეშ დემოკრატიული ქვეყნების მიერ ორგანიზებული სხვადასხვა პროგრამებით, კონფერენციებით, სწავლებებით და ვიზიტებით მოწყვლად ქვეყნებში იზრდება დემოკრატიის და კანონის უზენაესობის ხარისხი, რითაც შესაძლებელი ხდება განხორციელდეს დემოკრატიული კონტროლი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებზე, მიღწეულ იქნეს ქვეყანაში სტაბილურობა, გაძლიერდეს უსაფრთხოების ინსტიტუტები და არიდებულ იქნეს უცხო ქვეყნების ინტერვენცია. ამ ყველაფერში, რა თქმა უნდა, განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყნებს თავისი ინტერესები გააჩნიათ, ვინაიდან თუ განვითარებად ქვეყანაში არ იარსებებს შესაბამისი უსაფრთხოების მექანიზმები და სტაბილური გარემო, გაიზრდება ტერორიზმის გავრცელების საფრთხე, რომელიც პირდაპირ ემუქრება განვითარებულ სამყაროს, ასევე კონფლიქტი შეიძლება გაფართოვდეს და არა მარტო ერთ ქვეყანას, არამედ მთელს რეგიონს მოედოს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მრავალი სამშვიდობო ოპერაცია მიმდინარეობს, მაინც რთულად ხდება სამშვიდობო მისიებში კონტრიბუტორი ქვეყნების მონაწილეობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, რისი მიზეზიც ფინანსური ხარჯები და ქვეყანაში არსებული შიდაპოლიტიკური მდგომარეობაა. სახელმწიფოს ლიდერები ერიდებიან სამხედრო კონტინგენტით ოპერაციებში მონაწილეობას, რადგან ასეთ გადაწყვეტილებებს როგორც წესი ქვეყნის შიგნით საზოგადოების მწვავე რეაქცია მოჰყვება ხოლმე. შედეგად მმართველი პარტიის ან ლიდერის საარჩევნო ელექტორატის მხარდაჭერა კლებულობს. 1917 წელს აშშ-ს პრეზიდენტ ვუდროუ უილსონს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა დაერწმუნებინა აშშ მოსახლეობა, აშშ-ს იზოლაციონიზმის პოლიტიკის არამიზანშენილილებაში და ევროპაში საომარ მოქმედებებში ჩარ-

თულობის აუცილებლობაში. მიუხედავად საზოგადოების მხარდაჭერისა, პაციფისტების მიერ აშშ დემოკრატიულ პარტიაზე განხორციელებული პოლიტიკური თავდასხმები გრძელდებოდა. აშშ მხრიდან ომში ჩაბმის გადანყვეტილებამ არჩევნების შედეგებზე დიდი გავლენა იქონია, რასაც რესპუბლიკური პარტიის და პრეზიდენტ ჰარდინგის გამარჯვება მოჰყვა.

საერთაშორისო საზოგადოების დაგვიანებული ჩარევა კონფლიქტებში მიზეზია ადამიანების სიცოცხლის განადგურების, უამრავი ქალაქის და ინფრასტრუქტურის ნგრევის, ადამიანების დევნილობაში გახიზვნის და სხვა მრავალი ჰუმანიტარული კატასტროფის. ასეთ მოცემულობაში უფრო და უფრო რთული ხდება მონინაალმდევე მხარეების მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა და მათ სამშვიდობო შეთანხმებაზე დაყოლიება. საერთაშორისო ორგანიზაციების გადანყვეტილების აღსრულების საკითხში სამხედრო დიპლომატიის როლი მნიშვნელოვნად წარმოჩნდება. მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტისთანავე იწყება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, სადაც ქვეყნის სტაბილიზაცია და აღდგენა სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობით ხორციელდება. დიპლომატიურ და სამხედრო ინსტრუმენტებს შორის ურთიერთობა მშვიდობის მხარდაჭერის მიზნით არის კოორდინირებული, სამოქალაქო ხელისუფლებას სჭირდება უსაფრთხო გარემო, რომელსაც სამხედრო კონტინგენტი უზრუნველყოფს, ხოლო სამხედროებს სჭირდებათ სამოქალაქო ხელისუფლება, რომელიც წარმართავს ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ პროცესს.

პოლიტიკურ პროცესებში სამხედრო დიპლომატიის სტრატეგიული ჩართულობა, ქვეყნებს შორის კონსულტაციების საწარმოებლად დამატებით საშუალებას იძლევა, რათა გაეცეს პასუხები კონფლიქტებს ან გაურკვევლობების გამომწვევ მიზეზებს და მოხდეს სამხედრო ძალების წარმომადგენლებსა და სამოქალაქო ხელისუფლებებს შორის პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ურთიერთობების დარეგულირება.

უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემოს შექმნა წარმოადგენს დიპლომატიის ყველა რგოლის უპირველეს მიზანს, სამხედრო დიპლომატიას კი როგორც აღინიშნა საერთაშორისო ურთიერ-

თობების კონტექსტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ვინაიდან ქვეყნებს შორის ურთიერთობა უსაფრთხოების ფაქტორის არსებობის გარეშე დღევანდელ სამყაროში წარმოუდგენელი მოცემულობაა.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. სონდულაშვილი ა., სახალხო დიპლომატია და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, თბილისი, 2020.
2. Nicolson H., Diplomacy; UK; 1988.
3. Škvrnda F., საერთაშორისო უსაფრთხოება და სამხედრო დიპლომატია, ეკონომიკური დიპლომატია 21-ე საუკუნეში Bratislava 2005
4. Edmonds M., Beyond the Horizon: Defence, Diplomacy and South Africa's Naval Opportunities, South African Institute of International Affairs and Centre for Defence and International Security Studies, [South Africa] 1998.
5. A. du Plessis, Defence diplomacy: conceptual and practical dimensions with specific reference to South Africa, „Strategic Review for Southern Africa“, 2008,
6. <https://www.chicagotribune.com/news/ct-xpm-1995-01-08-9501080269-story.html>
7. Kissinger H., Diplomacy, US, 1996.
8. Vagts A., The Military Attache, US 1967.
9. Cable J., Gunboat Diplomacy 1919-1979: Political Applications of Limited Naval Force.
10. Taşdemir A; The Ottoman And German Relations During The Reign Of Abdülhamid II (1876-1909) Ankara, 2018.
11. Wawro G., The Austro-Prussian War: Austria's War with Prussia and Italy in 1866, US,1996.
12. Morgenthau, Hans, Politics Among Nations. New York: Knopf, 1978
13. Rapaport A., Clausewitz On War US, 1968.
14. Philips, T. R., Roots of Strategy: The 5 Greatest Military Classics of All Time, US, 2011.



**Levan Kurtskhalia**

*Georgian Technical University, Faculty of Law  
and International Relations, Doctoral student*

## **THE BAISIC PHASE OF FORMATION AND DEVELOPMENT OF MILITARY DIPLOMACY**

### **Summary**

In the 17th century, the relations between countries were increasing in all aspects (trade, culture, education, etc). As France became the first country to establish a Ministry of Foreign Affairs, other European countries followed suit. During this period, the relevancy of the development of military diplomacy increased considerably, which was the result of the necessity to ensure security between states.

Military diplomacy in the bilateral and multilateral formats is generally oriented on military cooperation, the accomplishment of which is mainly ensured through the practice of joint military training, the exchange of important information, educational and instructive exchange programs, the realization of defense and security projects, the organization of bilateral and multilateral conferences concerning security and the arrangement of high level visits.

It should be mentioned that there is no common doctrinal definition of military diplomacy, for example, a Slovak researcher F. Škvrnda defines military diplomacy as actions of armed forces in the frames of diplomacy. As for American scientist M. Edmond, he describes military diplomacy as the practice of using military units in overseas noncombat operations, whereas British researcher Anton Douples defines UK's military diplomacy as the utilization of military personnel (including military attaché) to prevent and resolve military conflicts while aiding peace support processes in foreign countries. Therefore, according to the authors' definitions, military diplomacy includes the participation of military units in noncombatant

(nonviolent) activities, which in its nature is diplomatic or is part of diplomacy, and is a specific instrument of foreign policy, which ultimately aims to prevent military actions and conflicts by employing negotiations and peace support activities.

Despite its importance, there is a lack of scientific research in the field of military diplomacy as a separate entity, which is mainly caused by the peculiar nature of this field. Military diplomacy is a crucial part of national security. Therefore a large portion of the information is classified and inaccessible, thus making conducting research even more challenging.

Military diplomacy is focused on elaborating and implementing long-lasting defense and security programs between countries. A key goal of military diplomacy is cooperation in the area of defense, which includes not only the provision of weaponry but also a wide specter of support in other spheres.

## არჩილ ჩაჩხიანი

*ისტორიის დოქტორი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, თავდაცვის სტრატეგიებისა და რესურსების მართვის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი*

## ამოცანით მართვის ფილოსოფია საქართველოს თავდაცვის ძალებში – მივიწყებული ისტორია თუ გარდაუვალი მომავალი

### შესავალი

1940 წლის 15 მაისის ადრიან დილით დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, უინსტონ ჩერჩილმა სასწრაფო სატელეფონო ზარი მიიღო საფრანგეთის პრემიერის, პოლ რეინოსაგან:

- ჩვენ წავაგეთ ბრძოლა, სედანთან ფრონტი გარღვეულია,
- სადენის მეორე ბოლოდან აქცენტიანი ინგლისური

ისმოდა...

მხოლოდ ხუთი დღე იყო გასული მას შემდეგ, რაც გერმანულმა შენაერთებმა შეტევითი მოქმედებები დაიწყეს საფრანგეთის წინააღმდეგ.

– კი მაგრამ, წარმოუდგენელია რომ ეს ასე მალე მომხდარიყო, – უპასუხა ჩერჩილმა სკვპტიკურად...

ექვს კვირაში საფრანგეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა...

ამ ამბების უშუალო თვითმხილველი, ცნობილი ფრანგი მწერალი და სამხედრო მფრინავი, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი (Antoine de Saint-Exupéry), ასე აღწერდა გერმანული სატანკო შენაერთების მოქმედებას: „[გერმანული] სატანკო ნაწილები, რომლებსაც წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ ფრანგული ტანკები, თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და აუნაზღაურებელ ზარალს აყენებდნენ იმას, რაც ერთი შეხედვით თითქოს ზედაპირული იყო – ლოკალური საკომანდო პუნქტების დაპყრობა, განადგურებული სატელეფონო ხაზები, გადამწვარი სოფლები. [ტანკები] იმ ქიმიური აგენტების როლს

თამაშობდნენ, რომლებიც მთლიანად კი არ ანადგურებდნენ ორგანიზმს, არამედ მხოლოდ მის ნერვულ სისტემას აზიანებდნენ. მთელ იმ ტერიტორიებზე, სადაც გერმანელებმა ელვისებურად აღგავეს პირისგან მიწისა ყველაფერი, [ფრანგულმა] არმიამ, რომელიც თითქმის ხელუხლებელი იყო, იარაღი დაყარა. იგი თითქოს ცალკეულ შემკვრივებებად გადაიქცა. ამ შემკვრივებებს შორის, რომლებიც შეიარაღებულ ადამიანებს წარმოადგენდნენ, მტერი ისე გადაადგილდებოდა, როგორც მას მოესურვებოდა... და არმიას, რომელიც მხოლოდ ურიცხვი რაოდენობის ჯარისკაცს წარმოადგენდა და მეტს არაფერს, დაკარგული ჰქონდა თავისი ეფექტურობა“ [1, 63].

ეს დაუჭერებელი წარმატება არც გერმანელთა პირადი შემადგენლობის რაოდენობის, არც მათი შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის ტაქტიკური მაჩვენებლების უპირატესობით იყო გამოწვეული. გერმანელთა ეს წარმატება ბლიცკრიგის სტრატეგიისა და ვერმახტში ჯარების მართვის იმ ინოვაციური მეთოდოლოგიის მასიური დანერგვით იყო გამოწვეული, რაც სამხედრო მეცნიერების სფეროში „ჯარების დირექტიული მართვის“ ან „დავალებაზე ორიენტირებული ტაქტიკის“ სახელით შვეიდა...

### **Auftragstaktik – ამოცანით მართვის ცნება**

არის გერმანულ ენაში ერთი საინტერესო სიტყვა – Auftragstaktik, რომლის ზუსტი თარგმნაც სხვა ენაზე საკმაოდ რთულია. უფრო რთულია მისი დეფინიცია და კიდევ უფრო რთული – მისი არსის გაგება. ეს სიტყვა – Auftragstaktik, სამხედრო საქმისადმი, და კონკრეტულად, ჯარების მართვის ხელოვნებისადმი განსაკუთრებულ მიდგომას აღწერს. გერმანულ რეალობაში ეს იყო სამხედრო მეთაურის მიერ მიღებული საბრძოლო დავალების შესრულებაზე ორიენტირებული მოქმედებების ტაქტიკა, სადაც მეთაურის მოქმედებები შექმნილი ოპერატიული ვითარების საკუთარ აღქმასა და შემდგომი გადაწყვეტილებების მიღებაზე იყო დამყარებული. ამ ფილოსოფიაში მოქმედებების პრიმატი იყო ხაზგასმული. კანადელი ავტორი, პროფესორი ჯონ ინგლიში (John English) აღნიშნავს, რომ Auftragstaktik-ის სქემაში უმოქმედობა

უფრო უარესი იყო, ვიდრე მცდარი სიტუაციური არჩევანი, და იმაზე უარესიც კი, ვიდრე ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობა [2, 123].

ღიახ, ჯარების ოპერატიული მართვის ამ ფილოსოფიაში ხაზგასმული იყო პრუსიული და გერმანული სამხედრო სკოლის ის სწავლება, რომელიც შრომის და მოქმედების პრიმატს უსვამდა ხაზს, რაც შემდგომში სრულად გამოიხატა ვერმახტის გენერალ-ფელდმარშლის, ერვინ რომელის (Erwin Rommel) ერთ ფრაზაში: „გადამეტებული შრომა ყოველთვის სჯობს გადამეტებულ სიზარმაცეს – ოფლი სისხლს ზოგავს, სისხლი სიცოცხლეს შველის, ჭკუა კი – ორივეს ერთად“ [3]. ღიახ, Auftragstaktik-ის ფილოსოფია მეთაურის აზროვნებაზე დამყარებული ჯარების ოპერატიული მართვის სპეციფიკური პრინციპი იყო, რომელიც მის ინტელექტსა და განსწავლულობაზე იყო დამყარებული. თავად ტერმინის ქართული ინტერპრეტაცია კი ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ – ჯარების დირექტიული მართვის პრინციპი, დასახული ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებული პრინციპი ან მიღებული ამოცანის დამოუკიდებლად გადანყვეტის პრინციპი, და კიდევ უფრო მოკლედ – „ამოცანით მართვა“. ინგლისურად კი ეს ცნება ასე ითარგმნება – Mission Command.

რეტროსპექტივაში წარმოდგენილი ფორმალიზებული სახით „ამოცანით მართვა“ არის ჯარების მართვისა და გერმანული ოპერატიული ხელოვნების ერთ-ერთი იმ პრინციპთაგანი, რომელიც მე-19 საუკუნის განმავლობაში ევროპული საომარი მოქმედებების თეატრზე მიმდინარე საბრძოლო გამოცდილების ბაზაზე ჩამოყალიბდა [4, 69] – აღნიშნავს თავის ნაშრომში Auftragstaktik: The Basis For Modern Military Command? ამერიკის შეერთებული შტატების სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის მკვლევარი, მაიკლ გუნთერი (Michael Gunther). ავტორის მოსაზრებას ჯარების ოპერატიული მართვის შესახებ ვეთანხმებით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანით მართვის ცალკეულ არაფორმალიზებულ ელემენტებს ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ომების ისტორიაშიც ჰქონდა ადგილი. ჯარების მართვის ამ პრინციპმა, რომელმაც თავისი განვითარება არაერთი გერმანული თეორეტიკოსის ნაშრომში პოვა, და რომელიც პრუსიული და გერმანულ სამ-

ხედრო სკოლისა და სამხედრო ამროვნების საკვანძო წერტილად იქცა, შემდგომ წლებში სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო წესდებებში დაიმკვიდრა შესაფერისი ადგილი. ჯარების მართვის ეს პრინციპი აშშ-ის არმიის საველე წესდების (Field Manual 100-5, Operations) 1982 და 1986 წლების რედაქციებში იყო ნახსენები [5]. დღეისათვის დოქტრინა, დასახელებით Mission Command (US Army Doctrine Reference Publication (ADRP 6-0)), დოქტრინული სწავლების (ADRP 3-0) „გაერთიანებული სახმელეთო ოპერაციების“ (Unified Land Operations) საფუძველს წარმოადგენს, რომელიც 2012 წლის მაისში იქნა მიღებული [6].

იგივე განმეორდა კანადაში [7], ნიდერლანდებში, ავსტრალიასა და გაერთიანებულ სამეფოში [8]. 2019 წელს ADRP 6-0-ში გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი, რაც ამ დოქტრინის შემდგომ ევოლუციად უნდა მივიჩნიოთ. საქართველოს თავდაცვის ძალებში მისი დოქტრინულ დოკუმენტად მიღება კი, ამოცანით მართვის სტრატეგიისა და ამოცანით მართვის ფილოსოფიის სახით, 2019-2021 წლების პერიოდშია განსაზღვრული. ჩვენი თემის საკვლევი კითხვაც ასე შეიძლება ჩამოვაცალიბოთ – რამდენად ღრმად გვესმის Auftragstaktik – ამოცანით მართვის კონცეფცია და რამდენად მზადა ვართ საქართველოს თავდაცვის ძალებში ამოცანით მართვის ფილოსოფიისა და პრინციპების დასაანერგად?

Auftragstaktik-ის კონცეფცია სამხედრო ადმინისტრირების გერმანული სისტემის იმ განმასხვავებელ მახასიათებლად ითვლება, რომლის თანახმადაც ვერტიკალური სამეთაურო ჯაჭვის დაქვემდებარების ყველა დონეზე გაზრდილია მიმდინარე ოპერატიული ვითარების შეფასების თავისუფლების ხარისხი და უფრო მეტიც – მოქმედებების დროს უგულებელყოფილია ზემდგომი მეთაურების ბრძანების პუნქტების ზედმიწევნითი შესრულების პრიმატი [9]. ჯარების მართვის ეს კონცეფცია იმასაც კი უშვებს, რომ ოპერაციის მსვლელობისას, ქვედა რგოლების სამეთაურო შემადგენლობას შეუძლია შეწყვიტოს მის წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანის შესრულება ან მნიშვნელოვნად შეცვალოს ამ ამოცანის აღსრულების გზები და მეთოდოლოგია იმ

აუცილებელი პირობით, რომ მეთაური სრულად იღებს თავის თავზე ამ ცვლილებების გამო დამდგარ შედეგებზე პასუხისმგებლობას [10, 278].

ამ იდეის ნათელი ილუსტრაციისათვის სხვადასხვა ავტორს ხშირად მოჰყავს პრუსიის პრინცის, დიდი პრუსიელი მხედართმთავრის, ფელდმარშალ ფრიდრიხ კარლის (Friedrich Karl von Preußen) ანეკდოტური ხასიათის გამოთქმა, რომელიც სწორედ Auftragstakt – ამოცანით მართვას შეეხებოდა. ერთ-ერთ ბრძოლაში დაშვებული ტაქტიკური შეცდომის გამო, მან სასტიკად გაკიცხა მაიორის წოდების მქონე თავისი ერთ-ერთი ოფიცერი. ოფიცერმა კი თავი იმით იმართლა, რომ ზედმინევნით შეასრულა უშუალო მეთაურის ბრძანება, რომლისადმი მორჩილებაც ისევე არ განისჯებოდა, როგორც მორჩილება მეფისადმი. პრინცის მიერ გაცემული საარაკო პასუხი მთელ რიგ ისტორიულ და სამხედრო თეორიულ ნაშრომებშია შესული – „მისმა უდიდებულესობამ თქვენ მაიორის წოდება მოგანიჭათ, რადგან სწამდა, რომ გაიაზრებდით თუ როდის არ უნდა შეგესრულებინათ მისი ბრძანება!“ [11, 125].

### **ტერმინის აზრობრივი გაგება**

სამხედრო ხელმძღვანელობის Auftragstakt სტილის შექმნა და მისი ჯარებში დანერგვა პრუსიულ სამხედრო სკოლას და მე-19 საუკუნეში მოღვაწე პრუსიის გენერალური შტაბის უფროსის, ფელდმარშალ ჰელმუტ ფონ მოლტკეს ((Helmuth von Moltke) სახელს უკავშირდება. მოლტკე შეიძლება განვიხილოთ როგორც ყველაზე გამჭრიახი და მნიშვნელოვანი ევროპელი სამხედრო მოღვაწე ნაპოლეონის ეპოქასა და პირველ მსოფლიო ომს შორის პერიოდში. იგი გამორჩეული იყო არა მხოლოდ ჯარების ორგანიზების საქმესა და სტრატეგიულ დაგეგმვაში, არამედ ოპერატიულ სარღლობაშიც. იგი სრულად აანალიზებდა იმას, თუ რა იყო და რა არ იყო შესაძლებელი ომში [10, 285].

მოლტკეს შეხედულებები პოლიტიკის, ომისა და სტრატეგიის შესახებ წარმოდგენილია მის 1869 წლის ნაშრომში „ინსტრუქციები ჯარების უფროსი მეთაურებისათვის“ და მის ესეში „სტრატეგიის შესახებ“, რომელიც მან 1871 წელს შექმნა [12, 316]. მის ფილოსოფიაში აშკარად შეიმჩნეოდა პრობლემის

გადაწყვეტისადმი ევრისტიკული მიდგომა და მართვის დეცენტრალიზებული მეთოდის პრიმატი. მართვის ეს სტილი უზრუნველყოფდა ორგანიზაციულ და ტაქტიკურ მოქნილობას, რაც მკვეთრად ამცირებდა დროით შეფერხებებს. ყოველივე ეს კი საბრძოლო მოქმედებების სწრაფად ცვალებად ოპერატიულ გარემოში დადებითად მოქმედებდა სამეთაურო რგოლის ადაპტაციაზე [13].

სამხედრო ოპერაციების მართვისა და აღსრულების ეს მეთოდი უპირისპირდებოდა ჯარების მართვის მკაცრად განწერილ ცენტრალიზებულ მეთოდს, რაც ოპერაციის დეტალურ მართვას წარმოადგენდა. თავისი არსით ცენტრალიზებული მართვა უფრო ახლოს დგას სამხედრო მეცნიერებასთან, Auftragstaktik – ამოცანით მართვა კი უფრო სამხედრო ხელოვნების სფეროს განეკუთვნება. ჰელმუტ ფონ მოლტკე წერდა: „სტრატეგია დასახული ამოცანის მიღწევის საშუალებათა, ანუ მიზანშეწონილობათა სისტემაა. იგი უფრო მეტია, ვიდრე სწავლება. იგი ცოდნის გადატანაა პრაქტიკულ ცხოვრებაში, მუდმივად ცვალებად ვითარებაში ლიდერული აზროვნების განგრძობითი განვითარება. იგი მოქმედებათა ხელოვნებაა – უკიდურესად რთულ გარემოებებში მოქმედების ხელოვნება“ [14].

აღნიშნულ შედარებას დაეთანხმა უკვე მე-20 საუკუნის ცნობილი ბრიტანელი სამხედრო ისტორიკოსი და სტრატეგოსი, გენერალი ჯონ ფიულერი (John Fuller), რომელიც თავის „ომის მეცნიერების საფუძვლებში“ აღნიშნავდა: „ყველაზე თვალშისაცემია ის, რომ რიგით ჯარისკაცს ერთმანეთში ერევა მეცნიერებისა და ხელოვნების მნიშვნელობები. ისინი ვერ ხვდებიან, რომ „მეცნიერება გვასწავლის იმას, თუ რა უნდა ვიცოდეთ, ხოლო ხელოვნება – რა უნდა ვაკეთოთ“ [15].

მოლტკე ამბობდა – „ბრძანება უნდა მოიცავდეს ყველაფერ იმას, რისი გაკეთებაც მეთაურს თავად არ შეუძლია, თუმცა მეტს არაფერს“, რაც იმას ნიშნავდა, რომ მაღალი რგოლის მეთაური არ უნდა ჩარეულიყო ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. უნდა განსაზღვრულიყო ზოგადი ჩარჩო და გაცემულიყო დირექტივა და არა ბრძანება. მოლტკე უფრო შორსაც წავიდა. იგი მზად



იყო ეპატიებიანა ქვემდგომი მეთაურებისათვის გადახვევები ოპერაციის საერთო გეგმიდან, თუ დაქვემდებარებული გენერალი მოიპოვებდა მნიშვნელოვან ტაქტიკურ წარმატებას – „თუ ტაქტიკა წარმატებული აღმოჩნდება, სტრატეგიამ უნდა დათმოს...“

მორჩილება პრინციპია, მაგრამ ადამიანი პრინციპზე მაღლა დგას. სიმართლეს უმეტეს შემთხვევაში მიღწეული წარმატება განსაზღვრავს“, – ამბობდა იგი.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში ცნებით „Auftragstaktik – ამოცანით მართვა“, სულ უფრო და უფრო მეტი დაინტერესება შეიმჩნევა, თავად ტერმინის სრულყოფილი ფორმალიზება საკმაოდ რთულია. ფაქტი ისაა, რომ თანამედროვე სამხედრო ლიტერატურაში არ არსებობს ამ მეტად საინტერესო ფენომენის საყოველთაოდ მიღებული განმარტება. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ Auftragstaktik-ის გამოყენებასთან დაკავშირებული ოპერატიული მიღწევები ტაქტიკური წარმატებების თანმიმდევრულ ერთობლიობას წარმოადგენს მხოლოდ, რაც არაა დამოკიდებული ოპერატიული ხელოვნების მიღწევებზე.

მეორეს მხრივ, ამოცანით მართვის პრინციპები მიკუთვნებულია იმ ფუძემდებლურ ფაქტორებს, რომლებიც ოპერატიული ხელოვნების ყველა ასპექტზე ახდენენ გავლენას [15].

მოლტკეს მიერ ფორმულირებული მთავარი პრინციპი დაფუძნებული იყო ქვემდგომი მეთაურების ინიციატივიან მოქმედებებზე, რომლებიც სრულდებოდა ზემდგომი ინსტანციების ინტერესებში მათი მხრიდან დეტალურად განერილი ინსტრუქციების გარეშე [9, 69].

მოლტკეს აზრით, ზემდგომი მეთაურებისათვის საჭირო იყო ქვემდგომთა მიერ გამოჩენილი ინიციატივის მოქცევა ზოგადი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში [16], რაც მოითხოვდა ოფიცერთა კორპუსისადმი წაყენებულ მაღალ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და პასუხისმგებლობის მაღალ ხარისხს. აქ აქცენტი ისეთ თვისებებზე კეთდებოდა, როგორცაა დამოუკიდებლობა, ლიდერობა და გონიერი რისკის განწევის წინაშე შიშის არარსებობა – ქვემდგომ მეთაურებს ეფექტურად უნდა გამოეყენებინათ ხელსაყრელი ოპერატიული ვითარება. ეს აზრი მოლტკეს

მიერ შემდეგნაირად იქნა ფორმულირებული: „შექმნილი ხელსაყრელი სიტუაციის გამოყენება შეუძლებელი გახდება თუ მეთაურები ზემდგომების ბრძანებებს დაელოდებიან. როგორც უმაღლეს მეთაურს, ასევე რიგით ჯარისკაცს უნდა ახსოვდეს, რომ პასიურობა და უმოქმედობა უფრო დამღუპველია, ვიდრე არასწორი მოქმედებები“ [11, 125]. ამ ფრაზასთან კონტექსტში აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გერმანულ ენაში სიტყვა „ბრძანების“ აღსანიშნავად არსებობს ორი სიტყვა, რომლებიც არსით განსხვავდება ერთმანეთისგან. ეს სიტყვებია Befehl და Auftrag. აქ, ცნება „ბრძანების“ განსხვავებულ ხარისხებზეა საუბარი. სიტყვა Befehl პირდაპირი მნიშვნელობით „ბრძანებას“, „განკარგულებას“ ნიშნავს, რომელიც დაუყოვნებლივ და ზუსტად უნდა შესრულდეს, ხოლო სიტყვა Auftrag-ს აქვს უფრო ზოგადი მნიშვნელობა, რომელიც შეესაბამება ცნებას – „დავალება“ ან „დირექტივა“. იგი აღნიშნავს იმ ქმედების შესრულებას, რომელიც შეესაბამება ამ ქმედების ძირითად იდეას, მის სულისკვეთებას და არ მოითხოვს მის ზუსტ და დაუყოვნებლივ აღსრულებას. შესაბამისად, დეტალური მართვის Befehlstaktik პრინციპი განსხვავდება დირექტიული ან ამოცანით მართვის Auftragstaktik პრინციპისაგან, რადგან ამ უკანასკნელის დროს შესაძლებელი ხდება მეთაურმა, რომელიც უშუალოდ იმყოფება ბრძოლის ველზე, მოხერხებულად გამოიყენოს უეცრად შექმნილი ხელსაყრელი სიტუაცია და წარმატებით დაასრულოს ამოცანა. გასაგებია, რომ ამოცანით მართვის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ოფიცერთა, ასევე სერჟანტთა შემადგენლობის კომპეტენციას, მათი პროფესიული მომზადების მაღალ დონეს, ქვედანაყოფებს შორის კოორდინაციას და ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას. სამეთაურო რგოლს ყველა დონეზე მოეთხოვება გაცემული დირექტივებისადმი შემოქმედებითი მიდგომა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად აჩქარებს გადამწყვეტილების მიღების პროცესს. საერთო ჯამში, ამოცანით მართვის განმარტება ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ – ამოცანით მართვა არის მეთაურის საერთო ჩანაფიქრის ფარგლებში და მიზანზე ორიენტირებულ

დავალებაზე დაყრდნობით, დაქვემდებარებულ მეთაურთა მიერ დეცენტრალიზებული აღსრულების გზით ჩატარებული სამხედრო ოპერაცია [17]. უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, ამოცანით მართვა მეთაურობის მეთოდია, რომელიც ითვალისწინებს დეცენტრალიზებულ ინიციატივას ზოგადი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში [10, 286].

### **ამოცანით მართვის სათავეებთან**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს აზრი, რომ Auftragstaktik კონცეფციის ისტორიული მაგალითები ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან, ალექსანდრე მაკედონელის დროიდან მომდინარეობს, როცა მან ოფიცერთა მომზადების იმ დროისთვის ინოვაციური მოდელი შემოიტანა, მათ მიერ თავიანთი ქვედანაყოფების დამოუკიდებლად მეთაურობის მიზნით. ჯარების დეცენტრალიზებული მართვის შემდგომ გამოყენებას ადგილი ჰქონდა ძველი რომის არმიაში, ვიკინგებში, მონღოლებში და ა. შ. [18].

ამოცანით მართვის მაგალითებს საქართველოს სამხედრო ისტორიის ანალებშიც ვხვდებით, თუმცა, ამ შემთხვევებს, რა თქმა უნდა, ვერ განვიხილავთ ამ მეტად საინტერესო ფილოსოფიის ფორმალიზებულ მაგალითებად. ჩვენ არ ვსაუბრობთ იმ ცალკეულ მეთაურებზე, რომლებიც ამოცანის მართვით აღასრულებდნენ ოპერაციებს თუ ცალკეულ ბრძოლებს. ასეთი პერსონები ყველა ეპოქისა და ყველა ქვეყნის არმიებში შეგვიძლია მოვიძიოთ. მაგრამ ეს არ არის მთავარი და გადამწყვეტი. ასეთი პერსონები ვერც მაშინ ქმნიდნენ ამინდს და ვერც ახლა შექმნიან მას. საქმე ისაა, რომ Auftragstaktik – ამოცანით მართვის ფილოსოფია ყველა დონის სამეთაურო რგოლში უნდა დაინერგოს. ეს კულტურა, ქართველ ოფიცერთა კორპუსისა და სერჟანტთა პირადი შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ, ორგანულად უნდა იყოს შეთვისებული. დიახ, ორგანულად შეთვისებული და არა მხოლოდ ნავარჯიშები და განვრთნილი. ფორმალიზებული სახის მიღება Auftragstaktik – ამოცანით მართვამ, მე-19 საუკუნის პრუსიაში დაიწყო. დეცენტრალიზებული მართვის გარდაუვალი აუცილებლობა პრუსიელებმა იმ კატასტროფის შემდეგ დაინახეს, რაც მათ 1806 წელს განიცადეს ნაპოლეონთან

მარცხის დროს იენასა და აუერშტადტის ბრძოლებში. იმ დროისათვის პრუსიული არმია უკვე ძალიან მოძველებული იყო და ეს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო კორპორაცია მკაცრად ცენტრალიზებული მართვის სტილით იმართებოდა. ეს იყო ძველი პრუსიული სკოლა – ფრიდრიხ დიდის სკოლა. ამ სკოლამ, ანუ ჯარების მართვის დეტალურად განერილმა და მკაცრად ცენტრალიზებულმა სისტემამ ასე თუ ისე იმუშავა მე-18 საუკუნის ომებში, რამაც პრუსია სამხედრო თვალსაზრისით, ევროპაში მისაბად ქვეყნად აქცია, მაგრამ ნაპოლეონ ბონაპარტის არმიასთან დაპირისპირებაში იგი აბსოლუტურად მოუმზადებელი და უსუსური აღმოჩნდა. „პრუსიული ჯარის შეიარაღება ევროპის მასშტაბით ყველაზე უარესი იყო. საუკეთესოს ვერც არტილერიის მდგომარეობას დაარქმევდით... არაადეკვატური წვრთნების ფონზე წარმოუდგენელი თავდაჯერებულობა იყო გამეფებული, რაც უსაფრთხოებაზე ზრუნვის ელემენტარული მოთხოვნებისადმი ხელმძღვანელობის ყურადღების მოღუწებას იწვევდა“ [19, 56] – წერდა თავის ნაშრომში „1806 წელი“, დიდი პრუსიელი სამხედრო თეორეტიკოსი და სტრატეგოსი, გენერალი კარლ ფონ კლაუზევიცი (Carl von Clausewitz).

სწორედ ნაპოლეონთან განცდილი მწარე მარცხის შემდეგ დაიწყო პრუსიელმა სამხედრო ინოვატორებმა გერჰარდ ფონ შარნჰორსტმა (Gerhard von Scharnhorst) და ავგუსტ ფონ გნაისენაუმ (August von Gneisenau) ფართო სამხედრო რეფორმებზე ფიქრი. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო უმაღლეს სამხედრო განათლებაზე მუშაობა და ეს მოხდა 1810 წელს – ბერლინში ომის კოლეჯი გაიხსნა. ეს სწორი გზა, სწორი არჩევანი და შეიარაღებული ძალების გარდაქმნის სწორი თანმიმდევრობა იყო. არა ჯარების პირადი შემადგენლობის რაოდენობრივი ზრდა, არა სამობილიზაციო გეგმების დახვეწა, არა სავლელ წვრთნების ინტენსიფიკაცია, არა შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების გამოშვების გაზრდა, არამედ პირველ რიგში სამხედრო განათლების პრიმატი... და შემდეგ ყველაფერი დანარჩენი. ასე იყო ნიდერლანდების შემთხვევაშიც, როცა ამ ამბებამდე ორი საუკუნით ადრე, 1616 წელს, ევროპაში

პირველი სამხედრო აკადემიის დაარსებითა და გატარებული სამხედრო რეფორმებით, ჰოლანდიელებმა ესპანელთა ჩაგვრის უღელი გადააგდეს. პრუსიელებმაც სწორად განსაზღვრეს პრიორიტეტები. მათთვის ერთი რამ იყო ცხადი – სამხედრო სფეროს მნიშვნელოვანი ცვლილებები სამხედრო განათლების რეფორმით უნდა დაწყებულიყო. ომის კოლეჯის დაარსების შემდეგ კი მათ შეიარაღებული ძალების მართვის მთავარი ორგანო – გენერალური შტაბიც დააფუძნეს. ეს უკვე მაღალკვალიფიციური სამხედრო კადრების მომზადების სისტემა იყო, რომელიც უზრუნველყოფდა მრავალმხრივ განათლებული და სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის ასპექტებში გათვითცნობიერებული ოფიცერთა კორპუსის შექმნას. სრულყოფილ განათლებამიღებულ ოფიცრებს ის დანაკლისი უნდა შეევსოთ, რაც ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გააჩნდა სამხედრო საქმეში. ყველა სამხედრო ინსტიტუტის მთავარი არსი უნდა ყოფილიყო ორგანიზაციული მოქნილობა და მკაცრად ფიქსირებული შეზღუდვების არქონა. არსებული მოთხოვნებიდან და დასმული ამოცანებიდან გამომდინარე, ყველა ღონის მეთაურს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა შეეცვალა საარმიო სტრუქტურები.

მსოფლიოს სამხედრო და საომარი გამოცდილების გასაცნობად, გასაზიარებლად, ანალიზისა და კვლევების ჩასატარებლად შეიქმნა სპეციალური განყოფილება, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა კადრის ოფიცრებს გაეფლოთ გადამზადება და მუდმივად ეზრუნათ თვითგანვითარებაზე. მთავარი პრინციპი კი ის იყო, რომ ოფიცრებს უნდა ესწავლათ სხვის და არა საკუთარ შეცდომებზე. სწავლებების დროს სამეთაურო შემადგენლობას მუდმივად მოეთხოვებოდათ ინიციატივა აზროვნებაში და კონკრეტული ოპერატიული ვითარების დროს გადაწყვეტილების მიღება საერთო სტრატეგიული გეგმის ფარგლებს გარეთ გაუსვლელად. სწავლების პროცესის კვინტესენციას ოფიცრისათვის საბრძოლო დავალების მიღება წარმოადგენდა, რომლის გადაჭრისას მას დამოუკიდებლად უნდა ემოქმედა. წარმატების კრიტერიუმს კი მიღებული შედეგი წარმოადგენდა და არა ამ შედეგის მიღწევის გზები.

Auftragstaktik – ამოცანით მართვის პირველ დიდ მაგალითებად შეგვიძლია განვიხილოთ 1864 წლის პრუსია-დანის, 1866 წლის პრუსია-ავსტრიისა და 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომები, რომლებიც პრუსიელთა დამატერებელი გამარჯვებით, გერმანული მიწების გაერთიანებითა და გერმანიის მეორე რაიხის შექმნით დასრულდა. პრუსიელთა ამ საარაკო გამარჯვებების ავტორს ფელდმარშალი ჰელმუტ ფონ მოლტკე წარმოადგენდა, მთავარ დამგეგმავ ორგანოს – გენერალური შტაბი, ხოლო ჯარების მართვის სამეთაურო მეთოდოლოგიას - Auftragstaktik – ამოცანით მართვა. ტერმინიც – Auftragstaktik, პირველად მოლტკეს მიერ იქნა შემოტანილი 1858 წელს, თუმცა, ამ ფილოსოფიის ინსტიტუციონალიზაცია, მხოლოდ 1888 წელს მოხდა.

### **რაიხსვერი და ამოცანით მართვის ფორმალიზება**

მიუხედავად პირველ მსოფლიო ომში განცდილი მარცხისა, გერმანელებმა მაინც გააგრძელეს მუშაობა ოპერატიული ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე. ვერსალის ზავის პირობებით მკვეთრად შეიზღუდა გერმანული არმიის პირადი შემადგენლობის რაოდენობა, აიკრძალა მძიმე შეიარაღების, სამხედრო ფლოტისა და ავიაციის ყოლა, ანულირებული იქნა გენშტაბი, მის მაგივრად კი „ჯარების ოფისი“ – Truppenamt დაარსდა, რომლის საქმიანობაც მხოლოდ ადმინისტრაციულ ხასიათს ატარებდა. მიუხედავად ყველაფრისა, რაიხსვერად გარდაქმნილი გერმანული სამხედრო უწყება, გენერალ-პოლკოვნიკ ჰანს ფონ სექტის (Johannes von Seeckt) ხელმძღვანელობით, მაინც ახერხებდა ამოცანით მართვის პრინციპების სულ უფრო და უფრო ფართოდ დანერგვას. მან ჯარებში მნიშვნელოვანი ფინანსური, აკადემიური და ორგანიზაციული რეფორმები გაატარა. უპირველეს ყოვლისა კი სამხედრო მოსამსახურეების სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე დაიწყო ზრუნვა. მან ღირსეული მდგომარეობითა და მაღალი ხელფასებით წაახალისა სამხედროები, რაც ასე უცხო იყო გერმანიის საერთო ეკონომიკური დეპრესიის ფონზე. ამ რეფორმებით ფონ სექტმა ჯარების დიდი პატივისცემა მოიპოვა, რადგან ექვსჯერ უფრო დიდ ხელფასს უხდიდა მათ, ვიდრე ამას „გამარჯვებული“ ფრანგი ჯარისკაცი იღებდა [20, 145].

გერმანელები იყვნენ ის ხალხი, ვინც ყველაზე საგულდაგულოდ და ყურადღებით შეისწავლა და გააანალიზა პირველი მსოფლიო ომის გამოცდილება. ომის დასრულებისთანავე ფონ სექტმა შექმნა 57 კომიტეტი იმ საკითხების დანვრილებით შესასწავლად, თუ რა მოხდა რეალობაში 1914-1918 წლებში. ამ კომიტეტებს გენერალური შტაბის ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ და საერთო ჯამში მათ მუშაობაში 400 ოფიცერი აღმოჩნდა ჩართული [21, 134].

გერმანელთა წარმატების მთავარი მიზეზი იყო – საბრძოლო გამოცდილების გათვალისწინება და რეალისტური ექსპერიმენტების ჩატარებისათვის მზაობა. შედეგად, 1924 წლისათვის შემუშავდა დოქტრინული დოკუმენტი Die Truppenführung (ჯარების მართვა), რომელიც პირველი მსოფლიო ომის სრულფასოვან შესწავლაზე იყო დაფუძნებული. აქამდე არსებული შლიფენისეული სტრატეგიული გარშემორტყმის კონცეფცია მოდიფიცირებულ იქნა და ფოკუსირება მანევრის ტემპზე გაკეთდა. განახლებულ დოქტრინულ სისტემას Bewegungskrieg (მანევრული ომი) ეწოდა, ხოლო მასთან ასოცირებულ მეთაურობის სტილს – Auftragstaktik. სწორედ ამ მომენტიდან ფუძნდება საბოლოოდ სამხედრო მეცნიერებაში ტერმინი Auftragstaktik – ამოცანით მართვა. მის ძირითად მოთხოვნებს წარმოადგენდა:

- დოქტრინის ზედმინწვნიტ ცოდნა;
- მოქნილი აზროვნების მანერა;
- სიტუაციის შეფასება და გადანწყვეტილების მიღება; და რაც მთავარია:
- დეცენტრალიზებული ინიციატივა უმდაბლეს დონეებზე;

გადამწყვეტი იყო იდეის პრიმატი – მართვის ყველა დონეზე გამოჩენილი ინიციატივა ლიდერობის მთავარი მაჩვენებელია. ასე ნელ-ნელა, დაწყებული მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან, ჯარების მართვის ეს პრინციპი, რაიხსვერსა და შემდეგ ვერმახტში, უმაღლეს საფეხურზე ავიდა. სწორედ Auftragstaktik – ამოცანით მართვის პრინციპის დამსახურება იყო ის დიდი წარმატებები, რასაც ვერმახტმა მიაღწია მეორე მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 1917 წელს ელასტიკური

თავდაცვისა და ინფილტრაციის ტაქტიკის შექმნით დაწყებული, და სწავლებებისა და პრაქტიკული სავლე წვრთნების დაწესებით დამთავრებული, 1930-იანი წლების ბოლოს რაიხსვერმა და ვერმახტმა პირველი მსოფლიო ომის გამოცდილება უფრო საგულდაგულოდ და სიღრმისეულად შეაფასეს, ვიდრე ეს მათმა პოტენციურმა ოპონენტებმა შეძლეს [21, 212].

ფაქტია, რომ გერმანული ანალიზი, დეცენტრალიზებული მართვისა და კონტროლის სისტემა, რომელიც მათ პრუსიული ტრადიციით მიიღეს შარნჰორსტიდან დაწყებული და მოლტკეთი დამთავრებული, და წაგებული პირველი მსოფლიო ომის მიზეზების სრული შესწავლა, პრობლემის გადაწყვეტის პოტენციური გზა აღმოჩნდა. ზედა სამეთაურო ეშელონებიდან წამოსული ლიმიტირებული ინფორმაცია აიძულებდა მათ თავად მიეღოთ სწორი გადაწყვეტილება და ამიტომაც იყვნენ უკვე მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას გუდერიანი, მანშტეინი, რომელი, კლაისტი, მოდელი და სხვა უამრავი გერმანელი ოფიცერი წარმატებული მეთაურები. დიახ, ამოცანით მართვის ფილოსოფიამ ძირეული გარდატეხა მოახდინა გერმანელ სამხედრო მოსამსახურეთა ფსიქოლოგიაში და ისინი დაუმარცხებელ მეთაურებად აქცია.

Auftragstaktik – ამოცანით მართვის ფილოსოფია გერმანული სამხედრო კულტურის განუყოფელ ნაწილად, მის სულად იქცა. თუ ჩვენი ნაშრომის შესავალ ნაწილს და გერმანელთა მიერ 1940 წლის 15 მაისს სედანთან ფრანგების გარდევულ პოზიციებს დავუბრუნდებით, მაშინ გასაგები გახდება ვერმახტის ოფიცრის, გეგმა „ბარბაროსას“ ერთ-ერთი ავტორის, გენერალ ერის მარქსის (Erich Marcks) ეს შეფასება: „ადამიანების გარდაქმნა უფრო მნიშვნელოვანი და წონადია, ვიდრე იმავეს გაკეთება ტექნოლოგიებში. ფრანგები, რომლებსაც ჩვენ [სედანის] ბრძოლაში შევხვდით, აღარ იყვნენ ის ფრანგები, ვისაც 1914-1918 წლებში ვებრძოდით. აქ ისეთივე თანაფარდობა იყო, როგორც 1796 წლის საფრანგეთის რევოლუციურ არმიასა და პირველ კოალიციას შორის – ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ჩვენ ვიყავით რევოლუციონერები და სანკვილოტები“ [21, 156]. იგივე განმეორდა აღმოსავლეთშიც, უკვე საბჭოთა კავშირთან



წარმოებული ომის პირველ ეტაპზე. Auftragstaktik – ამოცანით მართვა 1942 წლიდან დასრულდა, მას შემდეგ რაც ვერმახტის უმაღლესმა მთავარსარდლობამ – OKW (Oberkommando der Wehrmacht) ჯარების ტაქტიკური დონის მართვა აიღო საკუთარ ხელში.

### **გადამწყვეტი წერტილი**

დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით ამოცანით მართვა კიდევ უფრო ღრმა შესწავლას და დანერგვას მოითხოვს, ვიდრე ეს ადრე იყო. თანამედროვე ომებში, სწრაფად ცვალებადი საბრძოლო ვითარების პირობებში, სხვადასხვა დონის მეთაურების მიერ დაუყოვნებლივი და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნაწილებისა და ქვედანაყოფების ერთმანეთისგან მოწყვეტის შემთხვევაში მეტად რთულდება დაქვემდებარების ჯაჭვის გავლით ოპერატიული ინფორმაციის გავლის შესაძლებლობა, რაც სამეთაურო შემადგენლობისაგან შექმნილი ოპერატიული თუ ტაქტიკური ვითარების უმოკლეს დროში უსწრაფეს შეფასებას და სწორი გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს. სწორედ ამაში მდგომარეობს Auftragstaktik – ამოცანით მართვის პრინციპის მთავარი არსი [5, 21].

ამჟამად, რომ ამოცანით მართვის ფილოსოფიაში გადამწყვეტი წერტილს დროის ფაქტორი წარმოადგენს. ერთი ნიშანდობლივი მაგალითი: კორეის ომის მსვლელობისას, 1950 წლის სექტემბერში, ამერიკელებმა დიდი წარმატებით ჩაატარეს ინჩხონის საზღვაო დესანტირების ოპერაცია და შემდგომი წინსვლა დაიწყეს სეულისკენ. მიუხედავად იმისა, რომ ინჩხონი ერთ-ერთი ბრწყინვალე იყო ამ სახის ოპერაციათა შორის, მისი შემდგომი ექსპლუატაციის ტემპები საკმაოდ დაბალი აღმოჩნდა. თუ ინჩხონ-სეულის ოპერაციას 1941 წლის გერმანელების არმიათა ჯგუფ „ჩრდილოეთის“ შეტევითი ოპერაციის დინამიკას შევადარებთ ბალტიისპირეთში, ვნახავთ, რომ გერმანელთა წინსვლის ტემპები გაცილებით მაღალი იყო. ინჩხონიდან სეულამდე მიღწევას ამერიკელებმა 11 დღე მოანდომეს, მაშინ როცა გერმანელებმა თითქმის 350 კმ მანძილი ოთხ დღე-ღამეში დაფარეს. ამერიკელთა

წინსვლა ხასიათდებოდა დიდი სიფრთხილით, ამკრძალავი ბრძანებებით, შეზღუდული დაზვერვით, საკომანდო პუნქტების არიერგარდში განლაგებით. მაშინ როცა, გერმანელი მეთაურები იმყოფებოდნენ კოლონების ავანგარდში, გასცემდნენ სიტყვიერ ან მოკლე წერილობით ბრძანებებს, შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად უკეთებდნენ რეორგანიზაციას საბრძოლო ჯგუფებს... და ეს მოქმედებები ზუსტ, დამაჯერებელ სადაზვერვო მონაცემებზე იყო დაფუძნებული [22], – აღნიშნავს რასელ სტოლფი (Russel Stolf), აშშ-ის საზღვაო ქვეითების თადარიგის პოლკოვნიკი და საზღვაო აკადემიის ემერიტუს პროფესორი. ნათელია, რომ გერმანელთა წარმატების მთავარ მიზეზს გადაწყვეტილების მიღების მოკლე ჯაჭვი და მცირე დროის ფაქტორი წარმოადგენდა. გერმანელ ოფიცერთა მიერ გაცემული მითითებები მოკლე და ცხადი, ნათელი და გასაგები იყო. „სიცხადე, რომელიც ყოველგვარ ეჭვსა და ყოყმანს გამორიცხავს, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სწორი გრამატიკული ფორმები“, – აღნიშნული იყო გერმანულ საჯარისო წესდებაში „ლიდერობა“ [23, 47].

დღესავით ნათელია, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება მოითხოვს დროს ინფორმაციის შესაკრებად, ოპერატიული ვითარების შეფასებას, გადაწყვეტილების მიღებას, ქვემდგომებამდე დაყვანას და მხოლოდ ამის შემდეგ მის აღსრულებას. აქ მთავარი საკითხი პირდაპირი მართვა და კონტროლია – მეთაურობის სწრაფი და მოქნილი, დაბალ დონეებზე დეცენტრალიზებული სისტემა. მოწინააღმდეგეზე უფრო მაღალი მობილურობისა და სიჩქარის გამო, გადაწყვეტილების მიღების ჯაჭვი განსწავლული ძალებისათვის უფრო მოკლეა და ისინი გადაწყვეტილებას უფრო ადრე მიიღებენ, ვიდრე მასთან დაპირისპირებული ძალა.

### **ღირსებები და ნაკლოვანებები**

როდესაც ვსაუბრობთ Auftragstaktik – ამოცანით მართვის ფილოსოფიაზე, უნდა გვესმოდეს, რომ საქმე გვაქვს ოპერაციების მართვისა და აღსრულების კვინტენსენციასთან, რაც ზოგადად, და მით უმეტეს ქართულ რეალობაში, მეტად ფრთხილ, მაგრამ გაბედულ მიდგომებს მოითხოვს. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი ნათელია და Auftragstaktik – ამოცანით მართვის

პრინციპის დადებითი მხარეებიც გასაგებია. ისიც ცხადია, რომ იგი უნდა წახალისდეს. ასეთ შემთხვევაში, ჯარებისა და ოპერაციების მართვის დეცენტრალიზაცია მოითხოვს დაქვემდებარებულ გარემოში შემოქმედებითი ინიციატივის სტიმულირებას, რაც თავის მხრივ ზრდის პირადი შემადგენლობის მოქმედებების მოტივაციას და საბრძოლო სულისკვეთებას. მაგრამ ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გადანაცვლებების მიღების ცენტრების ქვედა იერარქიულ დონეებზე დაშვება თავის თავში გარკვეულ საფრთხეებსაც მოიცავს პირველ რიგში, ესაა მოქმედებების კოორდინაციის გაუარესება და ზემდგომი მეთაურების მიერ შექმნილ ვითარებაზე კონტროლის დაკარგვის რისკი. მეორე და მთავარი საკითხი კი არის ქვემდგომი რგოლის სამეთაურო შემადგენლობის კომპეტენციის პოტენციური უკმარისობა, რომლებიც მაღალი ინტელექტუალური და პიროვნული თვისებებით უნდა ხასიათდებოდნენ. დაბოლოს ამოცანით მართვის პროცესში შეიძლება თავი იჩინოს ცალკეულ მეთაურებს შორის წარმოქმნილმა პირადმა დაპირისპირებებმა, ურთიერთ-უნდობლობამ, არაადეკვატურმა თვითშეფასებამ და ა. შ. [24]. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზოგიერთი ავტორის აზრით, ამოცანით მართვა არცთუ ისე კარგად ეთვისება იმ შემთხვევებს, როცა არსებობს რისკი, დაშვებულ იქნას პოლიტიკური ან სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის უმაღლესი დონის შეცდომა. ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება მაგალითად, ამბოხის საწინააღმდეგო და პარტიზანული ომის საწინააღმდეგო საბრძოლო მოქმედებები, აგრეთვე, პოსტკონფლიქტური სიტუაციების დარეგულირება, სამშვიდობო მისიები და ა. შ., სადაც ასე აქტიურად არიან ჩართულნი საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები.

### **ამოცანით მართვა და ქართული რეალობა**

საქართველოსა და მსოფლიოს უახლესი ისტორიის სამხედრო კონფლიქტების კომპლექსურმა და ბუნდოვანმა ბუნებამ იმ აზრამდე მიგვიყვანა, რომ სამხედრო ოპერაციების ეფექტურად მართვისთვის ობრივად ახალი მეთოდები გვჭირდება. მართვის ახალი მიდგომა უნდა უზრუნველყოფდეს რთულ რელიეფურ პირობებში, რიცხობრივად და ტექნოლოგიურად გაცილებით უფრო ძლიერ

მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვებას. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2018 წლის 1 ნოემბრის ხელდასმული ვკითხულობთ: „თუ გადავხედავთ საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ წარმოებულ ოპერაციებს ავღანეთში, დეცენტრალიზებულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლის შედეგად მიღებულმა გამოცდილებამ დაგვანახა შესაძლებლობების დეცენტრალიზების და მცირე ზომის ქვედანაყოფებისათვის დამოუკიდებლობის უფრო მეტი ხარისხის მიცემის აუცილებლობა. გაზრდილი გაურკვევლობის, კომპლექსურობისა და კონკურენციის პირობებში მოქმედ პატარა, მსუბუქ ქვედანაყოფებს დასჭირდებათ მოქმედების თავისუფლება, რათა ადგილზე მიიღონ გადაწყვეტილება და სწრაფად მოახერხონ შექმნილი ვითარების უპირატესობად გადაქცევა. ამისათვის, ამოცანით მართვის კულტურა აუცილებელი პირობა იქნება წარმატების მისაღწევად“ [25, 2].

თითქოს ყველაფერი გასაგებია, კითხვის ნიშნები არ არსებობს და გადაწყვეტილებაც უკვე მიღებულია. Auftragstaktik – ამოცანით მართვის ინსტიტუციური დანერგვის პროცესიც საქართველოს თავდაცვის ძალებში უკვე დაწყებულია. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის დირექტივებში ვკითხულობთ: „ამოცანით მართვა (Mission Command) წარმოადგენს ძალთა გამაძლიერებელ ფაქტორს, რომელიც დაეხმარება ჩვენს ძალებს ბრძოლის პირველივე წუთებიდან იმოქმედონ თავდაჯერებულად, სწრაფად, მტკიცედ და ლეტალურად. ამოცანით მართვა გულისხმობს მეთაურებსა და მათ დაქვემდებარებულებს შორის ნდობის ისეთი ხარისხის ჩამოყალიბებას, რომელიც დაეხმარება მათ დაგეგმონ, კოორდინაცია გაუწიონ და მოახდინონ მიღებული დავალების დეცენტრალიზებული აღსრულება დასმული ამოცანის წარმატებით შესასრულებლად. ამოცანით მართვის კულტურის დანერგვა ხელს შეუწყობს ჩვენი თავდაცვის ძალების ეფექტიანობის გაზრდას. ამოცანით მართვა არის მრავალწლიანი ინიციატივა, რომელიც ზეგავლენას მოახდენს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალებში მიმდინარე ყველა ორგანიზაციულ პროცესზე. 2019 წელს ყურადღება გამახვილდება ისეთ საკვანძო

ელემენტებზე, როგორცაა: თავდაცვის ძალებში ამოცანის მართვის არსის დანერგვა და ცნობიერების ამაღლება მის კულტურასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო პროცესებში ამოცანით მართვის პრინციპების ასახვა თავდაცვის ძალების ყველა დონეზე, დოქტრინებისა და სხვა დოკუმენტების შემუშავება, რომლებიც მნიშვნელოვანია ამოცანით მართვის ფილოსოფიის განხორციელებისთვის“ [26].

დირექტივაში ზუსტად არის განწერილი ამოცანით მართვის საკვანძო ელემენტები – არსი, ცნობიერება, კულტურა, საგანმანათლებლო პროცესი, შესაბამისი დოქტრინებისა და დოკუმენტების შემუშავება. მაგრამ აქ ისმის მთავარი კითხვა – რამდენად სრულად გვესმის ამ ფილოსოფიის არსი? რამდენად მზადა ვართ ესოდენ მნიშვნელოვანი სიახლის მისაღებად? საფრთხეები არსებობს და ეს საფრთხეები რეალურია. ჩვენ ვაპირებთ, ჯარებში ამოცანით მართვის პრინციპები დავნერგოთ, მაგრამ ამ კონცეფციის გატარებით შეიძლება მისი მთავარი მიზანი გავანადგუროთ: გავათავისუფლოთ მეთაურები ინსტიტუციური შეზღუდვებისგან და მივცეთ მათ გადამწყვეტი მოქმედებების საშუალება. მთავარი სირთულე კი ის არის, რომ ამოცანით მართვა ქართული ჯარის კულტურის ნაწილი, მისი სული უნდა გახდეს. ცნობილია, რომ ამოცანით მართვის გამოყენების დროს მეთაურებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი ექვსი პრინციპით:

- ურთიერთნდობის საფუძველზე შეკრული ჯგუფების ორგანიზება;

- საერთო გაგების ჩამოყალიბება;
- მეთაურის მიერ მკაფიო ჩანაფიქრის გაცემა;
- დისციპლინებული ინიციატივის წახალისება;
- მიზანზე ორიენტირებული დავალებების გაცემა;
- გონივრულ რისკზე წასვლა;

მაგრამ Auftragstaktik – ამოცანით მართვა არ არის მხოლოდ C2 (Command-Control) მართვისა და კონტროლის დოქტრინა. იგი არც მართვისა და კონტროლის სისტემაა. იგი არც „მოქმედებების თავისუფლებისათვის“ გაცემული ინდულგენციაა და არც მხოლოდ მოკლე წერილობითი ბრძანებების წერის თუ

სხარტი ვერბალური მითითებების გაცემის უნარები. ამოცანით მართვა თავდაცვის მსხვილი სახელმწიფოებრივი კორპორაციის კულტურული სული და მისი ფილოსოფიაა – სამხედრო პროფესიონალიზმის უმაღლესი გამოხატულება. ამოცანით მართვა ყველა დონის მეთაურისგან ქვემდგომი მეთაურებისადმი ნაყენებული პროფესიონალიზმისა და კომპეტენციის მოთხოვნაა, რომლის თანახმადაც ქვემდგომებმა ზედმეტი ძალისხმევის გარეშე და დამოუკიდებლად უნდა აღასრულონ მათ წინაშე დასმული ამოცანა [27].

რეალობაში, ამოცანით მართვა ყველაფრის ან არაფრის შეთავაზებაა. იგი სამხედრო ორგანიზაციის საქმიანობის ყველა ასპექტზე უნდა აისახოს თუ მეთაურს სურს, რომ მისი პრინციპები ქვედანაყოფის კულტურულ ქსოვილში საფუძვლიანად დაინერგოს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ხედვაში ზუსტადაა აღნიშნული, რომ ნდობაა ის საფუძველი, რომელზედაც მართვის ეს ახალი მოდელი იქნება დაფუძნებული – ნდობის ჩამოყალიბება მეთაურებსა და დაქვემდებარებულებს შორის შეიარაღებული ძალების ყველა დონეზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძალისხმევა იქნება. ის დაფუძნებული იქნება მშვიდობიანობის დროს დაგეგმილი ოპერატიული, საგანმანათლებლო თუ ადმინისტრაციული საქმიანობის აღსრულების პროცესში მეთაურის მიერ სამხედრო მოსამსახურეებზე დაკვირვებებსა და შეფასებებზე [25]. მაგრამ მთავარი აქ არა მართო „ნდობის“, არამედ ერთდროულად „ნდობისა“ და „რწმენის“ საკითხია, რომელიც მტკიცედ და ორგანულად უნდა დამკვიდრდეს ქართული სამხედრო კულტურის ქსოვილში – ზემდგომების ნდობა ქვემდგომი მეთაურებისადმი და ქვემდგომების რწმენა ზემდგომი მეთაურების მიმართ. აქ ყოველად დაუშვებელია ნებისმიერი ხარისხის ნდობისა და რწმენის დეფიციტის არსებობა. ამოცანით მართვისთვის საჭირო ნდობის ხარისხი კი მხოლოდ პერმანენტული ქცევით მიიღება - მეთაურები მუდმივად უნდა გამოხატავდნენ ნებას, რომ ქვემდგომი ლიდერებისგან ინიციატივის გამოჩენას ელიან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის უნებლიედ დაშვებული შეცდომები, რაც მათ

ზემდგომი მეთაურის ჩანაფიქრის განხორციელების პროცესში დაუშვებს, ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილად უნდა ჩაითვალოს და არა დასჯის მიზეზად.

ამოცანით მართვის მთავარი ელემენტი – ინიციატივაა! შეცდომების არდაშვების მენტალიტეტი, თუნდაც მცირე დოზით, საფუძველშივე კლავს ამოცანით მართვის იდეას. ეს უკვე ტოქსიკური გარემოა, რომელიც ძველ პრუსიულ სამხედრო სკოლას გვახსენებს, სადაც ფრიდრიჰის დროინდელი „ჯოხის დისციპლინა“ გაბატონებული. თუ ლიდერი, გადამეტებული კონტროლის ფონზე, ხელს შეუშლის ინიციატივის გამოჩენას და გუნდის წევრებში თუნდაც მცირე შეცდომის დაშვების შიშს დანერგავს, ის არ უნდა ელოდოს ვინმესგან საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების სურვილის გამოვლენას, ან რისკის განევას მაშინ, როცა ეს ყველაზე მეტადაა საჭირო. მოკლედ რომ ვთქვათ, ამოცანით მართვის კულტურა ან არსებობს, ან არ არსებობს. შუალედური მდგომარეობის არსებობა თავის მოტყუებაა და ვერავინ შეძლებს იგი გააყალბოს, ძალიანაც რომ ეცადოს ამას [28, 142].

ამოცანით მართვა ყველა დონეზე უნდა დაინერგოს და მართვის კულტურა არ შეიძლება მოვარგოთ არმიას. პირიქით, არმია უნდა მოერგოს მართვის კულტურას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამოცანით მართვა დაკარგავს თავის ეფექტურობას და იგი მახინჯ თეორიად დარჩება. ამოცანით მართვის დანერგვა რიტორიკად არ უნდა დარჩეს, მან საქართველოს თავდაცვის ძალების მთელი სტრუქტურა უნდა მოიცვას. ამოცანით მართვისათვის აუცილებელია სისტემის წინაშე მდგარ პრობლემურ საკითხებზე პანორამული ხედვა და ერთ ენაზე საუბარი, ქვემდგომ მეთაურებს უნდა ესმოდეთ ზემდგომის ჩანაფიქრი. მათ სწორი მითითებები უნდა მიეცეთ და, რაც მთავარია, ქვემდგომ მეთაურებს უნდა ჰქონდეთ ზემდგომების ურყევი რწმენა, დამოუკიდებელი მოქმედებებისათვის საჭირო შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები. და აქ უკვე სამხედრო განათლების სფეროში გადავდივართ, რასაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია საქართველოს თავდაცვის ძალების მთელ სტრუქტურაში. „ცოცხალი ბიოლოგიური სისტემების მსგავსად,

ომების წარმოების წესიც დარვინის თეორიას ექვემდებარება და არმია, რომელსაც სურს უმცირესი დანაკარგების ფასად მოიპოვოს გამარჯვებები, მუდმივად უნდა ზრუნავდეს სისტემის სტრუქტურის, პროცედურებისა და განათლების გაუმჯობესებაზე“, – წერს იუტას უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი იორგ მუთი (Jörg Muth) თავის ნაშრომში The Language of Mission Command and the Necessity of an Historical Approach [29].

ვეთანხმებით ავტორის ამ მოსაზრებას ომის წარმოების წესის ევოლუციური გზით განვითარების თაობაზე, მაგრამ იმ შესწორებით, რომ სახელმწიფოს სამხედრო უწყების სისტემური გაჯანსაღებისა და წარმატების მიღწევის გზაზე რიგით პირველ პრიორიტეტად სამხედრო განათლების სისტემის დახვეწა უნდა იქცეს. უპირველეს ყოვლისა კი უმაღლესი სამხედრო განათლების მთავარ ინსტიტუციას – ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-სამტაბო კოლეჯს უნდა მიექცეს ყურადღება. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს თავდაცვის ძალები რაიხს-ვერის, ვერმახტის, ან უკვე მოდიფიცირებული აშშ-ის არმიის კლონად ვაქციოთ. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი რეალიების გათვალისწინებით გადმოვიტანოთ გერმანული არმიისთვის დამახასიათებელი საუკეთესო ასპექტები. ასეთი ასპექტი ამოცანით მართვის ფილოსოფიაა, უპირველეს ყოვლისა კი – სამხედრო განათლებისა და ოფიცერთა შერჩევის დახვეწილი სისტემის შექმნა.

### **დასკვნა**

მე-19 საუკუნის ბოლოს მოღვაწე ამერიკელი გენერალი ფილიპ შერიდანი ((Philip Sheridan) აფასებდა რა ამერიკელ ოფიცერთა განათლების სისტემაში პრუსიული სამხედრო სკოლის გამოცდილების დანერგვის შესაძლებლობას, აღნიშნავდა, რომ პრუსიული სქემის დეტალური იმიტაცია, მისი სულის გაუთვალისწინებლად, შეცდომა იქნებოდა [30].

დიახ, თუ ვსაუბრობთ ამოცანით მართვის დანერგვაზე, Auftragstaktik-ის სული უნდა შენარჩუნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ფილოსოფიაში მთავარი – მართვის კულტურა დაიკარგება. „სამხედრო სიძლიერე ბრძოლებს იგებს, სულის სიძლიერე



ვი – ომებს“ [31] – ამბობდა მეორე ამერიკელი გენერალი, ჯორჯ მარშალი (George Marshall). ერთი რამ დღესავით ნათელია, – ჩვენ ძალიან რთული ამოცანის გადასაჭრელად ვემზადებით. ომს ჯარისკაცი არ იგებს და არ აგებს. არც საომარი კამპანიის შედეგებია მასზე დამოკიდებული და არც ცალკეული სამხედრო ოპერაციისა. აქ ინსტიტუციათა აქტივობის სხვა დონეებსა და პასუხისმგებლობის სხვა ხარისხებზეა საუბარი. ჯარისკაცი და სამხედრო ქვედანაყოფი ტაქტიკური დონის მოთამაშეა და მასზე მხოლოდ ბრძოლის ბედია დამოკიდებული, საომარი კამპანიებისა თუ სამხედრო ოპერაციების დაგეგმვას, მართვასა და აღსრულებას ქვეყნის შეიარაღებული ძალები ახორციელებენ ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე, ხოლო ომის წარმოებაზე პასუხისმგებლობა უკვე მთლიანად სახელმწიფოს პრეროგატივაა პოლიტიკური ნების, სახელმწიფო სიძლიერის ყველა კომპონენტისა და რე-სურსების ჩართულობის კუთხით. სწორედ იგი განსაზღვრავს ომის წარმოების ყველა საკითხს, ომის პოლიტიკური მდგენელის და გნებავთ „დიდი სტრატეგიების“ ჩართვით.

საქართველოს თავდაცვის ძალებში ამოცანით მართვის კულტურის დანერგვის საკითხთან მიმართებაშიც ანალოგიურადაა საქმე. ამოცანით მართვა ყველა დონეზე უნდა დაინერგოს და მართვის კულტურა არ შეიძლება მოვარგოთ არმიას. პირიქით, არმია უნდა მოერგოს მართვის კულტურას. ამოცანით მართვის დანერგვა რიტორიკად არ უნდა დარჩეს, მან საქართველოს თავდაცვის ძალების მთელი სტრუქტურა უნდა მოიცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამოცანით მართვა დაკარგავს თავის ეფექტურობას და იგი მახინჯ თეორიად დარჩება. ისტორიული რეალობა ის არის, რომ პრუსიულ-გერმანულ სამხედრო აზრს 30 - წლიანი შრომა და ბრძოლა დასჭირდა საკუთარ შეიარაღებულ ძალებში ამოცანით მართვის კულტურის დასანერგად. და რა გზას დავადგებით ჩვენ? ისევ ვიმეორებთ – მთავარი აქ სამხედრო განათლების სისტემური სრულყოფა და „ნდობისა“ და „რწმენის“ საკითხია, რომელიც მტკიცედ და ორგანულად უნდა დამკვიდრდეს ქართული სამხედრო კულტურის ქსოვილში – ზემდგომების ნდობა ქვემდგომი მეთაურებისადმი და ქვემდგომების რწმენა ზემდგომი მეთაურების მიმართ. აქ ყოვლად დაუშვებელია ნებისმიერი ხარისხის ნდობისა

და რწმენის დეფიციტის არსებობა. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2018 წლის 1 ნოემბრის ხელდავაში ვკითხულობთ: „საქართველოს შეიარაღებული ძალების დოქტრინა, განათლება და წვრთნები არის ამოცანით მართვის კულტურის დანერგვის გასაღები. ჩვენმა დოქტრინამ უნდა განმარტოს ამოცანით მართვის ფილოსოფია, სასწავლო დაწესებულებებმა ასწავლოს, ხოლო ჩვენ უნდა მოვემზადოთ მისი განხორციელებისათვის ინდივიდუალურ და კოლექტიურ დონეზე. ჩემ მიერ ზემოთ აღწერილი მთავარი შემადგენლები ამოცანით მართვის დანერგვის გრავიტაციული ცენტრია. თუ ჩვენ ვერ მოვახერხებთ ამ თვისებების წარმატებით დამკვიდრებას ჩვენს ჯარისკაცებში, ე. ი. ვერ მოვახერხებთ მათ დამკვიდრებას შეიარაღებულ ძალებში და პრაქტიკულ გამოყენებაში“ [25]. დიახ, სრულფასოვანი სამხედრო განათლება ამოცანით მართვის დანერგვის გრავიტაციული ცენტრია. სამხედრო განათლების სფეროში გატარებული რეფორმების გარეშე კი საქართველოს თავდაცვის ძალებში ამოცანით მართვის ფილოსოფიის დანერგვა ქალაქობრივ დაწერილ ლამაზ ფრაგმენტად და კეთილ ჩანაფიქრად დარჩება მხოლოდ. ჩვენ გვწამს, რომ დასახული მიზნის მისაღწევად სამხედრო განათლების სფეროში გაღებული დანახარჯები ერთი რიგით მაღალი მაინც უნდა იყოს დღევანდელთან შედარებით. პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ პრიორიტეტები და დავინყოთ მუშაობა სამხედრო განათლების საკითხების სრულყოფაზე, და მერე ყველაფერი დანარჩენი – დაიხვეწოს წვრთნების პროცესი, გაიზარდოს ჯარების ბრძოლისუნარიანობა, განახლდეს დოქტრინები და სხვა საჭარისო დოკუმენტები, შეიქმნას თავდაცვის ახალი გეგმები. სწორედ ესაა ჩვენ წინაშე არსებული პრობლემის გადაჭრის პოტენციური გზა. გადამეტებული შრომა ყოველთვის სჭობს გადამეტებულ სიზარმაცეს. როგორც იტყვიან, ოფლი სისხლს ზოგავს...

### დამონმბებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Antoine de Saint-Exupéry *Pilote de guerre*, 1942.
2. *A Perspective on Infantry*, Praeger; First edition, Westport, Connecticut. London. 1981.
3. Эрвин Роммель, цитаты. <https://ru.citaty.net/avtory/er-vinrommel/>.
4. Gunther M. J., *Auftragstaktik: The Basis For Modern Military Command*. Pickle Partners Publishing, 2015.
5. John T. Nelsen, *Auftragstaktik: A Case for Decentralized Battle*. <https://apps.dtic.mil/dtic/tr/fulltext/u2/a509971.pdf>.
6. Army Doctrine Reference Publication, ADRP 6-0, *Mission Command*, Headquarters Department of Army, Washington, DC, 17 May 2012. <https://fas.org/irp/doddir/army/adrp6-0.pdf>
7. Canada Department of National Defence, *Conduct of Land Operations – Operational Level Doctrine for the Canadian Army*, Publication B-GL-300-001/FP-000. Ottawa, Ontario: Queen’s Printer, 1996.
8. Army of the United Kingdom Land Operations, Shrivenham, UK: United Kingdom Ministry of Defence, Director General, Development, Concepts, & Doctrine, Publication AC 71819, 2005.
9. Gunther M. J., *Auftragstaktik: The Basis for Modern Military Command*, Pickle Partners Publishing, 2015.
10. Hajo Holborn, *The Prusso-German School: Moltke and the Rise of the General Staff. Makers of Modern Strategy, From Machiavelli to the Nuclear Age*, edited by Peter Paret, Gordon A. Craig, Felix Gilbert, Princeton University Press, 1986.
11. Robert Greene, *The 48 Laws of Power, The 33 Strategies of War*, Penguin Books, New York, 2006.
12. Gerhard Papker, „Helmuth von Moltke“, „Klassiker der Kriegskunst“, Red. Verner Halveg Darmstadt, 1960.

13. Moltke on the Art of War, Selected Writings Edited by Daniel 223 J. Hughes, Translated by Daniel J. Hughes and Harry Bell, Foreword by Gunter E. Rothenberg, Ballantine Books, New York, 1993.
14. Donald Vandergriff, How to Develop for Mission Command: The Missing Link. Mission Command, The who, what, where, when and why, An Anthology, Donald Vandergriff, Editor and Stephen Webber, Editor, Kabul, Afghanistan. May 2017.
15. Wittmann J. Introduction, Auftragstaktik - Just a Command Technique Or the Core Pillar of Mastering the Military Operational Art?, Miles-Verlag, 2012.
16. Stewart K. G., The Evolution of Command Approach (Paper 192), 15th ICCRTS The Evolution of C2. 2010.
17. 16 Cases of Mission Command, General Editor Donald P. Wright, Ph. D. Combat Studies Institute Press, US Army Combined Arms Center, Fort Leavenworth, Kansas. 2013.
18. Kallmes K., Auftragstaktik: Decentralization in Military Command. [www.realcleardefense.com](http://www.realcleardefense.com). Notes on Liberty (28 April 2017). 2 October 2019. <https://www.realcleardefense.com/articles/2017/04/28/auftragstaktik-decentralization-in-military-command-111267.html>
19. Karl von Clausewitz, 1806 weli, meomris biblioTeka, Tbilisi, 2007.
20. J. W. Wheeler-Bennett, The Nemesis of Power, The German Army in Politics, 1918-1945, Second Edition, London: Macmillan, 1964.
21. The Dynamics of Military Revolution 1300-2050, edited by Macgregor Knox and Williamson Murray, Cambridge University Press, 2001.
22. Stolfi, Russell H. S., A Critique of Pure Success: Incheon Revisited, Revised, and Contrasted, Journal of Military History 68 (2), (2004). <https://www.jstor.org/stable/3397476?seq=1#page-scans-tab-contents>.

23. Martin van Creveld, *Fighting Power: German and US Army Performance, 1939-1945*, Contributions in Military History, Westport, Connecticut: Greenwood, 1982.
24. Vego M. N., *The German-Style Mission Command (Auftragstaktik)*, Joint Operational Warfare: Theory and Practice. — Dept. of the Navy, Government Printing Office, 2009.
25. ამოცანით მართვა, გენერალური შტაბის უფროსის ხედვა, 1 ნომბერი, 2018.
26. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, მინისტრის დირექტივები, 2019. 12. ამოცანით მართვა. <https://mod.gov.ge/uploads/2019/PDF/2019-direktivebi-24-ianvari-final.pdf>
27. Donald E. Vandergriff, *How the Germans Defined Auftragstaktik[i]: What Mission Command is - AND - is Not*. Small Wars Journal. <https://smallwarsjournal.com/jrn/art/how-germans-defined-auftragstaktik-what-mission-command-and-not>. 08. 10. 2019.
28. Chad Foster, *Training for Mission Command, Mission Command. The Who, What, Where, When and Why*, An Anthology, Donald Vandergriff, Editor and Stephen Webber, Editor, Kabul, Afghanistan, May 2017.
29. Jörg Muth, *The Language of Mission Command and the Necessity of a Historical Approach, Mission Command in the 21st Century: Empowering to Win in a Complex World*, The Bridge and Army Press, 2016. <https://thestrategy-bridge.org/the-bridge/2016/6/4/the-language-of-mission-command-and-the-necessity-of-an-historical-approach>. October 10, 2019.
30. Jay Luvaas, *The Influence of the German Wars of Unification on the United States*,“ in *On the Road to Total War — The American Civil War and the German Wars of Unification, 1861-1871*, ed. Stig Förster and Jörg Nagler, Washington D.C.: German Historical Institute, 1997.
31. George Marshall Quotations. <https://www.quotetab.com/quotes/by-george-c-marshall#pm7oCKGD7t6HhmZS.99>.

**Archil Chachkhiani**

*Doctor of History, Colonel Rtd., David Ag-mashenebeli Georgian National Defense Academy, Full Professor*

## **MISSION COMMAND PHILOSOPHY IN GEORGIAN DEFENCE FORCES – FORGOTTEN HISTORY OR THE INEVITABLE FUTURE**

### **Summary**

Discussed formally in the article and presented in the retrospective, „Mission Command“ is one of the principles of the Prussian-German operative art of troop management, based on the ongoing combat experience at the European War Theater during the 19th century. In the Prussian army, the philosophy known as the „Auftragstaktik“ was a specific principle of operational management of troops based on the commander’s thinking, based on his intellect and learning. The concept of Auftragstaktik is considered to be a distinguishing feature of the German military administration system, which increases the degree of freedom to assess the current operational situation at all levels of the vertical chain of command and carefully disobeys the orders of superior commanders. This concept of troop management even implies that during an operation, the lower echelons’ command staff can cease to perform the combat task assigned to it or significantly change the ways and methodology of performing this task, provided that the commander takes full responsibility for the consequences of these changes. This style of management provided organizational and tactical flexibility, which drastically reduced time delays. All this, in a rapidly changing operational environment, had a positive effect on the adaptation of the command ring. This method of managing and executing military operations contrasted with the strictly written centralized method of managing troops, which 226 was the detailed management of the

operation. The complex and ambiguous nature of the military conflicts in the recent history of Georgia and the world has led us to believe that we need qualitatively new methods of effectively managing military operations. A new approach to management must ensure that in difficult terrain conditions, numerically and technologically much stronger opponents take advantage. The present article discusses the need to introduce the principles of manpower management in the Georgian Defense Forces, the difficulties associated with it and other issues.

# ისტორიოგრაფია Historiography

## მერაბ კალანდაძე

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი*

## საქართველოში წინარეისტორიული ხანის შესწავლის საერთო სურათი და ძირითადი ეტაპები

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, ძალიან მოკლედ, გადავავლოთ თვალი საქართველოში წინარეისტორიული ხანის გაშუქების განვლილ გზას, ამ დარგის წარსულს, ისტორიას. მას უფრო ხანგრძლივი წარსული აქვს, ვიდრე ეს საბჭოთა წლებში ეგონათ. მან, ვფიქრობთ, საინტერესო ფერისცვალება, მეტამორფოზი განიცადა. ამ კუთხით აღნიშნული საკითხის გაშუქება, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს და, აქტუალურად მიგვაჩნია. ეს თემა ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე შესწავლილი არ ყოფილა და წინამდებარე ნაშრომი ამის პირველ მცდელობად გვევლინება. ეს საშუალებას მოგვცემს შევაჯამოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი და ამ დარგში თეთრი ლაქები კიდევ უფრო ნაკლები დარჩება. მკითხველი რომ შეცდომაში არ შევიყვანოთ, აქვე განვმარტავთ, რომ საქმე ეხება პირველყოფილი საზოგადოების ისტორიას, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. უფრო ფართოდ, რომ შევხედოთ ამ საკითხს, არსებითად ეს გახლავთ უძველესი ისტორიის ევოლუცია, რომელიც ორ ნაწილადაა გაყოფილი. წინარეისტორიული ხანა და ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს საქართველოში წინარეისტორიული ხანის შესწავლის ისტორიის განხილვა.



ეს ამჟამად სცილდება ჩვენ კომპეტენციას და ამას ჩვენზე უფრო კარგად ამ დარგის სპეციალისტები გააკეთებენ. ჩვენ ყურადღებას მივაპყრობთ ამ დარგის განვითარების საერთო სურათს, თვალს გავადევნებთ მის ევოლუციას, ხაზს გაუსვამთ მისი განვითარების საკვანძო მომენტებს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს აღნიშნული საკითხის პერიოდიზაციასთან.

ამ თემატიკით დაინტერესება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და ჩვენს მიერ საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საკითხში საბჭოთა წარმოდგენის რევიზიის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. მისი ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია. საბჭოთა წარმოდგენა იყო უაღრესად ცალმხრივი და ტენდენციური, არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნდა, ძალიან ხისტად მიგვაჩნია და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ანტიეროვნული და არაპატრიოტულია. ამ კუთხით აღნიშნული თემის გაშუქება, ვფიქრობთ, ამის კიდევ ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

ამ პერიოდის სახელმძღვანელოებს ჩვენ სულ სხვა კუთხით შევხედეთ და ვცადეთ, მასში ამ დარგის ისტორიის შესწავლის წყარო დაგვენახა. ამ რაკურსით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია [1, 9-27]. ამ სფეროში საბჭოთა წარმოდგენის რევიზია სწორედ ამ სახელმძღვანელოებს, როგორც ამ საკითხის წყაროს, ეყრდნობა. ეს საშუალებას გვაძლევს საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის სულ სხვა სურათი დავდოთ.

\*\*\*

ჩვენ შევიმუშავეთ საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის განსხვავებული ხედვა, რომელიც პრინციპულად უპირისპირდება საბჭოთა წარმოდგენას და ცდილობს მეცნიერულად, არგუმენტირებულად გააბათილოს ის. მითებს რეალობა ამსხვრევს. ყველა სიკეთე საბჭოთა სინამდვილესთან როდი ასოცირდება [1; 2; 3; 4, 232-265 და 265-284]. ჩვენ ვცადეთ, რომ ეს მიდგომა გაგვევრცელებინა ცალკეულ დარგებზე: ძველი მსოფლიო ისტორიის, შუა საუკუნეების ისტორიის, ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში; მსოფლიო ისტორიის, კონკრეტულად

ვი ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების, გამოჩენილი ადამიანების მოღვაწეობის შესწავლა საქართველოში. ამჯერად ვცადეთ ეს სქემა გაგვევრცელებინა წინარე ისტორიულ ხანაზე. ვფიქრობთ, ეს ინტერესს მოკლებული არ იქნება.

ჩვენ არ ვცდილობთ ეს სქემა მექანიკურად მოვარგოთ სხვა პრობლემებს. ეს სამართლიანი არ იქნებოდა. ვითვალისწინებთ კონკრეტულ ვითარებას და აქედან გამოვდივართ. მათ შორის ნიუანსობრივი განსხვავება მაინც არსებობს და ამის უყურადღებოდ დატოვება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა.

ცხადია, შემთხვევითი არაა, რომ საქართველოში ახალი ისტორიის საკითხების გაშუქებას გაცილებით უფრო ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, ვიდრე წინა ეპოქების შესწავლას. ეს არცაა გასაკვირი. ახალი ისტორიის თემატიკა გაცილებით უფრო აქტუალური იყო, ვიდრე წინა პერიოდების ისტორია. განსაკუთრებით წინარეისტორიული ხანა. ამ თემატიკას უფრო აკადემიური ელფერი დაკრავდა და შორეულ წარსულს უკავშირდებოდა, მის ექოდ გაისმოდა. აი, ასეთია რეალობა. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქმე გვაქვს არა ერთ, არამედ რამდენიმე, სახელდობრ ორ, სქემასთან, საქართველოში ახალი ისტორიის შესწავლის საკითხში განვლილი გზა სულ სხვა იყო და განსხვავდებოდა წინა ეპოქების გაშუქებისაგან. როგორც წინარეისტორიული ხანის, ისე ანტიკური და შუა საუკუნეების ისტორიის წარსული გაცილებით უფრო ხანმოკლე იყო.

ჩვენს შრომებში [1; 2] ამ თემას გაკვირით შევხვეთ, მაგრამ კონკრეტულად არ განგვიხილავს. ძველი მსოფლიო ისტორიის კონტექსტში ვისაუბრეთ, რაც მათი იდენტურობით იყო განპირობებული. ახლა ვაპირებთ ამ თემის ცალკე გამოყოფას და მსჯელობის ფართოდ გაშლას.

დავინწყოთ იმით, რომ აღნიშნული პრობლემებისადმი საბჭოთა მიდგომა იყო ძალზე იდეოლოგიზებული და პოლიტიზებული. ეს მისი მთავარი დამახასიათებელი შტრიხია. ეს თემა უფრო მეტად პოლიტიკური განსჯის საგანი იყო და არა აკადემიური მსჯელობის. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და

აღნიშნული საკითხის განხილვა აკადემიურ ჩარჩოებში დაგვებრუნებინა. საქართველოში წინარეისტორიული ხანის გამოქვების სულ სხვა სურათი დავდეთ, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა საბჭოთა წარმოდგენისგან. საბჭოთა პერიოდში მის მთავარ თეზად წინამორბედების წვლილისადმი მკვეთრად გამოკვეთილი ნეგატიური დამოკიდებულება გვევლინება. წინამორბედების გაშავების ხარჯზე ხდებოდა საბჭოთა რეალობის გაიდევლება. ფაქტების საწინააღმდეგოდ გვიმტკიცებდნენ, ვითომ საქართველოში გასაბჭოებამდე წინარეისტორიული ხანის გამოქვების თვალსაზრისით პოზიტიური არაფერი გაკეთებულა. ეს იყო მთავარი ბოლშევიკური მითი. მითებს რეალობა ამსხვრევს.

საქართველოში წინარეისტორიული ხანით დაინტერესების დაწყება საქართველოს გასაბჭოებით – 1921 წლით, დაგვიანებულად მიგვაჩნია და სერიოზული კორექტივების შეტანას საჭიროებს. სინამდვილეში ეს სულ სხვაგვარად იყო. ამ დაინტერესების პირველ ნიშნებს ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე ცოტა ხნით ადრე გადავანწყდებით. ვფიქრობთ, ეს საინტერესო უნდა იყოს. მისმა პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინა უკვე 1905 წელს, როდესაც ქართულ ენაზე გამოვიდა ცნობილი რუსი ისტორიკოსის მაქსიმ კოვალევსკის საინტერესო წიგნი „ოჯახი და კერძო საკუთრების წარმოშობა-განვითარება“ [5]. რა იყო ეს? რამდენად მართლზომიერი იქნებოდა აქედან საქართველოში წინარეისტორიული ხანით დაინტერესების დაწყება? მოდიტ ნუ ავიქარდებით. საქმე ისაა, რომ აქედან ამ დარგით დაინტერესების დაწყება მაინც ნაადრევი უნდა ჩანდეს. ეს სპორადული ცნობები, ცხადია, ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს, უპირატესად, ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს. ალბათ, გაცილებით უფრო უპირიანი იქნებოდა გვეთქვა, რომ ეს ნაშრომი საქართველოში ამ თემატიკით დაინტერესების შესავლად, უვერტიურად, გაისმა. და არა, როგორც წინაისტორიად. მისი წინაისტორიად მიჩნევა გადაჭარბებული იქნება.

როგორც ირკვევა, ეს დარგი თავის პირველ ნაბიჯებს დგამს, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს საბჭოთა წლებში იყო მიღებული, არამედ ცოტა უფრო ადრე,

ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს იმ წლებში გამოსული ლიტერატურა, უპირატესად, ეს იყო სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს არცაა გასაკვირი. წინარეისტორიული ხანის შესწავლა საქართველოში სკოლიდან დაიწყეს. ეს იყო სწორი ნაბიჯი. ამ დარგის შენებას საძირკვლიდან შეუდგნენ. სკოლაში წინარე ისტორიული ხანის სწავლება ძალზედ გაძნელებოდა ამ საგანში კვალიფიცირებული, სასკოლო სახელმძღვანელოს გარეშე. ეს სახელმძღვანელოებია: დიმიტრი უზნაძე, „ისტორია პირველყოფილი კულტურისა“, გრიგოლ ნათაძე, „პირველყოფილი კულტურა“, თეიმურაზ ჭუმბურიძე, „პირველყოფილი კულტურა“ – ეს სამი სასკოლო სახელმძღვანელოა [6; 7; 8]. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ისიდორე კვიციანიძის მიერ თარგმნილი დ. კუდრიავსკის წიგნი „როგორ ცხოვრობდა ძველი ადამიანი“. ეს სახელმძღვანელო არაა, თუმცა დამხმარე სახელმძღვანელოს ფუნქცია შეიძლება დაეკისროს. დაბუსტებას საჭიროებს პროფ. ალექსანდრე ნამორადის ფრთხილი ვარაუდი, თითქოსდა გრიგოლ ნათაძის სახელმძღვანელო „პირველყოფილი კულტურა“ თუ არ ვცდებით, პირველი სახელმძღვანელო იყო ქართულ ენაზე ამ დარგში განკუთვნილი საშუალო სკოლის პირველი კლასისათვის“ [9, 372], როგორც ჩანს, მას უნებლიეთ გამორჩა მხედველობიდან დიმიტრი უზნაძის და თეიმურაზ ჭუმბურიძის სასკოლო სახელმძღვანელოები ამ საგანში, რომლებიც ერთი წლით ადრე გამოვიდა.

ეს მონაკვეთი, საბჭოთა ეპოქაში, საქართველოში წინარეისტორიული ხანის შესწავლის წარსულიდან ელიმინირებული, ამოღებული იქნა, გაქრა, გაუჩინარდა, თითქოსდა არც კი არსებობდა, მივიწყების სქელ ნისლში გაეხვია. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. აღვუდგინეთ ამ მონაკვეთს არსებობის უფლება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, პრაქტიკულად, ჩამორთმეული ჰქონდა. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ამ მონაკვეთის რეანიმაციასთან. განსხვავებული მიდგომის მთავარი კვინტესენცია, დედააბრი სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ამრიგად, როგორც ხედავთ, ამ სფეროში თავისი საქმიანობა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას ცარიელ ნიადაგზე, ნულიდან კი არ დაუწყია, როგორც ამას საბჭოთა პერიოდში გვიმტკიცებდნენ, არამედ თავისი ტრადიცია გააჩნდა, რომლის მიჩქმალვას ამაოდ ცდილობდნენ. ასეთი გახლავთ სინამდვილე, რომლის არც შელამაზება, და არც გამუქება არ ღირს. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. სასურველი იქნება გამოვძებნოთ საშუალოდ გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შევეცადოთ შეძლებისდაგვარად ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები. ასე წარმოგვიდგენია საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. წინამდებარე ნაშრომი ამ საშუალოდ გზის მოძიების ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობად გვევლინება.

როგორც ირკვევა, ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში, არავითარ სტაგნაციას, უკანსვლას, ადგილი არ ჰქონია. ეს დარგი ვითარდება, პროგრესირებს, წინ მიდის, სიარულს სწავლობს. აი, ასეთი იყო სინამდვილე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ქართული საზოგადოების თვალთახედვის არეალს მიღმა რჩებოდა და აღნიშნული დარგის განვითარების ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავდა.

დასაწყისი ურიგო არ იყო. პირველი ნაბიჯები სწორად გადადგეს, კარგად გათვალეს, რაც მათი წარმატება იყო. რისი გაკეთებაც მოასწრეს გააკეთეს. უპირატესად, პოლიტიკური ქართველების გამო, ბევრი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ. მისი ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს, ამიტომ ამ მონაკვეთზე უნდა ვიმსჯელოთ არა მარტო იმის მიხედვით, რისი გაკეთებაც მოასწრეს, არამედ იმის მიხედვითაც, რისი გაკეთებაც ჩაფიქრებული ჰქონდათ. ჩვენი აზრით, ეს გაცილებით უფრო სწორი იქნებოდა.

დღევანდელი გადასახედიდან ამ სახელმძღვანელოების მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საბოლოოდ არ გამოდგება. ეს

ხომ სკოლის სახელმძღვანელოებია. მათი ამოცანა გაცილებით უფრო მოკრძალებულად გამოიყურებოდა. მას, პირველ ყოვლისა, შეემცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ მათ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. ეს მათი წარმატება იყო. ამ სახელმძღვანელოებში თავმოყრილი მასალა საინტერესოა და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას, კარგად დააკვალაიანებდა და წინარეისტორიულ ხანაზე ზოგადი წარმოდგენის შექმნაში დაეხმარებოდა. აი, ეს იყო სწორედ მთავარი. ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებს ემატებოდა კიდევ ერთი სერიოზული სირთულე, რომლის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ამ სიძნელეებზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა. საქმე ის გახლდათ, რომ მათ ამ საქმეში არავითარი გამოცდილება არ გააჩნდათ და, ფაქტობრივად, ყველაფერი ნულიდან უნდა დაეწყოთ. მთავარი სირთულე სწორედ ეს იყო. მათ წინამორბედი არ ჰყავდათ. რა გამოსავალი გამოძებნეს მათ ამ რთული სიტუაციიდან? მათ, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული, რომ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოს ამ საგანში ასე მალე ვერ დაწერდნენ. ამას დრო სჭირდებოდა. დრო კი არ იცდის. მაშინ როგორ დაეღწიათ თავი ამ დარგში მოსალოდნელი კოლაფსისთვის? ეს იყო მთავარი პრობლემა. ისინი შეეცადნენ მოეძებნათ ამ რთული ვითარებიდან გამოსავალი. საკითხის წმინდა პრაქტიკული, პრაგმატული, გადაწყვეტა მათი მიდგომის მთავარ პლუსს წარმოადგენს. როგორც გვგონია, მათ შეძლეს გამოსავალი მოენახათ. აქცენტი გააკეთეს რუსული სახელმძღვანელოების გადმოქართულებაზე. ასეთი იყო თეიმურაზ ჭუმბურიძის სასკოლო სახელმძღვანელო და სცადა ის მიესადაგებინა ქართული რეალობისათვის. ჩვენი აზრით, ეს არანაირ ჩრდილს არ აყენებს ამ საქმეში მათ მიერ შეტანილ წვლილს.

გასათვალისწინებელია, რომ ამ ნაბიჯის საშუალებით ქარ-

თულმა სკოლამ შეძლო თავიდან აეცილებინა ამ დარგში მოსალოდნელი კოლაფსი, რომლის დიდი ალბათობაც ნამდვილად არსებობდა. ეს სახელმძღვანელოები ამართლებს თავის თავს. ის სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე, როდესაც წინარეისტორიულ ხანაზე მშობლიურ ენაზე პრაქტიკულად არაფერი იყო დაწერილი, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ამიტომ ამ სახელმძღვანელოებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რომელიც პრიორიტეტული იყო საბჭოთა წლებში, სრულიად უადგილოა. ჩვენი აზრით, მას ღირსებები გაცილებით უფრო მეტი გააჩნდა, ვიდრე ნაკლი. ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი მიდგომა უნდა იყოს.

სახელმძღვანელოებზე მუშაობის პროცესი დასრულებულად ძნელი იქნება მივიჩნიოთ. მიმდინარეობდა მუშაობა მის შემდგომ სრულყოფაზე, დახვეწაზე. ეს სრულიად ნორმალური პროცესი იყო. ჩვენი აზრით, ყველაფერი ეს სახელმძღვანელოს შექმნის ოპტიმალური ვარიანტის მოძიების მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ. აი, რას წერდა დიმიტრი უზნაძე: „არც ჩვენი ნაშრომი დადინჯებული და დამშვიდებული მუშაობის ნაყოფი. იგი ნაჩქარევია და ამ მიზეზით ნაადრევი და, უდროოდ, მომწიფებული შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ამ ნაშრომის პირველ გამოცემას, რომელიც მრავალრიცხოვანი იბეჭდება, მეორე მოჰყვება და ამ დროისათვის პრაქტიკის და სხვა პედაგოგთა დახმარების წყალობით, ჩემი ნაშრომი უფრო მომწიფებული ნაშრომის სახეს მიიღებს“ [10]. ცოტა ხნის შემდეგ იგივე უზნაძე ამბობდა: „ამ მოთხოვნილებების მიხედვით მისი ღირსებებიც უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ განსაკუთრებულმა ხანამ, წაგვართვა საშუალება საკაბინეტო მუშაობის და ამით აიხსნება, რომ ჩვენი სახელმძღვანელო არსებითად იგივე დარჩა... დამატება მხოლოდ მცირეოდენის მოვასწარით – თუ საჭირო შეიქმნა, მესამე გამოცემისათვის უფრო გულდასმით მოვემზადებით და შინაარსის მხრივ წიგნს გავაფართოებთ. ახლა კი ხელახლა იმას ვაწვდით მკითხველს – რისი დამზადებაც მოვასწარით“ [11]. ყურადღებას მივაპყრობთ, რამდენიმე გარემოებას: დავინწყოთ

იმით, რომ აქედან კარგად ჩანს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდნენ ისინი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობას და რა რთულ პირობებში უხდებოდათ ამ საშური საქმის კეთება. ამგვარი თვითკრიტიკული დამოკიდებულება მისასაღმებელი უნდა იყოს და ამ კარგი საქმის წარმატებით დაგვირგვინების საიმედო გარანტიად გვევლინება. სამწუხაროდ, პოლიტიკური ქართველების გამო, ეს ასე არ მოხდა [12, 229-230].

როგორც ჩანს, ეს ამ სფეროში მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო, რომელზე მუშაობის დაწყება მათ მოასწრეს. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ამას ექნებოდა გაგრძელება და დაწყებულ საქმეს ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანდნენ. ეს ჩანაფიქრი ასე წარმოგვიდგენია: პირველი საფეხური იყო სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება, რომლის გაკეთებაც მოასწრეს. ამას მოჰყვებოდა მეორე საფეხური. დაიწყოებოდა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რომელიც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ კარგი ტრადიციის გაგრძელება იქნებოდა, რომელსაც სათავე დაუდო სასკოლო სახელმძღვანელოებმა. მათი ჩანაფიქრის დასკვნით აკორდად, მესამე საფეხურად, გვევლინება, წინარეისტორიული ხანის მეცნიერული შესწავლის და პოპულარიზაციის ფართოდ გაშლა. ამის შესაძლებლობა და პოტენციალი ნამდვილად არსებობდა.

ამგვარად, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეძლებისდაგვარად შეეცადნენ წინ წაენიათ წინარე ისტორიული ხანის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. მან ძირითადად სკოლის სახელმძღვანელოებში პოვა ასახვა. სულ ეს იყო რისი გაკეთებაც მათ მოასწრეს. ამიტომ, ჩვენი აზრით, ეს მონაკვეთი საქართველოში წინარეისტორიული ხანის გაშუქების პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული. სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ ამ დარგის აკვანი დაირწა დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის სულის ხსენების დღეს, გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს ეკალივით



ესობოდათ თვალში და გულს უკლავდა ბოლშევიკებს და ძალისხმევას არ იშურებდნენ, რომ როგორმე ამოეშალათ ქართული საზოგადოების ცნობიერებიდან, მაგრამ ამოდ დაშვრნენ, სრული ფიასკო განიცადეს.

უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, გამრუდებული იქნა საქართველოში წინარეისტორიული ხანის გაშუქების საერთო სურათი და პერიოდიზაცია. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღგვედგინა სამართლიანობა. ეს თემა ამჟამად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. საქართველოში წინარეისტორიული ხანის ისტორიით დაინტერესება პირობით სამ პერიოდად შეიძლება დავყოთ:

1. წინარეისტორიული ხანით დაინტერესება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.
2. წინარეისტორიული ხანის საკითხების გაშუქება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში 1921-1991 წლები.
3. წინარეისტორიული ხანის საკითხების დამუშავება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება. ეს სქემა სავსებით შეესატყვისება საქართველოში ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის შესწავლის განვლილ გზას. ის იდენტურია.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ იმ ცვლილებების მნიშვნელობის გადაჭარბება, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასაბჭოებამდე ქართულ რეალობაში, ცხადია, ზედმეტია. საქმე გვაქვს ამ ნოვაციების და სიახლეების მხოლოდ კონტურებთან, წანამძღვრებთან, სიმპტომებთან, პირველ ნიშნებთან. იკვეთება საქართველოში წინარეისტორიული ხანის შესწავლის წინაპირობა. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე, როდესაც ამ საკითხზე ქართულ ენაზე, პრაქტიკულად, არაფერი იწერებოდა, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, ის უნაკლო ვერ იქნებოდა.

საქართველოში წინარეისტორიული ხანის გაშუქების დროს სწორი, მეცნიერული, გზით მიდიოდნენ. სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდათ არჩეული, სწორ აქცენტებს სვამდნენ, სწორ არჩევანს აკეთებდნენ. უპირატესად, ორიენტირებული იყვნენ თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, შემთხვევითი არაა და ორი გარემოებით შეიძლებოდა ყოფილიყო განპირობებული. პირველ ყოვლისა, მასში 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს გამოძახილს ვხედავთ, მეორეს მხრივ კი ის ევროპული, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმა.

ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს არ ჩამორჩეს, ფეხი აუწყოს იმ ნოვაციებს და სიახლეებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიულ მეცნიერებაში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ სახელმძღვანელოების ერთ-ერთ მთავარ ღირსებას წარმოადგენს. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა და მისი შუა გზაზე მიტოვება მოუხდათ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ 1921 წელს ქართული ისტორიოგრაფია იძულებული გახდა გადაეხვია არჩეული გზიდან და მისმა განვითარებამ სულ სხვა მიმართულება შეიძინა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, როგორც ეს არაერთგზის აღგვინიშნავს, ძნელია წარმოვიდგინოთ.

საქართველოში წინარეისტორიული ხანის გაშუქება, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან, ერთგვაროვან, ხასიათს, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში ეგონათ და საინტერესო ფერიცვალება, სახეცვლილება განიცადა, რომელიც უფრო სპირალისებურად, ზიგზაგისებურად, წარმოგვიდგენია. ასე უფრო ადეკვატური იქნებოდა. როგორც უკვე ითქვა, თავდაპირველად,

ისინი ორიენტირებული იყვნენ თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე. ეს არის საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. სახელმწიფო ცდილობს არ ჩაერიოს მეცნიერების საქმიანობაში და ძალით არ მოახვიოს მას თავს სასურველი მიდგომა.

მკვეთრი მეთამორფოზი ხდება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ეს, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ პრიორიტეტი ენიჭება სულ სხვა ღირებულებებს. ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის უგულებელყოფა, ცხადია, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა კვლავ ძალაში რჩება, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა, საბჭოთა კავშირში დამყარდა ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების უნიფიკაციას, სტალინიზაციას. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო, უმაღლეს რუმეცნიერულად ცხადდებოდა, იდევნებოდა. ამან გამოიწვია საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუფერულება. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები სწორედ აქ ძევს.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს, თავი დააღწიოს ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენას, ცდილობს სწორ გზაზე დაბრუნებას, საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის რეანიმაციას. უნდა ითქვას, რომ გაკეთებული ბევრია, მაგრამ გასაკეთებელი - უფრო მეტი.

ამ რაკურსით საკითხის გამუქება სამუალებას გვაძლევს კიდევ ერთი საინტერესო დასკვნა გავაკეთოთ. საქართველოში წინარეისტორიული ხანის გამუქება შეუქცევად ხასიათს იძენს, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ

დიდი ხნის განმავლობაში, არამედ ცოტა უფრო ადრე, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ სფეროში თვისებრივი, ხარისხობრივი ცვლილებები ხორციელდება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს იმ წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები: დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე.

ამ დარგის ტერმინოლოგიის შემუშავება თავის პირველ ნაბიჯებს დგამს არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიო-გრაფიაში, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, არამედ შედარებით უფრო ადრე, 1918-1921 წლებში, თავისუფალ საქართველოში. კიდევ ერთი საბჭოთა მითი ბათილდება.

აი, ასეთი იყო რეალობა, რომელიც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, დიდი ხნის განმავლობაში, ქართული საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. ამგვარი მიდგომა ძალზე იდეოლოგიზებული, პოლიტიზებული იყო. ასეთი იყო პოლიტიკური ნება.

ახლა მოდით, სხვა კუთხით შევხედოთ ამ თემას. ის აღნიშნული დარგის ევოლუციის გამოძახილია, მისი გაგრძელებაა. საუბარია მის საერთო სურათზე და საკვანძო მომენტებზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის პერიოდიზაციასთან.

ჩვენი აზრით, საქართველოში ამ დარგით დაინტერესების ათვლის წერტილად აღებული უნდა იქნეს, არა საქართველოს გასაბჭოება, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა წლებში, არამედ 1918 წელს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა. მან, უმთავრესად, ასახვა პოვა წინარეისტორიული ხანის სასკოლო სახელმძღვანელოებში. სულ ეს იყო რისი გაკეთებაც მოასწრეს. ჩვენი აზრით, ეს მონაკვეთი საქართველოში წინარეისტორიული ხანით დაინტერესების პირველ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წელს იწყება ამ დარგის განვითარების მეორე პერიოდი, რომელიც საბჭოთა რეალობასთან ასოცირდება.

ამ დარგში საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევის შელამაზებულად წარმოჩენა დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ [13].

ამ დარგში საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები მოკრძალებულად გამოიყურება. ეს, პირველ ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ ამ საგანში მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელო არ მოგვეპოვებოდა. ამას გააჩნდა თავისი რეზონი, აზრი და მასში, უწინარესად, საბჭოთა რეალობის გამოცხადილს ვხედავთ. ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით აიხსნება, რომ უპირატესობა ენიჭებოდა რუსული სახელმძღვანელოების თარგმნას [14, 15].

ისინი ირჩევენ სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას და მას მარქსისტული პოზიციებიდან აშუქებენ. მაშინ ამ გზით ძალიან ბევრი მიდიოდა. ეს იმ ექსტრემალური ვითარებიდან ერთ-ერთი რეალური გამოსავალი ჩანდა. არჩევანი იყო უარესსა და ცუდს შორის. მათ ფსონი ამ უკანასკნელზე დადეს. ეს იმ პირობებში სწორი ნაბიჯი იყო. არჩევანი არ არსებობდა. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო, უმალ ცრუმეცნიერულად ცხადდებოდა, იდევენებოდა. მარქსისტული მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. ამ კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა, ცხადია, არ ღირს. ფაქტობრივად, ამან გადაარჩინა დარგი დაღუპვისაგან. თუ არა ეს კომპრომისი, დღეს ამ სფეროში მშობლიურ ენაზე ის მწირი ინფორმაციაც არ გვექნებოდა, რაც გაგვაცნია. საბოლოო ჯამში ამას მოყვა ამ დარგის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუფერულება. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს ყველაზე უფრო ადეკვატური შეფასება უნდა იყოს. თუ ამ პრობლემებს მარქსისტულ გარე სამოსს შემოვაცლით ღირებული უეჭველად გვრჩება ხელში და ეს მასალა უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი. აქ თავმოყრილი მეცნიერული ინფორმაცია ღირებულია. მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და მისი გამოყენება გამორიცხვულად არ მიგვაჩნია. ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი

აშკარაა და ამის უგულებელყოფა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ეს საკითხი ჩვენ აი, ასე გვესახება.

საბჭოთა კავშირის დაშლით 1991 წლის მიწურულს იწყება საქართველოში წინაისტორიული ხანით დაინტერესების მესამე პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს, თავი დააღწიოს ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას და სწორ გზას დაუბრუნდეს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი მთავარი პლუსია, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ამ სფეროში პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები ფრიად მოკრძალებულად გამოიყურება. ეს, უმთავრესად, სკოლის სახელმძღვანელოებია [16, 17].

ფორმაციული პრინციპიდან ცივილიზაციურ მიდგომაზე გადასვლა, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ, წინგადადგმული ნაბიჯია. ეს, ცხადია, პროგრესია, მაგრამ გარკვეული უკმარისობის გრძნობა მაინც რჩება, რა არის ეს? პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, საქმე შეეხება თვით ტერმინს „ცივილიზაციას“ აქ უფრო მეტი გამჭვირვალებობა იქნებოდა სასურველი [18, 3-12], როგორც აღნიშნავენ ისტორიკოსები „უმთავრესად აქცენტი კეთდება კულტურულ-რელიგიურ, ეთნოცივილიზაციურ ფაქტორებზე ისტორიაში, ხოლო სხვა ფაქტორები, პრაქტიკულად კადრს მიღმა აღმოჩნდა. არ ჩანს დინამიკა ისტორიული პროცესის სოციალური ევოლუციის მექანიზმში. უფრო ნაყოფიერი უნდა იყოს სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობა და მათი ურთიერთგემოქმედება“ [19, 2].

და ბოლოს დავძენთ, ეს სქემა სავსებით შეესატყვისება საქართველოში ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის შესწავლას და ამიტომ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ფაქტობრივად საქმე გვაქვს საქართველოში უძველესი ისტორიის შესწავლის წარსულთან, მის ევოლუციასთან, საკვანძო მომენტებთან.

### დამონმებული ლიტერატურა:

1. კალანდაძე მ., ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება, თბილისი, 2021.
2. კალანდაძე მ., საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის შესწავლის ძირითადი ეტაპები, ქართული დიპლომატია, ნელინდეული 19, თბილისი, 2021.
3. კალანდაძე მ., ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბილისი, 2009.
4. კალანდაძე მ., ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი პირველი, თბილისი, 2011.
5. მ. კოვალევსკი, ოჯახი, კერძო საკუთრების განვითარება. თარგმნა სპ. ჭელიძემ, ბათუმი, 1905.
6. უზნაძე დ., ისტორია პირველყოფილი კულტურისა, თბილისი, 1919.
7. ჭუმბურიძე თ., პირველყოფილი კულტურა: პირველი კლასის კურსი. გადმოკეთებული დ. კუდრიავსკის წიგნიდან, ქუთაისი, 1919.
8. ნათაძე გრ., პირველყოფილი კულტურა, პირველი კლასის კურსი, სურათებით, თბილისი, 1920.
9. ნამორაძე ალ., პროფესორი გრიგოლ იასონის-ძე ნათაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77, 1959.
10. დ. უზნაძე, ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, ქუთაისი, 1917.
11. უზნაძე დ., პირველყოფილი კულტურის ისტორია, თბილისი, 1919.
12. კალანდაძე მ., დიმიტრი უზნაძე, როგორც ისტორიკოსი, ანალები, 9, 2013.
13. ენგელსი ფრ., ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, თბილისი, 1978.
14. კოსვენი მ., პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები, თარგმნა გ. ჩაჩაშვილმა, თბილისი, 1971.
15. პერშიცი ა., მონგაიტი ა., ალექსეევი კ., პირველყოფილი საზოგადოების ისტორია, მთარგმნელი გ. ავალიშვილი,

თბილისი, 1988.

16. თვალთაშვილი ქ., ჩიკვაიძე ც., ძველი მსოფლიო ისტორია, VI კლასის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005.
17. ბოლოთაშვილი გ., ცივილიზაციების ისტორია, XI კლასის სახელმძღვანელო, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2005.
18. Хачатурян В., Проблемы изучения сравнительной истории цивилизации, Преподавание истории в школе, №5, 1991.
19. Васильев Л., Всемирно-исторический процесс: Концептуальный анализ Преподавание истории в школе, №3, 1993.

**Merab Kalandadze**

*Doctor of historical sciences, Ivane Javakhi-  
shvili Tbilisi State University, associated pro-  
fessor*

## **THE EVOLUTION OF THE PREHISTORIC AGE STUDIES IN GEORGIA**

### **Summary**

We have developed a different vision of World History studies in Georgia, which fundamentally opposes Soviet perspective. We tried to develop different approach to separate components of World History studies in Georgia: Ancient History studies in Georgia, Medieval History studies in Georgia, Modern History studies in Georgia.

This paper is the first attempt to develop new perspective on World History studies in Georgia, particularly Prehistory studies. The Soviet representation on the mentioned issue was extremely one-sided, ideologized and has no scientific basis. The main postulate of the Soviet approach is the complete neglect and ignorance of the predecessor's contribution.



We consider that the beginning of the field of Prehistory after sovietization of Georgia is not correct. Prehistory studies began developing a little earlier, back in 1918-1921, in the Democratic Republic of Georgia.

The opening of Tbilisi State University by Ivane Javakhisvili on February 8, 1918, and the declaration of Georgia's independence on May 26, 1918, appears to be milestones in the development of this field.

The periodization of the mentioned issue can be conditionally divided into three periods: 1. Prehistoric era studies in Georgian historiography of the Soviet period in 1918-1921. 2. Prehistoric era studies in the Soviet period. 3. Prehistoric era studies in post-Soviet Georgia (from 1990ies).

Mostly by the efforts of the totalitarian-Bolshevik regime the general picture and periodization of the development of this field in Georgia were distorted. In our paper we have attempted to correct this discrepancy.

As it turns out, in 1918-1921, the Democratic Republic of Georgia made its contribution and tried as much as possible to advance the periodization and World History studies, including the Prehistoric era, in Georgia. This interest was mainly reflected in the first national school textbooks in the prehistoric age. At that time, when practically nothing was written about the Prehistoric era, this was a step forward. The activity of Georgian scientists in this field in 1918-1921 did not go beyond the first steps and unfortunately, due to political cataclysms, they did not have chance to bring Prehistoric studies to the end.

## თამარ ანთაძე

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული  
ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი*

### **პროფესორი გივი კილურაძე – ახალგაზრდა მეცნიერთა გზამკვლევი**

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი პროფ. გივი კილურაძე (1922-1978) ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახლდათ, როგორც ახალი ისტორიის და ისტორიოგრაფიის ჩინებული მკვლევარი და პოპულარიზატორი, მაგრამ მცირე ნაწილმა თუ იცოდა მისი მოღვაწეობის კიდევ ერთი საინტერესო ასპექტის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ახალგაზრდა, ნიჭიერი მეცნიერების მოძიებაში, მათ წინსვლასა და ხელმძღვანელობაში. თუმცა ნაადრევი გარდაცვალების გამო (1978 წლის 5 აგვისტო) პროფ. გივი კილურაძემ, ამ მიმართულებით მხოლოდ მცირედის გაკეთება მოასწრო.

პროფ. გივი კილურაძის ხელმძღვანელობით მეცნიერებაში პირველი ნაბიჯები გადადგეს, დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში მოღვაწე ისტორიკოსების ერთმა ჯგუფმა: ისტორიკოსი კონსტანტინე (კოტე) ბოჭორიშვილი, პროფ. მერაბ კალანდაძე, პროფ. ნაირა მამუკელაშვილი, ისტორიკოსი გიორგი ბეჟუაშვილი, ისტორიკოსი პაატა ფირანიშვილი და პროფ. ვასილ კაჭარავა. მათ ისტორიულ მეცნიერებაში თავისი საქმიანობა პროფ. გივი კილურაძის ხელმძღვანელობით დაიწყო, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ პროფ. კოტე ანთაძის ხელმძღვანელობით გააგრძელეს და პირველ წარმატებებს მიაღწიეს. ეს პროფ. გივი კილურაძის როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელის წარმატება იყო.

შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერ-ხელმძღვანელობა არ იყო მისი მოწოდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი არ ზრუნავდა ნიჭიერი ახალგაზრდების მოძიებაზე და მათ წინსვლაზე. ჩვენი აზრით, გივი კილურაძე არ შემცდარა არჩევანში.

იმ ექვსეულიდან, რომელმაც მეცნიერებაში თავისი საქმიანობა

მისი ხელმძღვანელობით დაიწყო ორმა, პროფესორმა ნაირა მამუკელაშვილმა და მერაბ კალანდაძემ დაიცვეს სადოქტორო დისერტაცია, ხოლო დანარჩენმა ოთხმა: კონსტანტინე ბოჭორიშვილმა, გიორგი ბეჟუაშვილმა, პაატა ფირანიშვილმა და ვასილ კაჭარავამ წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო დისერტაცია.

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს ისაუბროს ისტორიულ მეცნიერებაში გივი კიდურაძის გუნდის წევრების მიერ შეტანილ წვლილზე. ამ კუთხით საკითხის გაშუქება, საინტერესოა და ქართულ ისტორიოგრაფიაში მათი წვლილის განხილვის პირველი მცდელობაა. ეს მეცნიერის საქმიანობის საგულისხმო ასპექტია, რომელიც აქამდე, ფაქტობრივად, არ გამხდარა საგანგებო მსჯელობის საგანი. ეს სტატია პროფ. მერაბ კალანდაძის ნაშრომის „პროფ. ალექსანდრე ნამორაძე და მისი გუნდი“-ს ლოგიკური გაგრძელებაა.

წელს ღვანლმოსილ მეცნიერს 100 წელი შეუსრულდებოდა და გადავწყვიტეთ გაგვეშუქებინა მისი საქმიანობის ის მხარე, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებადაა ცნობილი.

\* \* \*

ამ თემაზე საუბარი ისტორიკოსის კონსტანტინე (კოტე) ბოჭორიშვილის მეცნიერული შემოქმედებით უნდა დავიწყოთ. მის შრომებს საკავშირო აღიარება ხვდა წილად, რაც იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო.

აღსანიშნავია, რომ მას დისერტაციის თემა თავად პროფ. გივი კიდურაძემ შეურჩია, „საფრანგეთის არმია, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა კონსულობის და იმპერიის პერიოდში (1799-1815 წლებში)“ [1]. ასეთი არჩევანი, შემთხვევითი არ არის და როგორც სპეციალისტები აღნიშნავდნენ, პროფ. გივი კიდურაძის სადოქტორო დისერტაციასთან პირდაპირ კავშირშია [2. 3].

კონსტანტინე ბოჭორიშვილის დასახელებული ნაშრომი საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიაში დაწერილი ერთ-ერთი საინტერესო დისერტაციაა. ამ ნაშრომმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი წვლილი და ადგილი

ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. განსაკუთრებით ფასეულია ის დადებითი შეფასება, რომელიც კონსტანტინე ბოჭორიშვილის ნაშრომს მისცეს ნაპოლეონის ეპოქის ცნობილმა მკვლევრებმა პროფ. ჯუჩი ტუგან-ბარანოვსკიმ, პროფ. ვლადლენ სიროტკინმა და პროფ. ეფიმ ჩერნიაკმა. ეს იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის გადასახედიდან ქართული ისტორიოგრაფიის საკავშირო, ხოლო დღევანდელი გადასახედიდან კი, მისი საერთაშორისო აღიარებაა. სავსებით ვიზიარებთ სპეციალისტების მოსაზრებას, რომ ნაპოლეონის არმიის წარმატებების მთავარი მიზეზი მართო მატერიალური წახალისება არ ყოფილა. ამ საკითხზე საუბარს მეტს აღარ გავაგრძელებთ, რადგან ის ვრცლად არის განხილული პროფ. მერაბ კალანდაძის ორ საინტერესო ნაშრომში, რომელიც კონსტანტინე ბოჭორიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის გაშუქების პირველ მცდელობაა [4. 5]. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა გამოვთქვათ ერთი მოსაზრება, რომელიც კონსტანტინე ბოჭორიშვილის მიერ შეტანილ წვლილზე უფრო სრულყოფილ წარმოდგენას შეგვიქმნის. როგორც ეტყობა, პროფ. მერაბ კალანდაძეს უნებურად გამორჩა კონსტანტინე ბოჭორიშვილის რეცენზია პროფ. ჯუჩი ტუგან-ბარანოვსკის საინტერესო წიგნზე „ბონაპარტიზმის სათავეებთან, ნაპოლეონის რეჟიმის წარმოშობა“ [6]. სავარაუდოდ, მან ვერ მოასწრო მისთვის ეჩუქებინა ეს ნაშრომი, მაგრამ ეს არ ამართლებს ამ ნაბიჯს [7]. მისი საქმიანობის ყველაზე უფრო ნაყოფიერი ხანაა 80-იანი წლები. შემდგომში, ის რატომღაც გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ჩამოშორდა ისტორიულ მეცნიერებას.

პროფ. გივი კილურაძის გუნდის კიდევ ერთი წევრია, პროფ. მერაბ კალანდაძე. მისი მეცნიერული მემკვიდრეობა არის უაღრესად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი. წინამდებარე ნაშრომის ეს მონაკვეთი სწორად მერაბ კალანდაძის მეცნიერული შემოქმედების გაშუქებას ეხება და აგრძელებს იმ ხაზს, რომელიც მოცემულია კათედრის ისტორიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში [8, 96-99].

მან შეძლო ისტორიულ მეცნიერებაში მოექცენა თავისი

ადგილი. რა თქმა უნდა, ეს არის „მსოფლიო ისტორიის შესწავლა საქართველოში“ და არა ერთი ნაშრომი მიუძღვნა აღნიშნულ პრობლემას. საკითხისადმი მსგავსი მიდგომა უცხო არ არის მსოფლიო ისტორიოგრაფიისათვის, აქედან გამომდინარე მერაბ კალანდაძე შეეცადა ეს კარგი ტრადიცია ქართულ ისტორიოგრაფიაში დაენერგა [9].

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მერაბ კალანდაძის დამსახურებად მიგვაჩნია:

1. მისი ყურადღება მიიპყრო ისეთმა საინტერესო მეცნიერულმა პრობლემამ, როგორცაა „მსოფლიო ისტორიის შესწავლა საქართველოში“. ეს იყო სიახლე, რომელსაც ქართული კონტექსტი გააჩნდა და აღნიშნული პრობლემის გაშუქების პირველ მცდელობას წარმოადგენდა. მან მეცნიერული კვლევა რამდენიმე მიმართულებით აწარმოვა; ა. ანტიკური ისტორიის, წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის შესწავლა საქართველოში. ფაქტობრივად, მერაბ კალანდაძემ დაიწყო ქართული ანტიკოლოგიის შესწავლა. ბ. შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლა საქართველოში. შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს, ქართულ მედიევისტის ისტორიასთან. გ. ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლა საქართველოში. პრაქტიკულად, მან დაიწყო ამ დარგის ისტორიის წერა. დ. კიდევ ერთ სიახლეს წარმოადგენს საქართველოში ისტორიის თეორიული საკითხების, ისტორიოგრაფიის, ისტორიის ფილოსოფიის და ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხების გაშუქება.

პროფ. მერაბ კალანდაძემ მოგვცა აღნიშნული საკითხის სრულიად განსხვავებული ხედვა, რომელიც მიზნად ისახავს ამ სფეროში საბჭოთა წარმოდგენების გადახედვას. მის მთავარ თეზად, ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილის რეაბილიტაცია გვევლინება, იგი საბჭოთა პერიოდში, სრულიად უსამართლოდ იქნა მივიწყებული. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. მან ხაზი გაუსვა, რომ „საბჭოთა მიდგომა იყო უადრესად ცალმხრივი, მეტად ტენდენციური, ყოველგვარ

მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია, ძირშივე მცდარია, ძალზე ხისტია, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ანტიეროვნული და არაპატრიოტულია“. მერაბ კალანდაძემ სცადა გაესწორებინა საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საერთო სურათი და პერიოდიზაცია, რომელიც უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, გამრუდებული იქნა. მერაბ კალანდაძემ ეს განსხვავებული მიდგომა განავრცო მსოფლიო ისტორიის ცალკეულ კომპონენტებზე, ძველი მსოფლიოს, შუა საუკუნეების და ახალ ისტორიაზე, აგრეთვე მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხებზე და გამოჩინილ პიროვნებებზე. მან ცხადყო, რომ „ამ დარგში თავისი საქმიანობა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას ცარიელ ნიადაგზე, ნულიდან კი არ დაუწყია, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ კარგად მომზადებული ნიადაგი დახვდა, რის მიჩქმალვას, მიჩუმათებას, ამაოდ ცდილობდნენ“.

შეიძლება ითქვას, რომ მერაბ კალანდაძე ახალ ამპლუაში გვევლინება, მან პირველი ნაბიჯი გადადგა და დაიწყო ქართული ანტიკოლოგიის ისტორიის შესწავლა. მერაბ კალანდაძემ შეიმუშავა ქართული ანტიკოლოგიის განვითარებისადმი სრულიად სხვაგვარი მიდგომა, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა საბჭოთა წარმოდგენისაგან. წინამორბედების წვლილის უარყოფის ხარჯზე ხდებოდა საბჭოთა რეალობის განდიდება [10. 11]. ქართული ანტიკოლოგიის აკვანი დაირწა ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადაიდგა პირველი ნაბიჯები, დაიწყო მუშაობა, ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. მეტის გაკეთება ვერ მოასწრეს.

ყურადღებას იპყრობს მისი საინტერესო შრომები პროფ. გრ. ნათაძეზე, პროფ. გივი გამრეკველზე, პროფ. დიმიტრი უზნაძეზე. მეტად თბილი მოგონება პროფ. ნოდარ ლომოურზე. მცირე მოცულობის სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი „შილერი და პერიკლე“. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ის აგრძელებს ამ მიმართულებით თავის მუშაობას.

პროფ. მერაბ კალანდაძის საქმიანობის მეორე მიმართულებას წარმოადგენს ქართული მედიევისტიკის ისტორია. ეს არის სრულიად ხელუხლებელი თემა, რომლის დამუშავებასაც იგი შეეცადა. მან დადო ამ დარგის ისტორიის სრულიად სხვა სურათი, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა საბჭოთა წარმოდგენებისგან. მერაბ კალანდაძემ ცხადყო, რომ ქართულ მედიევისტიკას იმაზე ცოტათი უფრო ხანგრძლივი წარსული გააჩნია, ვიდრე ეს საბჭოთა წლებში ეგონათ. მისი ათვლა 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებით კი არ უნდა დავინწყოთ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა რეალობაში, არამედ ცოტა უფრო ადრიდან. ეს თვალსაზრისი შემთხვევითი არ არის და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების გამოძახილია [12]. ფაქტობრივად, მან მოგვცა ამ დარგის განვითარების სულ სხვა მიდგომა, გადასინჯა მისი საერთო სურათი და პერიოდიზაცია. მერაბ კალანდაძემ საგანგებოდ შეისწავლა არა მარტო ცალკეული ისტორიკოსების წვლილი ქართულ მედიევისტიკაში, არამედ დაინტერესდა ქართული მედიევისტიკის წარსულით, მისი ისტორიით და საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლით და პოპულარიზაციით.

კიდევ ერთ საყურადღებო თემას წარმოადგენს ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლა საქართველოში. ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს მისი სოლიდური მონოგრაფია – „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის პრობლემების შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“. ეს გახლავთ მისი მთავარი ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს პირველ სერიოზულ ნაბიჯს ცნობილი ისტორიკოსების პროფ. ნიკოლოზ დუბროვსკის (1874-1943), პროფ. გრიგოლ ნათაძის (1878-1951) და პროფ. ალექსანდრე ნამორაძის (1890-1958) სამეცნიერო შემოქმედების გაშუქების გზაზე. როგორც თავად აღნიშნავს, მერაბ კალანდაძე – შეეცადა, თავიდან აეცილებინა ორი უკიდურესობა, მათი სამეცნიერო შემოქმედების არც გადაჭარბებით დადებითი შეფასება, არც შეუფასებლობა და შესაბამისად საშუალებდო გზის

მოძიება. ამ წამოწყებას გააჩნდა გაგრძელება, ის მოიაზრებდა შემდეგ ეტაპად მათი მოსწავლეების, რომლებიც მისი მასწავლებლები იყვნენ, შემოქმედების გაშუქებას, რომელსაც წმინდა მეცნიერულ მნიშვნელობასთან ერთად, თან ახლდა მადლიერების გრძნობის გამოხატვა. ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მისი გამოკვლევა, პროფესორ კოტე ანთაძეზე [14]. საინტერესოა მერაბ კალანდაძის შრომები გივი კილერაძეზე, ვარლამ დონაძეზე, ილია ტაბაღუაზე, ნოდარ კიკვაძეზე, გერმან სიმონიძეზე, მიხეილ მამფორიაზე, ვლადიმერ (ვოვა) ივანოვზე, რევაზ ლასკარზე, ირინე ნოდიაზე, ნაადრევად გარდაცვლილ ახალგაზრდა, იმედისმომცემ ისტორიკოსზე რამაზ ცუხიშვილზე, მოგონებები მარიკა ლორთქიფანიძეზე და ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილზე. ფაქტობრივად ეს შრომები წარმოადგენს მათი შემოქმედების განხილვის პირველ მცდელობას.

კიდევ ერთ საინტერესო სიახლეს წარმოადგენს მისი გამოკვლევები საქართველოში ახალი ისტორიის ცალკეული საკვანძო საკითხების და გამოჩენილი პიროვნებების შესახებ. საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის მოღვაწეობის დამუშავება საქართველოში. მან საძირკველი ჩაუყარა ქართული ნაპოლეონიანის შესწავლას, ინგლისის რევოლუციის შესწავლას საქართველოში, ინგლისში სამრეწველო გადატრიალების გაშუქება საქართველოში. ნიდერლანდების რევოლუციის ისტორიით დაინტერესება საქართველოში. ამერიკის აღმოჩენის შესწავლა საქართველოში, ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლის წყაროთმცოდნეობის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში. 1861-1865 წლების აშშ-ში სამოქალაქო ომის გაშუქება საქართველოში. პარიზის კომუნის შესწავლა საქართველოში. ორივე ამ მიმართულებით ის განაგრძობს თავის საქმიანობას.

მერაბ კალანდაძის შემდგომი სამეცნიერო კვლევის საინტერესო მიმართულებებია საქართველოში ისტორიის თეორიული საკითხების შესწავლა: ისტორიოგრაფია, ისტორიის ფილოსოფია, მერაბ კალანდაძის ისტორიის მეთოდოლოგია. იგი ფიქრობს, რომ საქართველოში ამ თემატიკის შესწავლა სულაც არ ასოცირდება საბჭოთა რეალობასთან, როგორც თავად აღნიშნავს, მას თავისი,



ისტორია გააჩნია. პრობლემა თავის პირველ ნაბიჯებს უკვე XIX საუკუნეში დგამს. მერაბ კალანდაძის ღრმა რწმენით, ეს ინფორმაცია არსებული თემატიკით დაინტერესების შესავალს წარმოადგენს, რომელსაც შემდგომში სულ სხვა გაგრძელება ჰქონდა [15, 266-270].

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ალექსანდრე ორბელიანის, ნიკო ნიკოლაძის, ვარლამ ჩერქეზიშვილის და ნოე რამიშვილის ნაწერები.

მან გამოავლინა, რომ საქართველოში ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხებით დაინტერესება უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდგომ პერიოდში. ხაზი გაუსვა, რომ ამ დაინტერესების პირველმა ნიშნებმა თავი იჩინა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში. მისი ღრმა რწმენით, საქართველოში ახალი ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში ეტაპობრივ მოვლენად გვევლინება 1918 წელს ივ.ჭავჭავაძის მიერ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

ამ პრობლემატიკასთან მჭიდრო კავშირშია კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც გვერდს ვერ აუვლით. მისი დაინტერესება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის თემატიკით. ეს წარმოადგენს ამ პრობლემის მეცნიერული შესწავლის და პოპულარიზაციის შერწყმასა და შეხამებას. პირველს, ცხადია, ქართული კონტექსტი გააჩნია და მიზნად ისახავს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკითხების შესწავლას და გაშუქებას [16], მეორე კი ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკითხების პოპულარიზაციას, რომელსაც წმინდა შემეცნებითი ხასიათი გააჩნია და კომპილაციას წარმოადგენს.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. მერაბ კალანდაძე ინტერესდება საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლით და რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ამ თემაზე მონოგრაფიის დაწერა აქვს განზრახული.

მოკლე რეზიუმე: განსხვავებული მიდგომის მთავარ დედააზრად, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს პროფ. მერაბ

კალანდაძის სამეცნიერო შემოქმედებას, გვევლინება დებულება: მან სიმძიმის ცენტრი საქართველოს გასაბჭოებიდან ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილზე გადაიტანა. მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში მას ეტაპობრივ მოვლენად ესახება, არა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია, არამედ 1918 წელს ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი მცირე წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაენია საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლა და პოპულარიზაცია. რომელთაც, უმთავრესად, ასახვა პოვეს მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. დროის იმ მცირე მონაკვეთში მეტის გაკეთება ვეღარ მოასწრეს. ეს არ იყო პატარა საქმე და იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი გახლდათ. ის ხაზს უსვამს, რომ გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფია სწორი გზით მიდიოდა და თუ არა პოლიტიკური ქართველები, არსებობდა იმის დიდი ალბათობა, რომ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ, მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართა, რომელსაც მერაბ კალანდაძე მიიჩნევს სწორი გზიდან გადახვევად. მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის თემატიკით დაინტერესებამ საინტერესო გზა განვლო და სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან, ერთგვაროვან, ხასიათს, როგორც ეს საბჭოთა წლებში ეგონათ. მან ამ დარგის განვითარების სულ სხვა სურათი დადო, რომელიც განსხვავდებოდა საბჭოთა წარმოდგენისაგან. სიახლე სწორედ ამაში მდგომარეობდა.

2. კიდევ ერთი კარგი ნამოწყება, რომელიც მის სახელთანაა დაკავშირებული, მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვას ეხება.

იკვთება რამდენიმე საინტერესო მიმართულება: თავდაპირველად მან პროფ. კოტე ანთაძესთან და პროფ. კარლო მეშველიანთან ერთად, გადასინჯა მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია და შეეცადა ის საერთაშორისო სტან-

დარტებთან შესატყვისობაში მოეყვანა [17]. მან გააგრძელა დაწყებული საქმე, აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ ის შეეცადა გადაესინჯა ცალკეული ეპოქების, პირველ რიგში კი, შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია. მერაბ კალანდაძემ სცადა ეს მიდგომა გაევერცხლებინა მსოფლიოს ცალკეული დიდი ქვეყნების საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, ესპანეთის, რუსეთის ისტორიის პერიოდიზაციაზე. კატეგორიულად უარყო ამ ქვეყნების ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია და სცადა ეს საკითხი ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაებრუნებინა და ბოლოს დავძენთ, რომ მერაბ კალანდაძე კატეგორიულად უგულვებელყოფს ისტორიული აზროვნების, საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორიის მარქსისტულ პერიოდიზაციას და ცდილობს დაუბრუნდეს საწყის ღირებულებებს, ის მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციასთან შესატყვისობაში მოიყვანოს. ვარგია ამ კონტექსტში საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ჩართვაც [18, 35-44]. მან ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად და პოსტსაბჭოთა სივრცეში შეიძლება ერთ-ერთმა პირველმა, კატეგორიულად უგულვებელყო მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია.

3. მესამე პრობლემა რომლის დამუშავებას ხელი მოკიდა მეცნიერმა გახლავთ ისტორიულ-ლიტერატურული თემატიკა, რომელიც ისტორიოგრაფიული ხასიათისაა. ამ დაინტერესების პიკს, წარმოადგენს მისი საკანდიდატო დისერტაცია. პროფ. გივი კიღურაძემ და პროფ. კოტე ანთაძემ თავის მოსწავლეს დისერტაციის თემად შეურჩიეს საინტერესო და აქტუალური საკითხი „ფრიდრიხ შილერი როგორც ისტორიკოსი“. მუშაობის პროცესში ეს არჩევანი კიდევ უფრო დაკონკრეტდა „ფრიდრიხ შილერი და ახალი ისტორიის პრობლემები“ [19]. იმ პერიოდის გადასახედიდან ასეთი ნაბიჯი სავსებით გამართლებულია. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ეს პრობლემა ნაკლებად არის შესწავლილი. სასურველი იყო მისი გერმანიაში მივლინება, ეს პროფ. გივი კიღურაძეს ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ასეთი ნაბიჯი უწინარესად ნაშრომის თვისებრივ,

ხარისხობრივ, გარდაქმნასთან ასოცირდება.

მერაბ კალანდაძემ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პირველად ხაზგასმით აღნიშნა, რომ შილერი მედიევისტი კი არ იყო, როგორც ეს მიღებული გახლდათ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, არამედ, პირველ ყოვლისა, ახალი ისტორიის მკვლევარია, როგორც ეს იყო გერმანულ ისტორიოგრაფიაში. ეს შრომები საბჭოთა რეალობაში შილერის როგორც ისტორიკოსის გაშუქების ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმული პირველი მოკრძალებული ნაბიჯია.

სპეციალისტების აზრით, აჯობებდა თუ ნაშრომის სტრუქტურა და არქიტექტონიკა დაიხვეწებოდა. მეორე თავში განხილული უნდა ყოფილიყო შილერის დამოკიდებულება საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონისადმი. მესამე თავში კი დანარჩენი სხვა საკითხები. ამ პრობლემას მან კიდევ რამდენიმე საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა. ის არ შემოიფარგლა მარტო შილერის შემოქმედების გაშუქებით და ამ კონტექსტში სხვა მწერლები ჩართო. ყურადღებას იპყრობს მისი შრომები, მოლიერზე, ბაირონზე, შექსპირზე და დიუმაზე.

მართებულად მიგვაჩნია ამ პრობლემატიკაში ქართული კონტექსტის ჩართვა, მისი სიღრმისეული გაშუქების თვალსაზრისით. აღსანიშნავია მერაბ კალანდაძის საინტერესო გამოკვლევა „ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში“ [20]. ეს ქართული ნაპოლეონიანას შესწავლის გზაზე წინგადადგმული პირველი ნაბიჯია და მის მთავარ შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს. კანონზომიერია, რომ ამ გამოკვლევამ სპეციალისტების მონონება დაიმსახურა [21]. მივიღეთ შემდეგი სურათი: ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არსებული პრობლემატიკის პოპულარიზაციის და მეცნიერული კვლევის შერწყმის მცდელობასთან. მისი მნიშვნელობა სწორად ამაში უნდა მდგომარეობდეს.

4. კიდევ ერთი სერიოზული საკითხი, რომელიც პროფ. მერაბ კალანდაძეს აინტერესებდა და იტაცებდა ისტორიოგრაფიის პრობლემატიკასთან ასოცირდება, როგორც თავადვე უყვარს თქმა, ეს თემა პროფ. გივი კილურაძის გავლენის ლოგიკური

შედგება [25, 3]. ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება. პირველი: უნდა აღინიშნოს, რომ მან თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის, ისტორიოგრაფიის პოპულარიზაციის საქმეში. ეს შრომები სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა, შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია და კომპილაციას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მისი შრომები მარკ ბლოკზე, ჟაკ ლე გოფზე, ფერნან ბროდელზე, პიერ შონიუზე, ანრი პირენზე, ფრიდრიხ მაინეკზე, ფილიპ დე კომინიზე, ფრანჩესკო გვიჩარდინიზე, ნიკოლო მაკიაველზე, პავლე არდაშევიზე, ისტორიოგრაფიული მიმოხილვები საფრანგეთის დიდ რევოლუციებზე. ნაპოლეონზე, რობესპიერზე, სენ-ჟუსტზე, კრომველზე, რიშელიეზე, ლუი XIV, შვედეთის მეფე გუსტავ ადოლფზე.

მეორე, კვლავ ქართული კონტექსტის ჩართვის მცდელობასთანაა დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით, საინტერესოდ მიგვაჩნია მისი „ისტორიოგრაფიული ეტიუდების“ პირველი ნაწილის მესამე კარი, რომელიც სულ მთლიანად ამ თემატიკის განხილვას აქვს დათმობილი [15, 232-359], კვლავ საქმე გვაქვს აღნიშნული პრობლემატიკის მეცნიერული კვლევის და პოპულარიზაციის შეხამების მორიგ მცდელობასთან. ამ სფეროში მის მიერ შეტანილ წვლილზე სრულყოფილი ამომწურავი წარმოდგენა, რომ შევიქმნათ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება. აღსანიშნავია, რომ ორივე ამ პრობლემის დამუშავებას ორი პერიოდი გააჩნია. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა. ცხადია, პირველი ასოცირდება საკითხის მარქსისტულ გაშუქებასთან, მეორეში კი პირიქით. ის ცდილობს გათავისუფლდეს ვინაობაგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან. ასეთია ამ შემთხვევაში ჩვენი პოზიცია.

5. აუცილებლად უნდა შევეხოთ პროფ. მერაბ კალანდაძის შრომებს საქართველოს ისტორიაზე. უწინარესად უნდა აღინიშნოს, საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია. მან კატეგორიულად უარყო საქართველოს ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია, რომელსაც საფუძვლად ედო ფორმაციული პრინციპი და მხარი დაუჭირა საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ევროპულ

მოდელს, რომლის სათავეებთან დგას, ყველასაგან, სრულიად უსამართლოდ მივიწყებული ისტორიკოსი, სულხან ბარათაშვილი (ბარათოვი). ქართული დიპლომატიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვა ამ თემის ლოგიკური გაგრძელებაა.

მერაბ კალანდაძემ ისტორიოგრაფიაში პირველად გააშუქა ქართველოლოგიაში პროფ. გრიგოლ ნათაძის და პროფ. კოტე ანთაძის მიერ შეტანილი წვლილი. ამ დარგში მის საუკეთესო ნაშრომად ჩვენ პროფ. უშანგი სიღამონიძემ დაწერილი მონოგრაფია მიგვაჩნია [22].

აღსანიშნავია, მისი დაინტერესება ივანე ჯავახიშვილის თეორიულ-მეთოდოლოგიური ძიებებით, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ჩრდილში რჩებოდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა თითქოს ივანე ჯავახიშვილს ისტორიის თეორიის საკითხები არ აინტერესებდა. დღეს ეს შეხედულება გადასინჯული იქნა. მან ამ საკითხს რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა [23]. კრიტიკულად ცადა გაეაზრებინა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიაში შექმნილი რეალური ვითარება. ის ცდილობს შუალედური გზის მოძიებას, რომელიც, როგორც თავად აღნიშნავს, არ წარმოადგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას და მეცნიერული განსჯის საგანი უნდა გახდეს. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ პრობლემად პროფ. მერაბ კალანდაძეს მისი სიღრმე-სიფართოვეში განვითარება წარმოუდგენია [24, 22-34. 34-82]. მან თბილი მოგონებები მიუძღვნა საქართველოს ისტორიის ცნობილ მკვლევრებს აკად. მარიამ ლორთქიფანიძეს და პროფ. ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილს.

6. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. მერაბ კალანდაძემ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში მსოფლიო ისტორიის, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემების პოპულარიზაციის საქმეში. მან რამდენიმე ათეული ნაშრომი გამოაქვეყნა, რომელიც სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს, წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და კომპილაციას წარმოადგენს. ეს არანაირ ჩრდილს არ აყენებს ამ შრომების მნიშვნელობას. მას წმინდა პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია, რომელიც სტუდენტებს ხელს შეუწყობს ამ თემების შესწავლის პროცესში. ჩვენი აზრით, ამ

მნიშვნელოვან მისიას მან კარგად გაართვა თავი.

პროფ. კოტე ანთაძემ საძირკველი ჩაუყარა ქართულ ისტორიოგრაფიაში მძლავრ ანტიისტალინისტურ მიმართულებას, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლებად მოიაზრებიან პროფ. მერაბ კალანდაძე და პროფ. ნაირა მამუკელაშვილი.

პროფ. ნაირა მამუკელაშვილი პროფ. გივი კიღურაძის გუნდის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში ახალი ისტორიის მეცნიერული შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში. მას განსაკუთრებით აინტერესებდა საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური საკითხები, კონკრეტულად კი, საფრანგეთის დიდი რევოლუციის თემატიკა. პროფ. გივი კიღურაძემ თავის მოწაფეს საინტერესო თემა შეურჩია საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიიდან. მუშაობის პროცესში, როგორც პროფ. მერაბ კალანდაძე იხსენებს, პროფ. ანატოლი ადოსთან კონსულტაციის შემდეგ, მოხდა სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დაბუსტება. საბოლოოდ შეჯერდნენ საკითხზე „ბრძოლა საფრანგეთის პოლიტიკური წყობილების დემოკრატიზაციისათვის 1793 წლის პირველ ნახევარში“ [25]. სადისერტაციო ნაშრომი საკმაოდ რთულია, რადგან ორი მეცნიერების ისტორიის და სამართალმცოდნეობის მიჯნაზეა. ამ სირთულეს მან შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი.

ეს იყო საქართველოში საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე დაწერილი ერთ-ერთი საინტერესო საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც სრულად შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. მარქსისტული სტერეოტიპების და შტამპების გამო ამ ნაშრომის მკაცრად განსჯა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. მას მიუხედავად იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი კონიუნქტურული გადახრებისა, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ასეთად, პირველ ყოვლისა მიგვაჩნია ნაშრომის ისტორიოგრაფიული ნაწილი. თუ ამ მსჯელობას მარქსისტულ გარსს ჩამოვაცლით, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ მასში ჩადებული მეცნიერული ინფორმაცია ძალზე ღირებული და გამოყენებადია. ის ემყარება რუსულ, საბჭოთა და ფრანგული ისტორიოგრაფიის

ცოდნას. ალბათ, სასურველი იქნებოდა ორიოდ სიტყვა თქმულიყო საკითხის წყაროთმცოდნეობაზე.

ნაშრომის პირველი თავი ეხება საინტერესო და აქტუალურ საკითხს „კონსტიტუციის ჟირონდისტულ პროექტს“, რომლის ავტორი იყო ჟირონდისტების ერთ-ერთი ლიდერი კონდორსე. აქ საუბარია სამ საკითხზე, რაც მთავარი პრობლემის გაშუქების ისტორიულ ფონს ქმნის, ის სამხედრო პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა საფრანგეთში ჟირონდისტების კანონპროექტის განხილვის წინ. მეორე საკითხი შეეხება კონვენტის მიერ ჟირონდისტული კონსტიტუციის კომისიის შექმნას და კონვენტში ამ კომისიის წევრის კონდორსეს კონსტიტუციის პროექტს. მესამე – საფრანგეთის პოლიტიკური მოწყობის ჟირონდისტული გეგმა. ამის განხილვით, ფაქტობრივად, სრულდება პირველი თავი.

ყურადღებას იქცევს სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი, სადაც განხილვა აქტუალური თემა „იაკობინები საფრანგეთის პოლიტიკური ორგანიზაციის ჟირონდისტული პროექტის წინააღმდეგ“. საუბარია სამ თემაზე: პირველი საკითხია იაკობინთა დამოკიდებულება ჟირონდისტების კონსტიტუციის კანონპროექტისადმი. მეორე საკითხია ჟირონდისტების კონსტიტუციის კანონპროექტის ირგვლივ გამართული დებატები, რომელსაც პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. მესამე საკითხია რობესპიერის და სენ-ჟიუსტის კონტრპროექტი, რომელიც უპირის-პირდებოდა ჟირონდისტების კანონპროექტს.

მესამე თავში განხილულია პრინციპული საკითხი, საფრანგეთის პოლიტიკური მოწყობა ხელისუფლებაში იაკობინთა მოსვლის შემდეგ. განხილულია სამი თემა. პირველი ეხება იმ ღონისძიებებს, რომლებსაც განახორციელებდნენ იაკობინების საზოგადოების ხსნის კომიტეტის უფლებამოსილების გაფართოების და ამ უკანასკნელის მიერ კონსტიტუციური გადამუშავების საქმეში. მეორე საკითხია – იაკობინთა კონსტიტუციის მიღების შემდეგ დღის წესრიგში დგება დეკლარაციის ტექსტის გადასინჯვა, მესამე საკითხი შეეხება ფრიად აქტუალურ თემას და მიზნად ისახავს გააშუქოს ის ძირითადი პრინციპები და დებულებები, რომელიც



ჩამოყალიბებულია 1793 წლის იაკობინურ კონსტიტუციაში, მისი დაპირისპირება წინა კონსტიტუციასთან და კონსტიტუციის პროექტებთან. განხილულია ჟირონდისტული კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც დაუპირისპირდა რობესპიერის და სენ-ჟიუსტის პროექტი.

დასკვნაში ხაზგასმულია, რომ ამ საკითხზე იაკობინებს და ჟირონდისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეული იყო 1793 წელს საფრანგეთში შექმნილი რთული პოლიტიკური, სამხედრო და სოციალ-ეკონომიკური ვითარებით. მას საფრანგეთის რევოლუციის აქტუალურ საკითხებზე კიდევ 10-მდე ნაშრომი აქვს დაწერილი.

დღევანდელი გადასახედიდან ამ შრომებში გამოთქმული ძირითადი დებულებებისადმი მკაცრი მიდგომა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს აღნიშნულ საკითხზე სწორ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. ჩვენი აზრით, ის სავსებით შეესატყვისებოდა საბჭოთა პერიოდის ისტორიული მეცნიერების მოთხოვნებს. ეს სადისერტაციო ნაშრომის, უდავოდ, დადებითი მხარეა, რომლისაც ნამდვილად ვერ აუვლიდით გვერდს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაირა მამუკელაშვილის სადისერტაციო ნაშრომმა სპეციალისტების დადებითი შეფასება დაიმსახურა. განსაკუთრებით ფასეულად მიგვაჩნია ნაშრომის ოფიციალური ოპონენტის, საფრანგეთის ახალი ისტორიის კომპეტენტური მკვლევრის პროფ. გენადი კუჩერენკოს დადებითი დასკვნა. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების აღიარება იყო. სასურველი იქნებოდა, რომ პროფ. ნაირა მამუკელაშვილის ეს ნაშრომი გამოქვეყნებულიყო წიგნის სახით [8, 95-96].

ამის შემდეგ მისმა მეცნიერულმა შემოქმედებამ, უმთავრესად, პროფ. კოტე ანთაძის ხელმძღვანელობით, მკვეთრი მეტამორფოზი განიცადა და ის საფრანგეთის ახალი ისტორიის საკითხებიდან, ისტორიის სწავლების მეთოდიკის თემატიკაზე გადაერთო. პროფ. ნაირა მამუკელაშვილი სულ მალე ჩამოყალიბდა ამ დარგის ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტად საქართველოში, ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი მეორე დამსახურება, სწორედ ამაშია. ამ სფეროში ნაირა მამუკელაშვილის საქმიანობის მწვერ-

ვალს წარმოადგენს მისი სადოქტორო დისერტაცია – „ახალი ისტორიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში“.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მის კიდევ ერთ დამსახურებად მიგვაჩნია ახალი ისტორიის ახლებურად დაწერილი სასკოლო სახელმძღვანელოები. მან პროფ. ვოტე ანთაძესთან ერთად, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად განსხვავებული რაკურსით დაწერა მერვე კლასის ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო. ეს იმაში გამოიხატა, რომ ნაირა მამუკელაშვილი შეეცადა მაქსიმალურად გაეთავისუფლებინა სახელმძღვანელო მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ზეგავლენისაგან.

პროფ. გივი კიდურაძის გუნდის კიდევ ერთი ღირსეული წევრია ისტორიკოსი გიორგი ბეჟუაშვილი. იგი პროფ. გივი კიდურაძემ შენიშნა და წინ წამოწია. პირველი სამისგან განსხვავებით, მისი მეცნიერული ინტერესების სფერო განსხვავებული იყო და სცილდება პროფ. გივი კიდურაძის მეცნიერული შემოქმედების არეალს. ის სხვა მიმართულებით წავიდა. მას სადისერტაციო ნაშრომის თემად შეურჩიეს საკითხი გერმანიის უახლესი ისტორიიდან „თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის შექმნა და მისი როლი ანტიფაშისტურ-დემოკრატიულ გარდაქმნებში აღმოსავლეთ გერმანიაში (1945-1949წწ.)“ [26].

გიორგი ბეჟუაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა უმთავრესად ერთ მეცნიერულ პრობლემასთან ასოცირდება. ესაა მისი საკანდიდატო დისერტაცია და ამ თემაზე გამოქვეყნებული 10-მდე ნაშრომი.

ნაშრომში საინტერესოააა მოცემული წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა. დღევანდელი გადასახედიდან მისი მკაცრად შეფასება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ის სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს.

პირველი თავი შეეხება „აღმოსავლეთ გერმანიაში ახალგაზრდობის ანტიფაშისტური ორგანიზაციის ფორმირებას“. მეორე თავში საუბარია „თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის როლი ანტიფაშისტურ-დემოკრატიულ გარდაქმნაში აღმოსავლეთ გერმანიაში“. თითოეული თავი დაყოფილია პარაგრაფებად. პირ-

ველი თავი სამ პარაგრაფად, მეორე თავი კი ოთხ პარაგრაფად და ბოლოს დასკვნა, სადაც ის ცდილობს შეაჯამოს ჩატარებული კვლევა. როგორც გიორგი ბეჟუაშვილის კურსელი პროფ. მერაბ კალანდაძე იგონებს მისთვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო კომუნისტური საზოგადოებისადმი მონიწეული დამოკიდებულება, რაც, სხვათა შორის, კარგადაა გამჟღავნებული სადისერტაციო ნაშრომის შერჩევაში [26]. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კომკავშირის მოღვაწეობის პირველი ნაბიჯების გაშუქების მცდელობასთან.

პროფ. გივი კილურაძის გუნდის კიდევ ერთმა წევრმა ისტორიკოსმა პაატა ფირანიშვილმა დაიცვა დისერტაცია „საზღვარგარეთის ქვეყნების ჩაგრული ხალხების ბრძოლა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ილია ჭავჭავაძის იდეურ მემკვიდრეობის საკითხზე“ [27].

უნდა დავეთანხმოთ პროფ. მერაბ კალანდაძეს როდესაც პროფ. გივი კილურაძის გუნდში მოიაზრებს პროფესორ. ვასილ კაჭარავას. საქმე ის გახლავთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მისი პირველი ნაბიჯები მჭიდროდაა დაკავშირებული პროფ. გივი კილურაძის სახელთან. კათედრას დიდი ხნის მანძილზე არ ჰყავდა ამერიკის ისტორიის სპეციალისტი, ამერიკანისტი და ამ ვაკუუმის შევსება, უმთავრესად, ახალი ისტორიის სპეციალისტებს უხდებოდათ. გაჩნდა ხელსაყრელი შანსი ამ ვითარების გამოსწორების. მის ერთ-ერთ მთავარ მოთავე სწორედ, პროფ. გივი კილურაძე გახლდათ. მან ახალგაზრდა ნიჭიერი ისტორიკოსი ვასილ კაჭარავა გააგზავნა მოსკოვში მიზნობრივ ასპირანტურაში, როგორც მომავალი ამერიკანისტი. 1999 წელს პროფ. ვასილ კაჭარავას ძალისხმევით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩამოყალიბდა ამერიკის ისტორიის შესწავლის ცენტრი, რომელიც წლების განმავლობაში საკმაოდ მრავალფეროვან და საინტერესო საქმიანობას ეწევა. მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლის მეცნიერულ ჯრილში გადაყვანა. ამ კარგი საქმის მოთავედ, სწორედ პროფ. გივი კილურაძის ხელდასმული ვასილ კაჭარავა მოგვევლინა. იგი გახლავთ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების

უახლესი ისტორიის ერთ-ერთი კომპეტენტური სპეციალისტი. ეს პროფ. გივი კილურაძის წარმატებასაც წარმოადგენს [28, 307].

1994 წელს მან მონოგრაფიის სახით გამოსცა თავისი საკანდიდატო დისერტაცია „მშრალი კანონი ამერიკაში“. 2008 წელს გამოვიდა მისი კიდევ ერთი საინტერესო მონოგრაფია „1920-იანი წლების ამერიკა“, ხოლო 2011 წელს – „ამერიკა 1950-იან წლებში“. ამ სფეროში ვასილ კაჭარავას საქმიანობის თავისებურ რეზიუმედ გვევლინება მის მიერ შექმნილი სახელმძღვანელო ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში [8, 100-101].

\* \* \*

ამრიგად, პროფ. გივი კილურაძის საქმიანობა მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო და მხოლოდ იმით არ შემოიფარგლებოდა, რომ ის გახლდათ დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის და ისტორიოგრაფიის საკითხების ნიჭიერი მკვლევარი, არამედ იგი მუდამ ბრუნავდა ნიჭიერი ახალგაზრდების მოძიებაზე და ყოველნაირად უწყობდა ხელს მათ მეცნიერულ ზრდას, რომელთა შემდგომი მეცნიერული წარმატებების სათავეებთან, სწორედ, პროფ. გივი კილურაძე დგას. ნაადრევი გარდაცვალების გამო, მან ამ მიმართულებით მხოლოდ პირველი ნაბიჯების გადადგმა მოასწრო. ეს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი კიდევ ერთი დამსახურება გახლდათ. ეს ამ სფეროში პროფ. გივი კილურაძის მოღვაწეობის საინტერესო ასპექტია.

ახალგაზრდა მკვლევარების ერთმა დიდმა ჯგუფმა, რომელმაც მეცნიერებაში საქმიანობა პროფ. გივი კილურაძის ხელმძღვანელობით დაიწყო, შემდგომში წარმატებით განაგრძო მუშაობა და დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა. ჩვენი აზრით, პირობითად ისინი ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ. მისი მოწაფეების ერთმა ნაწილმა გააგრძელა მასწავლებლის დაწყებული საქმე და იმ თემატიკას იკვლევდა, რომელიც აინტერესებდა პროფ. გივი კილურაძეს. ამ ჯგუფის წევრები არიან: ისტორიკოსი კონსტანტინე (კოტე) ბოჭორიშვილი, პროფ. ნაირა მამუკელაშვილი, პროფ. მერაბ კალანდაძე. მისი გუნდის მეორე ჯგუფის წევრები სულ სხვა გზით წავიდნენ და სულ სხვა თემატიკის დამუშავებას მოკიდეს ხელი. ამ ჯგუფში შედიან ისტორიკოსები გიორგი ბეჟუაშვილი,

პაატა ფირანიშვილი და პროფ. ვასილ კაჭარავა.

არსებული საკითხის გაშუქება საინტერესოდ და აქტუალურად მიგვაჩნია. ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში პროფ. გივი კილურაძის მიერ შეტანილ წვლილზე კიდევ უფრო სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის.

### **დამონმებული ლიტერატურა:**

1. К. Бочоришвили, французская армия как общественно-политическая сила во время консульства и империи (1799-1815 гг.), Тбилиси, 1982.
2. გ. კილურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან (ახალი არმიის ორგანიზება), თბილისი, 1963.
3. გ. კილურაძე, საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792), თბილისი, 1982; პროფ. გივი კილურაძის შემოქმედებაზე ვრცლად იხილეთ ვ. ანთაძე, პროფესორი გივი კილურაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი, 1983; მ. კალანდაძე, პროფესორი გივი კილურაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 359, თბილისი, 2005. M. Kalandadze: Ein georgischer Erforscher der Neuen Geschichte Westeuropas, Georgien, 30, 2007.
4. თ. ანთაძე, ღირსეულად დაფასებული მეცნიერი, კულტურის, ისტორიის და თეორიის საკითხები, XXXIII, თბილისი, 2019.
5. მ. კალანდაძე, ნაპოლეონის ეპოქის ქართველი მკვლევარი, თბილისი, 2020.
6. მ. კალანდაძე, ისტორიკოსი კონსტანტინე (კოტე) ბოჭორიშვილი, სოხუმის უნივერსიტეტის შრომები. ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სერია, ტ. XXI, თბილისი, 2018-2019.
7. Д. Туган-барановский, У истоков Бонапартизма: происхождение режима Наполеон I, Москва, 1986.
8. К. Бочоришвили, Д. Туган-барановский, У истоков Бонапартизма: происхождение режима Наполеон I, Новая и новейшая история, 5, 1989.
9. თ. ანთაძე, მ.კალანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბილისი, 2014.

10. В. Бузескул. Всеобщая история и ее представители в России, т. 1-2, Москва, 1929-1931. G. Belov, Deutschen Geschichtsschreibung, Leipzig, 1916.
11. მ. კალანდაძე, ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება, თბილისი, 2021.
12. მ. კალანდაძე, საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის შესწავლის ძირითადი ეტაპები, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 19, თბილისი, 2021.
13. მ. კალანდაძე, ქართული მედიევსტიკის სათავეებთან, თბილისი, 2009.
14. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბილისი, 1999; М. Каландадзе, Александр Георгиевич Наморадзе (1890-1958), Новая и новейшая история, 4, 1998; М. Kalandadze, Die Anfänge des studiums der Mittelalterlichen und neueren Geschichte Westeuropas. Georcica, 23, 2000; М. Каландадзе, У историков изучения истории западной Европы в Грузии; Н. Дубровски, Труды, Тбилиси, 2004.
15. მ. კალანდაძე, პროფესორი კონსტანტინე ანთაძე, თბილისი, 2014.
16. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი პირველი, თბილისი, 2011, მესამე კარი.
17. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პრობლემების შესწავლა საქართველოში, თბილისი, 2015.
18. ვ. ანთაძე, მ. კალანდაძე, ვ. მეშველიანი, ისტორიის პერიოდიზაციისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, 2, 1992; ვ. ანთაძე, ვ. მეშველიანი, მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის, ისტორია და გეოგრაფია სკოლაში, 1. 1992; М. Каландадзе, Грузинские школьные

учебники по новой истории, Преподавание истории в школе, 7, 1994.

19. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბილისი, 2007.
20. М. Каландадзе, Фридрих Шиллер и проблемы новой истории, Автореферат, диссертации на соискание ученой степеней кандидата исторических наук, Тбилиси, 1988.
21. მ. კალანდაძე, ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, თბილისი, 2008.
22. რ. ჩხეიძე, ჩემი წილი ვატერლოო, თბილისი, 2015.
23. მ. კალანდაძე, პროფესორი უშანგი სიდამონიძე, თბილისი, 2004; M. Kalandadse, Ushangi Sidamonidze – ein Opfer des totalitären Regimes, Georcica, 28. 2005.
24. M. Kalandadze, Ivane Javachischvili und Fragen der Epistemologie der Geschichte Georcica, 35, 2012. M. Kalandadze, Die Beleuchtung der Fragen der Philosophie und der Metogologie der Geschichte in der georgischen Historiographie, Georcica, 36, 2013.
25. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თბილისი, 2019.
26. Н. Мамукелашвили, борьба за демократизацию политического строя Франции в первой половине 1793 года, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1986.
27. Г. Бежуашвили, Создание союза немецкой молодёжи и его роль в антифашистско-демократических преобразованиях в восточной Германии (1945-1949 гг.). Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1987.
28. П. Пиранишвили, Проблемы национально-освободительного движения угнетенных народов зарубежных стран в идеинном наследии Ильи Чавчавадзе, Автореферат диссертации на соискание

ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1984.

29. მ. კალანდაძე, პროფესორი გივი კიღურაძე და ამერიკის ახალი ისტორიის საკითხები, საისტორიო ძიებანი, XII, თბილისი, 2013-2015.

**Tamar Antadze**

*Doctor of historical sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Department of Humanitarian Sciences, Assistant-Professor*

**PROFESSOR GIVI KIGHURADZE – THE GUIDE  
OF YOUNG SCHOLARS**

**Summary**

This year marks the 100th anniversary of a famous Georgian historian – Prof. Givi Kighuradze (1922-1978). Therefore, it is reasonable to remember and briefly summarize one interesting aspect of his activities, related to the discovery and guidance of young, talented scholars. This topic has not been discussed in scholarly literature until now.

Under Prof. Givi Kighuradze’s guidance, the first scientific steps were made by a team of historiographers who currently work successfully in Georgia. Members of this team are: historian Konstantine (Kote) Bochorishvili, Prof. Merab Kalandadze, Prof. Naira Mamukelashvili, historian Giorgi Bezhuashvili, historians Paata Piranishvili and Professor Vasil Kacharava.

The chief work of historian Konstantine Bochorishvili is: „The French Army as a Social-political Force during the Consulate and the Empire (1799-1815)“ – a significant thesis in the field of recent history.

Prof. Merab Kalandadze is a historian of broad scientific interests. He focuses on numerous issues: the study of the world history in Georgia is the main object of his research.



He criticized the Marxist periodization of the world history and introduced international standards in this field. Besides, Prof. Merab Kalandadze contributed to the popularization of medieval and new history. He is also interested in the topical problems of the Georgian history.

Prof. Naira Mamukelashvili works in three major fields. The first field embraces issues related to the French Revolution. Her major work is „The Struggle for the Democratization of the Political Order of France in the First Half of 1793“.

Mention should also be made of Giorgi Bezhashvili, Paata Piranishvili and Vasil Kacharava. Giorgi Bezhashvili focused on the recent history of Germany; Paata Piranishvili discussed Ilia Chavchavadze's ideas concerning the topical issues of the world history; Vasil Kacharava worked in the field of American studies. Naturally, Prof. Givi Kighuradze largely contributed to the scholarly development of his team members.

**პეტრე ბუტკოვი 1774-1775 წლებში აღმოსავლეთ კავკასიაში  
არსებული ვითარებისა და გენ. მდამის სამხრეთ  
დაღესტანში ლაშქრობის შესახებ**

რუსი სწავლული პეტრე ბუტკოვი ჯერ კიდევ 1790-იან წლებში და XIX საუკუნის დამდეგს მოვლენილი იყო კავკასიაში როგორც რუსეთის არმიის ოფიცერი. ამას გარდა, მთავარსარდლის კანცელარიაში მსახურობისას მას ხელი მიუწვდებოდა არაერთ სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის საბუთზე კავკასიის შესახებ. კავკასიის უახლესმა ისტორიამ პ. ბუტკოვი იმდენად გაიტაცა, რომ მან წლების განმავლობაში თავი მოუყარა მრავალ საგულისხმო დოკუმენტურ მასალას, რომელიც მოიძია სხვადასხვა არქივებსა და რუსულ პერიოდიკაში და მათზე დაყრდნობით კავკასიის უახლესი ისტორიის შედგენას მიჰყო ხელი.

პ. ბუტკოვის გარდაცვალების შემდეგ მეცნიერის შესწორებებითა და ჩამატებებით აღსავსე ხელნაწერი ფურცლები მისმა ქვრივმა გადასცა პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიას. საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ კი ხანგრძლივი სამუშაოს შემდეგ პ. ბუტკოვის აღნიშნული ნაშრომი ორ ტომად გამოსცა 1869 წელს [3; 4].

ამავე კრებულის წინა ნომერში ჩვენ გამოვაქვეყნეთ ამ ნაშრომის ქართული თარგმანის ორი თავი, რომელიც ეხებოდა ქალაქ-სიმაგრე მოზდოვის დაარსების საკითხს [8, 277-296]. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ პეტრე ბუტკოვის ცნობებს აღმოსავლეთ კავკასიაში არსებული ვითარებისა და სამხრეთ დაღესტანში გენერალ მედემის ლაშქრობის შესახებ. ქრონოლოგიურად დასახელებული ამბები თავსდება 1774-1775

წლებში და წარმოადგენს ბუტკოვის ნაშრომის 71-73 თავებს. ქართული თარგმანი შესრულებულია დავით მერკვილაძისა და ერეკლე ხუციშვილის მიერ. ტექსტს დართული განმარტებების ნაწილი ეკუთვნის ნაშრომის პირველ გამოცემლებს, ნაწილი – მთარგმნელებს.

პეტრე ბუტკოვი

მასალები კავკასიის ახალი ისტორიისათვის 1722-1801 წლებში.

## თავი 71

უცუმიის მიერ პროფ. გმელინის დატყვევება და რუსეთის გეგმები

რუსეთის კარმა მწუხარებით მიიღო ყიზლარის კომენდანტის 1774 წლის 5 აგვისტოს პატაკი ხაიდაყის<sup>1</sup> მფლობელის, უცუმ ამირ-ჰამზას<sup>2</sup> მიერ დატყვევებული სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსისა და პროფესორის, გმელინის გარდაცვალების შესახებ.<sup>3</sup>

ამ გმელინმა ჯერ კიდევ 1770 წელს, სპარსეთში თავისი პირველი მოგზაურობისას, ეს უცუმი დერბენდში, ფათალი ხანთან ნახა და დაახასიათა, როგორც მატყუარა, ანგარებიანი, რუსეთისადმი არაგულწრფელი და მოგზაურთა მძარცველი.<sup>4</sup> ამის მიუხედავად, სპარსეთში თავისი მეორე მოგზაურობიდან დაბრუნებისას, როცა შეეძლო, სპარსეთიდან ზღვით მოხერხებულად დაბრუნებულიყო,

1 ტექსტში – Каракайтак – მხარე და დამოუკიდებელი ფეოდალური სამფლობელო სამხრეთ-აღმოსავლეთ დაღესტანში. XIX ს-ის რუსულ წყაროებში მის სახელწოდება განსხვავებული დანერვილობებით გვხვდება (მთარგმნ.).

2 უცუმი (уцмий) – ხაიდაყის ბატონის ტიტული. ადრე ამ ტიტულის აღსანიშნავად ვიყენებდით „უწმიას“. თუმცა თანადროულ, ერეკლესდროინდელ ქართულ საბუთებში იგი მოხსენიებულია როგორც „უცუმი“. ამიტომაც საბოლოოდ ეს უკანასკნელი ფორმა ვარჩიეთ, როგორც ქართულ სინამდვილეში თავის დროზე უკვე დამკვიდრებული; ამირ-ჰამზა ხაიდაყის უცუმი იყო დაახლ. 1751-1787 წლებში (მთარგმნ.).

3 მინანერი: „სამუილ გოტლიბ გმელინი, ბოტანიკის აკადემიკოსი და მედიცინის დოქტორი, 1774 წ.“ (გამომც.). გერმანელი მეცნიერი სამუილ გმელინი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ მოიწვია რუსეთში და დაავალა კასპისპირეთის ქვეყნების ფლორისა და ფაუნის შესწავლა. თუმცა სავარაუდოდ მას ამ მხარეში მდებარე ქვეყნების შესახებ სადამკვეთო ცნობების შეგროვებაც უნდა დაევალებოდა. გმელინის პირველი მოგზაურობა კასპისპირეთში 1770-1772 წლებში შედგა (მთარგმნ.).

4 „Путешествие Гмелина по России“, ნაწ. III, განყ. 1, გვ. 26 (გამომც.).

უცუმის თვითნებობაზე წინასწარი ცნობების მიუხედავად, მაინც გაბედა მის სამფლობელოებზე გავლა.<sup>5</sup>

ამგვარად, როცა პროფესორი გმელინი უცუმთან ყოველგვარი შიშის გარეშე ჩავიდა და მისგან შეწვევნასაც კი ელოდა თავისი გამოკვლევებისათვის მეცნიერების სასარგებლოდ, რაც მისი მოგზაურობების საგანი იყო, ის უცუმის საკუთარ საცხოვრებელში დააკავეს და დაატყვევეს მთიელი ხალხების მიერ მასპინძლობისა და მოგზაურთა მიღების წმინდად შერაცხილი ჩვეულებისა და უმაღლესი კარის მიმართ მართებული პატივისცემის დარღვევით – ვინაიდან გმელინი უმაღლესი მფარველობით მოგზაურობდა.

უცუმს რუსული მხარის მიმართ უკმაყოფილების არავითარი მიზეზი არ გააჩნდა; მაგრამ ამ ავაზაკური საქციელის საბაბად მან ერთადერთი ის გაიხადა, რომ ენდერის<sup>6</sup> ყუმუხმა მფლობელებმა უცუმის სამფლობელოდან გაქცეული ზოგიერთი ურია და თარაქამელი თათარი<sup>7</sup> მიიღეს და თავისთან დაიტოვეს, რის თაობაზეც უცუმის მოთხოვნა მათ ჯერ კიდევ 1752 და 1753 წლებში ჰქონდათ მიღებული. მაგრამ, როგორც მისთვისაც იყო ცნობილი, ყუმუხი მფლობელები, თუმცა კი რუსეთის ქვეშევრდომებად მიიჩნევიან, თავის საშინაო საქმეებში სრულიად თავისუფალნი არიან. მას შეეძლო მათთან საქმე მათი ჩვეული სასამართლო წესით თვითონ, უშუალოდ გაერკვია; მან კი ასეთი პასუხის მიღების შემდეგ ამაზე ყიზლარის კომენდანტს მისწერა, რომ თუ განზრახული არ იყო ყუმუხების იძულება მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ მისთვის 30 ათასი რუბლი გადაეხადათ.

5 ეს შენიშვნა უმაღლეს რესკრიპტში დე მედემისადმი (გამომც.).

6 ენდერი (რუსულ დოკუმენტებში ხშირად მოხსენიება როგორც „ანდრეევო“) – მოზრდილი დასახლება და ამავე სახელწოდების ფეოდალური სამფლობელო ჩრდილოეთ დაღესტანში, რომელსაც მართავდნენ ადგილობრივი ყუმუხი მთავრები. აღნიშნულ ხანაში მათ რუსეთის ქვეშევრდომობა ჰქონდათ მიღებული, თუმცა საშინაო საქმეებში სრული ავტონომიით სარგებლობდნენ (მთარგმნ.).

7 თერექემე იყო ადმინისტრაციული ერთეული (მაღალი) დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთში, კასპისპირეთის დაბლობში, დერბენდის ჩრდილოეთით. მას ფლობდნენ ხაიდაყის უცუმები და იქაური მოსახლეობა დაბევრილი ჰყავდათ გადასახადებით. სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს შირვანიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის სხვა მხარეებიდან აქ უცუმების მიერ გადმოსახლებული მომთაბარე თურქულენოვანი ხალხის საერთო სახელისგან – თარაქამა (მთარგმნ.).

ასეთი ურთიერთობის ვითარებაში გმელინი იმავე წელს უდროოდ, ტყვეობაში გარდაიცვალა და უცუმის სამფლობელოში, გამრის მალაღში, სოფელ კიაგასთან<sup>8</sup> დაკრძალეს. უცუმმა გმელინის ყველა თანმხლები გაათავისუფლა, მაგრამ მათ ნივთები ჩამოართვა და გმელინის უკლებლივ ყველა ნივთიც დაიტოვა<sup>9</sup>.

1774 წლის 5 სექტემბერს გენერალ-პორუჩიკ მედემს<sup>10</sup>

8 ტექსტი – при деревне Киаге. იგულისხმება სოფელი კიაკენტი, სადაც დაკრძალეს ტყვეობაში გარდაცვლილი პროფ. გმელინი (მთარგმნ.).

9 გმელინმა 1773 წლის შემოდგომით ენგელის პორტში გამოსაზამთრებლად დატოვა ჰაბლიცი, თავად კი, გვიანი შემოდგომის გამო, ასტრახანში ზღვით დაბრუნება რომ არ შეეძლო, სახმელეთო გზით გაემართა და ლეკების ტყვეობაში მოხვდა, სადაც რამდენიმე თვის შემდეგ დაუძლურებისა და ავადმყოფობების შედეგად გარდაიცვალა. ჰაბლიციდან კი 4 გრებენელი კაზაკი რჩებოდა, რომლებიც მას კოლეჯის შესადგენად ცხოველებსა და ფრინველებს უხოცავდნენ. „Краткое описание жизни и службы Т. С. Карла Ив. Габлица (Habliz)“, გამოცემაში „Сын Отечества“, 1821, № 43 გვ. 104.

ბრონევსკისთან, 1774 წლის მარტში ან აპრილში: ყიზლარის კომენდანტის, პოლკოვნიკ შტედერისგან მიღებულია ცნობა, რომ სპარსეთიდან მომავალი პროფესორი გმელინი ორი სტუდენტით, ხუთი კაზაკითა და ექვსი სომხით ტყვედაა აყვანილი ხაიდაყის მფლობელის, უცუმი ამირ-ჰამზას ბრძანებით, მისავე სამფლობელოში, სარჩელისა და ძველი წყნისთვის შერის საძიებლად, რაც მას ჩვენი ქვეშევრდომების, ენდერის სოფლის (Андреевской деревни) მცხოვრებთა მიმართ ჰქონდა; მისი მთავარი პრეტენზია კი ის იყო, რომ ნადირ-შაჰის თავდასხმისა და ხაიდაყის სამფლობელოების დაპყრობის დროს უცუმს ბევრი ქვეშევრდომი ყუმუხთა მიწას შეეფარა და ისინი არ დაუბრუნებიათ. მედემს ებრძანა, რომ მას ენდერელები (Андреевцы) დაეთანხმებინა, რათა უცუმთან სიამტკბილობითა და სამართლიანად მოშველებულიყვნენ.

მედემს დაევალა, რომ გმელინის სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ნივთებისა და ქალაქების გამოსხნა ეცადა მეზობელი, ჩვენდამი კეთილგანწყობილი მთიელი მფლობელების, უმეტესად კი ტარკის (ძველი ქართული წყაროებით – თარღუ – მთარგმნ.) შამხლისა და დერბენდელი ფათალი ხანის მეშვეობით. ამისთვის შამხალ მურთაზ-ალისთან მაიორები ფრომპოლტი და ჩერკასკი გაიგზავნენ, რათა დაეყოლიებინათ იგი, რომ, ვინც რუსეთის სამსახურისთვის მზად მყოფად და ერთგულად აცხადებდა თავს, არა მარტო დატყვევებული ხალხი და დარჩენილი ნივთები გამოეხსნა, არამედ უცუმიც დაესაჯა ასეთი კანდიერებისთვის ფათალი ხანთან ერთობით, რომელიც გამოეხმაურა როგორც გულმოდგინე და რუსეთის სამსახურში მზადმყოფი; მით უმეტეს, რომ ორივე მათგანს მტრობდა უცუმი.

გიულდენშტედტი (Reisen, herausg. v. Pallas, S.P.B. 1787, ნაწ. I, გვ. 484) წერს, რომ მის მიერ ყიზლარიდან ტარკში ლეკების შესახებ ცნობების შესაკრებად გაგზავნილი სტუდენტი კრამენნიკოვი თითქმის ხელცარიელი დაბრუნდა, რადგან შამხალმა მკაცრი განკარგულება გასცა, რომ არავითარი მიზეზით რუსებთან საქმე არ დაეჭირათ (გამომც.).

10 იოჰან ფრიდრიხ ფონ მედემს მოზდოკის ხაზის სამხედრო მეთაურის თანამდებობა ეკავა 1769-1780 წლებში, გენერალ-პორუჩიკი იყო 1774 წლიდან (მთარგმნ.).

უმალლესი ბრძანებულება მიეცა, რომ გმელინისადმი უცუმი მოქცევის შესახებ საჩივარი მიენერა უცუმის მეზობელი ყველა ძლიერი დადესტნელი და შირვანელი მფლობელისთვის და ისინი თავაზიანად დაეყოლიებინა, რომ მათ კეთილი სიტყვით შეეგონებინათ ეს ჯიუტი და უხეში, რათა მისი უჯერო და კადნიერი საქციელის გამო სინანულში ჩაეგდოთ და გმელინისა და მისი ამაღლის უკლებლივ ყველა ნივთი გამოეგლიჯათ მის ხელთაგან. მაგრამ მედემს ამასთანავე ებრძანა, რომ, უკეთუ უცუმი თავისი თავხედობის გამო სამართლიანად იმსახურებს სასჯელს, მაშინ, თუ მედემს ყაბარდოელებისა და ყუბანელებისაგან სცალია, და თუკი ის გამონახავს შესაძლებლობას, რომ უცუმზე სამხედრო ღონისძიებები მოაწყოს, რაც ყველა მთიელში ჩვენდამი პატივისცემას აღადგენს, – ეს საქმე მას მიენდობა; მაგრამ უკეთუ საამისოდ გადაულახავი დაბრკოლებები შეექმნება, მაშინ ეს საიდუმლოდ შეინახოს და ჯერ მხოლოდ საჩვენებელი და გარეგნული მომზადებები აწარმოოს, – დააშინებს თუ არა ეს უცუმს და ხომ არ გადაანყვეტინებს მედემისთვის პატიების თხოვნას, იმ პირობის დადებით, რომ ამიერიდან თავს შეიკავებს ყოველგვარი მტრული ქმედებისგან, რითაც პირველ ჯერზე შეიძლებოდა კიდევ დაკმაყოფილება. ამასთან, სანამ ცნობილი არ გახდება, რა განწყობაზე დარჩება უცუმი, მანამდე საჭიროა, რომ მისი საცხოვრისის ახლოს საგანგებო საქმეებით შიკრიკთა ყოველგვარი გაგზავნისგან თავი შეიკავოს; ხოლო, თუ, ძველთაგანვე არსებული ჩვეულებისამებრ, სპარსეთში დაზვერვისთვის შიკრიკებს გაგზავნიან, ამისთვის უმჯობესია სამსახურში მყოფი ყიზლარელი თათრების გამოყენება, რომელთაც, როგორც მაჰმადიანებს, იქაურ მხარეში მოგზაურობა უფრო ნაკლები საფრთხით შეუძლიათ. იმ დრომდე ვაჭრებიც არ გაუშვათ ხმელეთით ყიზლარიდან სპარსეთში, იმ მაჰმადიანთა გარდა, რომლებიც ასეთ მგზავრობას თავის კისერზე აიღებენ; ყუმუხი მფლობელები კი წააქეზეთ, რომ უცუმს მის პრეტენზიებზე მათი სასამართლო ჩვეულების წესის მიხედვით მოურიგდნენ, რათა მას მომავალი ბოროტმოქმედებების ყოველი საბაბი წაერთვას, განსაკუთრებით, თუკი ზემოაღნიშნული ზომები მისი მორჩულებისთვის უშედეგოდ დარჩება.

## თავი 72

ვითარება დაღესტანსა და შირვანში 1774 წელს

იმ დროს დაღესტანსა და შირვანში ვითარება იყო შემდეგნაირი:

ავარიის მერსელ-ხანს,<sup>11</sup> ყუბისა და დერბენდის ხან ფათალის<sup>12</sup> შეურიგებელ მტერს, დერბენდელი ილიას-ბეგის სიკვდილით დასჯის გამო<sup>13</sup> სურდა, ეძია შური არამართო ფათალი-ხანზე, არამედ მის ერთგულ მოკავშირე შამხალ მურთაზალიზეც,<sup>14</sup> და საამისოდ ჯანღუთელ (ჯანღუ-თავლუ) ალი-სულთანთან<sup>15</sup> ერთად ემუქრებოდა შამხალს 1774 წელს. შამხალი კი მისი დამმუქრებელი მტრების წინააღმდეგ ყუმუხი მფლობელების შეწევნას ეძიებდა მათი ხალხითურთ, მიუხედავად იმისა, რომ მათ სულაკის<sup>16</sup> მარცხენა ნაპირზე მდებარე მიწების მითვისების გამო 1773 წელს გარკვეული უთანხმოება ჰქონდათ შამხალთან.<sup>17</sup> მაგრამ რუსეთის მთავრობისგან ამჟამად, ისე როგორც ყოველთვის ადრეც ყუმუხებს ეკრძალებოდათ [სამხედრო] გაერთიანება შამხალთან და ავარიის ხანთან, ისევე როგორც ფათალი-ხანთან და სხვებთან; ხოლო

---

11 იგულისხმება ავარიის ხანი (ნუცალი) მუჰამედ-ნურსალ IV, ქართული წყაროებით, ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი (მთარგმნ.).

12 ყუბის ხანი ფათალი (1758-1789) 1765 წლისათვის (სხვა ცნობებით 1759 ან 1760 წელს) დაღესტნელი ბელადების დახმარებით დაეუფლა დერბენდს და დერბენდის ხანის ტიტულს (მთარგმნ.).

13 55-ე თავში პ. ბუტკოვი წერს, რომ ფათალი ხანთან დაპირისპირების შემდეგ ხაიდაყის უცუმი ამირ-ჰამმა დერბენდელი დიდმოხელის, ილიას-ბეგის დახმარებით შევიდა დერბენდში და ქალაქის ციხეში გამაგრდა. ნურსალ-ბეგის შუამავლობით უცუმმა დერბენდი დატოვა, სამაგიეროდ ნურსალ-ბეგმა პირობა ჩამოართვა ფათალის, რომ ილიას-ბეგს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა. მოგვიანებით ფათალი ხანმა ილიას-ბეგი მოაკვლევინა. ამის შემდეგ ნურსალ-ბეგი ფათალის შეურიგებელი მტერი გახდა [ბუტკოვი 1, 252] (მთარგმნ.).

14 იგივე მურთუზალი II – ტარკის შამხალი 1765-1785 წლებში. შამხლობისათვის ბრძოლისას უცუმისა და ნურსალ-ბეგის დახმარებით მურთუზალის შამხლობა ჩამოართვა მისმა ბიძაშვილმა მუჰამედმა. მურთუზალიმ შამხლობა დაიბრუნა ფათალი ხანის შემწეობით (მთარგმნ.).

15 ჯანღუთის, იგივე მადთულის (//მეხთულისის) სახანო – ყუმუხთა ერთ-ერთი პოლიტიკური ერთეული დაღესტანში. მდებარეობდა მდ. შანასის აუგში. ალი-სულთანის სახანოს განაგებდა 1773-1807 წლებში (მთარგმნ.).

16 მდიზარე დაღესტანში, წარმოიშვა ანდის ყოისუსა და ავარიის ყოისუს შეერთების შედეგად. ჩაედინება კასპიის ზღვაში (მთარგმნ.).

17 ეს უთანხმოება შეწყვეტილია რუსეთის მთავრობის განკარგულებით, რომ ყუმუხი მფლობელები დაკმაყოფილებულიყვნენ სულაკის აქეთა მხარეს მდებარე მიწებით, რადგან მარცხენა სპარსეთის მხარედ მიიჩნევა (გამომც.).

მერსელ-ხანის წამოწყება შამხლის წინააღმდეგ უქმად დარჩა.

მაგრამ მერსელ-ხანმა ამის შემდეგ შირვანს<sup>18</sup> მიმართა, რათა ფათალი-ხანისთვის იქ ეყარა ჯავრი. მან აიყოლია შემახის ყოფილი ხანის<sup>19</sup> ძმა, ფათალი ხანისგან გაქცეული ბრმა აღასი, რომელიც ელოვლეში იყო გამაგრებული,<sup>20</sup> გაუერთიანდა შაქელ ჰუსეინ-ხანს<sup>21</sup> და გაემართნენ ძველი შემახისკენ, სადაც მაშინ იმყოფებოდა ფათალი ხანი. მათ ის დაამარცხეს და გააქციეს. მაგრამ მალევე შაქის ხანი აღასის წაეჩხუბა და თავისი ჯარით უკუიქცა. ფათალი ხანმა კი სწრაფად შეკრიბა 20 ათასამდე ჯარი, ისევ გამოცხადდა შემახასთან, დაამარცხა მერსელი და თვით მას ბრძოლისას სიცოცხლე მოუსწრაფა.<sup>22</sup> აღასი კვლავ თავის ადგილ ელოვლეში გაიქცა. ფათალი ხანი კი შემახის მფლობელად დარჩა.

მერსელ-ხანი მემკვიდრეობით ჩაანაცვლა მისმა ვაჟმა ომარ-ხანმა, რომელსაც უბრალოდ უმა-ხანს უწოდებდნენ.<sup>23</sup>

იმავე დროს უცუმ ამირ-ჰამზამ კვლავ სცადა ფათალი ხანის ხელიდან დერბენდის წაგლეჯა. მან დაარღვია მშვიდობა, ტაბასარანის მფლობელებთან, – თავის ნათესავ რუსტემ-ბეგთან (ყადი)<sup>24</sup>, მურზა-ბეგთან, მაჰმად-ბეგთან და მაჰმუდ-ბეგთან შეთანხმებით, ფარულად გაიარა მათ სამფლობელოებზე და ყუბის სახანოში შეიჭრა, მაშინ როდესაც ფათალი ხანი, რომელიც არაფერს უწყობდა, იმყოფებოდა დერბენდში, ე. ი. უცუმის ზურგში. როცა კი უცუმის განზრახვა გამომჟღავნდა და დერბენდიდან

---

18 იგულისხმება შირვანის სახანო, რომელსაც დედაქალაქის სახელწოდების მიხედვით ხშირად შემახის სახანოდაც მოიხსენიებენ ხოლმე (მთარგმნ.).

19 იგულისხმება მუჰამედ-საიდ ხანი, რომელიც ფათალი ხანმა დაატყვევა და დერბენდის ციხეში გამოამწყვდია (მთარგმნ.).

შემახის დაპყრობის შემდეგ შაქის ხანმა ჰუსეინმა თავის მოკავშირე ფათალი ხანის რჩევით მუჰამედ-საიდ ხანის ძმასა და თანამმართველს, აღასი-ხანს თვალეები დასთხარა (მთარგმნ.).

20 ადგილი შირვანში, მტკვრის პირას, სადაც თავის ერთგულ მომხრეებთან ერთად თავის შეაფარა დაბრმავებულმა აღასიმ (მთარგმნ.).

21 ჰუსეინი შაქის სახანოს მართავდა 1758-1780 წლებში (მთარგმნ.).

22 სინამდვილეში ავარიის ხანი დაიღუპა არა ბრძოლის ველზე, არამედ ღალატით მოკლეს, როცა ფათალი ხანთან მოსალაპარაკებლად იყო მიწვეული [2, 161; 1, 81] (მთარგმნ.).

23 ომარი, იგივე უმა V – ავარიის ხანი 1774-1801 წლებში (მთარგმნ.).

24 ყადი (ჩვეულებრივ მუსლიმი სასულიერო მოსამართლის ხარისხი) ამ შემთხვევაში ტაბასარანის სახანოს ჩრდ. ნაწილის მფლობელის ტიტული (მთარგმნ.).



ჯარით გამოსული ფათალი ხანი სამურზე<sup>25</sup> გადავიდა და უკვე სოფელ ხუდათის<sup>26</sup> სიახლოვეს იმყოფებოდა, სადაც მაშინ უცუმი იდგა, რომ მისგან წერილი მიიღო, ფათალ ხანის წინაშე უცუმის დანაშაულის აღიარებითა და თხოვნით, რომ დაევიწყებინა ეს [დანაშაული] და ნება დაერთო მისთვის, თავის სამფლობელოში თავისუფლად დაბრუნებულიყო. ფათალი ხანმა სრულად დააკმაყოფილა უცუმის თხოვნა და ის იყო, საკუთარ ბანაკთან ჩავლით უცუმის ჯარს თავის ქვეყანაში თავისუფლად დაბრუნების საშუალება მისცა, როცა ფათალი ხანის მოხელეებმა მას ურჩიეს, რომ ხელიდან არ გაეშვათ ესოდენ მარჯვე შემთხვევა უცუმის ვერაგობის დასასჯელად. მათ ათასი კაცი წაიყვანეს და უცუმს გაედევნენ. ამ უკანასკნელმა ისინი მოიგერია, დაამარცხა და ფათალი ხანის ბანაკამდე ისეთი სწრაფვით მისდია, რომ ფათალი ხანის მთელი ჯარი, რომელიც იქ იყო დარჩენილი, შეშინებული გაიფანტა<sup>27</sup> და თვითონ ფათალიც მხოლოდ მცირერიცხოვანი თანმხლებებითურთ წავიდა სალიანში.<sup>28</sup>

უცუმმა ამ ვითარებით ისარგებლა, ყუბაში შევიდა, შეეკრა სურხაის<sup>29</sup> შვილს, ყაზიყუმუხის<sup>30</sup> ხან მაჰმადს<sup>31</sup> (ან ბამატს) და ჩააბარა მას ყუბა, როგორც ყაზიყუმუხის კიურეს<sup>32</sup> მეზობელი პროვინცია. მაშინ უცუმის კავშირს შეუერთდნენ ავარიის ომარ-

25 სამური – მდინარე სამხრეთ დაღესტანში, ჩაედინება კასპიის ზღვაში. ადგილ-ადგილ ამ მდინარის ქვემო წელზე გადის ამჟამინდელი საზღვარი დაღესტანსა და აზერბაიჯანს შორის (მთარგმნ.).

26 ამჟამად ქალაქი (1950 წლიდან) აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ნაწილში, კასპიის ზღვის სიახლოვეს, ყუბის სახანოს პირველი დედაქალაქი 1747 წლამდე. მოცემულ ხანაში წარმოადგენდა სოფელს (მთარგმნ.).

27 იგულისხმება გავდუმანის ბრძოლა, რომელიც ამავე სახელწოდების ვრცელ ველზე გაიმართა სოფ. ხუდათის მიდამოებში 1774 წელს და ფათალი ხანის ჯარის სრული მარცხით დასრულდა (მთარგმნ.).

28 სალიანი – ბაქოს სამხრეთით, მტკვრის ქვემო წელზე მდებარე ქალაქი (მთარგმნ.).

29 ყაზიყუმუხის სახანოს პირველი მმართველი 1680-1748 წლებში – სურხაი I. თავი გამოიჩინა დაღესტანში შეჭრილი ნადირ-შაჰის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში (მთარგმნ.).

30 დაღესტნის ერთ-ერთი სახელმწიფო წარმონაქმნი ყაზიყუმუხის სახანო წარმოიშვა ამავე სახელწოდების სამამხლოს დაშლის შემდგომ 1642 წელს, ცენტრით ყუმუხში. დასახლებული იყო უმეტესად ლაკებით (მთარგმნ.).

31 მუჰამედ ყაზიყუმუხის ხანი, 1748-1789 წლებში (მთარგმნ.).

32 კ(ი)ურე – ლეკებით დასახლებული ისტორიული მხარე სამხრეთ დაღესტანში. მდ. სამური მას სამხრეთიდან მიჯნავდა ყუბის სახანოსაგან, ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა ტაბასარანი (მთარგმნ.).

ხანი,<sup>33</sup> ფათალი ხანის მოსისხლე მტერი,<sup>34</sup> ომარის ნათესავი ჯანგუთელი ალი-სულთანი და ვინმე მაჰმად-ტიმსიზი<sup>35</sup>. მათ შეთანხმებით დაინაწილეს ფათალი ხანის მემკვიდრეობა, რომელსაც მფლობელობაში რჩებოდა მხოლოდ დერბენდი, სალიანი და მუღანი; ხოლო ყუბა, კულგანი,<sup>36</sup> შირვანი და მათი ყველა რაიონი მტკვრამდე მას ჩამოართვეს და ამ ადგილთაგან ზოგს თავად ფლობდნენ, ზოგი კი სხვებს შეხვდათ საკუთრად.

შემდეგ უცუმი ჯარით დერბენდის დასაუფლებლად გაემართა 1774 წლის ივნისში ან ივლისში. მაგრამ დერბენდის ჯარი, რომელსაც 1796 წელს დერბენდის ნაიბად დანიშნული ხიდირ-ბეგის მამა, (ჰ)აჯი-ბეგი წინამძღვრობდა, უცუმის შესახვედრად გამოვიდა, ის წარმატებით უკუაგდო და ყუბის სახანოში დაბრუნება აიძულა, სადაც ის მუსკ(ი)ურის მაღალში დაბინავდა.<sup>37</sup>

ამასობაში ფათალი ხანი მცირე ამალითურთ სალიანიდან ბაქოს გზით, ზღვის სანაპიროს გავლით, ჩუმად შევიდა დერბენდში.

უცუმი დერბენდს მიაღდა, ალყა შემოართყა და სამხრეთიდან კეტავდა მას 9 თვის განმავლობაში, რითაც დიდი შიმშილით ძალას აცლიდა და თან არამართო დერბენდის ახლო გარემო გააპარტახა, არამედ მისი საკუთარი მიწათმოქმედებიც დააქცია. დერბენდის დანებებას უკვე აღარაფერი უკლდა. ფათალი ხანმა რუსეთის კარის უწყებისათვის შიკრიკი გაგზავნა თავს გადამხდარი ამბების დაწვრილებითი განმარტებებით და ითხოვდა დაცვასა და შველას.

ამ ვითარებაში გენერალ-პორუჩიკმა დე მედეშმა უცუმს

33 გიულდენშტედტი, ნან. I, გვ. 485: უცუმი-ხან სულთანი-ბეგის ასული ავარიის ხანის ცოლია (გამომც.).

34 „მოსისხლემი“ იგულისხმება ის გარემოება, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, ომარ-ხანის მამა, მუჰამედ-ნურსალ IV (პ. ბუტკოვით – მერსელ-ხანი) ფათალი ხანის წინააღმდეგ ბრძოლას შეენირა (მთარგმნ.).

35 მუჰამედ ტიმსიზი, იგივე მეორენაირად ტიმსიზ ბამატი იყო ყაზანიშის მფლობელი („ტიმსიზი“ ნიშნავს უკბილოს). მან სხვა დაღესტნელი ბელადების დახმარებით 1763 წელს შამხლობა მცირე ხნით წაართვა მურთაზალის (მთარგმნ.).

36 ამგვარად უწოდებდნენ ხოლმე ყუბის სახანოს სამხრეთ ნაწილს (მთარგმნ.).

37 პ. ბუტკოვს ეს ეპიზოდი თარიღების დამატებით ნასესხები აქვს სერებროვის 1796 წელს დაწერილი დაღესტნის მოკლე აღწერილობიდან, სადაც ავტორი იქვე დასძენს, რომ დამარცხებულმა უცუმმა დაიხია დერბენდის მხარისავე მოსკერის ოლქში, დერბენდზე მომავალი ღონისძიებისათვის [7, 185-186] (მთარგმნ.).

ის სასჯელი აგემა, რასაც ის გმელისის გამო იმსახურებდა. ალბათ უცუმის მოსათვინიერებლად სხვა ხერხებმა არ გაჭრა და ყაბარდოსა და ყუბანში გარკვეულმა სინყნარემაც მას ამ ღონისძიების მონყობის საშუალება მისცა.

### თავი 73

გენ. მედემის ლაშქრობა სამხრეთ დაღესტანში

გენერალ-პორუჩიკმა დე მედემა უცუმის წინააღმდეგ წაიყვანა ასტრახანიდან გამოგზავნილი მსუბუქი საველე რაზმი;<sup>38</sup> ათასი ყალმუხი, მოზდოკის კაზაკთა პოლკი და კიდეც ასტრახანიდან გამოგზავნილი 200 კაზაკი. მთელი ეს შენაერთი,<sup>39</sup> ზოგიერთი ცნობით, შედგებოდა არა უმეტეს 2800 კაცისგან, სავარაუდოდ მხოლოდ რეგულარულებისგან,

ყიზლარის ხაზის დასაცავად შჩადრინსკაიასა<sup>40</sup> და ჩერვლიონაიას<sup>41</sup> სტანიცების ახლოს 2500 ყალმუხი, ყიზლარელი მომთაბარე თათრებისგან 100 ტრუხმენი<sup>42</sup> და ასტრახანის დრაგუნთა ყალმუხთა როტა დააყენეს.

დე მედემის შენაერთს აულებში მცხოვრები ყიზლარელი თათრები მიჰყვებოდნენ ტვირთის საზიდად დადგენილ საფასურად.

დე მედემა ლაშქრობა დაიწყო 1775 წლის მარტის დასაწყისში. ყუმუხთა დასახლებებზე გავლისას დეტაშტამენტი ყუმუხთა საცხოვრებლებში ბინავდებოდა. როდესაც ის შამხლის სამფლობელოს მიუახლოვდა, იგი (შამხალი – მთარგმნ.) და ბუინაკის<sup>43</sup> მფლობელი, როგორც ფათალი ხანისადმი უაღრესად

38 მინაწერი: „(სწორია მოსკოვის ლეგიონის)“ (გამომც.).

39 ტექსტში – დეტაშტამენტი, რაც საგანგებო დავალებისთვის შესასრულებლად ჯარის სხვადასხვა სახეობებისაგან შემდგარ შენაერთს ნიშნავს (მთარგმნ.).

40 ტექსტში – შადრინსკაია, გრებენელ კაზაკთა სტანიცა მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე. ამჟამად სოფელი სტარომჩედრინსკაია თანამედროვე ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე (მთარგმნ.).

41 ჩერვლიონაია წარმოადგენდა მდ. თერგის შუაწელზე, მის მარცხენა ნაპირზე დასახლებულ გრებენელ კაზაკთა ერთგვარ ცენტრს (მთარგმნ.).

42 იგულისხმებიან XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე მანგიშლაყის ნახევარკუნძულიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადმოსახლებული თურქმენები. მათი მთამომავლები ამჟამად მკვიდრობენ სტავროპოლის მხარეში, ამიტომ მათ სტავროპოლელ თურქმენებად მოიხსენიებენ ხოლმე (მთარგმნ.).

43 ბუინაკი ამ დროს ნახევრად დამოუკიდებელ ფეოდალურ სამფლობელოს წარმოადგენდა. უფრო ადრე კი უშუალოდ ტარკის სამამხლოში შედიოდა (მთარგმნ.).

ერთგულნი, მას მთელი თავისი ხალხით შეუერთდნენ. როცა ის (მედემი – მთარგმნ.) უცუმის სამფლობელოში შევიდა, დაბანაკდა ნადირ-შაჰისეულ სანგარში, რომელსაც ირან-ხარაბა, ანუ „სპარსეთის დაღუპვა“ ეწოდებოდა.<sup>44</sup>

უცუმმა ალყა მოხსნა უკვე დანებებისთვის მზადყოფიერებენდს და მედემის წინააღმდეგ გაემართა; მაგრამ ვინაიდან მოკავშირეები ვერ დაითანხმა რუსების წინააღმდეგ მოქმედებაზე და ჰყავდა არა უმეტეს 4 ათასიანი ჯარი, სასტიკად დამარცხდა; მთელი მისი ძალები განადგურდა და გაიფანტა, რითაც უკვე სრულიად შესრულდა კარის გადანყვეტილებაც.

ამ დროს გასაჭირში მყოფმა ფათალი ხანმა მიმონწერა და ურთიერთობა გააბა მედემთან და მას დერბენდის რუსეთის მფარველობაში მიღება და დაკავება შესთავაზა.

მედემი ვალდებული იყო თავისი ექსპედიცია მხოლოდ უცუმის დამარცხებით დაესრულებინა; მაგრამ სამსახურებრივი გულმოდგინების გამო ირწმუნა, რომ მის წინაშე წარმომდგარი და მისი წარმოდგენით, რუსეთის სასარგებლო არავითარი უპირატესობა ხელიდან არ უნდა გაეშვა და ამგვარად, მან მისდამი მიცემულ დავალების ფარგლებს გადააჭარბა და ფათალი ხანის წინადადება მიიღო, იმასთან ერთად, რომ გაბრუნებისას დერბენდში დატოვებდა გარკვეულ სამხედრო რაზმს ამ ადგილის დასაცავად.

იმავე დროს, ამ გარემოებათა გათვალისწინებით რუსეთის მფარველობა მოისურვეს ტარკის შამხალმა და მისმა ძმამ, ბუინაკის მეთაურმა ბამატმა; ამ უკანასკნელისგან მისი ვაჟი შაბაზ-გირეი ორ უბდენთან ერთად მაისში ამანათად აიყვანეს და ყიზლარში გაგზავნეს.

ამგვარად, დე მედემი თავისი კორპუსით დერბენდისკენ გაემართა და [ქალაქი] დაიკავა. ფათალი ხანი მას 12 ვერსის მოშორებით დახვდა და, როგორც გასაჭირთაგან მის გამომხსნელს, დერბენდის გასაღები მიართვა.

44 ირან-ხარაბად წოდებული ეს ადგილი დერბენდიდან ჩრდილოეთით, რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს. დაღესტანში წარუმატებელი ლაშქრობის დროს 1742 წელს აქ იდგა ნადირ-შაჰის ლაშქრის ძირითადი ბანაკი [6, 90]. გენერალი მედემი ამ ადგილას მოვიდა და დაბანაკდა 28 მარტს [6, 102] (მთარგმნ.).

ეს გასაღები ფათალი ხანმა რუსეთის კარზე გაატანა დერბენდის ნაიბ მურზა-ბეგს უმაღლესი სახელზე დაწერილი ფურცლით. ამ ქალაქის შინაარსი ის იყო, რომ ძველთაგანვე რუსეთის ერთგულმა ფათალი ხანმა, უარი თქვა პორტას შვეულიანებით რუსეთის საწინააღმდეგოდ მოქმედებაზე გასულ ომში; ახლა კი, როცა მისი ჯარის ძალით აღიდგინა ძალაუფლება, იმპერატრიცას საჩუქრად მიართმევს ქალაქ დერბენდსა და თავის ყველა სამფლობელოს, ოღონდ, ყირიმის ხანისა და საქართველოს მეფის მსგავსად, სამფლობელოების მართვის საქმეებში თავისუფალ, შეუწუხებელ და სრულუფლებიან მფლობელად ყოფილიყო დატოვებული; გენერალ მედემს კი ებრძანოს, რომ ჯერ ისევ ამ მხარეში მყოფი მისი მტრები დასაჯოს; ასევე, რომ შირვანი მთელი მისი კუთვნილი მაზრებით, თვით მტკვრამდე, მათ წაართვას და ძველებურად მას, ფათალი ხანს დაუბრუნოს.

ამასობაში დე მედემმა, რომელიც ფათალი ხანის ინტერესებისკენ იხრებოდა, უცუმიცა და მისი თანამზრახველების წინააღმდეგ მოქმედების საბაბით რუსული იარაღი უცუმის გარდა, ფათალი ხანის სხვა მტრების, ტაბასარანის მფლობელებისკენაც მიმართა, თუმცა ისინი რუსეთის მოწინააღმდეგეები არ ყოფილან და ამის შესახებ ყადი აუწყებდა მედემს. ფათალი ხანი მსუბუქი ჯარით გაგზავნილი მაიორ კრიდნერის გამყოლი იყო. კრიდნერი იქ შევიდა სამხრეთ დაღესტნის მხრიდან, ყადის სოფელ ზილის გავლით სოფელ ერსისაკენ<sup>45</sup> მიმავალი გზით. ტაბასარანელებს ბრძოლა არ სურდათ და მთების გამაგრებულ ადგილებში გაერიდნენ. რუსული ჯარი მათ მიჰყვებოდა და თავდაცვას აიძულებდა. რუსები<sup>46</sup> შორს შევიდნენ მიუვალ ადგილებში; ჯარში დანაკლისი რომ ნახეს და შტანდარტი, ალაში და დოლი დაკარგეს, უკან გამობრუნება კი მოისურვეს, მაგრამ მთების ნაპრალებით მავალი ტაბასარანელები უკვე ძალიან სახიფათონი იყვნენ. თუმცა ყადიმ თავისიანებს [სამხედრო] მოქმედება აუკრძალა და

45 მთავარი შტაბის 1847 წ. რუკაზე: ზილი და იარსი დერბენდისგან აღმოსავლეთით, დარბახის ახლოსაა (გამომც.). დარბახი, დარბაღჩაი (Дарбагчай) – ტაბასარანის ქედიდან გამომდინარე მცირე მდინარე. ჩადინება კასპიის ზღვაში დერბენდის ჩრდილოეთით (მთარგმნ.).

46 ტექსტშიа Россияне – „რუსეთელები“. ჩანს, იგულისხმება, რომ მედემის ჯარის მნიშვნელოვან ნაწილს არარუსი ყალმუხები წარმოადგენდნენ (მთარგმნ.).

რუსები დაბრუნდნენ. მედემა მტრის ეს ნადავლი 170 რუბლად გამოისყიდა.

ყოველივე ამასთან ერთად მედემის მეცადინეობითა და მკაცრი მოთხოვნით უცუმს მონანიება აიძულეს და მისგან და მისი მოკავშირე ტაბასარანელი რუსტემ-ყადისგან რუსეთისადმი ერთგულების ფიცი ჩამოართვეს და ამანათები აიყვანეს.<sup>47</sup>

ამასობაში, ფათალი ხანმა რუსული ჯარის შეწვევით მოახერხა თავისი მტრებისგან ყუბის, კულგანისა და შაბრანის<sup>48</sup> და მათი კუთვნილი ყველა თემის დაბრუნება; უცუმისა და სხვების ხელთ მხოლოდ შემახის ოლქებიღა რჩებოდა.

ამის შემდგომ, 1775 წლის მაისში ან ივნისის დასაწყისში დე მედემი ყიზლარის ხაზზე დაბრუნდა. მას ის საგანგაშო ვითარება იხმობდა, რაც მისი არყოფნის დროს შექმნეს ჩეჩნებმა რუსეთის საზღვრებზე. დერბენდიდან დაბრუნებულმა მედემა ჩეჩნების ქურდული ჯგუფის დევნისას, რომლებიც ხაზს მისი არყოფნისას ემუქრებოდნენ, 1775 წლის ივლისში სტაროგლადკოვის ქალაქიდან<sup>49</sup> თერგს გაღმა გორიაჩეველები<sup>50</sup> დაამარცხა და სამი სოფელი და პური დაუნვა<sup>51</sup>. ამის შედეგად აგვისტოში ჩეჩენი მფლობელი არსლანბეკ აიდემიროვი ისევ ქვეშევრდომობაში მიიღეს, იმ პირობით, რომ ხელქვეითებითურთ სხვაგან გადასახლებულიყო. ნაბრძანები იქნა, მისთვის ძველებური ჯამაგირი მიეცათ და მასთან, შენაცვლებით, კაზაკთა უწინდელი

47 იმ დროს ისე მოხდა, რომ თავად ტაბასარანელებმა თავისი ერთ-ერთი მფლობელი მასუმი (ტაბასარანის ერთი ნაწილის, ტაბასარანის სამაისუმოს მმართველის ტიტული – მთარგმნ.) მოკლეს. მედემა მის მემკვიდრედ დანიშნა ჩვენდამი ერთი კეთილგანწყობილთაგანი, მაგრამ უცუმი და ყადი ამას არ დაეთანხმნენ (გამომც.).

48 შაბრანი ძველი ისტორიული მხარე და ქალაქი თანამედროვე აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის პირას, მაშინდელი ყუბის სახანოში (მთარგმნ.).

49 გრებენელ კაზაკთა სტანიცა თერგის მარცხენა სანაპიროზე, დღევანდელი სოფ. სტაროგლადკოვსკაია ჩეჩნეთის რესპუბლიკაში (მთარგმნ.).

50 კაჩკალიკის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობებზე მოსახლე ჩეჩნური თემი კაჩკალიკელები, რომელთაც რუსები ხშირად გორიაჩეველებად (Горйачевцы) მოიხსენიებდნენ. მოგვიანებით ისინი მშობლიური აულებიდან გადაასახლეს, ზოგიერთი აული რუსულ ჯართან ომისას განადგურდა (მთარგმნ.).

51 გიულდენშტედტი, ნან. I, გვ. 479. ქისტები ანუ ჩეჩნები 1774 (1773?) წელს სტანიცა ნაურს დაესხნენ თავს, გაძარცვეს და კაზაკთა ერთ-ერთ პოლკის ათასზე მეტი ცხენი წაასხეს (გამომც.).

რაოდენობა და 4 ხურო განენესებინათ; ვინაიდან 1747 წელს არსლანბეკ აიდემიროვს მამამისის, აიდემირ ბარდიხანოვისათვის 1735 წლიდან დანიშნული ჯამაგირის<sup>52</sup> მიცემაზე თავაზიანი უარი ეთქვა.

მედემმა დერბენდში მე-5 მსუბუქი საველე რაზმის მეთაურის, სეკუნდ-მაიორ ფიოდორ კრიდნერის მეთაურობით მუშკეტერთა 3 როტა, 3 ესკადრონი, 500 დონისა და 100 თერგის კაზაკი, 75 კანონირი და გამრევი და 30 ყალმუხი დატოვა.

დერბენდის ალყის დროს უცუმიის მიერ პურეულის განადგურების გამო რუსულ ჯარს სურსათზე დაბრკოლება ჰქონდა. ასე, რომ, პროვიანტი და ფურაჟი ტაბასარანელებისგან და ლეკებისგან სომხების მეშვეობით შესყიდვით უნდა ეშოვათ. როდესაც მედემმა უცუმი დასჯის შემდგომ დერბენდი დაიკავა და როცა შამხალმა და მისმა ძმამ რუსეთის მფარველობა მოიწადინეს, მაშინ საქართველოს მეფე ერეკლე მედემთან შიკრიკის ხელით გამოგზავნილი წერილში მას სთხოვდა და ინვევდა, რომ დერბენდიდან მიახლოებულიყო მის სამეზობლოში, საქართველოს მომიჯნავე და არავისზე დამოკიდებული ხალხების დასამორჩილებლად. მედემი კი იმით დაკმაყოფილდა, რომ ეს გადასაწყვეტად კარს წარუდგინა.

მედემთან ერთმანეთის მიყოლებით გაიგზავნა 1775 წლის 28 ივლისის, 3 და 5 ოქტომბრის უმაღლესი რესკრიპტები.

უცუმის დასჯა, რამაც უკვე აღასრულა წინასწარგანსაზღვრული გადაწყვეტილება, ამჟამად ბედმეტად ხდის იქაურ მხარეში ჩვენი ჯარის ყოველგვარ შემდგომ ყოფნასა და მოქმედებას, მით ნაკლებ საჭიროა უცუმის წინააღმდეგ ღონისძიების გაგრძელება, რათა ამით შორს არ გავარდეს და არ გავრცელდეს საეჭვო ხმები; ვინაიდან ამან შეიძლება ფუჭი გაღიზიანება და აღძვრა გამოიწვიოს როგორც მთის ხალხების, ისე ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების, სპარსეთისა და პორტასი. ასევე, ამათ იქნებოდა ამ მთიელი და ველური ხალხებისადმი მიმართული ყველა ძალისხმევა მათი

52 აიდემირ ბარდიხანის ძე ჩეჩნეთის დიდ ნაწილს მართავდა 1732-1748 წლებში. თავიდან ყირიმელების მოკავშირეობით ებრძოდა რუსებს. 1735 წელს ყირიმის ხანის მიერ ჩრდილო კავკასიის ხალხის დამორჩილების მცდელობის გამო რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა და მძევლად საკუთარი ვაჟი გადასცა (მთარგმნ.).

მორჩილების მოსაპოვებლად, რასაც არავითარი სარგებელი არ მოჰყვება.

ჩვენ მით უფრო ნაკლებად შეგვიძლია, მფარველობაში გვყავდეს და შევინარჩუნოთ ქალაქი დერბენდი, რომელიც ნამდვილად და ყოველგვარი შესიტყვების გარეშე სპარსეთის კუთვნილებაა;<sup>53</sup> მედემმა ტყუილად დატოვა იქ ჯარი, რითაც მისდამი მიცემული დავალების ფარგლებს გადააჭარბა.

მედემს დაევალა, ფათალი ხანისათვის ერჩია, რომ ცდილიყო, რაც შეიძლება სწრაფად შერიგებოდა უცუმს (რაც ფათალი ხანს, უცუმსა და ყადის შორის მართლაც შესრულებულია და დადგენილებაცაა მიღებული, მაგრამ ფათალი ხანი თვითონ არ იცავს მას), ესარგებლა მის ადგილში ჩვენი ჯარის ამჟამინდელი ყოფნით და რომლის მასთან გაჩერება მის გასაძლიერებლად ზამთრამდეა ნებადართული. შემდეგ კი დერბენდში დატოვებული გარნიზონი უსაფრთხოდ უნდა დააბრუნოს, რაც აღარ უნდა მოხდეს ფათალი ხანსა და უცუმს, ჩვენთვის სავსებით უცხო ადამიანებს შორის. თუმცადა, თუ უცუმმა როდისმე მოახერხა ფათალი ხანის დერბენდიდან გაძევება და ჩვენთან მოსაზღვრე ამ ქალაქის დაუფლება, რაც ჩვენი ინტერესებისთვისაც შეუთავსებელი იქნებოდა, – მაშინ, როდესაც მისი ასეთი განზრახვა შეიმჩნევა, უცუმს გააგებინოს, რომ დერბენდის ხანის ხელისუფლებას სიმშვიდე არ დაურღვიოს, თორემ მივიღებთ ზომებს ჩვენს მებობლად მისი გაფართოების შესაკავებლად.

ჩვენი ამგვარი მსჯელობის გათვალისწინებით, უნდა დავაბრკოლოთ შამხლისა და ბუინაკის მფლობელის, როგორც ჩვენი საზღვრების გარეთ მცხოვრებთა და თავისი მიწებით ყოველთვის სპარსეთს კუთვნილთა სურვილიც, რუსეთის მფარველობის ნება დაერთოთ; განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ მათ, მთელი თავიანთი ორჭოფობით შეიძლება წარმოიდგინონ, რომ ჯამაგირისა და სხვა ჯილდოების მოთხოვნის უფლება აქვთ;<sup>54</sup> არამედ თავაზიანი ხერხებით ისინი ჩვენი მხარისადმი

53 მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის რუსეთის ხელისუფლება დერბენდს და ამიერკავკასიის სახანოებთან ერთად სპარსეთს (ირანს) წილად განიხილავდა, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხანები ირანის შაჰს დიდი ხანია აღარ მორჩილებდნენ (გამომც.).

54 და, ნამდვილად, 1776 წელს შამხალმა ნებადართვა ითხოვა, რათა თავისი



კეთილგანწყობილად უნდა გვყავდეს; არ მოეთხოვოთ მათ, ასევე უცუმიხა და ყადის ჩათვლით, ფიცის დადება და მათ ამანათებიც უნდა დაუბრუნდეთ.

ვინაიდან ჩვენი პოლიტიკის წესები სპარსეთის მხარის მიმართ არსებითად ასეთია, და ჩვენი იმპერიის ინტერესებისთვისაც ყოველთვის უფრო მტკიცე და ხელსაყრელი შეიძლება იყოს, თუ ეს სახელმწიფო შემდგომშიც დარჩება თავის ამჟამინდელ მდგომარეობაში, – პირდაპირი კანონიერი უზენაესი ხელისუფლების გარეშე და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და უმეტესად ერთმანეთთან დაპირისპირებული ცალკეული მეთაურებით. მაგრამ, ამის საპირისპიროდ, მეტად საეჭვოა: ხომ არ შეიძლება ასეთი უწესრიგობა შემდგომში შეჩერდეს და ცალკეული მეთაურები შეერთებისკენ და საერთო, ერთსულოვანი საქმისკენ მიიღრიკნენ, თუკი ჩვენი მხრიდან სპარსეთის კუთვნილების ხელყოფა და მათში ჩვენი ხელისუფლებისა და ჩვენი მფლობელობის დამკვიდრება აღკვეთილი არ იქნება. ამას გარდა, ჩვენ რომ მოგვედომებინა, შესაძლებლობის ფარგლებში, ჩვენი საზღვრების განვრცობა ადგილობრივიდან სპარსეთის ყველაზე შორეული ადგილების დასაუფლებლად და შესანარჩუნებლად, ისეთ შენაძენს მაინც ვერასოდეს მივიღებდით, – როგორსაც პორტა მოახერხებს თავის მხრივ, სპარსეთთან უშუალო მეზობლობით, დაეუფლება რა იმგვარადვე მასთან ახლო მდებარე სპარსულ ადგილებს; ვინაიდან შეუძლებელია, რომ ის ხედავდეს ჩვენ ასეთ მეცადინეობას და მოისურვოს, უანგაროდ და უმოქმედოდ იყოს.

რაც შეეხება ერეკლე მეფის მოთხოვნას, რომ მედემი

---

საჭიროებისათვის რუსეთში შეესყიდა რკინის გარკვეული რაოდენობა, რომლის გატანა ამ საზღვარზე საგანგებო ნებართვის გარეშე აკრძალული იყო, ისევე როგორც ფოლადის, ტყვიის, დენთის, სხვა საბრძოლო მასალისა და თავად იარაღის. მას ასტრახანში ან ყიზლარში 200 ფუთის ყიდვისა და დადგენილი ბაჟის გადახდით მისი საზღვარზე გადატანის ნება დაერთო. მაშინ ყიზლარში ინახებოდა რკინის სახაზინო მარაგი, მხოლოდ ყიზლარის, მოზდოკისა და ხაზზე მცხოვრებთა მოსამარაგებლად, მათი ნამდვილი საჭიროებებისათვის, იმავე ფასად, რამდენიც დაჯდა რკინა ყიზლარში ჩატანით (1770 წელს კი ფუთი რკინა 2 რუბლი ღირდა); კერძო პირებისთვის კი ყიზლარში რკინით ვაჭრობა აიკრძალა 1768 წელს. რკინის შესყიდვის მოთხოვნელებს ყიზლარში ეძლეოდათ ბილეთები ან ნიშნები მოზდოკის კომენდანტისა და სხვა უფროსობისგან, – განსაკუთრებით ყაბარდოელთა დასაბნევად (გამომც.).

თავისი კორპუსით მას მიუახლოვდეს, იმპერატრიცამ მედემს 1775 წლის 28 ივლისის რესკრიპტით უპასუხა: ეს მოთხოვნა იმგვარია, რომ სრულად ცხადყოფს, რომ ერეკლე დღემდეც კი განაგრძობს ხერხების ძიებას, რათა აქაური შემწეობით თავისი საკუთარი ძალაუფლებისმოყვარეობა დაიკმაყოფილოს, როგორც ეს ნაწილობრივ მჟღავნდებოდა ჩვენი ჯარის საქართველოში ყოფნისას, და უკვე არავითარ ყურადღებას აღარ იმსახურებს. ამიტომ მედემმა დუმილი უნდა შეინარჩუნოს მის შემდგომ გამოხმაურებამდე; ასეთ შემთხვევაში კი ერეკლეს აცნობოს, რომ ეს სრულიად შეუძლებელი საქმეა. ხოლო უკეთუ მას სურს, დაე, ახალი დაპყრობები და შენაძენები საკუთარი ძალებით აწარმოოს.<sup>55</sup>

რუსეთის სამეფო კარის ამგვარი მოსაზრებებისა და პოლიტიკის პირობებში დერბენდის ხანის დესპანი თუმცა კი დაუშვეს კარზე, მაგრამ იმ ერთადერთი განზრახვით, რომ ამ ხანის ნდობა მოეპოვებინათ, შემდგომში ჩვენი მხარისადმი მხოლოდ კეთილგანწყობის შენარჩუნებისათვის. ამიტომაც დერბენდის გასაღებიც ამავე დესპანის მეშვეობით მას უკან გაუგზავნეს. ხოლო ფათალი ხანის თხოვნას კი პირველმა მინისტრმა 1775 წლის 7 ოქტომბრის წერილით უპასუხა, რომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა მას თავისი წყალობის ღირსად ყოფს რუსეთის იმპერიის ერთგულებისათვის, ოღონდ სპარსეთთან რუსეთის ამჟამინდელი ურთიერთობის გადასინჯვის გარეშე. ხოლო იმის თაობაზე კი, რომ მის მფლობელობაში მანამდე მყოფი ყველა ადგილი აქაური შეწევნით დაუბრუნდეს და თვით მისი რომელიმე გარეშე ხელისუფლებისგან ისეთი დამოუკიდებელი მდგომარეობა უზრუნველვყოთ, როგორშიც ახლა ყირიმის ხანი იმყოფება, – ხანის ეს სურვილი ისეთია, რომ რუსეთის კარი მასში, როგორც თავისთვის უცხო საქმეში, ვერც მონაწილეობის და ვერც დახმარების საშუალებას ვერ ხედავს იმ წესის მიხედვით, რომ მეზობელ სახელმწიფოებთან დამყარებული ყველა დადგენილება, სანამ მათ გასაუქმებლად საბაბი მათგანვე არ იქნება მოცემული, წმინდად და ურყევად უნდა იყოს დაცული;

55 ამ საკითხის თაობაზე დაწვრილებით იხ. ჩვენი გამოკვლევა [9, 103-109] (მთარგმნ.).

იმიტომაც, რომ დერბენდისა და ფათალი ხანის საგამგებლო სხვა ადგილების საქმეები, თვით მათი მდებარეობის მიხედვით, ყოველგვარი შესიტყვების გარეშე სპარსეთის კუთვნილებაა, და რუსეთის კარის მიერ ოფიციალურადაც აღიარებულია; ხოლო სპარსეთი, ფათალი ხანის სამშობლო, რუსეთის იმპერიასთან ძველთაგან მეგობრობითაა დაკავშირებული და თავისი სხვადასხვა შიდა ცვალებადობის მიუხედავად, დღემდე შეინარჩუნა კეთილმეგობლობის კანონები; და იმიტომაც, ფათალი ხანი სპარსეთზე დამოკიდებულებისაგან ახლავე რომ ჩამოაშორონ, ამ სახელმწიფოს ნების საწინააღმდეგოდ საკუთარი თავის ამ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად, შესაძლოა, არამართო დიდი ძალისხმევა მოეთხოვოს, არამედ, მრავალი საზრუნავიც ასეთ ახალ საფუძველზე ფათალი ხანის სამფლობელოს შიდა კეთილმონყობისთვის.

ასე რომ, ფათალი ხანს ისღა დარჩენოდა, თავის ყველა საშიშარ მოწინააღმდეგესთან შერიგების გზა ეძია. უკუმსა და ყადისტან უკვე შერიგებულმა, მან ყაზიყუმუხის მფლობელიც დაამშვიდა, ისე, რომ მას ფათალი ხანი მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში მეტად აღარ შეუწუხებია (ვინაიდან ფათალი ხანი მის დაზე დაქორწინდა), მიიღო რა ფათალი ხანისგან დერბენდის სახანოში, სამურის მარცხენა ნაპირზე, მის ზემო წელზე მდებარე გუნეის ოლქის სოფლები: ფილე, კლიჩე, უგანი, მოგარიგენი, ჯებელი, ყოისუნი და გილიარი; ისტოლჩილეკის თემი, სადაც ოთხი სოფელია, და კურიას თემი 40-მდე სოფლით; მოკლედ, კურის მთელი ოლქი.<sup>56</sup>

შემახაზე თავისი ბატონობა მან იმით აღადგინა, რომ ეს სამფლობელო დაუბრუნა დერბენდში ტყვეობაში მყოფ ადგილობრივი მუჰამედ-სეიდ-ხანს, შერთო რა მის ძეს, მუჰამედ-რიზას, უბრალოდ მემერზას რომ ეძახდნენ, თავისი და, ფატიმა. მაგრამ როდესაც ბრმა აღასიმ შეიტყო, რომ მის ძმას შემახა დაუბრუნდა, ელოვლედან შემახაში ჩავიდა და ძმისგან

---

56 მთავარი შტაბის 1834 და 1847 წწ. რუკებზე კურის სამფლობელოში სამურის დინების მიმართულებით შემდეგ სახელწოდებებს ვპოულობთ: გაჰცა, ფილია, კუგანი, მაგარგონი ან მაგარგემი, ჯიბელი, გილიარი ან გელიარი და ყოისუნი; სამურის ჩრდილოეთით: ჩილეკი და კურ-კენტი ან კურ-კენტი (გამომც.).

მმართველობაში მეტი მონაწილეობა მოითხოვა, რის გამოც მასთან უთანხმოება მოუვიდა. ყოველივე ამის შემყურე ფათალი ხანის სიძე მემერზა თავის ცოლისძმასთან წავიდა; თუმცაღა ორივე ძმა ერთობლივად მმართველობდნენ, ფათალი ხანს საჩუქრებს უგზავნიდნენ და მას მსახურებდნენ.<sup>57</sup>

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. Алкадари Гасан-Эфенди, Асари Дагестан, (Исторические сведения о Дагестане), перевод и примечания А. Гасанова, Махачкала, 1929.
2. Бакиханов А., Гюлистан-и Ирам, Редакция, комментарии, примечания и указатели акад. З., Буниятова, Баку, 1991.
3. Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, ч. 1. Санкт-Петербург, 1869.
4. Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, ч. 2. Санкт-Петербург, 1869.
5. Гаджинский Искендеръ-Бекъ, Жизнь Феть-Али-Хана Кубинскаго, габ. «Кавказ», 1847, N48.
6. Козубский Е. И., История города Дербент, Темирхан-Шура, 1906.
7. Серебров А. Г., Историко-этнографическое описание Дагестана, 1796 г., История, география и этнография Дагестана XVII-XIX вв. Архивные материалы, под ред. Косвена М. О., Хашаева Х-М. Москва, 1958.
8. მერკვილაძე დ., პეტრე ბუტკოვი ქალაქ-სიმაგრე მოზდოკის დაარსების შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (25), თბილისი, 2021.
9. მერკვილაძე დ., გენერალ მედემის ლაშქრობა დაღესტანში და ერეკლე II-ის გეგმები, წმიდა გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისო კონფერენცია: საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია, მასალები, თბილისი, 2020.

---

<sup>57</sup> მოგვიანებით, 1788 წელს, როცა ფათალი ხანმა მუჰამედ-საიდ ხანი და აღასი ხანი თავის ვაჟებთან ერთად დაახოცვინა, არც თავისი სიძე მუჰამედ-რიზა ბეგი (1753-1788) დაინდო. ეს უკანასკნელი ყუბაში დასაჯეს სიკვდილით [5] (მთარგმნ.).

**David Merkviladze**

*Doctor of History*

**PETER BUTKOV ON THE SITUATION IN THE EASTERN  
CAUCASUS IN 1774-1775 AND GENERAL MEDEM'S  
EXPEDITION TO SOUTH DAGESTAN**

**Summary**

Russian scholar Peter Butkov served in the Caucasus in the 1790s and early 19th century as an officer in the Russian army, including in the Chancellery of the Command. There he had access to numerous documents of military-political significance about the Caucasus. After completing his military service, he continued to collect documentary material on this topic. Based on them P. Butkov compiled the recent history of the Caucasus.

After P. Butkov's death, the scholar's manuscripts were handed over by his widow to the Imperial Academy in St. Petersburg. P. Butkov's work was published in two volumes in 1869 by a special commission.

We offer the reader the information of Peter Butkov about the situation in the Eastern Caucasus and General Medem's campaign in southern Dagestan. The named stories are chronologically placed from 1774 to 1775 and represent chapters 71-73 of P. Butkov's mentioned work. The Georgian translation was done by Davit Merkviladze and Erekle Khutsishvili.

## ვაჟა კვიციანი

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი*

### ქართულ საგვარეულოთა ისტორია (საყვარელიძეთა ერთი ოჯახის კახეთში დამკვიდრების ისტორია)

ყველა ძველ გვარს, საკუთარ წარმომავლობასთან დაკავშირებით, გარკვეული გადმოცემები და ლეგენდები შემოუნახავს. უმეტესწილად, მათში სინამდვილე და შენათხზი ერთმანეთში მჭიდროდაა გადაჯაჭვული, ამიტომაც, ძალზე მნიშვნელოვანია დოკუმენტური საბუთების არსებობა და მათთან ზეპირი გადმოცემის შეჯერება. ხშირად ეს ვერ ხერხდება, რადგან ქვეყნის ძნელბედობის და სხვა გარემოებათა გამო, დოკუმენტური მასალა თითქმის პირნიშნადაა დაკარგული ან განადგურებული.

ამჯერად მინდა სამი მნიშვნელოვანი დოკუმენტი წარმოვადგინო, რომლებიც საყვარელიძეთა გვარის ერთი ოჯახის კახეთში დამკვიდრებას შეეხება (ალავერდსა და ხორხელში, ასევე თელავში). ყველა მათგანი დედანია და არასდროს გამოქვეყნებულა. საბუთები ინახება ჩვენს პირად არქივში. საბუთები თარიღდება მე-19 საუკუნის 10-იანი წლებიდან 1832 წლამდე. ქრონოლოგიურად მესამე საბუთი, რომელიც 1832 წლით თარიღდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, მწერლებისა და პოეტების: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების ხელიდანაა გამოსული (დამონშემებულია მათი საკუთარი ხელმოწერით).

მივყვეთ საბუთებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. პირველი საბუთი, რომელიც საყვარელიძეთა ამ ოჯახის კახეთში დამკვიდრებას შეეხება, დაწერილია ორად მოკეცილ ლურჯ ქაღალდზე. ამ საბუთში ნათქვამია, რომ გრიგოლ დავითის ძე საყვარელიძე 40 წლის წინ დამკვიდრდა ალავერდსა და მის შემოგარენში; მათ „ამ ოჯახის“ აზნაურიშვილობას ფიცით ამტკიცებენ: პეტრიაშვილები, მადრანის მხარის ნაცვალის ჯანი

და მისი ოჯახის წევრები, ლუარსაბ კობიაშვილი, გიორგი ენდრონიკაშვილი, ჭავჭავაძე დავითი, ედიშერ ჩოლოყავეცი (ჩოლოყაშვილი), თავადი ბაბადიშვილი: ზაქარია და როსები. საბუთი უთარიღოა, მაგრამ ქალაქს აქვს ჭვირნიშანი 1808 წლისა. სავარაუდოდ, საბუთიც ამავე პერიოდში უნდა იყოს შედგენილი. 1808-40 = 1768; ამგვარად, საყვარელიძეთა ამ ოჯახის პირველი წარმომადგენელი, ამ მხარეში, XVIII საუკუნის დაახლოებით 60-იან წლებში გადმოსულა. საიდან, საქართველოს რომელი კუთხიდან, გადმოსახლდნენ დავით და გიორგი საყვარელიძეები, საბუთიდან არ ჩანს, მაგრამ ოჯახის ზეპირი ტრადიციით<sup>1</sup>, ოჯახი, კახეთში სამცხიდან გადასულა, თავის ხის სახლთან ერთად.

საინტერესო ფაქტია, რომ ამ საბუთის ერთ-ერთი მოწმე, გოგია (გიორგი) ენდრონიკაშვილი აცხადებს, რომ მისი წინაპარი ნათესაურად იყო დაკავშირებული საყვარელიძეთა ამ გვართან (გრიგოლ საყვარელიძის დედა, მისი პაპიდაშვილი ყოფილა), ასევე საინტერესოა, რომ საუფლისწულო მამულის მადრანის [4, 70] მმართველიც (ნაცვალი) ამონმებს საყვარელიძეთა ამ განაყოფის გვარიშვილობას.

საბუთი ნაწერია შავი მელნით, მსხვილი მხედრულით. სამივე საბუთში მსგავსია რამდენიმე ასოს გადაბმა (მაგალითად „ვ“ და „ე“ და „ი“, „ფ“ და „ი“ და ა. შ. ხშირად „ე“, „ვ“, „ფ“ კლავნილი ფეხით არის წარმოდგენილი). მსგავსი მხედრული ხელი, ტიპურია XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს. პირველი ნახევრისთვის.

საბუთში აღრეულია „ხ“ („ხანის“) და ჳ („ხარი“-ს) ხმარება. პუბლიკაციაში, ჩვენ ორთოგრაფია არ შეგვიცვლია და ისევე დავტოვეთ, როგორც ისინი დედანშია.

საერთოდ, აღიარებულია, რომ საყვარელიძეთა ფუძე იმერეთიდანაა. არსებობს, მაგალითად XVI ს. პირველი ნახევრის სიგელები, რომელთა მიხედვით, მელქისედეკ საყვარელიძე გაენათელი ეპისკოპოსია [1, 154].

XVII- XVIII სს-ში საყვარელიძეთა გვარი კვლავ იმერეთში ჩანს [2, 394], მაგრამ მათი განაყარი უკვე ქართლში, შიდა ქართლში და სამცხეშიც ჩანს [3; 37, 4, 264, 538]. ზევით ნახსენები ერთი

---

<sup>1</sup> დედაჩემი ირინე საყვარელიძე ამ ოჯახის პირდაპირი ჩამომავალი იყო.

ოჯახის განაყარის გარდა აშკარაა, რომ საყვარელიძეები, კახეთში სხვა დროს და სხვა ფუძიდანაც არიან დამკვიდრებული.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს არქივში დაცულ საბუთებს. მეორე საბუთი დათარიღებულია 1829 წლის („ჩყვთ“) 25 („იე“) ნოემბრით. ამ საბუთს გასცემს თელავის მაზრის („უეზდის“) თავად-აზნაურთა მარშალი – აბელიშვილი. საბუთი ნაწერია ყავისფერი, ორფურცლიანი ქაღალდის პირველ გვერდზე. საბუთი („მონმოზა“) ყავისფერი მელნით არის დაწერილი. მას პირადი ხელმოწერით ადასტურებს თავად-აზნაურობის თელავის მაზრის მარშალი აბელიშვილი. საბუთის მარჯვენა ზედა კუთხეში რუსეთის იმპერიის ღერბია გამოსახული. იმ პერიოდისთვის, ორთავიანი არწივის ფრთები ისე არ იყო გაშლილი როგორც მოგვიანებით და არწივს ბრტყალებში სამეფო ინსიგნიები არ ეჭირა. რუსული ღერბის რეფორმირება მოგვიანებით – 1883 წელს განხორციელდა.

ამ საბუთშიც დამონშებულია კახეთში გადმოსულ საყვარელიძეთა აზნაურული წარმომავლობა და ერთი საყურადღებო დეტალიც არის მოტანილი. კერძოდ, თავად-აზნაურთა მარშალი აბელიშვილი წერს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საყვარელიძეთა ამ ოჯახს საბუთების დიდი ნაწილი, მძიმე ისტორიული ვითარების გამო (მტრის შემოსევები, აყრა-გაქცევა და ა. შ.), დაჰკარგვიათ, მათ მაინც შემოუნახავთ საქართველოს უკანასკნელი კათოლიკოს-პატრიარქის, ერეკლე II-ის ძის, ანტონ II-ის (1764-1827; პატრიარქობდა 1788-1810 წლებში) გუჯარი (1810). ამ განჩინებაში ანტონ II-ს ნიკოლოზ ხარჭაშენლისთვის მიუთითებია, სოფელ ოთხთვალში<sup>2</sup> მსახლობელი ივანე და მიხეილ გრიგოლის ძეთა ბიძა – ბესარიონ საყვარელიძე იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში გაემწესებინა. ამასთანავე მარშალი აბელიშვილი ამოწმებდა იმ ფაქტსაც, რომ გეორგიევსკის ტრაქტატისადმი თანდართულ თავად-აზნაურთა სიაში, აღნიშნული გვარი, სამეფო აზნაურთა შორის იყო მოხსენიებული.

მესამე საბუთი, 1832 წლის 27 ივლისსაა გაცემული. როგორც აღნიშნული გვექონდა, ეს საბუთი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საბუთის გამცემი პირების: ალექსანდრე და ვახტანგ

<sup>2</sup> უცნაური სახელის მქონე სოფელი „ოთხთვალი“ იოანე ბაგრატიონის მიხედვით, მდებარეობდა სოფლებს ბახტრიონსა და მადრანს შორის [4, 701].



ორბელიანების გამო. 1832 წლის ზაფხულში (გავიხსენოთ: საბუთი 27 ივლისისაა გაცემული!) ქართულ ელიტარულ წრეებში დიდი სამზადისი იყო. მზადდებოდა სერიოზული შეთქმულება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ერეკლე II-ის ნაბოლარა ქალიშვილის – თეკლას ვაჟები, ამ შეთქმულების სათავეში იდგნენ. მით უფრო დასაფასებელია მათგან, რომ ასეთ დროს, მათ მოიცალეს კერძო დავის გადასაჭრელად; როგორც სიგელიდან ირკვევა, სოფ. ხორხელში მცხოვრები გრიგოლ საყვარელიძის ვაჟები იოანე (ივანე) და მიხეილი, სასამართლოში დავობდნენ იმის შესახებ, რომ ისინი გლეხები არ იყვნენ და არავითარი გამოსაღები ან შრომითი ბეგარა მათ არ ეკისრებოდათ და არაფრის გადახდა არ ევალებოდათ. როგორც კი ორბელიანები დარწმუნდნენ, რომ საყვარელიძეები მართლები იყვნენ და აზნაურთა ფენას განეკუთვნებოდნენ, თვითონვე შეწყვიტეს დავა და სასამართლოდან ყველა პრეტენზია გაიწვიეს. წარმოვადგენთ საბუთებს ქრონოლოგიური რიგის მიხედვით.

### **პირველი საბუთი:**

(საბუთში მხოლოდ სასვენი ნიშნებია ჩვენ მიერ გამართული):  
*„ე. ჩვენ ერთობით პეტრიაშვილები, ღმერთსა ვფიცავთ და ხელმწიფის თავსაცა, რომ ეს გრიგოლ დავითის შვილი აზნაურ შვილი არის და ამისი მამა რომ გადმოსულა და თელავს დასახლებულა<sup>3</sup> და აღბრდილა, ჩვენი ქალიც უთხოვნია; აზნაურ შვილის პატივით ყოფილა, რომ ამათ არცარა სახელმწიფო და არცარა სხვარამ სთხოვებიათ, თავის-უფალი იყვნენ; ეს ორმოცი წელიწადია, რომ აქ ჩვენში არიან; ამათ არცარა სთხოვებიათ და აზნაური შვილის სახითაც იქცეოდნენ.*

*ე. მე, მაღრანის<sup>4</sup> ნაცვალი ჯანი და ერთობით ნაცვლიანი ღმერთსა ვფიცავთ და ხელმწიფესა, რომ ეს გრიგოლ დავითის შვილი აზნაურ შვილად გვიცნია და ამის მამასაც მოვესწარ, აზნაურ შვილი იყო, ამაში გლეხული ქცევა არა გვინახავს რა.*

*ე. მე, ლუარსაბ კობიაშვილი ღმერთსა ვფიცავ და ხელმწიფის*

---

3 დედანში, პირველი ასო „დ“-ს ნაცვლად, „ს“ - წერია, მაგრამ ეს აშკარად კალმის მექანიკური შეცდომაა.

4 მაღრანი. სოფელი ე. წ. გაღმამხარში იხ. იოანე ბაგრატიონი [3, 70]

თავსა, რომ ეს გრიგოლ დავითის შვილი აზნაურ შვილათ მიცნია; ამის მამასაც მოვესწარ, აზნაურ შვილის სახით იქცეოდა და ყოველნი პატივს ვცემდით; მოყვრითაცა და ნათესავითაც აზნაურ შვილნი არიან. ამ ზემოხსენებულთ კეთილშობილთ წერა არ იცოდენ, მე ღვდელი ბალალოჩინი პანტელეიმონ ვსწერ ამათის სიტყვითა.

ქ. მე, გოგია ენდრონიკაშვილი, ღმერთს ვფიცამ და ჰელმწიფის თავს, ეს გრიგოლ დავითის შვილი აზნაურ შვილი არის; როდესაც ავის დროსაგან, ამათი ქვეყანა ნამზდარა<sup>5</sup>, გადმოცვივნილან ორნი ძმანი; ამ გრიგოლის მამა დავით, თელავს იდგა და მისი ძმა – გიორგი ალავერდს; პატიოსანნი კაცნი და აზნაურ შვილნი იყვნენ და ამ გრიგოლის დედაც, ჩემი პაპიდაშვილი იყო და სხვანიც მრავალნი ჰყვანა ნათესავნი კეთილშობილნი. ენდრონიკაშვილი გიორგი (სახელი ჩახვეულადაა – ვ. კ.)

ქ. რაგვარადაც ეს ზემო ხსენებულნი კეთილ შობილნი ემონმებიან გრიგოლს, მეც ამისი აზნაურ შვილობა ისრე ვიცი<sup>6</sup> და ამის მამის ბიძისაც კარგად მცნობი ვარ. ჭეშმარიტებას ვფიცავ. ენდრონიკაშვილი.

ქ. მე თავადი<sup>7</sup> ჭავჭავაძე დავით, ღმერთსა ვფიცავ და ხემწიფესა, რომ მამიჩემისგან გამიგონია, ამ გრიგოლის მამა აზნაურ შვილი იყო და ეს გრიგოლიც, აზნაურ შვილათ მიცნია. ისეთ ალაგს შევესწარი, რომ სანერელი კალამი არ იშობოდა და მე, პანტელეიმონ მღვდელს... ხსა (არ იკითხება – ვ. კ.) და ვსწერ ამის სიტყვით.

(ქ.) თავადი ჩოლოყაევი ედიშერ, ვემონმები ამ ჩემ წერილს. ეს, დავითის საყვარელიძის შვილი გრიგოლ აზნაური შვილათა გაგვი(გო)ნია და იყო. თუმ მოურავი ედიშერ ჩოლოყაევი<sup>8</sup>.

(ქ.) ღმერთს ვფიცავთ, ჩვენ: თავადი ბაბადიში ზაქარია და როსები, რომ ესა საყვარელიძე დავითის შვილი გრიგოლ, აზნაურ შვილად გაგვიგონია და გვიცნია.

5 დედანში, აქედან („ნამზდარა“) სიტყვებამდე „გიორგი, ალავერდს“ წინადადებას ქვეშ ხაზი აქვს გასმული, მაგრამ ჩანს, რომ ეს ხაზგასმა შემდეგში მომხდარა და არა თავიდანვე.

6 ამის შემდგომ ორი წინადადება ფურცლის მეორე მხარეს გადადის

7 ეს სიტყვა თითქმის სულ ამომქრალია

8 ეს სიტყვა (გვარის აღმნიშვნელი) თითქმის სულ ამომქრალია

(ქ.) (ღმე)რთს ვფიცავთ ჩვენ სულხანისშვილი ბარსკი<sup>9</sup> რომ ესა საყვარელიძე დავითის შვილი გრიგოლ, აზნაურიშვილად გაგვიგონია და გვიცნია“.

### **მეორე საბუთი: 1829 წელი.**

„მონშობა მიეცათ ესე აზნაურთ, თელავის უეზდის სოფელს ხორხელში მცხოვრებელი ივანეს და მიხაილს გრიგოლის ძეთა საყვარელიძეთ. მასზედ, რომელ ესენი სწარმოებენ ნამდვილ იმ აზნაურთ საყვარელიძეთ გუარისაგან, რომელიც, განსვენებულის მეფის ირაკლისაგან წარდგენილსა და რუსების პელწმიფა იმპერატრიცა ეკატერინა მეორესგან წელსა ჩღჳგ (1783 ვ. კ.) უმაღლესად დამტკიცებულს ტრახტისადმი<sup>10</sup> შერთულს სიაში აღმოჩენილ არს რიცხუსა შორის აზნაურთ, საკუთრად მეფისადმი კუთვნილთა, რომლითაც გვართა და აზნაურებითის ღირსებით, ამათს ოჯახს, ყოველთვის უსარგებლია და ჰქონია ის კეთილშობილური ცხოვრება-მდგომარეობა და ჰპატივი, რომელიც რომ კეთილშობილურს წოდებას ეკუთვნიან და თუმცა ავთა ჟამთა ვითარებათა და ხშირად და ხშირადთა<sup>11</sup> მტერთაგან საქართველოსა ზედა დაცემათა და მოოხრებათაგან, მეფეთ წყალობის წერილნი ამათ ოჯახს აღარ შერჩენია, და ახლა თითონაც ობლად და უპატრონოდ დაშთენილან; დაკარგულს წერილებს გარდა კიდევ აქუსთ ერთი გადარჩენილი წერილი საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, მეფის ირაკლის ძის ანტონისა, წელსა ჩყი (1810 – ვ. კ.) აგვისტოს ჳგ (23 – ვ. კ), რომელშიაც ცხადად ჩანს გუარი ამათი, რომ მისს უწმინდესობას მოუწერია ყდ (ყოვლად – ვ. კ.) სამღუდელოს ხარჭაშნელის ნიკოლოზისადმი, რომ საყვარელიძეს მღდუელს ბესარიონს ოთხთვალაში მსახლობელს, იქავ ოთხთვალაში, ნათლის-მცემლისა ეკლესიაზედ ენქერი უკურთხოს; რომელიც წერილი, ეკუთვნის ამა ზემოხსენებულ ივანეს და მიხაილს გრიგოლისძეთა საყვარელიძეთ, ასე რომე, აღნიშნულ ამ წერილში, მღუდელი ბესარიონ საყვარელიძე არის ღვიძლი მამის ძმა ამათი. და ესრედ ამათს ოჯახს ძველადგან – დღევანდლამდისინ ყოველთვის ჰქონია

9 ასეა დედანში. შესაძლოა, უნდა ყოფილიყო „გორჯასკი“

10 იგულისხმება ე. წ. „გორგიევსკის ტრაქტატი“

11 ასეა ტექსტში

და აქუს აზნაურებითი ღირსება, რომლისაც, ჭეშმარიტებისამებრ მცოდნენი, ვემოწმებით საკუთარისა ამასაზება ხელის მონერთა ჩვენითა. ნოემბერს იე (25 – ვ. კ.) დღესა, წელსა ჩყვთ-ს (1829 – ვ. კ.). თელავის უებდის მარშალი თა(ვადი) აბელიშვილი“.

### **მესამე საბუთი: 1832 წელი.**


„ჩყლბ წელსა (1832 - ვ. კ.) ივლისის კმ (27) დღესა გაძღვეთ წერილსა ამას, ჩვენ ამის ქვემო ჴელის მომწერნი პოდპორუჩიკი ალექსანდრე და ვახტანგ ვახტანგის ძენი, თავადნი ორბელიანოვნი, თქუენ თელავის უებდის სოფელს ხორხელს მცხოვრებელთ აზნაურთ იოანე და მიხაილ გრიგოლის ძეთა საყვარელიძეთ, მისთვის რომელ რადგანაც თქვენი აზნაურიშვილობა საქმეებით აღმოჩნდა და წარსულს ჩყვე-ს წელსა (1825 – ვ. კ.) მარტის თვესა, ჩვენგანმან პირველმან მისცა არზა თელავს ოკრუჟნის ნაჩაღნიკს სტეფანოვს ჩვენდამი ყმობასა ზედა, სადაც წარმოებს საქმე და აწ, კეთილნებობითა ჩვენითა დაუტევეთ დავაჲ იგი; ამიერთ, არღარა გვეწოდეს დავა თქვენ ხსენებულთ აზნაურთთან, არცა ჩვენ და არცა შთამომავალთა ჩვენთა, ხართ საუკუნოდ და შთამომავლობითად თავისუფალი ჩვენის ყმობიდან და თქვენს დასარწმუნებლად, მოგეცით წერილი ესე და ამაზება უნდა ჩვენგანმან პირველგანვე მისცეს არზა თელავის ოკრუჟნის ნაჩაღნიკს, რომ მან დააყენოს წარმოება საქმისა და მიეცეს საუკუნოს დავინყებასა და წერილი ესე დამთეს უცვალებად ამა სრულს მტკიცეს ძალაზება, რომლისთვის ჴელს ვანერთ: პოდპორუჩიკ თა(ვადი) ალექსანდრე ორბელიანოვი (ხელრთვა); თა(ვადი) ვახტანგ ორბელიანოვი (ხელრთვა)“.

ამას მოსდევს სასამართლო დადგენილება რუსულ ენაზე: „1832 года Июля 27-го числа, сие обязательство в Тифлисском уездном суде, Подпоручика Александром и Вахтангом Орбелиановыми лично евлено и в книгу<sup>12</sup> подлинником под № 616 записана и что оно е собственн ой рукой подписано, в том, Суд сей, подписом и приложением Казенной печати свидетельствует. Заседатель Книязь: Баратов; Секретарь: (ხელრთვა არ განირჩევა).“ აქვე მოთავსებულია თბილისის სასამართლოს მცირე ბეჭედი (შუაში

12 ეს რუსულენოვანი დადგენილება ფურცლის მეორე გვერდზე გადადის

სახელმწიფო ღერბით). ამ მოწმობის პირველი გვერდის მარჯვენა ზედა მხარეს მოთავსებულია რუსეთის იმპერიის ისეთივე ღერბი, როგორც წინა საბუთში. მხოლოდ წარწერაა შემდეგი სახის: „Для письма крепостей до 10 000 рублей. Цена три рубли“.

ყველა ჩვენს ხელთ არსებული საბუთის და დამატებითი მასალის (მაგალითად, სოფელ ხორხელის საყვარელიძეთა საგვარეულო სასაფლაოს წარწერები, საარქივო მონაცემები) მოშველიებით, საყვარელიძეთა ამ შტოს კახეთში დამკვიდრების და მათი შემდგომი თაობების ისტორია ასე წარმოგვიდგენია:



\* სოფ. ხორხელში, საფლავის ქვაზე არსებული წარწერის მიხედვით, ნატალია იყო ესტატე საყვარელიძის დედა: „ჭემმარითი დედაკაცი ქართული ოჯახისა“; ის გარდაიცვალა 1898 წლის 18 აპრილს, 80 წლის ასაკში. იქვე ყოფილან დაკრძალული მისი მცირე ასაკის შვილიშვილები: ევატერინე, პეტრე, ქეთევან, ანიკო.

\*\* ესტატე საყვარელიძის გარდაცვალების წელი - 1908 - დასახელებულია ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის (1836/39-1909) პირად წერილში ჩემი პაპის, მიხეილ (გიორგი) საყვარელიძისადმი (1908 წ. 13 თებერვალი).

\*\*\* თებრონე კონჭოშვილი გახლდათ ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის უფროსი ძმის მათეს ქალიშვილი (საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი ფონდი 489 აღწ. 1, საქმე N20259, ფ. 1-3); იმას რომ მიხეილ (გიორგი) საყვარელიძის მშობლები იყვნენ ესტატე მიხეილის ძე საყვარელიძე და თებრონია მათეს ასული, მოწმობს საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის მიერ გაცემული ცნობაც (N29-C; 1970 23 მარტი; არქივის დირექტორი თ. ტაბლიაშვილი)

\*\*\*\* ელისაბედ საყვარელიძე დაკრძალულია სოფ. ხორხელის სასაფლაოზე. მის საფლავზე დგას ობელისკის ტიპის ძეგლი. მასზე გამოსახულია ქალის ხელი ვაზის მტევნით და მოტეხილი ვაზის ტოტი მტევნით და ფოთლებით.

დღეისთვის, საყვარელიძეთა ამ შტოს გამგრძელებელი, მამრობითი ხაზით, სამწუხაროდ აღარავინაა. საყვარელიძეთა ამ შტოს, დღეს მხოლოდ ახალგაზრდა ქალბატონები: ნინო და თამარი წარმოადგენენ.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტომი შეადგინეს მ. სურგულაძემ და დ. კლდიაშვილმა, ტ. IV, თბილისი, 2007.
2. ქართული სამართლის ძეგლები, გამოსცა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 2, თბილისი, 1970.
3. ქართული სამართლის ძეგლები, გამოსცა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. III (საეკლესიო საბუთები XI-XIX სს.), თბილისი, 1974.
4. იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბილისი, 1986.

**Vazha Kiknadze**

*Main Scientific Researcher of Ivane Javakishvili  
Institute of History and Ethnology at Ivane Javakishvili Tbilisi State University*

**FROM THE HISTORY OF NOBLE FAMILIES OF GEORGIA  
(ESTABLISHING OF ONE BRANCH OF SAKVARELIDZE'S  
FAMILY IN KAKHETI)**

**Summary**

In the article it is published 3 documents (Dated: 1808//1810 (aprox.), 1829, 1832 years) about the history of the one branch of Sakvarelidze family. They emigrated from the western Georgia to Kakheti, in the end of the 18<sup>th</sup> century and established in Telavi district.

The documents are authentic and never have been published. They are kept in my personal archives.

The main essence of the documents is that the emigrated Sakvarelidze were trying to confirm their belonging to the nobility class. Main representatives of the aristocratic families of Kakheti: Cholokashvili, Endronikashvili, Chavchavadze, Orbeliani and others confirmed that this branch of Sakvarelidze really belonged to nobles.







Handwritten text in Armenian script, likely a letter or document, covering the majority of the page. The text is written in a cursive style and is somewhat faded and difficult to read due to the age and condition of the paper.

1832 րոգա Եոկն 27<sup>ր</sup> գնի օր օճեմեմեմեմե Եժ  
Մարխանտե Երեմեան Երմ. Մոմարտախոսե  
Ալեքսանդրախա Մարտաբանա Կապրանու  
Օրճեմեմեմեմե կուսա Երեմա, և Եժ Կուրյ

подписанъ и  
записано и то оное  
сверено и по  
подписано, въ томъ  
подписано и по  
Подпись посылъ свидѣтель амбуръ.

Завѣданъ въ мѣстѣ Соломова



Сирмаго Сирмаго

**ვიღებთ გვანებაძე**

*ისტორიის დოქტორი, საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტი*

**გორბაჩოვისეული „პერესტროიკის“ ზოგიერთი საკითხი**

საბჭოთა კავშირში ხრუშჩოვისეული რეფორმების შედეგად დაიწყო სისტემის სოციალურ-პოლიტიკური რღვევა. ბრეჟნევის „უძრაობის პერიოდში“ კი ჩამოშლა იწყო ე. წ. განვითარებული სოციალისტური ქვეყნის ეკონომიკამ და 1980-იანი წლების დასაწყისისათვის, საბჭოთა კავშირში უკვე სახეზე იყო ღრმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი.

მ. გორბაჩოვმა სკკპ გენერალური მდივნად დანიშვნისთანავე მიზნად დაისახა საბჭოთა პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის მოდერნიზება. თუმცა კრემლში მოსული რუსული საბჭოთა იმპერიის ახალი პატრონი ვერ აღმოჩნდა უზარმაზარი იმპერიის ნამდვილი „მეპატრონე“. გორბაჩოვის და მისი თანამოაზრეების მიერ დაწყებული მოუმზადებელი, სანახევრო რეფორმების შედეგად საბჭოთა კავშირმა დაიწყო სრული კოლაფსისაკენ სვლა. თუ რამდენად უკან მიდიოდა მ. გორბაჩოვის, ა. იაკოვლევისა და ე. შევარდნაძის ე. წ. „პერესტროიკის“ (გარდაქმნის) არქიტექტონიკაზე აგებული საბჭოთა ეკონომიკა ამის დასტურია 1985-1989 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურისა და დინამიკის სურათი.

საკავშირო ბიუჯეტი შეადგენდა: 1985 წ. – 191,7; 1986 წ. – 186,0; 1987 წ. – 185,0; 1988 წ. – 184,9; 1989 წ. – 158,2 მლრდ. მანეთს [1, 17].

მ. გორბაჩოვმა თავიდანვე მონიღომა მმართველობის დეცენტრალიზაცია, მაგრამ თუ 1985 წელს, საკავშირო ბიუჯეტში შედიოდა სახელმწიფო შემოსავლების 60%. 1986 წელს ეს

მაჩვენებელი შემცირდა 50-მდე, 1987 წელს – 49-მდე, 1988 წელს – 45-მდე, 1989 წელს – 39 პროცენტამდე, შედეგად, საკავშირო სახაზინო შემოსავლები 192 მილიარდიდან 158 მილიარდ მანეთამდე შემცირდა. გაიზარდა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები 181-დან 244 მილიარდ მანეთამდე. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მ. გორბაჩოვმა დაიწყო ბიუჯეტის სახსრების გადანაწილება ადგილობრივი ხელისუფლებების სასარგებლოდ, რამაც, ერთი მხრივ, გამოიწვია საკავშირო მთავრობის ეკონომიკური პოზიციების შესუსტება. მეორე მხრივ კი ადგილობრივი, მათ შორის რესპუბლიკური ხელისუფლების პოზიციებს შეუქმნა წარმატებული ადგილობრივი მმართველობისათვის ეკონომიკური პირობები. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ვითარდებოდა ადგილობრივი ხელისუფლება, ხოლო სუსტდებოდა საკავშირო.

1985 წლიდან ბიუჯეტის დეფიციტი აშკარა იყო. ის წლიდან წლამდე იზრდებოდა: 1985 წ. – 14 მილიარდი, 1986 წ. – 46 მილიარდი, 1987 წ. – 52 მილიარდი, 1988 წ. – 81 მილიარდი, 1989 წ. – 81 მილიარდი. ხუთ წელიწადში იგი საერთო ხარჯების მოცულობაზე ოთხჯერ მეტად გაიზარდა – 4-დან 17 პროცენტამდე, ხოლო კავშირის მთავრობის ხარჯებზე – ექვსნახევარჯერ 6-დან 35 პროცენტამდე.

მ. გორბაჩოვს და მის თანამოაზრეებს აუცილებლად სჭირდებოდათ ქვეყნის მოდერნიზაციისათვის პოლიტიკური ცვლილებებიც, რასაც მათ დაარქვეს ე.წ. „საჯაროობა და დემოკრატია“. როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ უჩვენა ეს მიმართულება ნაჩქარევი და მოუმზადებელი იყო. „პერესტროიკის“ ორგანიზატორებმა ვერ გათვალეს მოსალოდნელი შედეგები, რაც შეიძლებოდა გაუაზრებლად დაწყებულ ამ დიდ ავანტიურას მოჰყოლოდა.

1986 წლის მაისში საბჭოთა კავშირში მიიღეს დადგენილება: „სამოყვარულო ასოციაციებისა და ინტერესთა კლუბების შესახებ“. 1986 წლის სექტემბერში მოსკოვში, ბავშვთა კლუბ „ჩვენი არბატის“ საფუძველზე, გაჩნდა სოციალური ინიციატივების კლუბი, რომელიც გახდა დედაქალაქში არაფორმალთა კონ-

სოლიდაციის ერთ-ერთი პირველი ცენტრი [2, 37]. ამ კლუბმა რამდენიმეჯერ შეიცვალა შენობა, დამფუძნებლები და ბოლოს დარეგისტრირდა, როგორც საბჭოთა სოციოლოგთა ასოციაცია [3, 263-264]. ამ მხრივ, საინტერესოა სუკი-ს ყოფილი შეფის ფ. ბობკოვის მოგონება: „როდესაც ანდროპოვი მოვიდა ჩვენ სოციოლოგიის ინსტიტუტში, რამდენიმე თვეში შევქმენით მეხუთე სამმართველოს დახურული სექტორი. იქ გავგზავნეთ 15 ჩვენი ოფიცერი. განყოფილებას ხელმძღვანელობდა დირექტორის მოადგილე ტატიანა ბასლავსკაია. ამ განყოფილების საფუძველზე მოგვიანებით ჩამოყალიბდა ინსტიტუტი“ [4, 22].

სუკ-ის უფროსის ეს აღიარება განსაკუთრებით საინტერესოა იმისათვის რათა მკაფიო გახდეს სინამდვილეში საბჭოთა სოციოლოგთა ასოციაციის როლი. ცხადია, სუკი-ს „სოციოლოგებს“ ჰქონდათ სრული ინფორმაცია არა მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ამ ასოციაციაში, არამედ შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ მის საქმიანობაზე. კლუბის თანათავმჯდომარეები იყვნენ: გრიგორ პელმანი, ბორის კაგარლიცკი, მიხეილ მალიუტინი და გლებ პავლოვსკი [2, 37]. მათგან გრ. პელმანი იყო მათემატიკოსი. მას ინსტიტუტში ასწავლიდა ტ. ბასლავსკაია. იგი იყო ლ. გორდონის ასპირანტი. პელმანს ჰყავდა უამრავი ნაცნობი უცხოეთში. ბორის კაგარლიცკი დაიბადა მოსკოვში, პროფესორის ოჯახში. მისი ბებია, ანა კოლინზი 1920-იან წლებში ინგლისიდან ჩამოვიდა სსრკ-ში. 1978 წელს ბ. კაგარლიცკი შეუერთდა სოციალისტების წრეს. 1979 წელს ის გახდა სკკპ წევრობის კანდიდატი. 1980 წელს გარიცხეს პარტიიდან და ინსტიტუტიდან. 1982 წელს დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს [5].

გლებ პავლოვსკიმ 1973 წელს დაამთავრა ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1980 წლის იანვარში იგი დააპატიმრეს, მაგრამ ისიც მალევე გაათავისუფლეს. 1982 წლის აპრილში კვლავ დააპატიმრეს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ პავლოვსკი გახდა ჟურნალ „XX საუკუნე და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე [6, 95].

განსაკუთრებით საოცარია ის, რომ მ. მალიუტინი მუშაობდა მოსკოვის პარტიულ სკოლაში [3, 156]. აქედან იმის დასკვნის

გაკეთება შეიძლება, რომ ქვეყნის რეფორმირების პროცესში ჩაბმული იყო ყოვლისშემძლე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.

კლუბმა პირველი ღონისძიება ჩაატარა 1986 წლის ოქტომბერში - ეს იყო „კოოპერატივების შესახებ“ კანონპროექტის განხილვა, რომელზედაც მონვეულ იყვნენ გამოჩენილი საბჭოთა სოციოლოგები – ტ. ბასლავსკაია და ლ. გორდონი. ამ დროიდან ტ. ბასლავსკაია გახდა კლუბის ფაქტობრივი გამგებელი [2, 41].

სამეურნეო ანგარიშზე რეგიონების გადასვლის იდეამ დიდი გავლენა იქონია ცენტრიდანულ ძალებზე. რომელთაც მიზნად დაისახეს საკუთარი შემოსავლებით ცხოვრება. თვლიან, ასეთი იდეა პირველად ჩამოყალიბდა 1987 წლის 26 სექტემბერს ესტონეთის დედაქალაქ ტარტუს კომპარტიის საქალაქო კომიტეტის გაზეთის „ედაზის“ ფურცლებზე [7, 246]. ოთხეულის ს. კალასი, თ. მადეს, ე. სავისაარის და მ. ტიიტმას წერილში [8, 38]. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონების სამეურნეო ანგარიშზე რესპუბლიკის გადასვლის იდეის ერთ-ერთი ავტორი იყო ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორი მ. ბრონშტეინი. ხოლო წერილის ავტორთა შორის იყო მისი ასპირანტი კალასი. აშკარაა, რომ ოთხეული წერილის დაწერამდე იმყოფებოდა მოსკოვში. ამის დასტურია ისიც, რომ ტარტუში წერილის გამოქვეყნებიდან ერთი დღის შემდეგ 28 სექტემბერს, რესპუბლიკების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის აუცილებლობის ანუ მათი „თვითუზრუნველყოფისა და თვითდაფინანსების“ შესახებ, პოლიტიბიუროს სხდომაზე განაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. სლიუნკოვმა.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დროს მ. ტიიტმა იკავებდა საბჭოთა სოციოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილის პოსტს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ტ. ბასლავსკაია, მის წევრებს შორის როგორც აღვნიშნეთ იყვნენ სსრკ სუკ-ის მეხუთე სამმართველოს თანამშრომლები [4, 22]. ე. სავისაარმა ამ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია რომის კლუბის მოღვაწეობის შესახებ [10]. ესტონეთის პრემიერ მინისტრი ბ. საული, როგორც ეტყობა არ იცნობდა ამ საიდუმლო შეხვედრების მიზნებს. ამას მოწმობს ისიც, რომ ბ. საული და ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ვაინო უარყოფითად იყვნენ განწყობილნი

რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის იდეის მიმართ [10, 90-92].

რეგიონების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის იდეა ფესვებს იღებდა ჯერ კიდევ 1960-იან წლებიდან. 1983-1984 წლებში ის გამოყენებულ იქნა ეკონომიკური რეფორმის პროექტის მომზადებისას [11, 240-242]. ხოლო შემდეგ კი გაჟღერებული იქნა სკკპ XVII ყრილობაზე [12, 11].

ამ წერილის ძირითადი იდეები შემოიფარგლებოდა შემდეგნაირად: ა) ესტონეთის ტერიტორიაზე სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა; ბ) ყველა საკავშირო სანარმოს ტრანსპორტის ჩათვლით რესპუბლიკის განკარგულებაში გადაცემა; გ) სხვა რესპუბლიკებთან გადასვლა საბაზრო ურთიერთობებთან; დ) ესტონეთში საბაზრო ურთიერთობების შექმნა; ე) მანეთის თავისუფალ კონვერტირებად ვალუტად მოქცევა, ვ) სამანეთო ზონიდან ესტონეთის გასვლის შესაძლებლობა [13, 109]. ესტონეთის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის რ. ოტსანსონის თქმით, ამგვარი პროგრამის შემუშავების სტიმული იყო 1987 წლის თებერვალში, მ. გორბაჩოვის ესტონეთში ვიზიტი, სადაც მან მიმართა ესტონეთს, როგორც დოტაციაზე მყოფ რესპუბლიკას. ამის შემდეგ ესტონელმა ეკონომისტებმა გააკეთეს გათვლები, საიდანაც ცხადი გახდა, რომ რესპუბლიკის გადახდების უარყოფითი ბალანსი ასოცირდებოდა ფასების დამახინჯებულ მექანიზმთან [12].

ამრიგად, როდესაც 1987 წელს სკკპ-ს ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა გამოაცხადა კურსი სანარმოების სამეურნეო ხარჯებზე გადასვლასთან დაკავშირებით, ესტონეთის სახელმწიფო დაგეგმვის კომიტეტის ხელმძღვანელმა ე. სავი-საარმა 1987 წლის 18 აგვისტოს მოიწვია შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ: რ. კაპეპერი (რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე), თანაშემწე პ. კროსი (ფირმა „მინორის“ სამეცნიერო დირექტორი), ჯ. ლეიმანი (კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის დირექტორი), ო. ლუგუსი (ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების დირექტორი), ტ. მადე (მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის

დოცენტი), ი. პროსი (ტალინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი), ი. რაიგი (ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი) და ს. კალასი (გაზეთ „ხალხის ხმა“ რედაქტორის მოადგილე). კაპეპერმა მათ შესთავაზა რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის პროგრამის შემუშავება [10, 89].

1987 წლის შემოდგომაზე, პროფესორმა, ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა რემ ბლუმ-ნამოაყენა წინადადება ტარტუს უნივერსიტეტში შექმნილიყო „პერესტროიკის“ (გარდაქმნის) მეგობართა კლუბი“ [14, 162]. მასში არსებითად საუბარი იყო ოპოზიციის კონსოლიდაციაზე.

ოქტომბერში, ჟურნალმა „აია პულს“-მა (დროის პულსი) გამოაქვეყნა რუდოლფ ალერის სტატია „მოდით დავარქვათ ნივთებს თავისი სახელი“, რომელშიც ცენზურაგავლილ საბჭოთა პრესაში თითქმის პირველად დაისვა საკითხი 1941 და 1949 წლებში ესტონეთიდან დეპორტირებულების შესახებ. 27 ნოემბერს გაზეთმა „Sirp ja Vasar“ პირველად გამოაქვეყნა მონაცემები დეპორტირებულთა რაოდენობის შესახებ. 1 დეკემბერს კი იგივე პრობლემა ტელევიზიაში განხილვის საგანი გახდა [13, 110].

როგორც ირკვევა თავდაპირველად სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობა სსკპ ცკ-დან ნებადართული იყო. როგორც სკკპ-ს ცენტრალური კომიტეტის კონსულტანტი ი. ბაგრამოვი იხსენებს: „1988 წლის მარტში მეცნიერთა და პარტიის მუშაკთა მცირე ჯგუფი, ა. იაკოვლევის მეთაურობით, შეიკრიბა მოსკოვის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ აგარაკზე, რათა შეემუშავებინათ პოზიცია დაწყველილი ეროვნული საკითხის გარშემო“ [15]. გარკვეულ მომენტში პარტიულ ნომენკლატურას ხელიდან გაეცა მისი სადავები და მერე ველარ შეძლო მისი დაბრუნება.

„თუ ჩვენ ვისაუბრებთ ჩემს წინააღმდეგ ბრალდებებზე – წერდა ა. იაკოვლევი – ვერავინ და ვერსად ვერ ნახავს ჩემს ერთ სიტყვას სუვერენიტეტების მეაღლუმეთა მხარდასაჭერად. მსურდა კონფედერაცია ნებაყოფლობით საფუძველზე. პირადად მე ხაზს უსვამს ალექსანდრ იაკოვლევი – ეჭვი არ მეპარებოდა, რომ საბჭოთა კავშირი განწირული იყო კარდინალური განახლებისთვის.“



ერთადერთი კითხვა იყო: განვითარების რომელი გზა იქნებოდა ყველაზე ოპტიმალური? პირადად ჩემთვის ყველაზე რაციონალური იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი, ევოლუციური, მშვიდობიანი გზა, კონფედერაციის საფუძველზე. ეს გზა ანონილი და გააზრებული იყო ყველა დეტალში“ [16, 621]. როგორც ვხედავთ ეს არის ყოფილი პარტიული ფუნქციონერის უბადრუკი მცდელობა გაიმართლოს თავი ჩავარდნილი რეფორმებისათვის. თუ ანონ-დანონილი იყო რატომ ჩავარდა?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს საკითხები მუშავდებოდა პარტიის ცკ-ში. სუკ-ის თანახმად, „1988 წლის ივნისში ლენინ-გრადის სოციალური ეკონომიკური პრობლემების ინსტიტუტში ჩატარდა ე. წ. „38-ე ოთახის სემინარი“, სადაც გ. სტაროვოიტოვამ გამოხატა პერესტროიკის რადიკალური ფრთის პოზიცია ეროვნულ ურთიერთობების საკითხებთან დაკავშირებით. მან მხარი დაუჭირა იმ რადიკალურ პოზიციას, რომელსაც პოლიტიბიუროში წარმოადგენდა ა. იაკოვლევი. ეროვნული საკითხის გადაწყვეტის „რადიკალური ვერსია“ გამოჩნდა ა. იაკოვლევის ესტონეთში რესპუბლიკის პარტიული აპარატის ზოგიერთ ლიდერთან კონფიდენციალური საუბრების შემდეგ. ეს ვარიანტი ითვალისწინებდა ეროვნული კავშირების შესუსტების მიზანმიმართულ განზრახვას ...

გ. სტაროვოიტოვამ აღნიშნა, რომ ესტონეთი უნდა გამხდარიყო ტესტირების საფუძველი იაკოვლევის დეცენტრალიზაციის იდეისათვის. ზემოხსენებულ სემინარზე სტაროვოიტოვამ აღნიშნა ბრძოლის კიდევ ერთი სპექტრი ეროვნული ურთიერთობების დეცენტრალიზაციისათვის – ეს იყო სომხეთი – მთიანი ყარაბაღში [17, 43-44].

მ. გორბაჩოვის დანყებული რეფორმებით გაოცებული იყო დასავლეთი. მწერლის ვიქტორ ეროფეევის თქმით, 1987 წელს ის ამერიკის ელჩმა მიიწვია „New York Times“-ის მოსკოვის ბიუროში. საუბრიდან აშკარა იყო, რომ ამერიკელები „უბრალოდ დაბნეულნი იყვნენ მათ ვერ გაეგოთ რა იყო ეს „პერესტროიკა“. ეს იყო სუკ-ის შეთქმულება, თუ „მართლაც ლიბერალური მოძრაობა“ [18].

აპრილში, ტალინში გაიხსნა შემოქმედებითი კავშირების ერთობლივი პლენუმი, რომელსაც მიმართა ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა იდეოლოგიის განხრით სინდრეკ ტომმმა. პლენუმმა მკვეთრად გააკრიტიკა სკკპ-ს ეროვნული პოლიტიკა და მიიღო მიმართვა „კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს და ესტონეთის სსრ შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი“. მასში დაისვა საკითხი სსრკ-ს და ესტონეთის სსრ კონსტიტუციებში ცვლილების აუცილებლობის შესახებ, სახელდობრ „ესტონეთის სსრ ეკონომიკური და კულტურული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად“. რათა რესპუბლიკას მისცემოდა უფლება დამოუკიდებლად გადაეწყვიტა საკუთარი საქმეები“. ამასთან დაკავშირებით, შემოთავაზებული იყო „რესპუბლიკის სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის კურსი“ და ესტონეთის ტერიტორიაზე „სპეციალური ეკონომიკური ზონის“ შექმნა. იმავდროულად, დაისვა საკითხი არა მხოლოდ ესტონეთში სტალინური რეპრესიების დაგმობის აუცილებლობის შესახებ, არამედ „ყველა იმ ქმედების გასაპროტესტებლად, რომელნიც ამ აქტის საფუძველს წარმოადგენდა“. ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში ჰქონდათ 1939 წლის 23 აგვისტოს საიდუმლო შეთანხმება გერმანიასა და სსრკ-ს შორის [14, 4-6].

ს. ჰაალიკის მტკიცებით სწორედ ამ პლენუმზე წამოიჭრა საკითხი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების აუცილებლობის შესახებ [19, 51]. არსებობს მოსაზრება, რომ ასეთი გაერთიანების იდეა გაჩნდა მოსკოვიდან. ჟურნალ „ოგონიოკის“-ის რედაქტორების თანახმად, 1988 წლის დასაწყისში მათ მიიღეს მრავალი წერილი მკითხველისგან, რომლებშიც ისინი შეშფოთებას გამოთქვამდნენ საზოგადოებაში დანყებული ცვლილებების ბედზე და აყენებდნენ კითხვას „ციხე-სიმაგრის ამენების აუცილებლობის შესახებ“, რათა გარანტიები ჰქონოდა გორბაჩოვის „პერესტროიკას“ [20, 4].

1988 წლის 6 მარტს „მრგვალი მაგიდის“ ერთ-ერთმა მონაწილემ, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სა-

მართლის ინსტიტუტის თანამშრომელმა ბ. ყურაშვილმა „მოსკოვსკიე ნოვოსტიში“ გამოთქვა მოსაზრება შექმნილიყო „პერესტოიკის“ მხარდასაჭერი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მაგალითად, ისეთი გაერთიანება, როგორც იყო ეროვნული ფრონტები გდრ-ში და ჩეხოსლოვაკიაში, ან კიდევ სამამულო ფრონტი ბულგარეთში. და წამოაყენა წინადადება ასეთ გაერთიანებას დარქმეოდა „დემოკრატიული გაერთიანება“ ან კიდევ „სახალხო ფრონტი“ [21, 8-9].

1988 წლის 12 აპრილს, ლენინგრადში გაიმართა პერესტროიკის სადისკუსიო კლუბის მორიგი შეხვედრა. იგი სპეციალურად მიეძღვნა ე. წ. ნინა ანდრეევას ყბადაღებულ წერილს. ამ შეხვედრაზე, რომელიც ტელევიზიით გადაიციემოდა, ალექსანდრე სუნგუროვმა წამოაყენა „პერესტროიკის“ მხარდასაჭერად „პოპულარული ფრონტის“ შექმნის იდეა [22, 4]. მომდევნო დღეს ესტონეთში შეიქმნა სახალხო ფრონტი [23]. 8 მაისს ესტონურ ტელევიზიით გადაიცა სპეციალური პროგრამა, რომელიც ეძღვნებოდა სახალხო ფრონტის შექმნას. მას ესწრებოდნენ ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბიუროს წევრები, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე აინ სოიდლა, რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანიზაციული მუშაობის განყოფილების უფროსი ედუარდ ჩერევაშკო, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ენოკ კორნელი, გაზეთ „საბჭოთა ესტონეთის“ პროპაგანდის განყოფილების უფროსი ვიაჩესლავ ივანოვი და ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატები: ევგენი გოლიკოვი და ედგარ სავისაარი [24]. ივნისის შუა რიცხვებში ესტონეთის სახალხო ფრონტმა შეადგინა დაახლოებით 40,000 ადამიანი [25, 142]. 1988 წლის ივლისში, ლადოგის ტბის სამხრეთ სანაპიროზე სოფელ ჩორნოეს მახლობლად, ჩატარდა მორიგი რეგულარული ეკონომიკური სემინარი, რომელსაც ესწრებოდა ოცდახუთი ადამიანი. ამ სემინარზე ბორის ლვინმა გააკეთა მოხსენება, რომლის მთავარი იდეა იყო ის, რომ საბჭოთა კავშირი იმყოფებოდა დაშლის პირას [26, 181].

ამრიგად გორბაჩოვის გუნდის მცდელობა, საბჭოთა კავშირში მოეხდინა თვისებრივი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური

ცვლილებები და იმპერია დაღუპვისაგან გადაერჩინა საფუძველშივე კრახისათვის იყო განწირული. მ. გორბაჩოვი არ იყო დენ სილო პინი და არც მისი გუნდის წევრები იყვნენ ის პიროვნებები, რომელთაც შეეძლებოდათ რეფორმების გზით დედამიწის 1/6-ის ნაწილზე გადაჭიმული ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის ძირეული, თვისობრივი და ხარისხიანი შეცვლა.

### **დამონმებული ლიტერატურა:**

1. Народное хозяйство СССР в 1990 г., Москва, 1991.
2. Шубин А. В. Преданная демократия, Москва, 2006.
3. Неформальная Россия. О неформальных политизированных движениях и группах в РСФСР (опыт справочника), Москва, 1990.
4. Мир – это война, Москва, 2007, (интервью Ф. Д. Бобкова).
5. Кагарлицкий Борис Юльевич: биография и книги // Либрусек (<http://lib.rus.ec/b/l54210/read>)
6. Перестройка десять лет спустя (апрель 1985-апрель 1995).
7. Столович Л., Тартурский курьер. Воспоминание главного редактора. Анатомия независимости, Тарту-Санкт-Петербург, 2004.
8. Фурман Д. Е., Становление политических организаций в современной Эстонии, Москва, 1991.
9. Сависаар Э. Э., Социально-философские основы работ Римского клуба по глобальному моделированию. Автореферат диссертации кандидата философских наук, Москва, 1981.
10. Лаар М., Отт У., Эндре С., Другая Эстония. Возрождение независимости Эстонии. 1986-1991, Таллинн, 2002.
11. Островский А. В., Кто поставил Горбачёва.
12. Рейн Отсасон, Владимир Соколов. Республика на хозрасчёте? // Литературная газета, 16.11.1988.

13. Ярлик Р., 1987 год, или как народ Эстонии пошёл в политику // Балтийский путь к свободе. Опыт ненасильственной борьбы стран Балтии в мировой политике, Рига, 2006.
14. Григорян Р., Неизвестные страницы «поющей революции» // Анатомия независимости.
15. Баграмов Э., Как делалась национальная политика. Воспоминания консультанта ЦК КПСС // Независимая газета, 21.01.1992.
16. Яковлев А. Н. Сумерки. Москва, 2005.
17. Крючков В. А., Личное дело, ч. 2.
18. Смысл перестройки, Радио Свобода, 29.03.2008 (ведущий В. Ерофеев) // <http://www.svobodanews.ru/content/transcript/441509.htm>
19. Четвёртая сессия Верховного Совета СССР. Стенографический отчёт, ч. 3, 25.09-1.10.1990 г. (выступление К. С. Хаалик).
20. Больше социализма! // Огонёк, 1988, № 12.
21. Курашвили Б., По опыту братских стран. Не созрело ли создание Демократического союза // Московские новости, 6.03.1988.
22. Чернов А. Модель надежды // Огонёк, 1988, № 31.
23. Лайд Э. Народный фронт // Вечерний Таллин, 6.05.1988.
24. Народный конгресс. Сборник материалов конгресса Народного фронта Эстонии, 1-2.10.1988 (выступление Лембита Койка).
25. Мэтлок Д., Смерть империи.
26. Илларионов А., Слово и дело. Беседа в редакции // Континент, 2008, т. 136, №2.

**Edisher Gvenetadze**

*Doctor of history, Georgian  
Technical University, Professor*

## **SOME ISSUES OF GORBACHEV'S "PERESTROIKA"**

### **Summary**

As a result of the Khrushchev reforms in the Soviet Union, the socio-political disintegration of the system began. In Brezhnev's „period of immobility“ E. began to fall. 6. The economy of a developed socialist country and by the early 1980s, the Soviet Union was already facing a deep socio-economic and political crisis.

Thus the attempt of Gorbachev's team to bring about qualitative political and socio-economic changes in the Soviet Union and save the empire from collapse was doomed to collapse. M. Gorbachev was not Dan Xiaoping, nor were members of his team individuals who would be able to fundamentally, qualitatively and qualitatively change the socio-economic and political situation of the population of a country that stretches across 1/6 of the earth through reforms.

## გამოწვევები რუსეთ-ევროკავშირის ეკონომიკურ ურთიერთობაში

საბჭოთა კავშირის დაშლისა და „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ რუსეთი ეკონომიკურად ევროპას სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა. მართალია, გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ დასავლეთმა ყველაფერი გააკეთა რათა რუსეთს დახმარებოდა გამოსულიყო ეკონომიკური კრიზისიდან. ევროკავშირს ბუნებრივია თავისი ინტერესები ჰქონდა, იგი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო რუსული ენერგორესურსებით. თავიდან მათ შორის მართლაც აეწყო ურთიერთობები სტრატეგიული პარტნიორობის პრინციპებზე, მაგრამ შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა აშკარად გვიჩვენა, რომ მათ შორის თავს იჩენდა ცივილიზაციური წინააღმდეგობის ფაქტორები.

რუსეთში ხელისუფლების სათავეში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ სულ უფრო და უფრო დამკვიდრდა აზრი, რომ თუ რუსეთის ფედერაცია პროდასავლურ კურსს გააგრძელებდა, იგი გახდებოდა დასავლეთის სატელიტი. რუსეთმა შეცვალა გეოპოლიტიკური ვექტორი და გეზი ევრაზიული იმპერიის შენებაზე აიღო.

რუსეთის ფედერაცია, მიუხედავად იმისა, რომ ძალისმიერი სახელმწიფოა და იმპერიალისტურ ამბიციებზე ხელი არ აუღია, მრავალი წლის მანძილზე ცდილობდა ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრირებას. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსივობით რუსეთი კოლოსალურ შემოსავლებს იღებს. ინტეგრაციის პროცესი გლობალიზაციის პირობებში გამწვავდა, რაც რუსეთში თავისებურად იყო გააზრებული. რუსეთმა დაიწყო იმგვარად პოზიციონირება, რომ იგი თავს აშშ-სა და გარკვეულწილად ევროკავშირის ალტერნატიულ ძალად მოიაზრებდა. შეიქმნა

ერთგვარი ჩიხური სიტუაცია, რამაც არაერთი პოლიტიკური თეზისი წარმოშვა იმასთან დაკავშირებით, რომ ან რუსეთი, ან ევროპა უნდა წასულიყვნენ დათმობაზე, რომ გაერთიანებულიყვნენ თუნდაც გარკვეული მიზნების ირგვლივ. თავიდან ევროკავშირი რუსეთის მიმართ პარტნიორულად იყო განწყობილი და კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე ჰქონდა აქცენტი გაკეთებული, მაგრამ მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში ლიბერალურმა რეფორმებმა რუსეთში კრაზი განიცადა, ევროკავშირი რუსეთთან გარკვეული დისტანცირების გზას დაადგა. მიუხედავად ამისა, ურთიერთობებში ევროკავშირი ცდილობდა, ზომიერად მოეხდინა რუსეთის იზოლირება და შეეზღუდა იგი ევროკავშირთან დაახლოების გზაზე [1, 260]. ევროკავშირისათვის რუსეთი ახალგაზრდა პარტნიორი იყო, რომელსაც იგი სისტემატურად მიუთითებდა ქცევის ევროპული ნორმების აუცილებლობაზე [2, 193]. აქ გასაკვირი არაფერი იყო, რადგან რუსეთი ევროკავშირს ჩამორჩებოდა და დღემდე ჩამორჩება, როგორც ტექნოლოგიური, ისე ზოგადად ეკონომიკური განვითარებით. რუსეთი, სავსებით სამართლიანად, ევროკავშირის მხრიდან არაკონკურენტუნარიან ეკონომიკად იქნა აღქმული.

თანამედროვე მსოფლიო განვითარებისა და წარმატების ყველაზე მნიშვნელოვან გზად ინტეგრაციას მოიაზრებს. თვით-იზოლაციის გზას შეიძლება რუსეთი სერიოზულ პრობლემებამდე მიეყვანა, რაც ეკონომიკურ დეგრადაციასა და მარგინალიზაციას გამოიწვევდა [3, 82]. აქედან გამომდინარე რუსეთი ცდილობდა ევროპულ ეკონომიკასთან მაქსიმალურ დაახლოებას [4, 28-35].

ინტეგრაციული პროცესები არასოდეს არ არის ცალმხრივი და როგორც ევროპაში, ისე რუსეთში გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ინტეგრაცია მოითხოვდა ეკონომიკათა ჰარმონიული თანამეგობრობის ფორმირებას ლისაბონიდან ვლადივოსტოკამდე [5]. გარკვეული ნაბიჯები ამ მხრივ მართლაც იდგმებოდა. მაგ. 2011 წელს რუსეთმა და ევროკავშირმა საქონელბრუნვა 2009 წლის დონემდე აღადგინეს და მისი მოცულობა გაზარდეს 1/3-ით, იმავდროულად მოხდა რუსეთის სავალუტო დანაზოგების დაახლოებით 41%-ის ნომინირება ევროში [6]. ეს მაჩვენებლები



უკრაინის მოვლენებამდე კიდევ უფრო იზრდებოდა.

ევროკავშირსა და რუსეთის ფედერაციას შორის თანამშრომლობის მთავარი ხაზი მაინც ენერგომატარებლებზე გადის. ამ მხრივ ყველაზე აქტუალურია ევროკავშირისა და „გაზპრომის“ ურთიერთობები. რუსეთი ევროპის მნიშვნელოვან ნაწილს გაზით ამარაგებს. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ 2011 წლის სამიტზე რუსეთი-ევროკავშირი – განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს რა ორივე მხარის დაინტერესება, ჩვენ შევძლებთ დაბალანსებულ, კარგი შეთანხმების მიღწევას ჩვენი მოქალაქეების საკეთილდღეოდ და განვავითარებთ ჩვენს ეკონომიკებს და სხვა ურთიერთობებს“ [7].

მიუხედავად ამისა, ორივე მხარე ეკონომიკური საკითხების გადაჭრას პოლიტიკურ დღის წესრიგს უკავშირებდა. ევროკავშირის პოლიტიკური მესვეურები კარგად ხედავდნენ, რომ რუსეთი ყველგან საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან ამოდიოდა და თავისი სუვერენიტეტის არც ერთი ნაწილის დათმობას არ აპირებდა, რაც ძირშივე წინააღმდეგობაში მოდიოდა ევროკავშირის ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკასთან. მიუხედავად ამისა, ევროკავშირს სჭირდება რუსული გაზი. არ ჩანს სხვა ალტერნატივა, ამიტომაც დღემდე იგი რუსეთთან (განსაკუთრებით ძველი ევროპა) ფრთხილ პოლიტიკას აწარმოებს, რითაც ბარალდება საქართველოც, რომელიც ვერ იღებს სათანადო მხარდაჭერას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში.

თავის მხრივ ევროკავშირიც, ცხადია, საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობს და „გაზპრომზე“ გარკვეულ ზენოლას ახორციელებს მეტი დივიდენდების მიღების თვალსაზრისით, რაც უმთავრესად ტექნიკური ხასიათის მოთხოვნებში გამოიხატება. ევროკავშირი ცდილობს, გაატაროს თავისი პოლიტიკა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს რუსეთმა.

ამ და სხვა ფაქტორების (რომლებსაც უკრაინული კრიზისის ფონზე კიდევ უფრო ნათლად ვხედავთ) გამო ევროკავშირი და რუსეთი ვერ ახერხებენ სტრატეგიული ხასიათის ინტეგრაციული ამოცანების ერთობლივად გადაჭრას. ისეთ ძირითად საკითხშიც

კი, როგორცაა ეკონომიკური თანამშრომლობა ორივე მხრიდან შეინიშნებოდა პოლიტიკური შემადგენლის სიჭარბე. მიუხედავად ამისა, რუსეთსა და ევროკავშირს შორის შეინიშნებოდა და დღემდე შეინიშნება გარკვეული პოზიტიური ძვრებიც მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა იგი ატარებს პერიოდულ ხასიათს. ამგვარ პოზიტივად შეიძლება შევაფასოთ ის, რომ ევროკავშირმა რუსეთს მხარი დაუჭირა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განევრინებაში. სწორედ ამიტომაც ენერგეტიკის სფეროში ევროკომისარმა გ. ეტინგერმა განაცხადა, რომ ყველა უთანხმოების შემთხვევაში შეიძლება გამოიძებნოს კომპრომისი [8].

რუსეთის პრობლემას უმთავრესად წარმოადგენს ის, რომ მის ეკონომიკას სჭირდება დივერსიფიცირება და რეალური მოდერნიზაცია. ენერგეტიკულ სფეროში ინტეგრაცია და თანამშრომლობა ორივე მხარისათვის იქნებოდა სასარგებლო, მაგრამ პოლიტიკური შემადგენელი აქ თამაშობს უფრო დიდ როლს, ვიდრე ეკონომიკური მოგება. წინა პლანზე წამოვიდა ცივილიზაციური და იდეოლოგიური წინააღმდეგობანი, რომელიც არათუ ხელს უწყობს ინტეგრაციული პროცესების განვითარებას, არამედ კიდევ უფრო ამორებს რუსეთსა და ევროკავშირს. რუსეთში არიან პროდასავლური მიმართულების ადამიანები, მათ შორის ელიტაშიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ რუსეთის ფედერაცია გაცილებით მოიგებდა თუ დასავლეთთან ინტეგრაციის გზას დაადგებოდა. ამგვარი ელიტა იმასაც ამტკიცებს, რომ დასუსტებული და დამლლილი რუსეთი დასავლეთისათვის უფრო მიუღებელია, ვიდრე დემოკრატიული და განვითარებული, მაგრამ ოფიციალური პოლიტიკური ხელმძღვანელობა და მისი იდეოლოგიური მამები ფიქრობენ, რომ ასეთ შემთხვევაში რუსეთი გადაიქცევა დასავლეთის სატელიტად, ამიტომაც იმპერიათმშენებლობის პროცესი ერთადერთია, რითაც ის დასავლეთის თანასწორად იგრძნობს თავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროკავშირსა და რუსეთს შორის პოლიტიკური წინააღმდეგობები ჩანასახობრივ მდგომარეობაში რჩებოდა, ბოლო დროს კი კონფლიქტურ სიტუაციაშიც

გადაიზარდა. ამიტომაც რუსეთი ცდილობდა, აქცენტი ეკონომიკაზე გაეკეთებინა, სადაც შესაძლებელი გახდებოდა უფრო ადეკვატური ურთიერთქმედება. ეკონომიკურ თანამშრომლობაში კი მართლაც შეინიშნებოდა პოზიტიური ძვრები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცვლილებები უპირატესად იყო რაოდენობრივი და არა ხარისხობრივი. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მთელი ეკონომიკური თანამშრომლობა ევროკავშირსა და რუსეთს შორის რეგლამენტირებული იყო ვაჭრობისა და თანამშრომლობის შესახებ ჯერ კიდევ ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობასა და საბჭოთა კავშირს შორის შეთანხმების საფუძველზე, ხოლო 1997 წლის 1 დეკემბრიდან რუსეთსა და ევროკავშირს შორის დაიდო პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება.

რუსეთსა და ევროკავშირს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ საგზაო რუკების მომზადება, რომელთაგან ერთ-ერთი მიეძღვნა საერთო ეკონომიკური სივრცის აგებას. 2010 წელს მხარეებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას „მოდერნიზაციისათვის პარტნიორობის შესახებ“. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს ხდება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომიდან ორი წლის შემდეგ, ომამდე კი კონფერენციაზე 2007 წელს ვლადიმერ პუტინმა უმკაცრესი ტონით გააკრიტიკა ერთპოლარული მსოფლიოს არსებობა აშშ-ს მეთაურობით და ხაზი გაუსვა იმას, რომ მსოფლიო უნდა იყოს მრავალპოლარული, სადაც რუსეთს თავისი პოლუსი ექნება [9, 116].

ამ ყველაფერს რასაკვირველია დასავლეთი აკვირდებოდა, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობების გაღრმავებაზე უარს ამბობდა. მას საკმარისი მიზეზი ჰქონდა იმისთვის, რომ უარი ეთქვა მოდერნიზაციის შესახებ პარტნიორობაზე. მოდერნიზაცია ხომ რუსეთში ახალი ტექნოლოგიების დანერგვასაც გულისხმობდა, მაგრამ ეს არ გააკეთა. ვფიქრობთ, ეს არ გააკეთა იმიტომ, რომ სურდათ რუსეთი ნორმალური განვითარების კალაპოტში ჩაეყენებინათ, რაც ევროკავშირს არ გამოუვიდა.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ევროკავშირი, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის მსხვილი სახელმწიფოები უმთავრესად

საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან ამოდიან და რუსული ენერგორესურსებით არიან დაინტერესებულნი. რუსეთი ევროპას ამარაგებს გაზით, შესაბამისად ყველა ძაფის განყვეტა რუსეთთან მათთვის კატეგორიულად მიუღებელია. დასავლური ფასეულობების ერთგულება ევროკავშირს მაინც ავალდებულებს რუსეთთან სიფრთხილე გამოიჩინოს.

მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობები რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთსასარგებლო და ურთიერთდამოკიდებულ ხასიათს ატარებდა, მხარეთა პოლიტიკური ამბიციები მაინც მნიშვნელოვან წინაღობას ქმნიდა. ასეთი პოლიტიკური წინააღმდეგობის შედეგი იყო ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები, რომელიც რუსეთს ყირიმის ანექსიის შემდეგ, 2014 წელს დაუწესა დასავლეთმა. ამ წლისათვის რუსეთის დამოკიდებულება ევროპულ ბაზარზე შეადგენდა 50%-ზე მეტს.

საკმარისია თვალი გადავავლოთ ეკონომიკური ურთიერთობების ყველაზე ძირითად, სანავთობო დარგს და დავრწმუნდეთ იმაში, რომ დამოკიდებულება ნავთობპროდუქტებზე 63%-ია, ხოლო უშუალოდ ნავთობზე 82%. ამასთანავე ევროკავშირის წილი პირდაპირ ინვესტიციებზე შეადგენს 80%, ხოლო თავად ევროკავშირის ბაზარი მნიშვნელოვანწილადაა ორიენტირებული რუსეთის საგარეო ვაჭრობის სტრუქტურებზე. ევროკავშირთან ვაჭრობისას რუსეთი უპირატესად იყენებს ევროს, რომელშიც ნომინირებულია რუსეთის ოქროს სავალუტო რეზერვების დაახლოებით 40% [10, 298].

ეს ვითარება რამდენადმე შეიცვალა 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ, როდესაც რუსეთის მიმართ სანქციებმა უკიდურესად რადიკალური ხასიათი მიიღო. ევროკავშირი აღმოჩნდა დილემის წინაშე, უკრაინაზე რუსეთის თავდასხმა კვლავ მხოლოდ აღშფოთებით და მსუბუქი სანქციებით გამოეხატა, თუ დასავლური დემოკრატიული ფასეულობების ერთგული დარჩენილიყო და რუსეთისათვის მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაეწესებინა. ევროკავშირმა ეს უკანასკნელი აირჩია, მაგრამ ყველა ვხედავთ, რომ ენერგომატარებლებზე ევროკავშირი უარს ვერ ამბობს. თანაც უაღრესად გაზრდილია ფასები ნავთობსა და

ბუნებრივ აირზე. შესაბამისად რუსეთი მაინც იგივე შემოსავალს იღებს. ამას ემატება ისიც, რომ რუსეთმა ბუნებრივ აირზე საფასურის გადახდა რუსული რუბლით მოითხოვა. ევროკავშირის ზოგიერთი სახელმწიფო ამას დაეთანხმა, ზოგიერთი კი – არა, რომლებსაც რუსეთმა ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყვიტა. მაგ. ასეთთა რიგშია ნიდერლანდები. გაფხულის პერიოდში ეს რამდენადმე ასატანია, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რა ვითარება შეიქმნება ზამთარში. ყველაფერი, ვფიქრობთ, მაინც რუსეთ-უკრაინის ომის შედეგებზე იქნება დამოკიდებული.

ევროკავშირმა მისი შექმნიდან დღემდე განვითარების მნიშვნელოვანი გზა განვლო და საპატიო ადგილი დაიკავა საერთაშორისო ურთიერთობების პოლიცენტრულ სისტემაში.

რუსეთს კი, შეიძლება ითქვას, არანაირად არ შეუცვლია თავისი ეკონომიკური პოლიტიკა და ჯერჯერობით ნედლეულზე დამოკიდებულ სახელმწიფოდ რჩება. არ გაზრდილა არც მაღალი დამატებითი ღირებულების პროდუქციის წილიც. რუსი ინვესტორები თავიანთ ინვესტიციებს კვლავაც უმთავრესად ნავთობის, ბუნებრივი აირისა და მეტალურგიულ კომპანიებში დებენ, რომელიც შედარებით სწრაფ და დიდ მოგებას იძლევა. პრაქტიკულად არ არსებობს მსხვილი კომპანიები წილობრივი მონაწილეობით.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დაისვას კითხვა: შეიძლება თუ არა ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობები მივიჩნიოთ სისტემურად და გააზრებულად? ეს კითხვა ეხება, როგორც რუსულ, ისე ევროპულ მხარეს.

იმისათვის, რომ ევროკავშირისა და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობები ამგვარად წარმოდგენილიყო, საჭიროება მოითხოვდა ახალ საბაზო შეთანხმებას (ასშ), რომლისთვის მზადებაც ჯერ კიდევ 2007 წელს დაიწყო, მაგრამ შემდეგ განვითარებული მოვლენების გამო იგი ნერტილიდან არ დაძრულა. მხარეებს შორის ძირითად წინააღმდეგობას სავაჭრო-ეკონომიკური ბლოკი იწვევდა. ევროკავშირის წარმომადგენლები ეკონომიკური საკითხების გარკვევას ითხოვდნენ. შემდეგში ამგვარი შეთანხმების დადებას შეუშალა ხელი რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში

განვერთანების საკითხმა, რამდენადაც რუსული მხარე ითხოვდა, რომ ევროკავშირთან შეთანხმებაში არ უნდა ყოფილიყო იმაზე მეტი პუნქტი, ვიდრე ამას გულისხმობდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განვერთანება. სხვა დანარჩენი დამატებით შეთანხმებებში უნდა შესულიყო. რუსული მხარე ითხოვდა, რომ ვიდრე ახალ საბაზო შეთანხმებაში დამატებითი ცვლილების შეტანა მოხდებოდა, აუცილებელი იყო ადრე დადებული შეთანხმების აპრობირება.

2012 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელსაც, მართალია, არ ჰქონდა საკანონმდებლო ძალა, მაგრამ სინათლეს ჰფენდა მანამდე არსებულ რამდენიმე ბუნდოვან საკითხს. მასში აღნიშნული იყო, რომ დაკლული თუ დასაკლავი საქონლის შეყვანის აკრძალვა ევროკავშირიდან, სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე ადგილობრივ მომხმარებელთათვის პრეფერენციების დაწესება, სეზონური საბაჟო გადასახადის დადება რიგ საქონელზე და ა. შ. წარმოადგენდა შემაშფოთებელ სიგნალს და მიუთითებდა რუსეთის მოუმზადებლობაზე შეესრულებინა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში აღებული ვალდებულებები. ამ წინააღმდეგობების შედეგი კი მოლაპარაკებების შეწყვეტა გახდა.

მიუხედავად ამგვარი წინააღმდეგობებისა, რუსული მხარე აცნობიერებდა ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობის აუცილებლობას, მისთვის მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირი, მის ეკონომიკას აუცილებლად სჭირდებოდა ევროპული ინვესტიციები. 2010 წელს ჯერ კიდევ რუსეთის პრემიერ მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა დასავლეთში გამოთქვა მოსაზრება ეკონომიკათა ჰარმონიული თანამეგობრობის შექმნის შესახებ ლისაბონიდან ვლადივოსტოკამდე. შემდეგ კი ამას აჟღერებდა წინასაარჩევნო კამპანიისას 2010 წლის თებერვალში [11].

ევროკავშირთან ახალი საბაზრო შეთანხმების დადების ჩაშლის რეალური მიზეზი ისევ პოლიტიკურ პროცესებში უნდა ვეძებოთ. უკრაინის 2014 წლის მოვლენების შემდეგ რუსეთმა აქტიურად განავითარა ევრაზიული ინტეგრაციის იდეა პოსტსაბჭოთა სივრცეში, ხოლო ევრაზიული კავშირის ფუნქციონირების ნაწილის

გადაცემა ხდება ევრაზიული ეკონომიკური კომისიისათვის, რომელიც ბესახელმწიფობრივი დონის ფუნქციას ასრულებს. ევრაზიული ეკონომიკური კომისია დაკავებულია არა მარტო ვაჭრობის საკითხებით, არამედ სახელმწიფო შესყიდვებითაც.

ევროკავშირისა და რუსეთის თანამშრომლობის საბჭოს 32-ე სხდომის შემდეგ 2014 წელს დაჩქარდა ახალი საბაზო შეთანხმების მომზადების პროცესი, მაგრამ უკრაინის კრიზისმა კვლავ შეაჩერა იგი. ამის შედეგია ისიც, რომ ევროკავშირი იცავს რა თავის იდეოლოგიურ ღირებულებებს, რუსეთს აღარ უწყობს ხელს ინტეგრირდეს ევროპულ ეკონომიკასთან. შედეგად ხდება ის, რომ რუსეთი კარგავს თავის ეკონომიკურ და საინვესტიციო მიმზიდველობას, ხოლო რუსი მენარმეები შიშობენ, რომ თანასწორ პირობებში ევროპელებთან ერთად ვეღარ გავლენ საერთოევროპულ ბაზარზე.

ამრიგად, რუსეთ-ევროკავშირის ეკონომიკურ ურთიერთობებში ნამდვილად სერიოზული გამოწვევებია. არადა რეალობა გვიჩვენებს, რომ ამ ორ მსხვილ საერთაშორისო პოლიტიკურ სუბიექტს ერთმანეთი ამჟამად სჭირდებათ. ამას ემატება კიდევ ერთი ფაქტორი, ევროპული, განსაკუთრებით გერმანული ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები სულ უფრო და უფრო ხშირად აკეთებენ განცხადებას იმის თაობაზე, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ომი შეწყდეს უკრაინაში და ეკონომიკური მიმართულებით რუსეთსა და ევროკავშირს შორის სიტუაცია დარეგულირდეს. ევროპელები ხშირად ახსენებენ ჩინეთის ფაქტორსაც, რომ ჩინეთთან რუსეთის დაახლოება შესაძლებელია კიდევ უფრო დიდ თავსატეხად იქცეს. ვფიქრობთ, რუსეთ-ევროკავშირის შორის ეკონომიკურ გამოწვევებს პასუხს მაინც რუსეთ-უკრაინის ომის დინამიკა გასცემს.

### **დამონმებული ლიტერატურა:**

1. Федоров В. П., Россия: внутренние и внешние опасности. Москва, 2004.
2. Бордачев Т., На пути к стратегическому союзу. Россия в глобальной политике. Январь-февраль 2006, т. 4, № 1.

3. Сорокин Д., Цивилизационные измерения социально-экономической эволюции России. Вызовы XXI века, альманах, Вып. II, Общественные сдвиги и цивилизации, Москва, 2006.
4. Гришаева Л. Е., Научно-технический прогресс, Россия и ООН. Дипломатическая служба, 2010. № 2.
5. <http://interaffairs.ru/read.php?item=8029>
6. Чижов В. А., Стратегическое партнёрство Россия-ЕС: еврокризис – не повод для передышки. Международная жизнь, № 6, 2012. [www.rus.sianmission.eu/ru/intervyu/statya-vachizhovastrategicheskoe-partnerstvo-rossiya-es-evrokrizis-ne-povod-dlya-peredyshk](http://www.rus.sianmission.eu/ru/intervyu/statya-vachizhovastrategicheskoe-partnerstvo-rossiya-es-evrokrizis-ne-povod-dlya-peredyshk)
7. <http://kremlin.ru/transcripts/14012>
8. Bulletin Quotidien Europe. № 10692. 20.09.2012.
9. კობალიანი ვ., კვეტენაძე ბ., 2007 წლის მიუნხენის კონფერენცია და ახალი მსოფლიო წესრიგის კონტურები, შრომები სტუ N2(520).
10. Дынкина А., Ивановой Н., Россия в полицентрическом мире, Москва, 2011.
11. Suddeutsche Zeitung, 25.11.2010; Потемкина О. Ю., Россия и Европейский Союз: к «Единому пространству от Атлантики до Тихого океана», <http://www.russkiivopros.com/index.php?pag=one&id=530&kat=6&csi=63>



**Otar Partskhaladze**

*Georgian Technical University,  
Doctoral student*

## **CHALLENGES IN RUSSIA-EU ECONOMIC RELATIONS**

### **Summary**

Nowadays, Russia and the European Union face extremely complicated relations. The Russian-Ukrainian war greatly aggravated relations between them, but there are issues around which cooperation between Russia and the European Union has not stopped so far. This refers to the issue of energy supplies from Russia to the European Union. Despite the attack on Ukraine, the EU needs Russia, as alternative sources of gas supplies have not been found. In winter, this factor can create an even greater problem for the European Union. At the same time, the European Union could not abandon its liberal-democratic values and not pay attention to Russia's aggression against sovereign Ukraine.

Since the end of the Cold War, Russia and the European Union have been cooperating closely in economic areas which are acceptable and beneficial to both sides. However, as soon as Vladimir Putin assumed the presidency of the Russian Federation, the situation gradually worsened, since a civilizational conflict arose between Russia and the European Union. The Russian political elite believed that if Russia continued on an unequivocal pro-Western course, it would become a satellite of the West. The mentioned contradictions have deepened even more due to the extremely tense situation in relations between the EU and Russia. It is obvious that the results of the Russian-Ukrainian war will give the answers to all the questions.

## ლილი ხარჩილავა

*საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი*

### რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ახლო აღმოსავლეთში

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი ყოველთვის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა რუსეთისთვის – იყო ეს ცარიტული რუსეთი, საბჭოთა კავშირი თუ თანამედროვე რუსეთის ფედერაცია. რეგიონის მიმართ ასეთი დაუინებელი ინტერესი განპირობებულია საკმაოდ მარტივი მიზეზით – ახლო აღმოსავლეთი არის რუსეთის საზღვრების სამხრეთი ფლანგი. შესაბამისად, ამ რეგიონში გავლენის გაძლიერებას რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის წამყვანი ადგილი უჭირავს.

რუსეთის დღევანდელი მოქმედებები ახლო აღმოსავლეთში ისტორიულ გამოცდილებას ეფუძნება. თუ გადავხედავთ საბჭოთა რუსეთის ისტორიას, რა თქმა უნდა, ახლო აღმოსავლეთი რუსეთისათვის უცხო რეგიონს არ წარმოადგენს. რუსულ პოლიტიკურ აზროვნებაში დამკვიდრებულია, რომ მე-15 საუკუნეში, ბიზანტიის იმპერიის განადგურების შემდეგ, სწორედ „რუსეთი გახდა ქრისტიანული მართლმადიდებლობის კერა და ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ქრისტიანი ერების დამცველი სახელმწიფო“ [1].

ხმელთაშუაზღვისპირეთში რუსული საზღვაო ძალები მე-18 საუკუნიდან მოქმედებენ, იყო ეს ოსმალეთის იმპერიისა და სპარსეთის წინააღმდეგ, თუ პირველი მსოფლიო ომის დროს თურქების წინააღმდეგ ბრძოლა. მეორე მსოფლიო ომის დროს, სწორედ საბჭოთა ძალებმა შეძლო ირანში შესვლა, სადაც 1943 წელს „დიდი სამეულის“ ლიდერებს შორის ისტორიული შეხვედრა გაიმართა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირი ებრაული სახელმწიფოს დაფუძნების ერთ-ერთი მომხრე და შემოქმედი იყო, თუმცა მოგვიანებით რუსეთის ინტერესები და შესაბამისად

მისი მხარდაჭერა არაბულ სახელმწიფოებს დაუკავშირდა. ასეთი იყო სირია, ერაყი, რადგან ცივის ომის დროს საბჭოთა კავშირი ამერიკის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ სწორედ ამ ქვეყნებს მიიჩნევდა. წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირი რეგიონის ქვეყნებს ამარაგებდა იარაღით, ათობით ათასი სამხედრო მრჩეველითა და ტექნიკოსით, ასევე უწევდა ეკონომიკურ დახმარებას. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ცივი ომის დროს ევროპა და აღმოსავლეთ აზია უკვე დაყოფილი იყვნენ გავლენის სფეროებად, სწორედ ახლო აღმოსავლეთი იყო საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მთავარი ბრძოლის ველი [2].

სპარსეთის ყურის ომის დროს, საბჭოთა კავშირის მაშინდელი ლიდერის მიხეილ გორბაჩოვის გადაწყვეტილებით, რუსეთის ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან გამოსვლა გახდა საბჭოთა კავშირის ზესახელმწიფო სტატუსის შემცირების მიზეზი. სწორედ ამ სტატუსის აღდგენისთვის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მიიღო ახლო აღმოსავლეთში რუსეთის დაბრუნების გადაწყვეტილება. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში კონტროლის მოპოვება არის საშუალება რუსეთისთვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ მოახდინოს ქვეყნის პოზიციების აღდგენა [3].

რუსეთის ზოგადი საგარეო პოლიტიკის გაანალიზებისას ნათელი ხდება, რომ რუსეთის პოლიტიკურ გეგმებში ახლო აღმოსავლეთს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი აკისრია, აშშ-ს, ევროპის, ჩინეთისა და აზიის შემდეგ. კრემლი დარწმუნებულია, რომ რუსეთი ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს საერთაშორისო არენაზე და მისთვის წარმოუდგენელია განზე გადგეს და არ ჩაერთოს იმ რეგიონში მიმდინარე პროცესებში, რომელიც გეოგრაფიულად ასე ახლოს არის მის საზღვრებთან. ახლო აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობა რუსეთს კარგ საშუალებას აძლევს ფეხი მოიკიდოს რეგიონში და არსებული დაძაბული სიტუაციის გამოყენებით თავი რეგიონის მთავარ აქტორად დაიმკვიდროს.

2015 წელს სირიაში მიმდინარე კრიზისთან დაკავშირებული აშშ-რუსეთის დიპლომატიური ძალისხმევა და შემდგომ რუსეთის

მხრიდან სამხედრო ინტერვენცია, გახდა რუსეთის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები ახლო აღმოსავლეთის რეგიონსა და საერთაშორისო დონეზე გლობალური მოთამაშის სტატუსის დაბრუნებისკენ. საინტერესოა ისიც, რომ როდესაც რუსეთმა გადაწყვიტა სირიის სამოქალაქო ომში ჩაბმა, იმ დროისთვის აშშ-ის თავდაცვის მდივანმა, ეშტონ კარტერმა მოსკოვს კატასტროფა უწინასწარმეტყველა. მათი გადმოსახედიდან, რუსეთის სირიაში შესვლა უფრო გაართულებდა ისედაც დაძაბულ სიტუაციას და ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის რუსული სტრატეგია განწირული იყო მარცხისთვის [3].

შესაძლოა, ეს ვარაუდი გამართლებულიყო, თუმცა, რაც ამერიკულმა მხარემ ვერ გაითვალისწინა იყო ის, რომ სირიაში შესვლა რუსეთის მხრიდან გაცნობიერებულ ნაბიჯს წარმოადგენდა. რუსეთისთვის სირია არ არის უცხო პოლიტიკური გარემო, პირიქით ცივი ომის დროს სირია იყო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მხარდამჭერი, შესაბამისად მოსკოვს ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა ქვეყანასთან და მის ხელმძღვანელობასთან. ქვეყანაში შესვლის ძირითადი მიზეზიც სწორედ ამ კავშირის შენარჩუნება იყო.

პუტინისთვის ცხადი იყო, რომ რუსეთის ჩარევის გარეშე შეუძლებელი იყო ასადის რეჟიმის შენარჩუნება, რაც რუსეთისათვის აუცილებელი კომპონენტია რეგიონთან კავშირის გასამყარებლად. კრემლის გათვლებით, თუ მოსკოვს უნდოდა, რომ რეალური ყოფილიყო მისი ახლო აღმოსავლური ექსპანსიის გეგმა, აუცილებელი იყო სირიის ომში ჩარევა და შესაბამისად ასადის ხელისუფლებაში დატოვება. რუსეთის ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, რისკიანი იყო, რადგან დამარცხება წერტილს დაუსვამდა რუსეთის მიზნებს რეგიონთან მიმართებაში. თუმცა ეს არ იყო უსაფუძვლო გადაწყვეტილება, როგორც ამას ამერიკელები თვლიდნენ.

განვითარებული მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთმა რეგიონში „წარმატების“ მიღწევა ორ წელიწადში მოახერხა და რაც მთავარია, მისი ერთ-ერთი მთავარი მოკავშირის პრეზიდენტ ასადის მომავალი ხელისუფლებაში გაამყარა. რუსეთმა ასევე

შეძლო გამარჯვება მოეპოვებინა ისლამურ სახელმწიფოზე.

2017 წლის 6 დეკემბერს პუტინმა განცხადებაში აღნიშნა, რომ სირიაში ევფრატის ორივე სანაპიროზე ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ „სრული გამარჯვება“ მოიპოვეს. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ დროისთვის სამხედრო ოპერაციები დასრულდა და სამომავლოდ ყურადღება პოლიტიკურ პროცესებზე გამახვილდება [4]. ისლამურმა სახელმწიფომ, მარტივად რომ ვთქვათ, საკმაოდ დიდი არეულობა გამოიწვია მთელი მსოფლიოს მასშტაბით და მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამის გათვალისწინებით, როდესაც მსგავსი მნიშვნელობის ტერორისტული ორგანიზაციის დამარცხების შესახებ განცხადებებს რუსეთი აკეთებს, ნათელია, რომ ქვეყანა ცდილობს დაიმკვიდროს წამყვანი გარე ძალის ადგილი რეგიონში და მიმდინარე პროცესების გადაჭრაში გახდეს მთავარი მედიატორი.

როდესაც ვსაუბრობთ, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში რუსეთის ინტერესებზე პირველი, რასაც ყველა აღნიშნავს და თანხმდება არის ის, რომ პუტინის ძირითადი მიზანი ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში არის რუსეთის საბჭოთა დროინდელი სტატუსისა და როლის დაბრუნება. რა თქმა უნდა ეს არის რუსეთის ძირითადი მიზანი, კარნეგის მოსკოვის ცენტრის დირექტორის დიმიტრი ტრენინის თანახმად, კრემლს რეგიონთან მიმართებაში სხვა ინტერესებიც გააჩნია.

სირიაში რუსეთის ყოფნას აქვს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, ეს არის ყატარიდან ევროპის მიმართულებით გაზსადენის მშენებლობის შესაძლებლობა. თუ ეს მოხდება, ევროპას გაუჩნდება გაზის მიწოდების ალტერნატიული წყარო. ეს კი რუსეთისათვის კატეგორიულად მიუღებელია. სწორედ ამიტომ გადადგა რუსეთმა რადიკალური ნაბიჯები ახლო აღმოსავლეთში და კონკრეტულად სირიაში.

ენერგეტიკული ფასების კონტროლი რუსეთისთვის არის კიდევ ერთი და საკმაოდ ძლიერი არა სამხედრო შესაძლებლობა, რომ რეგიონში მიმდინარე პროცესები თავისი კონტროლის ქვეშ ამყოფოს. თუ გადავხედავთ რუსეთის მოქმედებებს საერთაშორისო ასპარეზზე დავინახავთ, რომ კრემლი ხშირად იყენებს ბუნებრივი

რესურსების ფასებს საკუთარი მიზნების მისაღწევად და ძალაუფლების განსამტკიცებლად [2].

სწორედ ეს ინტერესები განსაზღვრავს რუსეთის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. აღნიშნული მიზნების მისაღწევად რუსეთი აქტიურად ცდილობს თავის სასარგებლოდ დაამშვიდოს სიტუაცია სირიაში, რაც ითვალისწინებს ასადის ხელისუფლებაში დატოვებასა და მისი სახით რეგიონში მოკავშირის შენარჩუნებას. ირანის ბირთვული გარიგების შემდეგ რუსეთი ცდილობდა, ურთიერთობა გაეღრმავებინა ირანთან და მაქსიმალური სარგებელი მიეღო ირანისათვის მოხსნილი სანქციებიდან. დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის დროს ირანის მიმართ სანქციები კვლავ ძალაში დარჩა და აშშ გავიდა ირანის ბირთვული შეთანხმებიდან. ეს ნაბიჯი მიუღებელი იყო ტრამპის ოპოზიციისათვის, ამჟამად ბაიდენი ცდილობს სიტუაციის ნორმალიზებას [5].

მოკავშირეების გაზრდის მიზნით რუსეთი ასევე ცდილობს, შეძლებისდაგვარად პრაგმატული ურთიერთობა დაამყაროს საუდის არაბეთთან და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებთან. საუდის არაბეთის მეფის სალმანის ვიზიტი რუსეთში მიჩნეული იყო არაბულ სახელმწიფოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დაწყების წინაპირობად. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ვიზიტის ფარგლებში საუდის არაბეთის მეფემ რუსეთთან თანამშრომლობის დაწყების ახალი ეპოქის შესაძლებლობებზე მიანიშნა [5].

მიუხედავად ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებებისა და დაძაბული ურთიერთობისა, უსაფუძვლო არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ სამომავლოდ შესაძლოა, ეს ორი ქვეყანა საერთაშორისო დონეზე მოკავშირეებიც გახდნენ. ამის თქმის საშუალებას, იძლევა საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება ბემოხსენებული შეხვედრის შემდეგ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში ახალი შესაძლებლობები გაჩნდა, რაც აქამდე მათთვის წარმოუდგენელი იყო [6].

ახლო აღმოსავლეთში კრემლის პოლიტიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალა გეოპოლიტიკურია. თუმცა არ უნდა

დავივინყოთ, რომ რუსეთის პოლიტიკის ვექტორების ასევე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია საკუთრივ რუსეთში მიმდინარე პროცესები. რუსეთის ფედერაციაში შედის რამდენიმე დიდი მუსლიმანური რესპუბლიკა, ჩეჩნეთი და დაღესტანი ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო მდინარე ვოლგის აუზში თათრეთი. ქვეყნის საერთო მოსახლეობის 12 პროცენტი მუსლიმია. დამატებით, ცენტრალური აზიისა და აზერბაიჯანის მუსლიმი მოსახლეობის რუსეთში ემიგრანტთა რაოდენობა მილიონამდე აღწევს, რომელთა დიდი ნაწილი რუსეთში არალეგალურად შედის. ახლო აღმოსავლეთიდან მიგრაციის ტალღის გაძლიერება კიდევ უფრო საფრთხის ქვეშ აყენებს მუსლიმი მოსახლეობის ჩრდილოეთით, რუსეთის ფედერაციის მიმართულებით მიახლოებას. მიუხედავად ისლამური სახელმწიფოს „დაცემისა“ რუსეთში მაინც არის რადიკალური იდეოლოგიის გავრცელების საშიშროება. უნდა აღინიშნოს, რომ 90-იანი წლებიდან მოყოლებული რუსეთი ყოველთვის იდგა ტერორიზმის საფრთხის წინაშე [2].

რუსეთის სირიაში შესვლის გადაწყვეტილება ასევე განპირობებული იყო სამხედრო კუთხითაც. რუსეთის სამხედრო შესაძლებლობები იმყოფება პოსტსაბჭოთა შემდგომი ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის პროცესში, სირიაში შესვლით რუსეთს საშუალება მიეცა, მართალია მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც დაბრუნებულიყო ძირითად საერთაშორისო აქტორთა რიგებში. რუსეთის თავდაცვის სფეროში ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ, როგორც მომხმარებლებს. 2015 წელს რუსეთის შეიარაღების შემსყიდველთა რიგებში 36 პროცენტი სწორედ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილო აფრიკის ქვეყნებს ეკავათ, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია თუ გავითვალისწინებთ, რომ აზიას 42 პროცენტი აქვს დაკავებული [7].

ათწლეულების მანძილზე ალჟირი, ეგვიპტე, ირანი, ერაყი და სირია სწორედ რუსეთისაგან ყიდულობენ შეიარაღებას. შესაბამისად, რუსეთში შეიარაღების მწარმოებლები იმედოვნებენ, რომ სირიის ომში რუსული იარაღის მოქმედება, ისევე, როგორც დამასკოში პუტინის მხრიდან მოკავშირის მხარდაჭერა, ხელს

შეუწყობს რეგიონში რუსეთის შეიარაღების პრესტიჟის ამაღლებას და შესაბამისად გამოიწვევს ახალი კლიენტების ინტერესს, განსაკუთრებით კი სპარსეთის ყურის ქვეყნებში. ამ კუთხით რუსეთის მხრიდან ერთ-ერთი უახლესი წინ გადადგმული ნაბიჯია საუდის არაბეთისთვის მძლავრი S-400 საჰაერო თავდაცვის სისტემის მიყიდვა. ამ ეტაპზე, შესყიდვასთან დაკავშირებით მხარეები საბოლოო დეტალებს ათანხმებენ. მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემთხვევაში შეთანხმების ღირებულება 3 მილიარდს შეადგენს [8].

ეს ტრანზაქცია არა მარტო გაზრდის რუსეთის ბიუჯეტს, არამედ ხელს შეუწყობს რუსეთ-საუდის ურთიერთობის დადებითად განვითარებას.

რუსეთის სამხედრო ინტერვენცია სირიაში ბოლო ათი წლის განმავლობაში პუტინის მესამე სამხედრო თავდასხმას წარმოადგენს: 2008 წელი საქართველო, 2014 წელი უკრაინა და 2015 წელი სირია. სამივე ქვეყანას აერთიანებს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, მათ აქვთ წვდომა იმ საზღვაო აუზებზე, რაც აუცილებელია რუსეთის ეკონომიკური ზრდისთვის, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს რუსეთს, რომ დაიბრუნოს გლობალური აქტორის სტატუსი. ამას გარდა, სირიის, ასევე საქართველოსა და უკრაინის კონტროლი მინიმუმამდე შეამცირებს გეოსტრატეგიულ მანძილს ახლო აღმოსავლეთსა და რუსეთს შორის, ასევე დასავლეთ ევროპასთან. გარდა ამისა, საშუალებას მისცემს რუსეთს აკონტროლოს და საჭიროების შემთხვევაში ჩაერიოს იმ ნებისმიერ გლობალურ და რეგიონულ პროცესში, რაც რუსეთის მხრიდან მისი პოლიტიკის საწინააღმდეგოდ იქნება აღქმული. მსგავსი გავლენის მოპოვება, რა თქმა უნდა, აიძულებს ამერიკასა და სხვა გლობალურ მოთამაშეებს ცნონ რუსეთის მზარდი ზეგავლენა და როლი საერთაშორისო პოლიტიკაში [9].

ახლო აღმოსავლეთში ინტერვენციით რუსეთი ცდილობს საერთაშორისო საზოგადოებას დაანახოს, რომ კრემლი კვლავაც წამყვანი ძალაა საერთაშორისო ასპარეზზე. რუსეთი მიმდინარე ქმედებებითა და კონფლიქტში ჩართვით ცდილობს, გარე აქტორებს დაანახოს რუსეთის ახალი თაობის სამხედრო



შესაძლებლობები, განსაკუთრებით კი ის ფაქტი, რომ მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების მიერ დაკისრებული ეკონომიკური სანქციებისა რუსეთი კვლავაც რჩება ძლიერ სახელმწიფოდ და, რაც მთავარია, გლობალურ მოთამაშედ.

### **დამონშებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. Trenin, D. Russia's Breakout Into the Middle East – 2017 <https://worldview.stratfor.com/article/russias-breakout-middle-east>
2. Trenin, D. Russia in the Middle East: Moscow's Objectives, Priorities, and Policy Drivers – 2016 <http://carnegie.ru/2016/04/05/russia-in-middle-east-moscow-s-objectives-priorities-and-policy-drivers-pub-63244>
3. Bradley, J. R. How Putin came to rule the Middle East – 2017 <https://www.spectator.co.uk/2017/10/how-putin-came-to-rule-the-middle-east/>
4. Reuters Staff. Putin declares "complete victory" on both banks of Euphrates in Syria – 2017 <https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-syria-putin/putin-declares-complete-victory-on-both-banks-of-euphrates-in-syria-idUSKBN1E027H>
5. Wintour, P. Saudi king's visit to Russia heralds shift in global power structures – 2017 <https://www.theguardian.com/world/2017/oct/05/saudi-russia-visit-putin-oil-middle-east>
6. Soldatkin, V., & Golubkova, K. Russia, Saudi Arabia cement new friendship with king's visit – 2017 <https://www.reuters.com/article/us-russia-saudi-terror/russia-saudi-arabia-cement-new-friendship-with-kings-visit-idUSKBN1CA1QU>
7. <https://www.reuters.com/article/us-russia-saudi-terror/russia-saudi-arabia-cement-new-friendship-with-kings-visit-idUSKBN1CA1QU>
8. Korzun, P. Russia: Strengthening Foothold in Middle East and North Africa – 2016 <https://www.strategic-culture.org/news/2016/10/12/russia-strengthening-foothold-middle-east-north-africa.html>
9. Carroll, O. Russia and Saudi Arabia 'sign \$3bn arms deal' as

King Salman visit shows how much relations have changed – 2017 <http://www.independent.co.uk/news/world/europe/russia-king-salman-visit-saudi-arabia-moscow-vladimir-putin-a7985161.html>

10. Dr. Shabaneh, Gh. Putin's Moment in the Middle East – 2015 <http://studies.aljazeera.net/en/reports/2015/10/20151019115125523394.html>

**Lili Kharchilava**

*Georgian Technical University,  
Associate Professor*

## **RUSSIAN FOREIGN POLICY PRIORITIES IN THE MIDDLE EAST**

The Middle East region has always drawn the interest of the Russian Federation. An analysis of Russia's general foreign policy shows that the Middle East plays a significant role in Russia's political plans after the United States, Europe, China, and Asia. The Kremlin is convinced that Russia is a great force in the international arena, and it is inconceivable for it to step aside and not intervene in the ongoing processes in the region, which is geographically located so close to its borders. Existing in the Middle East political and social instability allows Russia to create a certain ground in the region and take advantage of the current tense situation to become a major regional player.

## ანი კობახიძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერ-  
თობების ფაკულტეტის დოქტორანტი*

## ობამას საგარეო პოლიტიკაზე მოქმედი კონცეფციები

### შესავალი

საბჭოთა კავშირის ცივ ომში დამარცხების შემდეგ, სამყარო კვლავ უნიპოლარული გახდა. ლიბერალიზმი კი გამარჯვებულ იდეოლოგიად დამკვიდრდა.

მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონმა გაიმარჯვა, მსოფლიო განსხვავებული რეალობის წინაშე იდგა: გლობალიზაციამ სამყარო უფრო რთული გახადა; შესაბამისად, მსოფლიოში მიმდინარე ცვალებადი მოვლენები ამერიკის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლას მოითხოვდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაცია თანდათან იკრეფდა ძალას; ევროპაც აშკარად ამერიკისგან განსხვავებულ პოზიციას იჭერდა; ამასთან, ჩინეთი, რომელიც მუდამ ძალაუფლების მოხვეჭისაკენ ისწრაფოდა ნელ-ნელა ძლიერდებოდა. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ტერორიზმი, რომელსაც ამერიკა წლების მანძილზე უშედეგოდ ებრძოდა, აშკარად მოუწოდებდა ვაშინგტონს საგარეო პოლიტიკური კურსის რადიკალურად შეცვლისაკენ.

არსებულ რეალობას წარმატებულად მოერგო ამერიკის პირველი აფრო-ამერიკელი პრეზიდენტის ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკური სტრატეგია. წინამორბედი პრეზიდენტის მიერ დაშვებული შეცდომების საპირწონედ, პრეზიდენტმა ობამამ ახალი, განსხვავებული და ახალ გამოწვევებზე მორგებული პოლიტიკური პოლიტიკური კურსი აირჩია.

ნაშრომის აქტუალობას სწორედ ის ფაქტი განაპირობებს, რომ ობამას ადმინისტრაციამ საფუძვლიანად შეცვალა ამერიკის საგარეო პოლიტიკური კურსი. ამ ცვლილებების გახორციელებაში კი დიდი როლი ითამაშა „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიამ, რომელსაც ეფუძნებოდა ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომის უპირველესი მიზანია, ობამას პრეზიდენტობის პერიოდში გატარებული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის ანალიზის საფუძველზე განვიხილო ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა „ჭკვიანი ძალის“ მეცნიერულ ჭრილში.

პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის ხედვები და პოზიციები მკვეთრად განსხვავდებოდა ამერიკის წინამორბედი პრეზიდენტების მიერ გატარებული პოლიტიკისაგან, რომელიც, უმეტესად, ხისტი და სამხედრო ინტერვენციისაკენ იყო მიდრეკილი. ობამას პოლიტიკური მრწამსი ლიბერალურ ხასიათს ატარებდა, შესაბამისად, იმდროინდელი აშშ შემწყნარებელი ჰეგემონისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით გამოირჩეოდა.

ობამას საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი მშვიდობის მშენებლობა და ანტიაგრესიულ ქმედებებზე ორიენტირება იყო. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ პრეზიდენტად არჩევიდან რამდენიმე თვეში მან მიიღო ნობელის პრემია მშვიდობის რანგში [1].

პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკა აქტიური განხილვის საგანს წარმოადგენდა. მრავალი პოლიტიკის მეცნიერი ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას „ჭკვიან ძალად“ აღიქვამდა.

საინტერესოა პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკის განხილვა „ჭკვიანი ძალის“ პოზიციიდან.

ისტორიული პროცესები ცხადყოფს, რომ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ „ფერადი რევოლუციების“ დახმარებით წარმატებით გადაიყვანა პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობა ამერიკულ ბანაკში, თუმცა, დემოკრატიზაციის თითქმის ყოველმა მცდელობამ ფიასკო განიცადა, რადგან სერიოზული პრობლემები შეექმნა საქართველოს, უკრაინასა და ყირგიზეთს. ბუშის პოლიტიკა წარუმატებელი აღმოჩნდა ბალკანეთზეც – კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება მრავალი ნეგატიური შედეგის წამახალისებელ პრეცედენტად იქცა [2].

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ობამას მეტად რთულ პერიოდში მოუწია პრეზიდენტობა. შესაბამისად,

წინასაარჩევნო კამპანიის მომგებიანი სლოგანი: „ჩვენ გვჭერა ცვლილებების“ ფუნდამენტურად შეცვლიდა ამერიკის როგორც საშინაო, ისე საგარეო პრიორიტეტებს.

ამერიკა „ცივი ომის“ პერიოდში და ომის დასრულების შემდეგ აქტიურად იყენებდა „უხეში ძალისა“ და „რბილი ძალის“ პოლიტიკურ სტრატეგიებს. ერთი მხრივ, ატარებდა დიპლომატიურ პოლიტიკას, ხოლო, მეორე მხრივ, იყენებდა სამხედრო ძალას. მას შემდეგ, რაც ობამა ხელისუფლებაში მოვიდა, ამერიკამ საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის პრიორიტეტები მკვეთრად შეიცვალა. ობამას საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას ცნობილი ანალიტიკოსები „ჭკვიანი ძალის“ კონცეფციის ჭრილში განიხილავდნენ [3, 300-485].

2009 წელს ჰილარი კლინტონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ობამას ადმინისტრაციის უმთავრეს პრინციპებსა და პრიორიტეტებს განსაზღვრავდა ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, ჯოზეფ ნაის „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგია („smart power“). საერთაშორისო ურთიერთობებში ცნება – „ჭკვიანი ძალა“ ჯოზეფ ნაიმ დაამკვიდრა; „ჭკვიანი ძალის“ მემკვიდრით ხდება „უხეში“ და „რბილი“ ძალის კომბინირება ეფექტური და მომგებიანი სტრატეგიის მისაღებად [4].

„ჭკვიან ძალის“ კონცეპტში მოიაზრება დიპლომატიის სტრატეგიული გამოყენება, დარწმუნების უნარისა და სხვა დიპლომატიური შესაძლებლობების განვითარება, ნდობის აღდგენა, ძალისა და გავლენის პროექცია და ამ საშუალებებით გავლენის სფეროების გაფართოება.

„ჭკვიანი ძალის“ სტრატეგია პირველად შემუშავდა 2003 წელს ერაყში ამერიკის სამხედრო ინტერვენციის შემდეგ. ამ სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა წარმოშვა რამდენიმე ფაქტორმა: 1. ჯორჯ ბუშის ნეოკონსერვატიულმა საგარეო პოლიტიკურმა კურსმა; 2. თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევებმა, რომელმაც ცხადყო, რომ აშშ-ს საერთაშორისო იმიჯი შეილახა და ვაშინგტონის ნდობა დაეცა [5].

ასეთი რთული ვითარებიდან საუკეთესო გამოსავალს ჯოზეფ ნაი „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიის იმპლემენტაციაში ხედავდა:

„11 სექტემბრის ტერაქტმა ჩვენ ორმაგად დაგვაზარალა: უპირველესად ადამიანებით, ვინც თვითმფრინავების შეჯახებას ემსხვერპლნენ; ასევე შეირყა ვაშინგტონისადმი ნდობა და ერმა დაკარგა ოპტიმიზმი. ძლიერ დაზარალდა ჩვენი ეკონომიკური სისტემა, შესუსტდა ამერიკის, როგორც ლიდერი სახელმწიფოს როლი საერთაშორისო მასშტაბით, მაგრამ თუ ჩვენ შევძლებთ და გარდავიქმნებით „ჭკვიან ძალად“, ჩვენ ყველაფერს დავიბრუნებთ“ [6].

ჯოზეფ ნაის მოსაზრებით, მხოლოდ „უხეში“ ან „რბილი“ ძალის სტრატეგიის გამოყენებით სახელმწიფო ვერ მოიპოვებს დომინანტურ პოზიციას. მეცნიერი ეწინააღმდეგებოდა მაკიაველის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, „სჯობს ეშინოდეთ შენი, ვიდრე უყვარდე“. მეცნიერის პერსპექტივიდან, თანამედროვე ინფორმაციულ ერაში ორივე მათგანს: შიშსაც და სიყვარულსაც „დამსახურებული მოპოვება“ სჭირდება. ბუნებრივია, სამხედრო ინტერვენციით სახელმწიფოს დამარცხება შედარებით იოლია, თუმცა იდეებით ბრძოლა განსაკუთრებით მომგებიანია სახელმწიფოსათვის, რადგან სწორედ „რბილი ძალის“ დახმარებით არის შესაძლებელი გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევა. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო მიიჩნევენ ნაი „ჭკვიანი ძალის“ პოლიტიკას აშშ-თვის უნივერსალურ სტრატეგიად.

როგორც უკვე აღინიშნა, „ჭკვიანი ძალა“ წარმოადგენს სტრატეგიას, რომლისთვისაც აუცილებელია ძლიერი შეიარაღებული ძალები, მაგრამ, ასევე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ალიანსებთან და მაღალი დონის ინსტიტუციებთან ადაპტაცია, თავსებადობა და პარტნიორობა, რომელთა დახმარებითაც აშშ-ს პოლიტიკურ ქმედებებს მიენიჭება ლეგიტიმურობა.

ჯოზეფ ნაიმ სხვა ცნობილ მეცნიერებთან ერთად, რომელთაგან გამოვარჩევდი ყოფილ ამერიკელ დიპლომატსა და სახელმწიფო მოხელეს რიჩარდ არმიტიჯს, აშშ-ს ყოფილ სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონს, ადამიანის უფლებათა დამცველს სიუზენ ნობელსა და სხვებს, ობამას ადმინისტრაციისათვის შეიმუშავეს სტრატეგია, რომელსაც უნდა აღედგინა აშშ-ს სიძლიერე და გავლენა. მეცნიერთა მტკიცებით, „ჭკვიანი ძალის“ მეშვეობით აშშ შეძლებდა „იმედისა და ოპტიმიზმის ექსპორტს შიშს ნაცვლად“ [7].

წინამორბედებისაგან განსხვავებით, ობამას მსოფლიო წესრიგის დამყარების თავისებური ხედვა გააჩნდა. მულტიპოლარული პოლიტიკური პროცესების ფონზე, მისი ადმინისტრაცია გამოთქვამდა მზაობას განემტკიცებინა პარტნიორობა და თანამშრომლობა ისეთ ქვეყნებთან, სადაც მკვეთრად გამოკვეთილი გავლენის პოლუსები (რუსეთი, ჩინეთი და ევროპა): „აშშ-ს არ ძალუძს მსოფლიოში მართო მოქმედება... ამ ქვეყნის ტვირთი მხოლოდ ჩვენმა ჯარისკაცებმა არ უნდა იტვირთონ; არც მხოლოდ ამერიკელებმა უნდა ზიდონ... ამერიკამ უნდა გააძლიეროს თავისი არსებული ალიანსები და საფუძველი ჩაუყაროს ახალ პარტნიორობას“ – განაცხადა ობამამ 2010 წელს სამხედრო აკადემიაში (West Point 2010 Cadets) სიტყვით გამოსვლის დროს [8, 27].

მეცნიერ რობერტ კოჰენის მსგავსად, ობამაც იზიარებს მოსაზრებას, რომ „მშვიდობის მიღწევა შესაძლებელია, მაგრამ არა ავტომატურად... აუცილებელია, საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნა, რაც ნაწილობრივ გლობალიზებულ მსოფლიოში მმართველობას ჩაუყრის მყარ საფუძველს“ [9, 15]. საგარეო პოლიტიკის მულტილატერალური მიდგომების აუცილებლობას ობამას ადმინისტრაცია 2010 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაშიც უსვამს ხაზს: „აშშ აქტიურად უნდა ჩაერთოს საერთაშორისო ინსტიტუტებში და, შესაბამისად, განავითაროს, გააძლიეროს და შეინარჩუნოს თანამშრომლობა; მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს კოლექტიურ ქმედებაზე, რაც მოემსახურება საერთო ინტერესებს [10, 3].

ცხადია, საერთაშორისო ინსტიტუტებში მოიაზრებოდა გაერო და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტები.

მულტილატერალური მოქმედებების გარდაუვალ საჭიროებაზე გაუსვა ხაზი ობამამ გაეროს 70-ე გენერალურ ასამბლეაზეც, სადაც მან ისაუბრა მიმდინარე კონფლიქტებზე და მათი ერთობლივი თანამშრომლობით გადაწყვეტის აუცილებლობაზე: „არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად ძლიერია ამერიკის ეკონომიკა. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ამერიკა მართო ვერ შეძლებს გადაჭრას მსოფლიო პრობლემები“ [11, 3].

როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, ობამას ადმინისტრაცია მოქმედებდა „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიით, სტრატეგიით, რომელსაც უნდა განემტკიცებინა აშშ-ს ლიდერობა გლობალურ ჭრილში. თუმცა, ეს არ უნდა მომხდარიყო ძლიერ სახელმწიფოებთან კონფრონტაციით, არამედ მათთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის გზით; ბუნებრივია, აღნიშნული მულტილატერალური ქმედებების სტრუქტურას განსაზღვრავდა საერთაშორისო ინსტიტუტები, კოალიციები და ალიანსები [9, 341].

ნათელია, რომ ობამას ზომიერმა საგარეო პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა აშშ-ს საერთაშორისო იმიჯის აღდგენა [12, 97-99].

საინტერესოა ამერიკელი პოლიტიკის მეცნიერის ბრუს ჯენტლესონის მოსაზრება პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკასთან მიმართებით. ჯენტლესონის აზრით, საგარეო პოლიტიკის მიზნების მიღწევა არც ისეთი ადვილია, როგორც თუკიდიდესეული მაქსიმა ამტკიცებს: „ძლიერნი აკეთებენ იმას, რისი ძალაც შესწევთ, ხოლო სუსტნი ეგუებიან იმას, რასაც უნდა შეეგუონ“. მეცნიერი თვლის, რომ თუკი უხეში ძალის გამოყენებით ხდება დაძაბულობის ან დაპირისპირების ესკალაცია, სასურველი ზეგავლენის მოხდენა კიდევ უფრო გართულდება.

ჯენტლესონის პერსპექტივიდან, ობამას ადმინისტრაციამ ამერიკის გლობალური გავლენისა და რეპუტაციის აღდგენის აუცილებლობას ხაზი გაუსვა არა იმიტომ, რომ ხელისუფლებას კარგად ეგრძნო თავი, არამედ იმიტომ, რომ ამგვარი პრაგმატული მიდგომა გაზრდიდა ამერიკის ძალაუფლებას.

## დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიის უმთავრესი მიზანია პარტნიორობის განმტკიცება და გამყარება. ობამას პოლიტიკური მრწამსიც სწორედ ამ პრინციპზე იყო დაფუძნებული: იგი თვლიდა, რომ არსებობდა რამდენიმე პოლიტიკური ცენტრი და სრულიადაც არ მიაჩნდა ამერიკა ერთადერთ ჰეგემონად მხოლოდ ერთ პოლუსიან მსოფლიოში.



ობამას ადმინისტრაცია მოქმედებდა „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიით და ცდილობდა ამერიკის ლიდერობის განმტკიცებას არა ძლევამოსილ სახელმწიფოებთან დაპირისპირებით, არამედ მათთან თანამშრომლობის გზით. სწორედ ამიტომაც წარმოადგენდა პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზება ისეთ ზესახელმწიფოებთან, როგორცაა რუსეთი და ჩინეთი. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ობამას საგარეო პოლიტიკის ასპარეზზე გაცილებით მეტი მარცხია, ვიდრე გამარჯვება. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა უამრავ დათმობაზე წავიდა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებისათვის, მისი ადმინისტრაციის ბოძიერმა მიდგომებმა წაახალისა „ისლამური სახელმწიფო“ და გასაქანი მისცა რუსულ ინტერვენციას სირიასა და უკრაინაში. მსგავსი ინერტული საგარეო პოლიტიკური კურსის შედეგია მიგრანტთა კრიზისიც, რომელმაც ევროკავშირის ერთიანობასა და მდგრადობას გარკვეული საფრთხე შეუქმნა.

### **დამონმებული ლიტერატურა:**

1. Reuters, November 21, 2007, Clinton sharpens attack on Obama's experience, By Kay Henderson  
<https://www.reuters.com/article/us-usa-politics-democrats-idUSN2063207120071120> (ბოლო ნახვა: 20.05.2022).
2. The Guardian. (2010). Kyrgyzstan: A Russian Revolution? Retrieved from <https://www.theguardian.com/commentis-free/2010/apr/08/kyrgyzstan-vladimir-putin-barack-obama> (ბოლო ნახვა: 01.04.2023).
3. Maud Quessard, Rembrading Soft Power: Assessing Obama's Smart Power Strategies. Dans Etudes ANGLAIS-SES. 2019/4, Vol. 72.
4. Inter-University Consortium for Political and Social Research (ICPSR).(2008) Campaign Issues and Candidates Positions. Retrieved from: <https://www.icpsr.umich.edu/web/instructors/setup2008/campaign-issues.jsp> (ბოლო ნახვა: 15.07.2022)

5. ლევან ნასრაშვილი, ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა – "ჭკვიანი ძალა" თუ იდეალიზმი, 18 ივნისი, 2010, <http://nasrashvili.blogspot.com/2010/06/blog-post.html>
6. Joseph S. Nye, 2008, Public Diplomacy and Soft Power. Retrieved from: <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/0002716207311699> (ბოლო ნახვა: 20.06.2023)
7. Project Syndicate, Recovering America's Smart Power, Dec 11, 2007. Joseph S Nye. <https://www.project-syndicate.org/commentary/recovering-america-s-smart-power?barrier=accesspaylog> (ბოლო ნახვა: 20.01.2023).
8. Journal of Social Sciences, 1(1):27-33, 2012, Baia IVANEISHVILI. Obama Foreign Policy Doctrine: Preparing America to Succeed in Multipolar World, file:///C:/Users/Admin/Downloads/manager,+27-33.pdf (ბოლო ნახვა: 08.07.2022).
9. ბ. ჯენტლესონ, ამერიკის საგარეო პოლიტიკა – არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), New York, 2015.
10. National Security Strategy, May 2010, <https://obamawhitehouse.archives.gov/sites/default/files/rss-viewer/national-security-strategy.pdf> (ბოლო ნახვა: 20.07.2022)
11. Kindleberger C., World in depression 1929-1939. University of California Press, 1973.
12. Voices of Mexico. José Luis Valdés-Ugalde\* With Frania Duarte. Saving the Homeland: Obama's New Smart Power Security Strategy.

**Ani Kobakhidze**

*Georgian Technical University, Faculty of Law  
and International Relations Doctoral Student*

## **CONCEPTS INFLUENCING THE FOREIGN POLICY OF THE BARACK OBAMA ADMINISTRATION**

### **Summary**

The article studies the foreign policy of the Barack Obama Administration through the concept of Joseph Nye's "smart power" strategy. Analysing a country's foreign policy is very complex, in particular, when it refers to the foreign policy of such a superpower as it is the United States of America.

The article aims at answering the following research questions: What was the concept of "smart power" based on? What impact did the "smart power" strategy have on the Barack Obama Administration foreign policy? Were the intended goals achieved through the usage of "smart power" strategy?

The reader discovers that it is not always beneficial to determine the foreign policy of the country on the basis of only one particular strategy.

This publication examines President Obama's political portrait and emphasizes the fact how the Obama Administration changed US foreign policy.

## **რუსული პროპაგანდის ნარატივები და მითები როგორც რბილი ძალის ელემენტები**

რუსეთის საგარეო პოლიტიკურ მეთოდოლოგიაში უხეში ძალის პარალელურად, მოსკოვი საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო ხშირად მიმართავს ე. წ. რბილი ძალის თავისებურ ნაზავს. ეს ნაზავი, როგორც წესი, ეკონომიკური და იდეოლოგიური შეღწევის სხვადასხვა ფორმაა. ამისთვის რუსეთს შედარებით „ნოყიერი“ ნიადაგი ხვდება ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, სადაც საზოგადოების დიდ ნაწილში ჯერაც ცოცხალია საბჭოთა პერიოდის „კავშირები“ [1, 3].

„რბილი ძალა“, ძირითადად, სამ კომპონენტს ეფუძნება: კულტურა, პოლიტიკური ღირებულებები და საგარეო პოლიტიკა. ეს არის ძალა, რომლის საშუალებითაც სახელმწიფოები ახდენენ საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების რეალიზებას. ამ ძალის გამოყენება მხარეთა ორმხრივი ნების საფუძველზე ხდება. როცა „რბილი ძალის“ შესახებ ვლაპარაკობთ, აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომელ პოლიტიკურ აქტორსა და რესურსს ვგულისხმობთ.

ჩვენი კვლევის საგანია რუსეთი და მისი საგარეო პოლიტიკა, რომელიც განსაკუთრებით აქტიურია იმ სახელმწიფოებში, რომლებიც რუსეთის ტრადიციული გავლენის სფეროში მოიაზრებიან და ამჟამად ახდენენ პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის დეკლარირებას. დღეს ძალიან ბევრი ინერება და საკმაოდ კარგად გამოიყენება მედია საშუალებები და სოციალური ქსელები იმისთვის, რომ წარმოაჩინონ რა არის სინამდვილეში რუსული რბილი ძალა.

რუსეთის რბილი ძალის მახასიათებლები საქართველოში ძირითადად ორ კატეგორიაში შეგვიძლია მოვაქციოთ: 1. საქართველოს კულტურული (ღირებულებები და წეს-ჩვეულებები)

და ისტორიული კავშირები რუსეთთან 2. დასავლური პოლიტიკური ღირებულებები რუსეთის ე. წ. „რეალპოლიტიკის“ (ძალის პოლიტიკა) წინააღმდეგ.

რელიგიური წარმოდგენები და კულტურული მემკვიდრეობა რუსეთის რბილი ძალის არსენალში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია.

საგარეო პოლიტიკური ურთიერთობა პერიოდულად იცვლებოდა და უფრო მეტად რეაქციული იყო. თავდაპირველად, მეტი ყურადღება ეთმობოდა დასავლური ინსტიტუტების მიმართ სკეპტიციზმის გაღვივებას. ნატოში გაწევრიანება შეუძლებლად, ხოლო საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები უპერსპექტივოდ იყო წარმოჩენილი.

ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებში მნიშვნელოვანი წინსვლის (ასოციირების შესახებ შეთანხმება და ვიზა ლიბერალიზაცია) შემდეგ ძირითადი ყურადღება ევროკავშირთან ინტეგრაციის ღირებულებით შეუსაბამობაზე იყო გადატანილი. ევროკავშირში განვითარებული მოვლენებიც არ დარჩა უყურადღებოდ – საბერძნეთის ეკონომიკური პრობლემები, ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვება, პოლონეთის მთავრობის წინააღმდეგობა ევროპული ინსტიტუტების მიმართ გამოყენებულია ევროკავშირის, როგორც საერთო ევროპული პროექტის, მარცხის საჩვენებლად.

ნატოს შემთხვევაში შენარჩუნებული ერთი მუდმივი გზავნილი – რამდენად შორეული პერსპექტივაა და საფრთხის შემცველია საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება. ეს გზავნილი საქართველოს მოსახლეობაზე ძალიან ნელა, თუმცა, ეფექტურად მოქმედებს. ყირიმის ანექსიისა და სირიაში რუსეთის სამხედრო ოპერაციების შემდეგ ნატო წარმოჩენილია, როგორც წამგებიანი და სტატიკური სამხედრო ალიანსი მაშინ, როდესაც რუსეთის აგრესიული სამხედრო ექსპანსია ნატოზე უპირატესობის მტკიცებულებად არის გამოყენებული. ასევე, ხდება ნატოსა და რუსეთის ქმედებების ერთმანეთთან შედარება და პარალელების გავლება (სერბეთი-უკრაინა, ლიბია-სირია, აშშ-ის ინტერვენციები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში).

რბილი ძალის პარალელურად და მისი ზემოქმედების გასაძლიერებლად, ხისტი ძალის პოლიტიკა მიმართულია საქართველოს მოსახლეობაში შიშისა და დაძაბულობის განცდის შესანარჩუნებლად. ე. წ. „საბღვრის“ უკანონო გავლება ისევე, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მუდმივი სამხედრო წვრთნები მკვეთრი გზავნილია საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომ რუსეთი მზადაა, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ხისტი ძალა.

ასევე, სხვადასხვა ტიპის თანამშრომლობის ხელშეკრულებები სეპარატისტულ მთავრობებთან ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რუსეთი განაგრძობს საერთაშორისო სამართლის პრინციპების უგულვებელყოფას და ამ მიდგომით ცდილობს, დაამტკიცოს საკუთარი ძლევამოსილება. შესაბამისად, რუსეთის მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში (სირია, უკრაინა) პროპაგანდის ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტია.

რუსეთის ფედერაცია კომპლექსურად უდგება მისთვის საინტერესო რეგიონში გავლენის შენარჩუნება-გაფართოების საკითხს და ყურადღებას უთმობს ყველაზე სასიცოცხლო საკითხების შესწავლას: კონფლიქტები, ნავთობი და ბუნებრივი გაზის რესურსები, გეოპოლიტიკური სირთულეები, მილსადენის პოლიტიკა და საინტერესოდ აანალიზებს მომდევნო ათწლეულების გეოპოლიტიკური რისკების, კავკასიის კასპიის აუზის გეოპოლიტიკის, რელიგიის, დემოგრაფიული და მიგრაციის პერსპექტივების საკითხებს და მესახელმწიფოების პოლიტიკურ კურსს [2, 61-81].

ზემომოყვანილი კონტექსტიდან გამომდინარეობს რუსული პროპაგანდაც, რომელიც, ძირითადად, ანტიდასავლურია. ანტიდასავლური პროპაგანდის ყოველწლიური მედია მონიტორინგის შედეგები 2020 წლის ანგარიშში დეტალურადაა აღწერილი. დაკვირვება ხორციელდებოდა როგორც მედია საშუალებებზე, ასევე სხვა წყაროებზე – პოლიტიკურ ისტებლიშმენტზე, სასულიერო პირებზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენლებზე. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები: „2020 წლის მედია

მონიტორინგმა ანტიდასავლური გზავნილების მზარდი ტენდენცია გამოავლინა, სადაც ყველაზე მაღალი წილი ამერიკის წინააღმდეგ იყო მიმართული, რასაც მოსდევს ზოგადად დასავლეთის წინააღმდეგ გზავნილები“ [3, 10-12].

ამერიკა, ნატო, ევროკავშირი, დასავლეთი, რუსეთი, იდენტობა, სოროსი, არასამთავრობოები, გავლენის სტრატეგიები და ნარატივის სტრუქტურა, შიშების კულტივირება, უიმედობისა და სკეპტიციზმის დანერგვა რუსეთი – როგორც დასავლეთის ალტერნატივა – ესენია ის მთავარი ტენდენციები, რომელსაც რუსული პროპაგანდა ემსახურება.

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა, ბოლო დროის მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოქცეულმა საომარმა ოპერაციამ, რომელიც რუსეთის მხრიდან სპეცოპერაციად მოინათლა, მნიშვნელოვან ფაქტორად გადააქცია სწორი და დროული საინფორმაციო პროპაგანდა ევროკავშირისა და დასავლეთის შესახებ. ამ მიზნით, ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრები თამაშობენ განსაკუთრებულ როლს და ყოველდღიურ რეჟიმში ცდილობენ გაააქტიურონ საქმიანობები სხვადასხვა ტიპის შეხვედრების, საინფორმაციო კამპანიის გაძლიერების მიზნით გამოცემული ბროშურების სახით. მაგალითად, 2022 წლის დასაწყისში მოეწყო თომას კლაინე-ბროკჰოფის წიგნის „მსოფლიოს სჭირდება დასავლეთი – ლიბერალური წესრიგის ახალი დასაწყისი“ წარდგენა. სწორედ რუსული პროპაგანდის ამ ნარატივის - „ამერიკა და დასავლეთი განწირულია, საერთაშორისო წესრიგი დასასრულს უახლოვდება, ბოლო ჟამის წინასწარმეტყველება“ – გასაქარწყლებლად თავად ავტორი წარდგა ქართული საზოგადოების წინაშე და განაცხადა, რომ ამ ნარატივის მძალადებელნი ნეონაციონალისტებს ნებდებიან. ბერლინელი პოლიტოლოგი გვთავაზობს „მტკიცე ლიბერალიზმის“ კონცეფციას, რომელმაც დასავლეთის რეპუტაცია უნდა აღადგინოს [4, 29].

დასავლეთი ებრძვის ქართულ მართლმადიდებლურ რწმენას და ტრადიციებს – ეს მითი არის ანტიდასავლური ძალების მიერ წარმოებული პროპაგანდის მთავარი არგუმენტი, რომელსაც

თანაბარი ინტენსივობითა და წარმატებით მიმართავენ როგორც პოლიტიკოსები, ისე სასულიერო პირები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები და რომელთაც აქტიურ პროპაგანდას უწევს ანტიდასავლური/პრორუსული მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები.

რუსეთი არის საქართველოს ეკონომიკური განვითარების და მოსახლეობის კეთილდღეობის გასაღები – ამ მითის პროპაგანდისტები ცდილობენ, დაარწმუნონ 54 % მოსახლეობა, რომ ევროკავშირი საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განადგურებას და ქვეყნის საკუთარი პროდუქციის გასაღების ბაზრად გადაქცევას ცდილობს.

დასავლეთი მხარს უჭერს კონკრეტულ ძალებს და არა საქართველოს სახელმწიფოს – ეს უაღრესად სახიფათო მითია, რომელსაც, სამწუხაროდ, ადაპტირებისათვის მნიშვნელოვანი ბაზა გააჩნია. მისი პროპაგანდისტები იღებენ ცალკეული ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსების, პოლიტიკური ჯგუფებისა და ექსპერტების ცალკეულ განცხადებებს, ხშირად შესაბამისი კონტექსტის გარეშე და მათ მთელი დასავლეთის ან დასავლეთის სახელმწიფოების ოფიციალურ პოზიციად ასაღებენ.

რუსეთი არის ისტორიული მტრისგან, ისლამური სამყაროსგან დაცვის ერთადერთი საშუალება – ამ მითმა 2015 წლის 24 ნოემბრიდან თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების შემდეგ დიდწილად თურქოფობიის ფორმა შეიძინა [5, 1].

რუსეთის უძლეველობის/რუსეთის მმართველის უძლეველობის მითი – ამ მითის თანახმად, მსოფლიო პოლიტიკური სისტემა ორპოლუსიანია, რომელსაც ორი ზესახელმწიფო – ამერიკა და რუსეთი მართავს. ამ მითის ერთ-ერთი ვარიანტია პუტინის, როგორც სუპერლიდერის მითი, რომელმაც დაამყარა წესრიგი თავის ქვეყანაში და ახლა მსოფლიო წესრიგისთვის იბრძვის.

ევროპა და ამერიკა საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ითხოვს – ეს, ერთი შეხედვით, ყოველგვარ საღ აზრს მოკლებული მითი საქართველოს რელიგიურ და ნაციონალისტურ რადიკალურ წრეებში დიდი პოპულარობით



სარგებლობს [6, 1].

როგორც აღინიშნა, სტრატეგიული ნარატივი არა მხოლოდ მიმდინარე მოვლენებს ეხება, არამედ ისტორიას, ანმცოს და რაც მთავარია მომავალს. რუსეთი სწორედ ამ კუთხით ცდილობს ეროვნული ნარატივების შექმნას და მათ წარმატებით გამოყენებას როგორც თავისი ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

რუსული ნარატივები არ შემოიფარგლება მხოლოდ რუსეთზე ფოკუსირებით, არამედ ის ცდილობს დასავლური ნარატივების დამახინჯებულად წარმოჩენას მათი გაყალბების და გაზვიადების საშუალებით. რუსეთი წარმოაჩენს ამერიკის შიდა საკითხებს ისეთი ფორმით, რომელიც ძირს უთხრის მის სოციალურ ერთობას ქვეყნის შიგნით და მის იმიჯს საერთაშორისო სისტემაში. რუსული ნარატივის მიხედვით, თავად რუსეთი არის დასავლეთის მსხვერპლი, შესაბამისად მისი უკრაინაში შეჭრა, რუსეთის მხრიდან წარმოდგენილი იყო, როგორც გმირული საქციელი დაიცვას საკუთარი თავი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთი კომპლექსური მეთოდებით ცდილობს, გავლენა მოახდინოს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ გარემოზე და შეცვალოს ქვეყნის განვითარების დასავლური ვექტორი. რუსეთი აქტიურად იყენებს პირდაპირი და ირიბი გავლენის მეთოდებს როგორც პოლიტიკურ აქტორებზე ზემოქმედებისას, ისე სასულიერო პირებთან მიმართებაში. ამ მეთოდებში იგულისხმება როგორც საკუთარი მომხრეების მხარდაჭერა ფინანსური და სხვა საშუალებებით, ისე დასავლური პოლიტიკური კურსის დისკრედიტაცია და მითების კულტივაცია.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში, თბილისი, 2016, European Initiative, German Marshall Fund of the United States.
2. Papava V., Qualitative Economic Features of the South Caucasian Countries: Past, Present and Future in the European Context, Journal: The South Caucasus 2021: Oil, democra-

cy and Geopolitics, p. 61-81. <https://www.caucasus-mt.net/publications/search?criteria=in-title&term=The%20South%20Caucasus%202021:%20Oil,%20Democracy%20and%20Geopolitics&parent-id=307&section-id=326>

3. კინწურაშვილი თ., ანტიდასავლური პროპაგანდა, თბილისი 2020.
4. თომას კლაინე-ბროკჰოფი, მსოფლიოს სჭირდება დასავლეთი ლიბერალური წესრიგის ახალი დასაწყისი, ჰამბურგი 2019, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2021.
5. ბაქრაძე გ., რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების დინამიკა 2016 წელს და მისი გამომწვევი მიზეზები, 2.08.2016, <http://regional-dialogue.com/rus-turkey/>, ნანახია: 25.04.2022
6. დაუსვით ვითხვა ევროკავშირის ელჩს: ვითხვები და პასუხები, 14.07.2022. <https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia>, ნანახია: 16.08.2022.

**Rona Pertia**

*Georgian Technical University,  
Faculty of Law and International  
Relations, Doctoral Student*

## **RUSSIAN PROPAGANDA NARRATIVES AND MYTHS AS ELEMENTS OF SOFT POWER**

### **Summary**

In the international arena, Russia applies a peculiar mixture of soft power with hard power. This mixture is usually a different form of ideological penetration. For this, Russia finds relatively "fertile" soil in the space of the former Soviet Union, where the "unions" of the Soviet era are still alive in a large part of society. In Georgia, characteristics of Russia's soft power appear in the cultural (values) and historical connection with Russia and with western political values against of Russia's so-called "realpolitik" (power politics).

From the right point of view of the author, Russia is trying to influence the political environment in Georgia and change the western vector of the country's development with complex methods. Russia actively uses direct and indirect methods of influencing both political and other actors. These methods include supporting their supporters by various means, as well as discrediting the Western political course and cultivating myths.

## სოფიო დემეტრაშვილი

სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

### ლიბერალიზმის თანამედროვე ტენდენციები

უკვე მრავალი ასწლეულია, რაც ლიბერალური იდეები სოციალურ-პოლიტიკური პროცესების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მასზე უდიდეს გავლენას ახდენს. ლიბერალიზმის პირველი ჩანასახი მე-13 საუკუნის ინგლისში გაჩნდა, როდესაც თავისუფლების დიდი ქარტიით მონარქის უფლებები შეიზღუდა და პარლამენტარიზმის პირველი ნიშნები იქნა გამოკვეთილი [1, 379]. ლიბერალიზმი წარმოადგენს თავისუფლებისა და თანასწორობის იდეაზე დაფუძნებულ პოლიტიკურ იდეოლოგიას, რომელშიც სახელმწიფოს მამოძრავებელ ძირითად ძალად ადამიანის თავისუფალი ნება და საზოგადოების ყოველი წევრის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა არის მიჩნეული [2, 9]. „ლიბერალიზმის მამად“ წოდებული ინგლისელი ფილოსოფოსი და ექიმი, განმანათლებლობის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მოაზროვნე ჯონ ლოკია [3, 64]. ლიბერალიზმი წარმოადგენს თანამედროვე დასავლური დემოკრატიის იდეოლოგიურ ქვაკუთხედს, რომელიც მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა: ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, კანონის უზენაესობა და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ კულტურა და რწმენები განსხვავდება, ლიბერალიზმი ამბობს, რომ ყველა პიროვნებას აქვს თვითგადარჩენისა და მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის ინტერესი. ამდენად, ადამიანებს სჭირდებათ თანამშრომლობა და ძალადობის შეზღუდვა [4, 87-125].

ლიბერალიზმი სახელმწიფოებს განიხილავს, როგორც კონსტიტუციურ წარმონაქმნებს და მიაჩნია, რომ ასეთი სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთმანეთს და ემორჩილებიან საერთაშორისო სამართალს, რომელიც ურთიერთგაგების

პრინციპზეა დამყარებული [5, 37]. ამასთან, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, არ არსებობს დემოკრატია ლიბერალიზმის გარეშე, რადგან არალიბერალური დემოკრატიები პრაქტიკაში ვერ ინარჩუნებენ მდგრადობას და ავტორიტარიზმისკენ უკუსვლის ნიშნებს ავლენენ [2, 5]. ლიბერალურ დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში ხელისუფლების მუდმივი მონაცვლეობა იძლევა იმის გარანტიას, რომ მთავრობის მეთაურთა პიროვნული მტრობა ხანგრძლივი დაძაბულობის წყაროდ არ გადაიქცევა.

ლიბერალური იდეოლოგიის მიხედვით, სახელმწიფო მინიმალურად უნდა ჩაერიოს ინდივიდების ყოფაში და მხოლოდ ის სფეროები უნდა განაგოს, რომელთა მონესრიგებაც ინდივიდების უფლებამოსილების ფარგლებს სცდება. ამასთან, ლიბერალურმა იდეოლოგიამ არსებითი გავლენა მოახდინა პოლიტიკურ პროცესებზე და შედეგად განსაზღვრა სახელმწიფოს დემოკრატიული სახე [6, 87]. ლიბერალური იდეები მიმართულია იმისაკენ, რომ შექმნან ისეთი საზოგადოება, რომელშიც თითოეულ ადამიანს ექნება საშუალება სრულად და წარმატებით განავითაროს თავისი შესაძლებლობები [3, 69]. ლიბერალისტული იდეოლოგია ხშირად დემოკრატიულ სახელმწიფოებს უდევს საფუძვლად, ვინაიდან ლიბერალიზმი არის პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც ემყარება ინდივიდუალური თავისუფლების ხელშეუხებლობის პრინციპს, რომელიც თავის მხრივ, საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს.

ლიბერალიზმი მსოფლმხედველობაა, რომელიც ეფუძნება თანასწორობასა და შესაძლებლობების ხელოვნებას. სწორედ ლიბერალურმა იდეებმა დაანგრია მანამდე არსებული იმპერიები და სახელმწიფოებს მისცა დამოუკიდებლად განვითარების საშუალება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და კვლავ დადგა არჩევანის წინაშე, რომ თავი დაეღწია საბჭოთა „მარნუხებისაგან“ და ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ამ პერიოდში, თავიდან ეძლევა საქართველოს შესაძლებლობა, რომ იზოლაციიდან თავი დაეღწია და დაბრუნებულიყო დასავლურ ღირებულებათა სისტემაში. ლიბერალიზმი საბჭოთა სისტემაში არ

არსებობდა, ფაქტობრივად 70 წლის განმავლობაში ქვეყანა მონყვეტილი იყო ცივილიზებულ და თავისუფალ სამყაროს, ხოლო შემდგომ, საბჭოთა პერიოდში, კომუნისტური პარტია მიმართული იყო დასავლური ლიბერალური სამყაროს დისკრედიტაციით. ბოლოს კი, სამწუხაროდ, კომუნისტური მემკვიდრეობა ძალიან ძლიერი აღმოჩნდა, ვინაიდან, უკვე ოცდაათ წელზე მეტი არის გასული და საქართველოში ლიბერალიზმის შესახებ არსებითად მცდარი შეხედულებებია გავრცელებული. გარკვეული ჯგუფები კი, მიზანმიმართულად ენევიან ლიბერალური იდეების დისკრედიტაციას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკური კავშირი მეოცე საუკუნის კლასიკური ტოტალიტარული სახელმწიფო იყო, რომელიც დასავლურ სახელმწიფო მოწყობას ებრძოდა, ასევე, ცდილობდა ანტიდასავლური და ანტილიბერალური გზავნილების გავრცელებას. აღნიშნულმა კი, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა [2, 51]. სტივენ ჯონსი მის პუბლიკაციაში ამბობს, რომ „საბჭოთა მემკვიდრეობა როგორი ბუნდოვანი, გამოგონილი და დამახინჯებულიც არ უნდა იყოს, მაინც არსებობს და უფრო მეტიც, ის მყარად არის ჩაშენებული საქართველოს ანწყობში. ამ მემკვიდრეობის გააზრება ძალზედ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ავხსნათ ქართული დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტე. ის კავშირები, რომლებიც არსებობს არაკვალიფიციურ ინსტიტუციონალიზაციასა და „ქარიზმატულ“ ლიდერებს შორის, მყიდვე სამოქალაქო საზოგადოებასა და მალულად მოქმედ ბიუროკრატიულ აპარატს შორის, და ბოლოს, სახელმწიფოს უუნარობაც, რომ ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია მოახდინოს, უკავშირდება საბჭოთა წარსულს“ [7, 11]. 70 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში ერთპარტიული სისტემა არსებობდა. კომუნისტური პარტია კი იყო ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც არსებობდა ლეგალურად და მონაწილეობას იღებდა არჩევნებში, შესაბამისად, უკლებლივ ყველა არჩევნებზე იმარჯვებდა „კომუნისტებისა და უპარტიოთა ურდვევი ბლოკი“ [2, 53].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს არ გააჩნდათ პოლიტიკური პლურალიზმის ისტორიული გამოცდილება, რის გამოც წარუმატებელი აღმოჩნდა ტრანზიციონალიზმის დემოკრატიზაცია. ამასთან, სახელმწიფოში არსებულმა პარტიებმა ვერ შეძლეს პოლიტიკური სივრცის კონსოლიდაცია [2, 57].

პოლიტიკურ იდეოლოგიათა ნებისმიერი ჩამონათვალი უნდა იწყებოდეს ლიბერალიზმით, რაც სამრეწველო დასავლეთის იდეოლოგიას წარმოადგენს, რომელიც ურთიერთსაპირისპირო ღირებულებებსა და შეხედულებებს მოიცავს. ლიბერალიზმი გულისხმობს კანონის უზენაესობას და მის წინაშე ყველას თანასწორობას, რომელიც არ კრძალავს განსხვავებულ შეხედულებებს, არამედ თავის თავში მოიაზრებს მრავალფეროვნებას. თავის მხრივ, პოლიტიკური ლიბერალიზმი ეძებს სამართლიანობის ისეთ პოლიტიკურ კონცეფციას, რომლის მხარდასაჭერად შესაძლებელი იქნება მართულ საზოგადოებაში გონივრული რელიგიური, ფილოსოფიური და მორალური დოქტრინების მიერ საყოველთაო კონსენსუსის მიღწევა. შედეგად კი, პოლიტიკური ლიბერალიზმის ამოცანაა სამართლიანობის თვითკმარი პოლიტიკური კონცეფციის მიღება [8, 69]. ლიბერალიზმისთვის მმართველი არ არის უშეცდომო და ამიტომაც იდეოლოგია ემხრობა მცირე მთავრობის, ანუ ნაკლები შესაძლო შეცდომების არსებობას. საერთაშორისო სისტემაში ავტორიტარული სახელმწიფოების გავლენის ზრდა და ლიბერალური წესრიგის რღვევა მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას უსაფრთხოების გარემოზე, რაც განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ეგზისტენციალური გამოწვევების წინაშე დააყენებს [9].

ლიბერალიზმი არსებითი საფრთხის წინაშე დააყენა აგრეთვე მულტიკულტურული საზოგადოების იდეამ. თავისთავად, მულტიკულტურალიზმი რასაზე, ეთნიკურობაზე, ენაზე და სხვ. ნიშანზე დამყარებული იდენტობის კოლექტიურ ცნებას უკავშირდება, ხოლო, ფასეულობები, რომლებიც არსებითი აჭგუფური იდენტობისთვის, აუცილებლად უნდა იქნეს მიჩნეული

დამოუკიდებლად, მიუხედავად მათი ლიბერალობისა, არალიბერალობისა თუ თუნდაც ანტილიბერალობისა [10, 76]. აგრეთვე, განვითარებადი სამყაროს ძირითად ნაწილში, პოლიტიკურმა ისლამმა არადასავლური პოზიციის შემოთავაზებით, შესაძლოა ლიბერალიზმიც დაამარცხოს. ასევე, მიუხედავად ზოგიერთ სახელმწიფოში საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა, ეს უკანასკნელი ლიბერალური ღირებულებების საფუძველზე არ განხორციელებულა. შესაბამისად, ოცდამეერთე საუკუნის პოლიტიკურ განვითარებაში შესაძლოა თავი იჩინოს იდეოლოგიურმა მრავალსახეობებმაც. ხოლო, პოსტმოდერნიზმის პერსპექტივიდან, ლიბერალიზმის კრიზისი განმანათლებლობის გეგმის (აღნიშნული გეგმის ქვაკუთხედს წარმოადგენდა მოსაზრება, რომ საყოველთაოდ მიღებული რაციონალური პრინციპების ერთობლიობას შესწევს უნარი, ჩამოაყალიბოს პირობები, რომლებიც ადამიანებს საშუალებას მისცემს, არათანაზომიერად მიზნებს მისდიონ) საბოლოოდ დამარცხების საწინდარს წარმოადგენს. ლიბერალიზმი კი, მუდამ ამ გეგმის ნაწილი იყო. მეცნიერთა შორის არსებობს მოსაზრება, რომ ლიბერალიზმს შესაძლოა ისეთივე მომავალი ჰქონდეს, რომელშიც ის პოლიტიკური წყობის მრავალ მოდელთა შორის უბრალოდ ერთ-ერთი იქნება, შესაბამისად, ივარაუდება, რომ ლიბერალიზმის ჭეშმარიტი მემკვიდრე პლურალიზმია, რომლის ძალაც იმაშია, რომ ის თანაბარუფლებიანად განიხილავს და ეთანხმება როგორც ლიბერალურ, ისე არალიბერალურ ღირებულებებსა და ინსტიტუტებს [10, 77].

ისტორიულად, ლიბერალიზმის კრიტიკის მთავარ ობიექტად იქცა მმართველობის თვითნებობა და პიროვნების თავისუფლება, რომელიც გარანტირებულია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპით. სახელმწიფო ხელისუფლების წყარო არის ხალხი, რომელიც ირჩევს და აკონტროლებს ხელისუფლებას. სხვაგვარად ლიბერალური ფასეულობები ფესვს ვერ გაიდგამს სახელმწიფოში. ამასთან, ლიბერალიზმი ძალიან კრიტიკულად უდგება დემოკრატიის არსს, რადგან თავისი კონცეფციით, ლიბერალიზმი ამბობს, რომ დემოკრატია შეიძლება ძალიან მარტივად იქცეს



უმრავლესობის ბატონობად უმცირესობაზე, ხოლო, ლიბერალიზმისთვის ყველაზე ძვირფასი არის ინდივიდი და მისი თვითრეალიზაცია [11, 13].

საქართველოში ლიბერალიზმი სრულიად ახალი გამოწვევების წინაშეა, ვინაიდან ლიბერალიზმს ესაჭიროება განახლება, დღევანდელ რეალობასთან მისადაგება, ხოლო წლების განმავლობაში, დეზინფორმაციის გამო, ლიბერალიზმი არასწორად იქნა გააზრებული. განუვითარებელმა პარტიულმა სისტემამ 1990-იანი წლებიდანვე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოში ლიბერალიზმის გავრცელება და მისი ადეკვატური აღქმა. იდეოლოგიისგან სრულად დაცლილი პოლიტიკური ორგანიზაციები ქვეყანაში იდეოლოგიის შესახებ საჯარო დებატებს ვერ უზრუნველყოფდნენ, ლიბერალიზმი და იდეოლოგიური საკითხი თითქმის სრულად ამოკვეთილი იყო ქართული პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგიდან [2, 54]. აღნიშნულმა კი, საქართველოში ლიბერალიზმის გავრცელებას სერიოზული დაღი დაასვა. გარდა მითითებულისა, ხაზგასასმელია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკა დაფუძნებული იყო ცენტრალურ დაგეგმარებაზე, რაც იმას გულისხმობდა, რომ სახელმწიფო აპარატის მიერ კონტროლდებოდა ყველანაირი რესურსი, შესაბამისად, სპეციალური სახელმწიფო ორგანო იღებდა გადაწყვეტილებას, თუ რა უნდა ყოფილიყო წარმოებაში, რა ოდენობით, რომელ ქვეყანაში მოხდებოდა ექსპორტი, რა ფასად და ა. შ [12, 222].

შემდგომ იყო ტრაგიკული 90-იანი წლები და აფხაზეთის ომი. აღნიშნულმა კი საქართველოსთვის ძალიან მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები დააყენა. შედეგად, ოფიციალურმა თბილისმა, დე-ფაქტო კონტროლი დაკარგა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონზე [13, 210]. რუსეთის ფედერაციის სტრატეგიულმა მიზანმა გაამართლა, ვინაიდან, კონფლიქტური რეგიონები ამ უკანასკნელის მიერ გამოყენებულია საქართველოს დესტაბილიზაციისათვის. უდავოდ აღსანიშნავია ისიც, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდებს მოსაზღვრე რეგიონებზეც,

სადაც საქართველოს ხელისუფლების კონტროლი ვრცელდება. ყოველივე აღნიშნულმა კი, უკიდურესად მაგნე ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის დემოკრატიულ ტრანსფორმაციაზე და ხელი შეუშალა საქართველოს სრულფასოვან ლიბერალურ დემოკრატიად ჩამოყალიბებაში.

ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლიო წესრიგის მიხედვით, ნებისმიერ სახელმწიფოს გააჩნია დამოუკიდებლად საკუთარი პოლიტიკური კურსის არჩევის უფლება. არ არსებობს დემოკრატია ლიბერალიზმის გარეშე, რადგან არალიბერალური დემოკრატები პრაქტიკაში ვერ ინარჩუნებენ მდგრადობას და ავტორიტარიზმისკენ უკუსვლის ნიშნებს ავლენენ. ხოლო, ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფოს დემოკრატიულ ხასიათს. ისევე, როგორც ხელისუფლების დანაწილებისა და ძალაუფლების გამიჯვნის (Check and Balance) პრინციპიც, რომელსაც ლიბერალური დემოკრატია უსვამს ხაზს. ისევე, როგორც კანონის უზენაესობის პრინციპს.

დღევანდელ რეალობაში ლიბერალიზმი წარმოჩენილია როგორც ჰუმანიზმის, იდენტობისა და რელიგიის წინააღმდეგ მებრძოლი იდეოლოგია. განსხვავებით თანამედროვე საქართველოსგან, ლიბერალიზმის არსი უდავოდ ადეკვატურად იყო წარმოჩენილი XIX საუკუნეში. ლიბერალიზმის ღირებულებების ფართო გავრცელებას ერთგვარი დაღი დაესვა 1921 წელს, ბოლშევიკური აგრესიის შედეგად. კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ კი, ძველ დროს ჩაბარდა საქართველოს ლიბერალური წარსული. ხოლო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკური კავშირის ნგრევის შემდეგ, საბჭოთა მემკვიდრეობა საქართველოსთვის ძალიან მძიმე აღმოჩნდა, ვინაიდან, აღნიშნულმა ლიბერალიზმის ხელახლა გავრცელებაზე არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინა. აგრეთვე, ჰიბრიდული ომის მეთოდებმაც, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე, საქართველოშიც ლიბერალიზმს მნიშვნელოვანი გამოწვევები შეუქმნა.

ლიბერალიზმი და დემოკრატია არ არის იდენტური ცნებები, ვინაიდან შეიძლება არსებობდეს ისეთი ლიბერალური რეჟიმი, რომელიც დემოკრატიასთან ახლოსაც ვერ მივა, მაგალითად,

მე-19 საუკუნის გერმანია და მე-20 საუკუნის ბოლოს სინგაპური და ჰონგ-კონგი. ამასთან, შესაძლოა მმართველობა იყოს დემოკრატიული და ამავდროულად არალიბერალური. თუმცა ლიბერალიზმი მჭიდრო კავშირშია დემოკრატიატან, ვინაიდან ინდივიდუალურ ავტონომიას იცავს, რაც აპრიორი მოიცავს პოლიტიკური არჩევანის უფლებას. საინტერესოა, რომ ლიბერალიზმი ძალიან კრიტიკულად უდგება დემოკრატიატის არსს, რადგან თავისი კონცეფციით, ლიბერალიზმი ამბობს, რომ დემოკრატია შეიძლება ძალიან მარტივად იქცეს უმრავლესობის ბატონობად უმცირესობაზე, ხოლო, ლიბერალიზმისთვის როგორც უკვე აღვნიშნე, ყველაზე ძვირფასი არის ინდივიდი და მისი თვითრეალიზაცია. ლიბერალიზმის უმთავრეს ღირებულებას პიროვნული თავისუფლება წარმოადგენს და ზოგჯერ მას სამართლიანობასა და თანასწორობაზე მაღლაც კი აყენებენ. თუმცა თითოეული პიროვნების თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება, სწორედ ამიტომ, ინდივიდი თავისუფლების იმ მაქსიმუმს უნდა ფლობდეს, რომელიც სხვის თავისუფლებას არ შეზღუდავს. ლიბერალიზმი მიუკერძოებელია, ვინაიდან, ის იმ წესების ერთობლიობას მოიცავს, რომლის მიხედვითაც, ინდივიდს საკუთარი ზნეობრივი არჩევანის ნება ეძლევა.

ლიბერალური დემოკრატია და მის საფუძველზე, ფასეულობებზე აშენებული პოლიტიკა ადამიანის ღირსების ხელშეუვალობასა და ღირებულებებზე დაფუძნებული, მანამდე მაინც, სანამ კაცობრიობა სხვა უფრო წარმატებულ და სამართლიან მოდელს შეიმუშავებს.

### **დამონმებული ლიტერატურა:**

1. Adamson B., Magna Carta, Liberalism and the Human Right Agenda, The Western Australian Jurist, Vol. 7, 2014.
2. ხუციშვილი თ., კალანდაძე ნ., ჯაფარიძე გ., ჯოხაძე გ., ხარებავა გ., ლიბერალიზმი და საქართველო, ა(ა)იპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და

- სამოქალაქო განათლების ცენტრი, თბილისი, 2020.
3. კურპაშვილი ჰ., ძირითადი პოლიტიკური მიმდინარეობები თანამედროვე ეპოქაში, ლექციების კურსი, საგამომცემლო სახლი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2016.
  4. Owen J., How Liberalism Produces Democratic Peace, The MIT Press, Vol. 19, N2, 1994
  5. Layne Ch., Kant or Cant: The Myth of the Democratic Peace, International Security, Volume 19, Issue 2, 1994.
  6. სენარკლენი პ., არიფენი ი., საერთაშორისო პოლიტიკა, თანამედროვე თეორიები და ამოცანები, მეხუთე გამოცემა, ცქიტეშილი ნ.-ს თარგმანი, გამომცემლობა „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი“, თბილისი, 2014.
  7. ჯონსი ს., საქართველოს პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, ჩხეიძე ხ.-ს თარგმანი, თბილისი, 2012.
  8. როლზი ჯ., პოლიტიკური ლიბერალიზმი, ჭიაბერაშვილი გ.-ს თარგმანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018.
  9. ნატროშვილი დ., აშშ, ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი, 2021 წლის გამოწვევები და საქართველო, 2021, იხ., <https://bit.ly/3yDskAc> [16.05.2022].
  10. ჰეივუდი ე., პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, ბაკურაძე თ.-ს თარგმანი, თბილისი, 2004.
  11. აბზიანიძე გ., ვასაძე თ., ელაშვილი ქ., ნინიძე ქ., ჯანელიძე ო., ჯალიაშვილი მ., ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2015.
  12. მაგშტადტი თ., გავიგოთ პოლიტიკა, იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, აბაშიძე ა.-ს, გვალია გ.-ს და სხვათა თარგმანი, მეორე შესწორებული გამოცემა, ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტი, თბილისი, 2011.

13. დემეტრაშვილი ა., დემეტრაშვილი ს., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021.

**Sophio Demetrashvili**

*Doctor of Law, Associate Professor at Georgian Technical University, Faculty of Law and International Relations, Ph.D student of the Doctoral Program in Political Science at Caucasus International University*

**MODERN TRENDS OF LIBERALISM**

**Summary**

Liberalism is a political ideology based on the idea of freedom and equality, in which the free will of a person and the individual responsibility of every member of society are considered the main driving force of the state. Liberalism views states as constitutional entities and believes that such states respect each other and obey international law based on the principle of reciprocity. In a liberal democratic political system, the constant rotation of government ensures that the personal enmity of the heads of government does not become a source of long-term tension.

According to liberal ideology, the state should minimally interfere in the existence of individuals and should govern only those areas, the regulation of which is beyond the scope of the authority of individuals. In addition, liberal ideology had a significant impact on political processes and as a result determined the democratic face of the state.

Any list of political ideologies must begin with liberalism, which is an ideology of the industrial West that embraces conflicting values and beliefs. Liberalism implies the supremacy of the law and the equality of all before it, which does not prohibit different views, but embraces diversity. Political liberalism, on

the other hand, seeks a political conception of justice in support of which a universal consensus can be reached by reasonable religious, philosophical, and moral doctrines in a governed society. As a result, the task of political liberalism is to adopt a self-sufficient political concept of justice.

# ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო უ რ თ ი ე რ თ ო ბ ე ბ ი International Relationships

## შორენა ცინცაძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამარ-  
თლისა და საერთაშორისო ურთიერთობების  
ფაკულტეტის დოქტორანტი, ამავე ფაკულტეტის  
ასისტენტი*

## არაბული ქვეყნების ინტერესები ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში

„ჩვენ არ გვყავს მუდმივი მოკავშირეები, და  
არ გვყავს საუკუნო მტრები. ჩვენი ინტერესები  
სამუდამო და საუკუნოა, და ამ ინტერესების  
დაცვა ჩვენი მოვალეობაა.“

ლორდი პალმერსტონი

**საკვლევი თემის აქტუალობა** განპირობებულია თავად  
პრობლემის არა მხოლოდ რეგიონული, არამედ გლობალური  
კონტექსტით. ახლო აღმოსავლეთის რეგიონი თავისი სტრატე-  
გიული მდებარეობით ყოველთვის გამოირჩეოდა დიდი  
გეოპოლიტიკური მოთამაშეების სიმრავლით. აქტორებს შორის  
ყოველთვის იყო და იქნება კონკურენცია რეგიონში კონტროლის  
შენარჩუნებისა (აშშ) და ზოგიერთის შემთხვევაში კი (რუსეთი,  
ჩინეთი) დამყარების კუთხით.

ჩინეთი იქცა მესახელმწიფოდ, რომელიც აქტიურ საგარეო  
პოლიტიკას ეწევა. თუმცა, პეკინს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში  
მხოლოდ ეკონომიკური ინტერესი ამოძრავებს. რაც შეეხება  
რეგიონის ქვეყნებს დღესდღეობით ისინი თავიანთი პოლიტიკური  
დღის წესრიგით გარკვეულ გავლენას ახდენენ მსოფლიო  
პოლიტიკაზე.

არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი დღემდე მსოფლიო მშვიდო-  
ბისა და სტაბილურობისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხეა.

პალესტინის საკითხი არის როგორც რეგიონული, ასევე მსოფლიო წესრიგის მნიშვნელოვანი ელემენტი. ამ კონფლიქტში ყოველი დაპირისპირებისა და ტერორისტული აქტის მიღმა გრძელი და ღრმა ისტორიაა. შიდა შეიარაღებული კონფლიქტი დამანგრეველ გავლენას ახდენს პოლიტიკაზე, საზოგადოებასა და ეკონომიკაზე. სამშვიდობო ინსტიტუტები და შესაძლებლობები სუსტდება [1, 57].

ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების“ თეორიით შემოთავაზებული ხედვაც გამართლდა. იდეოლოგია ჩაანაცვლა იდენტობამ და კონფლიქტების მთავარმა ბოლმამ გაიარა დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის [2, 22].

მიმაჩნია, რომ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი რელიგიურ ხასიათთან ერთად გეოპოლიტიკურიც არის. არაბული ქვეყნების მიერ გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად ხდება რელიგიის იარაღად გამოყენება. ეს არის კონფლიქტი, რომელშიც გეოსტრატეგიული და გეორელიგიური შედეგების გათვლებით მონაწილეობს როგორც საგარეო ძალები, ასევე რეგიონული მოთამაშეები. კონფლიქტის დაწყებისთანავე ევროპული სახელმწიფოები და ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდნენ ახლო აღმოსავლეთში რეგიონული წესრიგის დამკვიდრებას. თუმცა არაბული ქვეყნები ნაციონალიზმის გაღვივებით არაბი მოსახლეობისგან საჭარო მხარდაჭერასაც იღებდნენ. რეგიონში მკვიდრდებოდა არადემოკრატიული პოლიტიკური სისტემები. არაბული სახელმწიფოები თავისი გავლენის ტერიტორიულ გაფართოებას ცდილობდნენ ძალის გამოყენებით ან არაბული ერთობისკენ დემაგოგიური მოწოდებით.

წარმოდგენილი სტატია არის აღნიშნული პრობლემის განხილვისკენ გადადგმული მოკრძალებული მცდელობა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ამ საკითხით დაინტერესებული პირებისთვის ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში არაბული ქვეყნების ინტერესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ანალიზი. შესაბამისად, **საკვლევი თემის ამოცანაა** ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში არაბული ქვეყნების ინტერესებისა და მიდგომების განხილვა. **ძირითად საკვლევ საკითხებად** სტატიაში განხილულია არაბული ქვეყნებისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ინტე-



რესები ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მიმართ.

არაბული ქვეყნების პოზიცია ისრაელის სახელმწიფოს მიმართ სულ ცოტა სამ მიმართულებად შეგვიძლია დავყოთ: პირველი, რომელიც ეთანხმება ისრაელთან თანაარსებობას, მეორე და დიდი ჯგუფი, რომელიც ცდილობს ისრაელის განადგურებას და მესამე, მზად არის ისრაელთან მოლაპარაკებებისთვის. თუმცა, თავის მომხრეებთან ამ მზაობას განიხილავს, როგორც ისრაელის განადგურების საშუალებას [3, 102].

არაბულ ქვეყნებს პალესტინის ტერიტორიის მიმართ ისრაელის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების დღიდან საკუთარი ინტერესები გააჩნიათ. არაბები ერთსულოვანი არიან ისეთ იდეოლოგიურ საკითხში, როგორიცაა წინააღმდეგობა ისრაელის სუვერენულ სახელმწიფოდ და ებრაელი ხალხის სამშობლოდ საერთაშორისო აღიარებისადმი. არაბთა ნაწილი არ აღიარებს, რომ ისრაელი სუვერენული, საერთაშორისო საზოგადოების წევრი, დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ისინი ისრაელს განიხილავენ, როგორც არალეგალურ, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში შეჭრილ იმპერიალისტურ ელემენტს. მათი მთავარი სურვილი არის ისრაელის დასუსტება და ტერიტორიების მითვისება. მათთვის შეურაცხმყოფელიც კი არის ისრაელის არსებობა, არაბები პალესტინას მუსლიმურ ტერიტორიად მიიჩნევენ. მათ დაუშვებლად მიაჩნიათ მისი დათმობა არამუსლიმი ებრაელი ხალხისთვის და ისრაელის სახელმწიფოს არსებობის ოფიციალური დადასტურება. არაბულმა წინააღმდეგობამ ისრაელთან ოთხი მნიშვნელოვანი ომი გამოიწვია – 1948, 1956, 1967 და 1973 წლებში. ოთხივე ომში გამოიკვეთა ისრაელის სამხედრო უპირატესობა.

ურთიერთობები თბება ისრაელსა და ახლო აღმოსავლეთის იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც გაეროს გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის №181 რეზოლუციის წინააღმდეგნი იყვნენ. ისრაელი-პალესტინის კონფლიქტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ისრაელის წარმატების აღნიშვნა დიპლომატიურ ასპარეზზე, ისრაელმა შეცვალა თავისი რეგიონული სტრატეგია არაბულ ქვეყნებთან უფრო მჭიდრო კავშირებზე დაყრდნობილი სტრატეგიით. მაგრამ რეგიონში მისთვის გამოწვევად მაინც რჩება ირანი და თურქეთი. თელ-ავივის უნივერსიტეტის ეროვნული

უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტის უფროსმა თანამშრომელმა იოელ გუზანსკმა ისრაელის ახალ სტრატეგიას უწოდა „უკუ პერიფერიის“ სტრატეგია. ისრაელის ყოფილი პრემიერ მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს ღრმა რწმენით, ისრაელი უნდა გაძლიერებულიყო სამხედრო, ეკონომიკურ თუ სადაზვერვო სფეროში. ვინაიდან მხოლოდ ძლიერი ერები იმსახურებენ პატივისცემას და მხოლოდ ისინი გადარჩებიან.

1950-1960 წლებში ისრაელი იზოლირებული და გარშემორტყმული იყო მტრულად განწყობილი არაბული ქვეყნებით. ეს იზოლაცია გაარღვია ეგვიპტემ. ირანი გახდა „მესამე წრის საფრთხე“. „ჩემი მტრის მტერი – ჩემი მეგობარი“ ალბათ სწორედ ისრაელი აღმოჩნდა საუკეთესო მოკავშირე არაბული ქვეყნებისთვის ირანის წინააღმდეგ.

არაბულ ქვეყნებში მნიშვნელოვანი როლი აკისრია ყატარს, რომელმაც ომანი ჩაანაცვლა. ყატარი ასრულებს რეგიონული შუამავლის როლს აშშ-სა და ირანს შორის. ყატარი ასევე ახლოს არის თურქეთთან. შესაბამისად ყატარზეა დიდ წილად დამოკიდებული რამდენად დაეხმარება თურქებს ამერიკელებთან, არაბებთან ან ისრაელთან შერიგებაში [4].

არაბული ქვეყნებიდან სირია ღია საფრთხეს წარმოადგენს ისრაელისთვის. 1967 წლის ექვსდღიანი ომის შემდეგ ისრაელის მიერ გოლანის მაღლობების დაკავებამ სირიასთან პოლიტიკური უთანხმოება გამოიწვია. ეს სახელმწიფო აქტიურად თანამშრომლობს ირანთან, მას დახმარებას უწევს ჩრდილოეთ კორეა და რუსეთი. ამ ფაქტის ერთ-ერთი დადასტურებაა 2018 წლის 29 მაისს სირიის მთავრობის მიერ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკებზე აღიარება [5].

2007 წლის სექტემბრის თვეში ისრაელმა სირიაში განახორციელა საჰაერო თავდასხმა. ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ პირებს მიაჩნიათ, რომ ამ ადგილას განთავსებული იყო ჩრდილოეთ კორეის იონგბიონის რეაქტორის მსგავსი ბირთვული რეაქტორი, რომელიც ჩრდილოეთ კორეის დახმარებით შენდებოდა. ვარაუდობენ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა 1997 წელს დაიწყო. სირიამ უარი განაცხადა ატომური ენერჯიის საერთაშორისო სააგენტოს გამოძიებაზე [6].

2021 წელს დეკემბრის თვეში ისრაელმა განახორციელა საჰაერო თავდასხმა სირიაში პროირანული მილიციისთვის განკუთვნილ სხვადასხვა აღჭურვილობის (მათ შორის იყო რაკეტები), იარაღის წარმოების ინფრასტრუქტურაზე და თვითმფრინავებზე. ისრაელის საჰაერო ძალებმა თავდასხმა განახორციელეს დასავლეთ სირიის ჰომსის გუბერნიაში ჰეზბოლას კუთვნილ ობიექტებზეც. ისრაელის თავდასხმა ასევე განხორციელდა ლატაკის პორტზეც, მნიშვნელოვანია ამ ტერიტორიის განლაგება. რუსეთის საჰაერო ბაზა ჰმეიმი, რუსეთის ოპერაციების ცენტრი მხოლოდ 25 კილომეტრშია ამ პორტიდან. ის ასევე ტარტუსის საზღვაო ობიექტიდან არის დაახლოებით 5კმ-ში. ლატაკის პორტი არის გასაღები სირიის რეჟიმისთვის, ისევე როგორც მისი მხარდამჭერებისთვის მოსკოვში [7; 8].

სირიასა და ისრაელს შორის ურთიერთობების დათბობაზე საუბარი გოლანის მაღლობების სირიის მხარისთვის გადაცემის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, რასაც ისრაელი ვფიქრობთ, რომ არასდროს დაუშვებს. როგორც ჰენრი კისინჯერი აღნიშნავს: „ახლო აღმოსავლეთში არ არსებობს მშვიდობა სირიის გარეშე.“ იმ შემთხვევაში თუკი ასადის რეჟიმის ჩანაცვლება მოხდება სუნიტური წარმომადგენლის მიერ, ეს შეიძლება კიდევ უფრო დიდი პრობლემა გახდეს ისრაელის უსაფრთხოებისთვის. ვინაიდან სუნიტური სირია მხარს დაუჭერს ასევე სუნიტურ პალესტინელ არაბებსა და ჰამასს. ისრაელი კი უფრო რთულ გეოსტრატეგიულ ვითარებაში აღმოჩნდება.

ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში ისრაელის არაბულ სამყაროსთან დიპლომატიური ურთიერთობის ნორმალიზაცია უდავოდ მნიშვნელოვანია. ეგვიპტის შემდეგ ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა იორდანამ 1994 წელს. 2020 წელს კი ოთხმა არაბულმა ქვეყანამ გააფორმა სამშვიდობო ხელშეკრულება ისრაელთან ესენია: არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბაჰრეინი, სუდანი და მაროკო [9].

ისრაელთან არაბული ქვეყნების დიპლომატიური ურთიერთობები შექმნის რეგიონში მყარ გეოპოლიტიკურ მოდელს. გამორიცხული არაა სხვა არაბულმა სახელმწიფოებმაც მოახდინონ

ისრაელთან დიპლომატიური კავშირის დამყარება, რაც შეიძლება გახდეს რეგიონში მშვიდობის დამყარებისკენ და ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირებისკენ წინ გადადგმული ნაბიჯი.

მნიშვნელოვანია რამდენ ხანს გასტანს დიპლომატიური კავშირი. არაბთა გაერთიანებულ საემიროებს სურთ, რომ სირია რეგიონის არაბულ ნაწილს დაუბრუნდეს. ისრაელს აქვს განსხვავებული დღის წესრიგი სირიაში, ხოლო ირანს, თურქეთსა და გაერთიანებულ საემიროებს – სხვა [4].

ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში მნიშვნელოვანი როლი აკისრია ირანის ისლამურ რესპუბლიკას. თანამედროვე ირანი ისლამური სამყაროს ნაწილია, თუმცა, იგი არ არის არაბული სახელმწიფო. ირანს დიდი გეოპოლიტიკური გავლენა აქვს ისეთ არაბულ ქვეყნებზე, როგორცაა ერაყი, სირია და ლიბანი. იგი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ფლობს სახმელეთო დერეფანს ირანიდან ხმელთაშუა ზღვამდე, რომელზეც ინტერესს გამოთქვამს ჩინეთი. ირანი ჩვენთვის ორმაგად მნიშვნელოვანია, პირველი იმით, რომ ირანზე გავლენა აქვს რუსეთსა და ჩინეთს. ორივე სახელმწიფო კი ცდილობს აშშ-ის გავლენის შემცირებას რეგიონში. ეს ისრაელის სახელმწიფოს შეუქმნის საფრთხეს, რადგან დაკარგავს არარეგიონულ სტრატეგიულ მოკავშირეს ამერიკის შეერთებული შტატების სახით; მეორე, საშიშროება, რომელიც ირანიდან მოდის, არის მისი ბირთვული პროგრამა.

ისრაელის სახელმწიფო არის დასავლური ღირებულებების ლიდერი ქვეყანა რეგიონში. მან განსაზღვრა რეგიონის პოლიტიკა. ისრაელი 1948 წლიდან წარმოადგენს აშშ-ს ახლო აღმოსავლური პოლიტიკის სისტემის მთავარ ელემენტს. იგი დიდ გავლენას ახდენს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აშშ-ს საგარეო პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებაზე. ისრაელი არის აშშ-ს მთავარი სტრატეგიული მოკავშირე ახლო აღმოსავლეთში.

თურქეთი და ირანი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო და არის ისრაელისთვის. თანამედროვე პერიოდში რეგიონში სპარსეთის ყურის ფარგლებში ირანს უკავია მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობა. იგი აკონტროლებს ჰორმუზის

სრუტის ჩრდილოეთ სანაპიროს და შეუძლია საჭიროების შემთხვევაში დაბლოკოს გემების გადაადგილება სრუტეზე. ამით კი საფრთხეს შეუქმნის აშშ-ს, ასევე მისი მოკავშირე ქვეყნების სპარსეთის ყურის სახელმწიფოთა თანამეგობრობის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკურ კეთილდღეობას [10, 355].

ირანი 1947 წელს წინააღმდეგი იყო ისრაელის სახელმწიფოს შექმნის და მხარი არ დაუჭირა გაეროს 1947 წლის 29 ნოემბრის №181 რეზოლუციას [11]. თუმცა, 1948 წლიდან ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები კომპლექსური იყო. 1949 წლის სექტემბერში თურქეთი იყო პირველი ისლამური ქვეყანა, რომელმაც ისრაელის დამოუკიდებლობა აღიარა. ამ ნაბიჯმა ირანს მისცა საშუალება თვითონაც ეღიარებინა ისრაელის დამოუკიდებლობა 1951 წლის 7 ივლისს.

ისრაელისა და ირანის 1953-1978 წწ. მჭიდრო ურთიერთობები ისლამური რევოლუციის შემდეგად შეიცვალა. ირანის ისლამური რევოლუციის წინამძღოლის აიათოლა ხომეინისთვის მთავარი იყო შეტევა „მსოფლიოს დამაქცეველი ამერიკის“ წინააღმდეგ, ასევე, „სიონიზმისა და ისრაელის“ და რუსეთისა და აზიის კომუნისტურ-მატერიალისტური საზოგადოების წინააღმდეგ [12, 225].

ირანის პოლიტიკა ეწინააღმდეგება ისრაელის ნაციონალურ ინტერესებს და მას ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის მიმართაც საკუთარი ინტერესები აქვს. ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი არის ირანის ირიბი მონაწილეობა ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში.

ირანი ისლამური რევოლუციის შემდეგ აწარმოებდა ორაზროვან პოლიტიკას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ის მოითხოვდა ვესტფალიური სისტემის ფარგლებში ფორმალურ დაცვას და ამავდროულად არ სწამდა ამ სისტემის. ეს ორაზროვანი პოლიტიკა სახელმწიფო დოქტრინის შემადგენელ ნაწილად აქცია. ირანი „ისლამური რესპუბლიკის“ ქვეშ მოიაზრებდა სახელმწიფოს, რომლის მმართველობის არეალი ტერიტორიულ საზღვრებს სცდებოდა. აიათოლა ხომეინი საკუთარ თავს მიიჩნევდა არა მხოლოდ ირანის უმაღლეს ხელისუფლად არამედ „ისლამური და ჩაგრული ხალხის წინამძღოლადაც“.

ირანი, როგორც „ისლამური რესპუბლიკა“, ისლამური იდეოლოგიის მატარებელი ქვეყანა მხარს უჭერდა და დღესაც უჭერს ისეთ ორგანიზაციებს როგორცაა ლიბანში ჰეზბოლა და ჰამასი [12, 222-224]. სწორედ ამ ორგანიზაციების დაფინანსებითა და მათი მებრძოლების შეიარაღებით, იგი ირიბად მონაწილეობს ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში. მისი მთავარი მიზანი და ინტერესი არის ამ ორგანიზაციების ხელით ისრაელის ჩამოშორება რეგიონში ლიდერობიდან და მისი გაქრობა.

ირანისა და ჰამასის ურთიერთობა განსაკუთრებულია [13]. ირანს გამორჩეული პოზიცია ეკავა პალესტინის საკითხის მიმართ [14, 107]. მისი და ჰამასის ურთიერთობა განვითარდა სპარსეთის ყურის კრიზისის დროს 1990 წ. 1992 წლის თებერვალში ჰამასმა წარმომადგენლობა გახსნა თეირანში. ივნისში მშვიდობიანი გზით პრობლემის მოგვარების წინააღმდეგ გამართულ კონფერენციაზე თეირანში ჰამასის ოფისის გახსნა ნიშნავდა იმას, რომ ირანი აღიარებდა ჰამასის განსაკუთრებულ როლს პალესტინის ოპოზიციაში.

ისრაელი, ისევე როგორც აშშ და დასავლეთი ეწინააღმდეგებოდნენ ირანისა და ჰამასის თანამშრომლობას. ისრაელი ირანს ტერორიზმის დაფინანსებაში სდებდა ბრალს. 1992 წელს არაფატმა ირანი დაადანაშაულა ჰამასის დაფინანსებაში. ირანი ჰამასს პალესტინელი ხალხის ლეგიტიმურ წარმომადგენლად მიიჩნევდა. ჰამასისთვის კი ირანი სტრატეგიული პარტნიორი იყო [15, 178-180].

2021 წლის 10 მაისს ჰამასმა განახორციელა ისრაელის მიმართ სარაკეტო შეტევები. „ჰამასი“ მარაგდება ირანიდან. ირანის სპეცსამსახურების მიერ მიწოდებული სარაკეტო კომპლექსებით, როგორცაა „მინა-მინაზე“ დაიბომბა ისრაელი [16]. The Jerusalem Post-მა მოიპოვა ექსკლუზიური მოხსენება, რომლის თანახმადაც ირანი და ჰეზბოლა ეხმარებიან ჰამასს და ისლამურ ჯიჰადს, რათა მათ შეძლონ ისრაელის უფრო ფართო პროპაგანდისტულ ომში ჩართვა, როგორც ეს მოხდა 2021 წლის მაისში ღაზას ომის დროს [17].

ორგანიზაცია Human Rights Watch (HRW)-მა საერთაშორისო

ჰუმანიტარული სამართლის, ან ომის სამართლის საფუძველზე 2021 წლის მაისში ღაზას სექტორიდან ჰამასის მიერ ისრაელის მიმართულებით წარმოებული სარაკეტო თავდასხმები შეაფასა ომის დანაშაულად. აღნიშნულ რაკეტებს არ ჰქონდა სათანადო დამიზნების სისტემები. რის გამოც არაზუსტია და განურჩეველ მსხვერპლს იწვევს, ასეთი რაკეტები კი სამოქალაქო რეგიონებზე თავდასხმისთვის გამოიყენეს [18]. ისრაელის ცნობით, 11-დღიანი კონფლიქტის განმავლობაში ღაზის სექტორიდან ისრაელის მიმართულებით 4360 რაკეტა ისროლეს. თავდასხმებმა 13 ადამიანი იმსხვერპლა [19].

სახელმწიფოთა სამეცნიერო ტექნიკური განვითარების დონე განსაზღვრავს ძალთა წონასწორობას. ისრაელისთვის და მთლიანად ახლო აღმოსავლეთის რეგიონისთვის საფრთხეს წარმოადგენს ირანის ბირთვული პროგრამა. გაეროს განიარაღების კომიტეტის მიერ 1968 წელს შემუშავებულია საერთაშორისო დოკუმენტი „ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება“, რომელიც ძალაში შევიდა 1970 წელს [20].

Army Control Association-ის მიხედვით მსოფლიოში ბირთვულ იარაღს ცხრა სახელმწიფო ფლობს. ხუთი ქვეყანა ფლობს ხელშეკრულების მოქმედების ქვეშ, ესენია: აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი. ხოლო ინდოეთი, ისრაელი და პაკისტანი არ შეერთებულან ხელშეკრულებას თუმცა, ისინი ფლობენ ბირთვულ იარაღს. რაც შეეხება ჩრდილოეთ კორეას, მართალია იგი შეუერთდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას მაგრამ 2003 წელს გავიდა. ეს ნაბიჯი იურიდიულად არ იქნა აღიარებული NPT-ის სხვა წევრების მიერ.

ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 1968 წლის პირველ ივლისს [21]. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტომ 2003 წელს დაასკვნა, რომ ირანი ახორციელებდა ფარულ ბირთვულ პროგრამას [6]. 2003 წელს მოლაპარაკებების დაწყებისას ირანი 130 ცენტრიფუგას ფლობდა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ირანმა ბირთვულ პროგრამაზე

მუშაობა 1967 წელს დაიწყო, როდესაც თეირანში აშშ-ს დახმარებით ააგო 5 მეგავატიანი რეაქტორი [22, 159]. აშშ-ს გარდა ირანს ბირთვული პროგრამის განხორციელებაში დახმარება ევროპამაც აღმოუჩინა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროპის ძლიერმა სახელმწიფოებმა ირანის მიმართ მთავარი შეცდომა დაუშვეს დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმით. მათ არ გათვალეს რისთვის სჭირდებოდა ნავთობით მდიდარ შიიტურ სახელმწიფოს ბირთვული იარაღი და რა შედეგს მოუტანდა მომავალში ეს პროგრამა რეგიონსა და მთლიანად საერთაშორისო საზოგადოებას.

აშშ-სა და ევროპის დახმარების შეწყვეტის შემდეგ აქტიური ხელშეწყობის როლი რუსეთმა დაიკავა. მართალია 1995 წელს აშშ-მა და რუსეთმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც მოსკოვს უნდა შეეწყვიტა ირანის მხარდაჭერა, მაგრამ ის ამ მიმართულებით თანამშრომლობას მაინც აგრძელებდა [23,143].

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ბირთვული იარაღის მქონე ირანი ისრაელისთვის ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს. ჩვენ უკვე განვიხილეთ, რომ ირანი ირიბად ერევა ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში. მაინც რა ინტერესი აქვს ისლამურ რესპუბლიკას ამ კონფლიქტის მიმართ? თუ გავიხსენებთ ირანის რევოლუციის მეთაურს აიათოლას ხომეინს, ასევე ირანის პრეზიდენტს მაჰმუდ აჰმადინეჯადს მათი საერთო ინტერესი „სიონისტური ოკუპაციის“ დასრულებაა. ირანის ხელმძღვანელობა ჯიჰადს რელიგიურ მოვალეობად მიიჩნევს, რომ მოახდინოს ისრაელის განადგურება.

ბირთვული იარაღის მქონე ირანი ახლო აღმოსავლეთის რეგიონს კიდევ უფრო არასტაბილურს გახდის. გაერო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ირანის ბირთვული იარაღის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამით დიდ დახმარებას უწევს არა მხოლოდ ისრაელს, არამედ მთელ მსოფლიოს. 2006 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრსა და გერმანიას შორის შედგა შეთანხმება ირანის ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ. 2006 წლიდან მოყოლებული გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო შვიდი რეზოლუცია: 1696 (2006); 1737 (2006); 1747 (2007);



1803 (2008); 1835 (2008); 1929 (2010) [24].

ირანის ბირთვული საკითხის ყოვლისმომცველი და გრძელვადიანი დიპლომატიური მცდელობა დასრულდა ყოვლისმომცველი გეგმით (Joint Comprehensive Plan of Action, JCPOA) რომელიც დაიდო 2015 წლის 14 ივლისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, საფრანგეთის რესპუბლიკას, რუსეთის ფედერაციას, ამერიკის შეერთებული შტატებს, დიდ ბრიტანეთს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის. 2015 წლის 20 ივლისს გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო №2231 რეზოლუცია [25].

№2231 რეზოლუციის დადებამდე ირანი ნათანგში და ფორდოში აწარმოებდა თითქმის 20.000 ცენტრიფუგას [26]. აღნიშნული რეზოლუციის ეტაპები განერილია დროში. 2025 წლის ოქტომბერში №2231 რეზოლუცია წყვეტს მოქმედებას და ირანის ბირთვული პროგრამის საქმე უნდა დაიხუროს [27].

2018 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დატოვა შეთანხმება (JCPOA) და ირანს სანქციები დაუწესა, რომელიც 2015 წლამდე დაკისრებულ სანქციებზე გაცილებით მკაცრი იყო. აღნიშნულს საერთაშორისო მხარდაჭერა ნაკლებად ჰქონდა. 2019 წელს საუდის არაბეთის ნავთობ დანესებულებაზე განხორციელებულ თავდასხმაში აშშ-მა პასუხისმგებლობა ირანს დააკისრა და ახალი სანქციები დაუწესა [28].

ირანის ბირთვული საკითხის ყოვლისმომცველი გეგმის (Joint Comprehensive Plan of Action, JCPOA) სარგებელი ისრაელისთვის იქნება ის, რომ წლების განმავლობაში მიცემთავისუფლად სუნთქვის საშუალება ასევე, მეტი დრო და ენერჯია ექნება სხვა ბნელ საფრთხეებთან საბრძოლველად. აღნიშნული შეთანხმება არის რეგიონისთვის და მსოფლიოსთვის მშვიდობისა და სტაბილურობისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

ირანი მუდმივად არღვევს შეთანხმების პირობებს, რაც იწვევს სანქციების დაკისრებას. მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დატოვა შეთანხმება და დაუწესა სანქციები, ირანმა ხელახლა დაიწყო აკრძალული ბირთვული მუშაობა. 2020 წელს თეირანმა მიაღწია 60%-იანი ურანის გამდიდრების დონეს.

ექსპერტებისთვის მთავარი კითხვა ახლა იმაში მდგომარეობს, თუ რა მანძილზეა გამდიდრებული ურანი ბირთვულ იარაღად რომ იქცეს [29].

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ქაოსის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. რეგიონის „საჭადრაკო დაფაზე“ დღესაც გრძელდება ბრძოლა გლობალური ბატონობისთვის. რეგიონში მოთამაშე ყველა ქვეყანას თავისი ინტერესი გააჩნია.

დღესდღეობით რუსეთი და ირანი აკონტროლებენ ისრაელი-სადმი მტრულად განწყობილ არაბულ ქვეყნებს: ერაყს, სირიასა და ლიბანს. ისრაელისთვის მთავარია ქვეყნის უშიშროება და მისი ხელშეუხებლობა, ასევე, რეგიონში ძალაუფლების შენარჩუნება, არაბული ქვეყნებისთვის ირანის რეგიონული ამბიციები სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. მათ მთავარ მიზანს იზიარებს ისრაელი და სურს რეგიონში სტატუს-კვოს შენარჩუნება. ირანი დღემდე აცხადებს, რომ მისი ბირთვული პროგრამა მშვიდობიანია.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სტაბილურობა კვლავაც ძალიან მყიფეა. ბირთვული იარაღის რეგიონში გავრცელებას შეიძლება მოჰყვეს სავალალო შედეგი არა მხოლოდ ამ რეგიონისთვის არამედ მთელი მსოფლიოსთვის. თუ ჩვენ დავუშვებთ იმის ალბათობასაც, რომ მასობრივი განადგურების იარაღი ტერორისტების ხელში აღმოჩნდება მსოფლიო ახალი საფრთხეების ქვეშ დადგება.

მსოფლიო საფრთხეს წარმოადგენს ისლამური რადიკალიზმი. ირანის ისლამურ სახელმწიფოსა და მის მიერ დაფინანსებულ ტერორისტულ ორგანიზაციებს ბრძოლა აქვთ გამოცხადებული „მსოფლიოს დამაქცეველი ძალის“ აშშ-სა და მისი პოლიტიკის გამტარი სახელმწიფოების წინააღმდეგ. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები ეგზისტენციალურ გამოწვევებს წარმოადგენს მთელი მსოფლიოსთვის და რა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც. მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მოახდინოს რეგიონიდან წამოსული საფრთხეების ნეიტრალიზაცია სტაბილური საშინაო და საგარეო პოლიტიკით.

დღესდღეობით რთულია ვისაუბროთ ირანის ბირთვული

პროგრამის შესახებ მოლაპარაკებებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნე, 2015 წლის შეთანხმების ერთ-ერთი ხელმომწერი მხარე არის ამჟამად სანქციებდაწესებული რუსეთის ფედერაცია, რომელიც მოლაპარაკებებში ვერ მონაწილეობს. მიმაჩნია, რომ ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებების შეჩერება ირანის ისლამური რესპუბლიკისთვის ურანის გასამდიდრებლად და ბირთვული იარაღის შესაქმნელად მიცემული დამატებითი დროა.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. Obershall A., Conflict and Peace Building in Divided Societies, 2007.
2. Huntington S. P., The Clash of Civilizations, Foreign Affairs 72.3 (Summer 1993).
3. Kissinger H., World Order, 2014.
4. Frantzman Seth J., Inside Israel’s “reverse periphery” strategy- analysis <https://jpost.com/middle-east/inside-israels-reverse-periphery-strategy-analysis-688066> უკანასკნელად გადამონმებულია 10.02.2022.
5. <https://www.radiotavisupleba.ge/a/29256800.html> უკანასკნელად გადამონმებულია 10.02.2022.
6. <https://www.armscontrol.org/factsheets/Nuclearweaponswhohaswhat> უკანასკნელად გადამონმებულია 10.02.2022.
7. Frantzman Seth J- Why an airstrike on Syria’s Latakia Port matters-analysis <https://www.jpost.com/middle-east/why-an-airstrike-on-syrias-latakia-port-matters-analysis-688065> უკანასკნელად გადამონმებულია 10.02.2022.
8. Joffre Tzvi- Alleged Israeli airstrike targets Latakia port in Syria – reports <https://www.jpost.com/breaking-news/alleged-israeli-airstrike-targets-latakia-port-in-syria-initial-report-688040> უკანასკნელად გადამონმებულია 10.02.2022.

9. Ephren Dan- How Arab Ties With Israel Became the Middle East’s New Normal <https://www.foreignpolicy.com/2020/12/21/arab-ties-israel-diplomacy-normalization-middle-east/> უკანასკნელად გადამონმეებულია 10.02.2022.
10. Примаков, Е. М., Конфиденциально: Ближний Восток на сцене и за кулисами (вторая половина XX - начало XXI века) Москва, 2012.
11. <https://mfa.gov.il/Jubilee-years/Pages/1947-UN-General-Assembly-Resolution-181-The-international-community-says-Yes-to-the-establishment-of-the-State-of-Israel.aspx> უკანასკნელად გადამონმეებულია 10.02.2022.
12. კისინჯერი ჰ., მსოფლიო წესრიგი, ინგლისურიდან თარგმნა მაია ფანჯიკიძემ, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2020
13. Rekhess, Elie, The Terrorist Connection – Iran, The Islamic Jihad and Hamas \_ Information Division, Israel Foreign Ministry-Jerusalem \_ Justice, May, 1995 [gopher://israelinfo.gov.il:70/00/terror/950500.ter](http://israelinfo.gov.il:70/00/terror/950500.ter) უკანასკნელად გადამონმეებულია 10.02.2022.
14. ჯაფარიძე თ., „სამშვიდობო პროცესი, თვითმმართველობა და ისლამური რადიკალიზმი პალესტინაში“, სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი, 2006.
15. Hroub Kh., Hamas: Political Thought and Practice. Institute for Palestine Studies, Washington, DC. 2000.
16. <http://qronikaplus.ge/%e1%83%99%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%94-%e1%83%a4%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%a9%e1%83%ae%e1%83%98%e1%83%ab%e1%83%94-%e1%83%98/> უკანასკნელად გადამონმეებულია 10.02.2022.
17. Bob Yohan Jeremy, Iran-Hezbollah help Hamas, Islamic Jihad trounce Israel with propagandа-exclusive <https://>

- [www.jpost.com/middle-east/exclusive-iran-hezbollah-help-hamas-islamic-jihad-trounce-israel-with-propaganda-688000](http://www.jpost.com/middle-east/exclusive-iran-hezbollah-help-hamas-islamic-jihad-trounce-israel-with-propaganda-688000) უკანასკნელად გადამონმეებულია 10.02.2022.
18. <https://www.hrw.org/news/2021/07/27/gaza-apparent-war-crimes-during-may-fighting> უკანასკნელად გადამონმეებულია 10.02.2022.
  19. <https://tabula.ge/ge/news/671580-human-rights-watch-2021-clis-maishsi-hamasis-mier> უკანასკნელად გადამონმეებულია 10.02.2022.
  20. <https://www.un.org/disarmament/wmd/nuclear/npt/text> უკანასკნელად გადამონმეებულია 10.02.2022.
  21. <https://treaties.unoda.org/t/npt> უკანასკნელად გადამონმეებულია 10.02.2022.
  22. Saideh L., Nuclear policy and International Relations. In Katouzian & Shahidi (eds), 2007.
  23. Saira Kh., Iran and Nuclear Weapons: Protracted Conflict and Proliferation (Routledge Global Security Studies), Routledge, 2009.
  24. [https://www.securitycouncilreport.org/un\\_documents\\_type/security-council-resolutions/?ctype=Iran&cbtype=iran](https://www.securitycouncilreport.org/un_documents_type/security-council-resolutions/?ctype=Iran&cbtype=iran) უკანასკნელად გადამონმეებულია 10.02.2022.
  25. <https://www.un.org/securitycouncil/content/2231/background> უკანასკნელად გადამონმეებულია 10.02.2022.
  26. <https://www.bbc.com/news/world-middle-east-33521655> უკანასკნელად გადამონმეებულია 10.02.2022.
  27. <https://www.armscontrol.org/factsheets/JCPOA-at-a-glance> უკანასკნელად გადამონმეებულია 10.02.2022.
  28. Gaouette Nicole, Liptal Kevin, Atwood Kylie – US to send troops and air and missile defense to Saudi Arabia as Trump announces new Iran sanctions after oil attack <https://edition.cnn.com/2019/09/20/politics/trump-announces-iran-sanctions/index.html> უკანასკნელად გადამონმეებულია 10.02.2022.
  29. Bob Yohan Jeremy, Why Israel was not ready for an airstrike on iran 2019-analysis <https://jpost.com/israel->

news/why-israel-was-not-ready-for-an-airstrike-on-iran-in-2019-analysis-688123 უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.

**Shorena Tsintsadze**

*Georgian Technical University doctoral student of the Faculty of Law and International Relations. Assistant of the Faculty of Law and International Relations of the Georgian Technical University*

## **THE INTERESTS OF THE ARAB COUNTRIES IN THE ISRAELI-PALESTINIAN CONFLICT**

### **Summary**

In this article, “The interest of the Arab countries in the Israeli-Palestinian conflict“ I discuss the post-creation period of the state of Israel in 1948. In particular, the confrontation of the Islamic world with the only democratic values in the Middle East region. The state of Israel has become the central problem of the region and the basis of endless interstate wars. The current events in the busiest part of planet are still relevant.

The state of Israel has used the “reverse periphery“strategy to warm relations with some Arab countries. However, I must point out that establishing diplomatic relations with the Syrian Arab Republic will be unattainable. The Islamic Republic of Iran with its nuclear weapons program and funding of terrorist organizations, is trying to destroy the state of Israel and take the lead in the region.

# კონფლიქტოლოგია The Conflictology

## სოფიკო ედიშერაშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერ-  
ობების დოქტორანტი*

## სხინვალის რაგიონის ისტორია, გავრცელებული კონფლიქტები და მისი შედეგები

ძვ. წ. VIII-IX საუკუნეებიდან იწყება ოსი ხალხის ჩამოყალიბება, რომლებსაც ისტორიულ დოკუმენტებში იხსენიებენ სხვადასხვა სახელწოდებით. არაბულ, ბიზანტიურ, სომხურ, სპარსულ დასავლეთევროპულ წყაროებში იწოდებიან ალანებად, ზოგან კი – ასებად. რუსულ წყაროებში ეწოდებათ იასი (Ясы), ხოლო ქართულ წყაროებში – ოვსი ან ოსი. ქართველებმა, ქვეყანას სადაც ცხოვრობდნენ ოსები, შეარქვეს ოვსეთი-ოსეთი. სწორედ აქედან არის თანამედროვე რუსული სახელწოდებები Осетия, осетины. თავიანთ თავს ოსები უწოდებენ ირონს (ирон), ხოლო ქვეყანას – ირისტონს (Ирыстон).

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ოსები ჰირდაპირი შთამომავლები არიან სკვით-ალან-სარმატთა. ოსური ენა ინდოევროპული ენების ჩრდილო ირანულ ჯგუფს განეკუთვნება. ორ დიალექტზე საუბრობენ ოსები – დიგორულსა და ირონულზე. ირონული დიალექტი წარმოადგენს ლიტერატურული ენის საფუძველს. ოსების ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო შეიქმნა ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში X-XIII საუკუნეებში [1, 50-52].

XVII საუკუნეში მოხდა ოსების დასახლება საქართველოს მთიანეთში, ხოლო XVIII საუკუნეში მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოში მიგრაცია. დვალეთში, თანდათან, გაჩნდა კომპაქტური დასახლებები ქსნისა და ლიახვის ხეობებში. XIII-XIV

საუკუნეებში თემურ ლენგისა და თათარ-მონღოლთა შემოსევების შედეგად დვალეთის ხეობებში გადაინაცვლა ბარის მოსახლეობამ, რის შემდგომ კი ჩამოყალიბდა დიგორის, ალაგირის, ქურთათის და თაგაურის საზოგადოებები. ამავე პერიოდში დაიწყო კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ოსების დამკვიდრება და ოსი ხალხის სამხრეთი შტო გამოიყო.

XVIII ს-ის პერიოდში შიდა ქართლის მთისწინეთში, ოსები, ფაქტობრივად არსად ცხოვრობდნენ. XVIII ს-ის ბოლოს და XIX ს-ის დასაწყისში იწყება მათი ჩასახლება შიდა ქართლის მთისწინეთის სოფლებში. პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან მონაკვეთს იკავებენ ოსები XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში. ოსეთის როგორც ავტონომიური ოლქის გამოცხადება მოხდა 1922 წლის 22 აპრილს, რომელიც უკავშირდება იმ პერიოდში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, 1921 წლის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლების დამხობას და ასევე საქართველოს გასაბჭოებას. ეროვნულ ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც საქართველოს სსრ შემადგენლობაში ადმინისტრაციული ავტონომიის უფლებით შედიოდა. კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ წარმოადგენდა ოლქის სამართლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელ სპეციალურ იურიდიულ აქტს, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წარდგინებით (1980) მიიღო. ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, რომელიც შედგებოდა 140 დეპუტატისგან და თავის ადმინისტრაციულ კომიტეტს ირჩევდა [2, 5-6].

ჯერ კიდევ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) პერიოდიდან იწყება ე. წ. სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის დაძაბულობა. საქართველოს მენშევიკური მთავრობა ოსურ მოსახლეობას რუს ბოლშევიკებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა. ეს კი რეაქციებს იწვევდა ოსური მხრიდან. რამდენიმე ოსური აჯანყება მოხდა 1918-



1920 წლებში. დამოუკიდებლობის მოპოვება წარმოადგენდა აჯანყებების მთავარ მიზანს. ძალადობამ იფეთქა რეგიონში, რომელიც უკავშირდებოდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ აჯანყების ჩახშობის მცდელობასა და ცხინვალში სახალხო გვარდიის და ასევე, რეგულარული არმიის შენაერთების გაგზავნას.

დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ისტორიაში პირველი კონსტიტუცია საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო. თუმცა მოქმედ აქტად ითვლებოდა მხოლოდ ოთხი დღის განმავლობაში, რადგან საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გამო მან რეალური იურიდიული ძალა 25 თებერვალს დაკარგა. ამის მიუხედავად, მისი ისტორიული გავლენა ძალზეც მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციური კანონმდებლობის განვითარებაზე. სწორედ, რომ ამ კონსტიტუციით გამოცხადდა საქართველო დამოუკიდებელ, თავისუფალ და განუყოფელ სახელმწიფოდ. ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა მოწესრიგდა და ავტონომიური მმართველობა აფხაზეთში (სოხუმის ოლქი), ასევე ბაქათალაში (ბაქათალას ოლქი) და სამუსლიმანო საქართველოში (ბათუმის მხარე) გამოცხადდა. შიდა ქართლის იმ ნაწილისთვის, სადაც ოსები კომპაქტურად სახლობდნენ, კონსტიტუციით ავტონომიური მმართველობის მინიჭება არ არის გათვალისწინებული [3, 7-8].

1918 წლის 13 სექტემბრის კანონის მიხედვით „საქართველოს ეროვნულ საბჭოში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის შესახებ“, „იმ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზედ მოსახლეობს და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან შედგება“, უფლება ჰქონდათ ჰყოლოდათ ეროვნულ საბჭოში წარმომადგენელი. ეროვნული უმცირესობისათვის გათვალისწინებული 26 ადგილიდან, 2 ადგილი იყო ოსებისათვის.

1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით დაიძაბა ქართულ-ოსური ურთიერთობები. ეს პროცესი უკავშირდებოდა 1985 წელს, როდესაც დაიწყო საბჭოთა კავშირში პოლიტიკური ლიბერალიზაციის პროცესები. ეროვნულ-განმათავისუფლებელი

მოდრაობა გააქტიურდა საქართველოში, ამის პარალელურად კი სეპარატისტული მოძრაობები გააქტიურდნენ როგორც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე ყოფილ ცხინვალის ავტონომიურ ოლქში.

1980 წლის 12 ნოემბრის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“ წარმოადგენს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული მონყოლისა და მისი ორგანოების კომპეტენციის დადგენის თვალსაზრისით ყველაზე დეტალურ დოკუმენტს. 1990 წლის 20 სექტემბრის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს გადანყვეტილებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გარდაიქმნა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღნიშნული გადანყვეტილება გაუქმდა საქართველოს რესპუბლიკის ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 22 ნოემბერს. მიუხედავად ამისა, სეპარატისტებმა 9 დეკემბერს ჩაატარეს ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რამაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას რეალური საფრთხე შეუქმნა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გააუქმა, იურიდიული ძალის არმქონედ და ასევე ბათილად ცნო ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები [4].

მხარეებს შორის დაიწყო პირდაპირი სამხედრო კონფრონტაცია 1991 წლის იანვარში. აღნიშნული ფაქტი უკავშირდება ცხინვალში რამდენიმე ათასი ქართველი სამხედროს შესვლას. რეგიონში, ერთი წლის მანძილზე, დაისადგურა ქაოსმა, აღნიშნულს კი შეიარაღებული დაპირისპირება ერთოდა პერიოდულად.

დაბა ყაზბეგში 1991 წლის 3 მარტს ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინი და საქართველოს

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისთვის ერთობლივი მოქმედების შემდგომ მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე, რომ 10 აპრილამდე, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო და რუსეთის სფს შინაგან საქმეთა სამინისტრო მილიციის ერთობლივ რაზმს შექმნიდნენ, რომელიც ყველა უკანონო ფორმირებას ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განაიარაღებდა. აღნიშნულ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა და ვითარების სტაბილიზაცია ევალებოდა რაზმს. სოჭში, 1992 წლის 24 ივნისს, მოეწერა ხელი ედუარდ შევარდნაძესა და ბორის ელცინს შორის შემდეგ შეთანხმებას – „საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მონესრიგების პრინციპების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, შერეული საკონტროლო კომისია შეიქმნებოდა აღნიშნულ ზონაში შეიარაღებული ფორმირებების გაყვანის, ცეცხლის შეწყვეტის მიზნით. კომისია წარმოდგენილი იქნებოდა კონფლიქტში ჩაბმული მხარეების შემადგენლობით.

1993-2000 წლების მანძილზე არაერთი შეხვედრა შედგა სხვადასხვა დონეზე, რომელიც მიზნად ისახავდა სიტუაციის დარეგულირებას, ასევე ხელი მოეწერა მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებს. მათი მიზანი იყო კონფლიქტის მხარეებს შორის სხვადასხვა სფეროებში ურთიერთობების გამყარება. თუმცა, ამის მიუხედავად კვლავ დაძაბული იყო მდგომარეობა, მხარეთა ვალდებულებები არ სრულდებოდა, შეიარაღებული თავდასხმები კვლავ გრძელდებოდა და დაუცველად გრძნობდა თავს მოსახლეობა.

2001 წლის 18 იანვარს მიღებულ რეზოლუციაში ევრო-პარლამენტი „წუხილს გამოთქვამს“ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთზე, რომ ეს რეგიონები საქართველოს იურისდიქციის, კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების პრინციპებს გარეთ არის მოქცეული [5, 16-26].

საქართველოს პრეზიდენტმა, 2005 წლის იანვარში ევრო-საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნიდან გაახმოვანა

ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივები. ხოლო, იმავე წლის 15 სექტემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა გაეროს გენერალური ასამბლეის მე-60 სესიაზე გამოსვლის დროს ხაზი გაუსვა სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად იმ გარემოებას, რომ „საქართველო მასობრივ წმენდას არასდროს შეურიგდება. ამორალურია მისი სამართლებრივი არგუმენტაცია და ქმნის მომავლისათვის საშიშ პრეცედენტს“.

საკმაოდ მძიმე შედეგების მომტანი აღმოჩნდა ომი ორივე მხარისთვის. გავრცელებული ცნობებით, 2000–4000 ადამიანი დაიღუპა, ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი სახლები განადგურდა და ათი ათასობით ადამიანი იძულებით გადაადგილებული პირი და ლტოლვილი გახდა [6, 9-15].

დღემდე გრძელდება ცხინვალის რეგიონებში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, მათ შორის განათლების მიღების აკრძალვა მშობლიურ ენაზე და, ასევე, ღირსების შელახვა. მეტად საგანგაშოა ეთნიკურ ნიადაგზე როგორც წამების, ასევე მკვლელობის შემთხვევები. მრავალი შეთანხმების მიუხედავად, ცხინვალის რეგიონში 2008 წლის აგვისტოს დაიწყო ომი, რომელიც „რუსეთ-საქართველოს ომის“ სახელწოდებით შევიდა ისტორიაში.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ჭიჭინაძე ზ., „ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და დვანლი მათზედ“ (ისტორიული მიმოხილვა), ტფილისი, 1916.
2. საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მოკლე ისტორია, <https://smr.gov.ge/uploads/prev/66c4e7.pdf>
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყება, N11 (591), თბილისი, 1989.
4. საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, 1990.

5. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის აპარატი, ინფორმაციული ცნობა „ქართულ-ოსური კონფლიქტის“ შესახებ, <https://smr.gov.ge/uploads/prev/eb7e7f.pdf>
6. „ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადანეწევის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ,“ ფონდის “ღია საზოგადოება საქართველო სერია N1, 2005.

**Sopiko Edisherashvili**

*Georgian Technical University, in Law and International Relations, Doctoral Student*

## **HISTORY OF TSKHINVALI REGION, WIDESPREAD CONFLICTS AND ITS CONSEQUENCES**

### **Summary**

Conflicts on the territory of Georgia, which have led to the violation of territorial integrity, are a very important and at the same time painful issue for any citizen of Georgia.

The reason for this is that these conflicts have caused significant legal and material damage, which is still reflected in the territory of Georgia, its development, material level of the population, their development, relations and many other factors. During the conflicts on the territory of Georgia, a number of crimes were committed, among which the most frequent and grave consequences were genocide and ethnic cleansing. Genocide and ethnic cleansing - these two terms expressed in action are crimes that, if committed, do not simply start an investigation that ends at a specific time with the identification of the accused / accused or the expiration of the statute of limitations. When committed, it goes beyond the state, becomes the center of attention of the world's population, and it forever remains history.

## **კვიპროსის კონფლიქტის ანატომია – გამომწვევი მიზეზები და შედეგები**

ხმელთაშუა ზღვის რეგიონი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი პრობლემური ნაწილია, რაც კვიპროსის ნახევარკუნძულზე თურქებსა და ბერძნებს შორის არსებულ დაპირისპირებაში გამოიხატება. კონფლიქტის წარმოშობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სახელდება კვიპროსის ეთნიკური მრავალფეროვნება. კვიპროსის მოსახლეობა 1.221.561 ადამიანია. მოსახლეობის 80% ეთნიკურად ბერძენია, ხოლო თურქული მოსახლეობა, დაახლოებით, 18%-ს შეადგენს [1]. საუკუნეების მანძილზე, სხვადასხვა სახელმწიფოს მხრიდან, კვიპროსის კუნძულის მიმართ ინტერესი დიდი იყო, რასაც განაპირობებდა კვიპროსის სტრატეგიული მდებარეობა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

ძველი ისტორიული წყაროები ადასტურებენ კუნძულ კვიპროსის კუნძულ კრეტასთან მჭიდრო ურთიერთობას. ძვ. წ. V საუკუნეში კუნძულზე ბერძნები გამოჩნდნენ, რამაც განაპირობა კუნძულის ბერძნული ცივილიზაციის ნაწილად გადაქცევა [2, 491]. ძვ. წ. VIII საუკუნიდან, სხვადასხვა პერიოდში, კვიპროსი ეგვიპტის, ასურეთის და სპარსეთის შემადგენლობაში შედიოდა [3, 56]. ძვ. წ. 58 წელს კი, იგი რომის იმპერიამ დაიკავა. საინტერესო ცნობებია ალექსანდრე მაკედონელის მმართველობის პერიოდზეც – ამ დროს კვიპროსის კუნძული სრულად ელინისტური ცივილიზაციის ნაწილი ხდება.

მოგვიანებით, 1191 წელს, კუნძულზე მმართველობას ინგლისის მეფე, რიჩარდი ახორციელებს. ინგლისის ინტერესი კვიპროსის მიმართ შემდგომ პერიოდშიც მაღალი იყო. ინგლისელების შემდეგ, კუნძული ვენეციელებმა დაიკავეს (1489 წელს, საბოლოოდ, ვენეციის გავლენის ქვეშ მოექცა). ამ პერიოდში,

კვიპროსი გადაიქცა ხმელთაშუა ზღვის მნიშვნელოვან ცენტრად, რაც განაპირობა ვაჭრობის განვითარებამ, მისი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით. მიუხედავად კვიპროსის ეკონომიკური სიძლიერისა, მან ვერ გაუძლო ოსმალების შემოტევას და 1570 წელს ოსმალეთის იმპერიის ნაწილად გადაიქცა [2, 490]. ამ პერიოდიდან დაიწყო ოსმალებმა კუნძულზე აქტიური დასახლება, თუმცა ძირითად მოსახლეობას ბერძნები (ქრისტიანები) წარმოადგენდნენ. ოსმალებმა მოახერხეს ევროპული მმართველობის ფორმის დანგრევა და შემოიღეს თავიანთი სისტემა-„მილეტი“, ანუ მოსახლეობის დაყოფა რელიგიური ნიშნით [2, 490]. მიუხედავად ამგვარი დაყოფისა, ოსმალების მმართველობის (კვიპროსზე) პერიოდში, თურქი და ბერძენი კვიპროსელები მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ. კვიპროსელები თავისუფალნი იყვნენ რელიგიურ, ეკონომიკურ და კულტურულ საქმიანობაში [4, 15]. იმის გათვალისწინებით, რომ ოსმალეთის იმპერიის გაბატონებამდე, კვიპროსი ითვლებოდა ბერძნული დასახლების კუნძულად, მოსახლეობის დიდი ნაწილი მისდევდა ქრისტიანობას, თუმცა ოსმალეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში, კუნძულზე ეთნიკურად თურქები მასობრივად სახლდებოდნენ. საგულისხმოა, რომ ოსმალეთის იმპერატორის, სელიმ II-ის ბრძანებით, ეთნიკურად თურქ და ეთნიკურად ბერძენ მოსახლეობას მიეცა შესაძლებლობა, თანასწორ გარემოში აღენიშნათ თავიანთი რელიგიური თუ ტრადიციული დღესასწაულები. მეტიც, სულთნის ბრძანებით, ყველა, ვინც არ დაემორჩილებოდა ამ წესს, დაისჯებოდა [3, 71]. ეს იყო ყველაზე ტოლერანტული პერიოდი, უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში, თურქ და ბერძენ კვიპროსელებს შორის.

1800-იანი წლების დასაწყისში, ოსმალეთის იმპერიის გავლენა შესუსტდა რეგიონზე, რამაც ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებას. კერძოდ, აქტუალური გახდა ე. წ. ენოსისის იდეა, რაც გულისხმობდა, კვიპროსის კუნძულზე მცხოვრები ხალხის სურვილს, გაერთიანებულიყვნენ საბერძნეთთან.

კვიპროსზე მიმდინარე პროცესების პარალელურად, გარკვე-

ული გეო-პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა მსოფლიოში. სიტუაცია დაიძაბა რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რაც საბოლოოდ რუსეთ-ოსმალეთის ომით (1878 წ) დასრულდა. მიუხედავად რთული (საომარი) მდგომარეობისა, თურქული მხარე კვიპროსის კუნძულს ომის სამხედრო სტრატეგიის ნაწილად მოიაზრებდა. მართალია, თურქულმა მხარემ კუნძულის ადმინისტრაციული მმართველობა დიდ ბრიტანეთს გადასცა, თუმცა იმ პირობით, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომში ბრიტანეთი ოსმალეთს დაიცავდა და კვიპროსზე სამხედრო ბაზას განათავსებდა [2, 491].

1914 წელს (პირველი მსოფლიო ომის პერიოდში), კუნძულს ბრიტანელები დაეპატრონნენ. ბრიტანეთის ინტერესი კუნძულის მიმართ განპირობებული იყო სუეცის არხზე კონტროლის დამყარების სურვილით. ასევე, ბრიტანეთს გააჩნდა სტრატეგიული გეგმა საბერძნეთთან მიმართებით, კერძოდ, მან მოლაპარაკება სცადა ბერძნებთან და კვიპროსის საბერძნეთთან გაერთიანების მხარდაჭერის სანაცვლოდ, შესთავაზა ომში ანტანტის მხარეს ჩაბმა, თუმცა მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა, რადგან საბერძნეთმა არ ისურვა ომში ჩაბმა [3, 56]. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1923 წელს, შვეიცარიაში (ლოზანა) ხელი მოეწერა „ლოზანას შეთანხმებას“ (ომის დასრულების ხელშეკრულება. მხარეები იყვნენ: თურქეთი, ბრიტანეთი, იაპონია, საბერძნეთი). ამ შეთანხმებით, ევროპაში ახალი გეო-პოლიტიკური წესრიგი დამყარდა, მათ შორის, განისაზღვრა თურქეთის სახელმწიფო საზღვარი, რაც საფუძველი გახდა კვიპროსზე უარს თქმისა [5].

1925 წელს, კვიპროსი ბრიტანეთის კოლონიად გამოცხადდა [3, 57]. ინგლისელების მმართველობის პერიოდშიც, კვიპროსის ბერძნულ ნაწილში მცხოვრები კვიპროსელები აქტიურად განიხილავდნენ „ენონისის იდეას“, რის გამოც მწვავედებოდა დაპირისპირებები ბერძნულ და თურქულ თემებს შორის. 1931 წელს, კვიპროსელმა ბერძნებმა მოაწყვეს ამბოხება ბრიტანული კოლონიზაციის წინააღმდეგ (ამბოხებულებმა დაწვეს პარლამენტის შენობაც), რასაც ბრიტანელების მწვავე რეაქცია მოჰყვა - დააკავეს როგორც ბერძნული, ისე თურქული



თემის კვიპროსელი აქტივისტები. კვიპროსის ბერძნულ ნაწილში აიკრძალა საბერძნეთის და თურქეთის დროშების ადმინისტრაციულ შენობებზე აღმართვა, ასევე, აიკრძალა თურქეთის და საბერძნეთის ისტორიების სწავლება კვიპროსის სკოლებში. კვიპროსის ბერძნულ თემს აეკრძალა საბერძნეთთან გაერთიანების იდეაზე ფიქრიც კი, თუმცა 1950 წელს, ბერძნულმა თემმა განაახლა ბრძოლა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. განსხვავებით 1931 წლის ამბოხებისგან, 1950 წელს, კვიპროსში მცხოვრები ბერძნული თემის ეკლესიამ (orthodox church) ჩაატარა რეფერენდუმი, რომელშიც კვიპროსელი ბერძნების 95.7%-მა ენოსისის იდეას (ბერძნებთან გაერთიანება) დაუჭირა მხარი, თუმცა შედეგი არ ცნო ბრიტანულმა მხარემ და მას მხარს არც კვიპროსის თურქული თემი უჭერდა [3, 72].

1954 წელს, საბერძნეთმა კვიპროსელი ხალხისთვის თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობის შესახებ თხოვნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას მიმართა, რაზეც გაეროსგან უარი მიიღო, ვინაიდან თურქი კვიპროსელებიც თანაბარი უფლებით სარგებლობდნენ თვითგამორკვევის პროცესში [3, 72]. ამავე წელს, კვიპროსის ბერძნულ ნაწილში შეიქმნა „კვიპროსელი მებრძოლების ეროვნული ორგანიზაცია“ (Ethniki Organosis Kiprion Agoniston-EOKA), რომლის მთავარი მიზანი იყო საბერძნეთთან გაერთიანება. ორგანიზაციას აფინანსებდა კვიპროსის ბერძნული ეკლესია. ეკლესიის ამგვარი ჩართულობა კი იყო ერთგვარი პროტესტი 1950 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების არაღიარების გამო, მიუხედავად იმისა, რომ EOKA-ს მოქმედებები ტერორისტულ ქმედებებად იყო მიჩნეული. მრავალი მკვლევარი EOKA-ს დღესაც მიიჩნევს ტერორისტულ ორგანიზაციად, ვინაიდან მათი საქმიანობა, გარდა ბრიტანულ სამხედროებზე თავდასხმისა, მშვიდობიან მოქალაქეებზე თავდასხმასაც მოიცავდა [3, 73]. 1955 წელს, EOKA ბრძოლის აქტიურ ფაზაში გადავიდა, კერძოდ, გააქტიურდა თავდასხმა ბრიტანელ ჯარისკაცებზე, დაუნდობლად ხოცავდნენ მშვიდობიან მოქალაქეებს, ბავშვებს, ქალებს, უსწორდებოდნენ ყველას, ვინც ენოსისის იდეას ეწინააღმდეგებოდა. მართალია,

EOKA ტერორისტულ ორგანიზაციას უფრო ჰგავდა, ვიდრე თავისუფლებისთვის მებრძოლ ხალხთა გაერთიანებას, თუმცა EOKA-ს ქმედებებით, ენოსისის იდეის (კვიპროსის საბერძნეთთან გაერთიანების მოთხოვნა არა მხოლოდ ბერძნული ნაწილის, არამედ მთლიანად კუნძულის) მხარდამჭერთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, რასაც კვიპროსელი თურქების პროტესტი მოჰყვა [6, 65]. საპასუხოდ, კვიპროსის თურქულმა მოსახლეობამ გასამხედროებული ორგანიზაცია „ვოლკანი“ შექმნა, რომელიც კვიპროსის ორად გაყოფას მოითხოვდა (taksim). ბუნებრივია, საუკუნეების მანძილზე კვიპროსში მცხოვრები კვიპროსელი ბერძნებისთვის ენოსისი მიუღებელი იქნებოდა და მათი სურვილი შეერთებოდნენ თურქეთს ლოგიკურად კი იყო. მხარეებს შორის ვითარება უკიდურესად დაიძაბა და სიტუაცია სამოქალაქო ომის პირას მივიდა [3, 73]. სიტუაციის განსამუხტად, დაპირისპირებაში დიდი ბრიტანეთი ჩაერთო და კვიპროსელი ბერძენი ეპისკოპოსი (რომელსაც EOKA-ს მხარდაჭერა ბრალდებოდა) ქვეყნიდან გააძევა. ამ ქმედების გამო, თურქეთმა ბრიტანელები კუნძულის ანექსიაში დაადანაშაულა, რამაც სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა. საბოლოოდ, 1958 წელს, ვითარება თურქულ და ბერძნულ თემს შორის, სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდა [2, 493]. განსაკუთრებული სისასტიკე გამოავლინეს კვიპროსელმა ბერძნებმა, ისინი აქტიურად არღვევდნენ კვიპროსელი თურქების უფლებებს. (კვიპროსელი ბერძნები შეიჭრნენ და დაარბიეს კვიპროსელი თურქებით დასახლებული სამი სოფელი). ვითარების განმუხტვის მიზნით, 1958 წელს, კონფლიქტში აშშ-ის მთავრობა ჩაერთო, თუმცა მხოლოდ პოზიციის დაფიქსირებით შემოიფარგლა და საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების მიზნით მოუწოდა დიდ ბრიტანეთს, საბერძნეთსა და თურქეთს კონფლიქტის შეწყვეტისკენ. შემდგომი ნაბიჯი ციურიხ-ლონდონის შეთანხმება იყო.

1959 წელს, „ციურიხი-ლონდონის შეთანხმებით“, რომელსაც ესწრებოდა ბრიტანეთის, საბერძნეთის და თურქეთის პრემიერ-მინისტრები, მხარეები შეთანხმდნენ თემთა შორის ურთიერთობის განმტკიცებაზე (რაც შემდეგ კვიპროსის დამოუკიდებლობას

საფუძვლად დაედო). ყველა კარგად აცნობიერებდა, რომ კვიპროსის საბერძნეთთან გაერთიანებისთვის ბრძოლა საფრთხის შემცველი იყო და თუნდაც შეზღუდული დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭებინათ კვიპროსისთვის. სამივე სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრებმა განაცხადეს, რომ გახდებოდნენ კვიპროსის ტერიტორიული მთლიანობის გარანტორები, ცნობდნენ მათ დამოუკიდებლობას, უარს ამბობდნენ კუნძულის ანექსიაზე ან გამოყოფის მცდელობაზე, თუმცა თუ რომელიმე მათგანი დაარღვევდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დებულებას, მეორე მხარე ინარჩუნებდა სამხედრო ძალის გამოყენების უფლებას. შეთანხმებით, ინგლისი იტოვებდა უფლებას, თავისი სამხედრო ბაზები კუნძულზე შეენარჩუნებინა [7]. საინტერესოა ის გარემოება, რომ გარდა მთავარი აქტორებისა (თურქეთი, ბრიტანეთი, საბერძნეთი) მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ კვიპროსის ორივე თემის წარმომადგენლები. ლონდონში შეხვედრაზე გაუღებელი იდეა, კვიპროსის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით, იყო პირველი საჯაროდ დაფიქსირებული მოსაზრება, რაც 1960 წელს, გაეროს მიერ კვიპროსის დამოუკიდებლობის აღიარებით დასრულდა. აღნიშნული შეთანხმების მე-4 მუხლი თურქეთმა დაარღვია 1974 წელს ჩრდილოეთ კვიპროსში შეჭრით.

1960 წელს კვიპროსმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ პერიოდში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო დეკლარაცია „კოლონიური ქვეყნების და ხალხების დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ“ [8]. დეკლარაციის მიღება დიდი დარტყმა იყო, ერთი მხრივ, კოლონიზატორი მმართველებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, დიდი გამონვევა იყო იმდროინდელი მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებისთვის. დეკოლონიზაციის პროცესი კვიპროსსაც შეეხო, რაც საკმაოდ მწვავე პრობლემა იყო თანამეგობრობისათვის, მით უფრო, კვიპროსელ ბერძნებსა და კვიპროსელ თურქებს შორის არსებული უკიდურესად დაძაბული ვითარების გათვალისწინებით. კვიპროსის ტერიტორიული ადმინისტრირების სწორი პოლიტიკის ჩამოყალიბებას, თავდაპირველად კვიპროსელი ბერძნების საბერძნეთთან შეერთების იდეამ შეუშალა ხელი, თუმცა დიდი ბრიტანეთის აქტიურმა ჩართვამ

ენონისის აღმოფხვრის პროცესში, გააძლიერა თურქული თემის ინტერესი teksim-ის ანუ გამოყოფის და თურქეთთან შეერთების მიმართ.

საერთაშორისო სამართლის სუბიექტად კვიპროსის აღიარებით, საერთაშორისო თანამეგობრობამ თითქოს „გადაჭრა“ საუკუნოვანი პრობლემა. ერთი მხრივ, კვიპროსულ ბერძნულ თემსა და საბერძნეთს შორის ენოსისის იდეის განხორციელებაზე მოთხოვნა შესუსტდა და, მეორე მხრივ, კვიპროსის თურქულ თემსა და თურქეთს შორის ინტერესი შემცირდა. ასევე, ბრიტანეთს მოუწია უარი ეთქვა კვიპროსში კოლონიურ რეჟიმზე, ხოლო თავად კვიპროსს – ტერიტორიის ადმინისტრირებისთვის გარკვეული ნაბიჯების გადადგმაზე. კვიპროსის კონსტიტუციის თანახმად, კვიპროსის ბერძნულ და თურქულ თემს თანაბრად მიენიჭა საკანონმდებლო ვეტოს უფლება [2, 493], კერძოდ, ლონდონის შეთანხმებისა და კვიპროსის კონსტიტუციის საფუძველზე, დაარსდა ორი პალატა: ბერძნული თემთა პალატა და თურქული თემთა პალატა. გარდა ამისა, განისაზღვრა, რომ კვიპროსის პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო ეთნიკურად ბერძენი, ხოლო ვიცე პრეზიდენტი – ეთნიკურად თურქი [2, 495]. მიუხედავად თანაბარი საკონსტიტუციო უფლებებისა, ბერძნულ და თურქულ თემებს შორის მაინც გაჩნდა უკმაყოფილება სახელმწიფო მმართველობის საკითხებთან დაკავშირებით. საკითხის მიმართ განსაკუთრებულ შეშფოთებას კვიპროსის თურქული თემი გამოთქვამდა და ბერძნულ ნაწილს შევიწროებაში ადანაშაულებდა, რასაც შეიარაღებული შეტაკებები მოჰყვა. 1960 წელს, კვიპროსის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღება უნდა ყოფილიყო ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი, თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, კვიპროსის რესპუბლიკაში განვითარებულმა მოვლენებმა და პოლიტიკურმა ქაოსმა, მთელი რიგი ცვლილებები გამოიწვია. ამ პროცესებმა კიდევ უფრო გააძლიერა თურქეთსა და საბერძნეთს შორის დაპირისპირება და დაძაბულობა, რამაც ხელი შეუწყო კუნძულზე მცხოვრებ თურქულ და ბერძნულ თემებს შორის ეთნიკური უთანხმოების გაღრმავებას [3, 75-76].

კვიპროსის ბერძნულ და თურქულ თემებს შორის სიტუა-

ცია დღითიდღე მწვავედებოდა. სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, 1964 წელს, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც, გაეროს მშვიდობისმყოფელები ჩადგებოდნენ ე. წ. „მწვანე ხაზის“ გასწვრივ, რაც კონფლიქტის დეესკალაციას შეუწყობდა ხელს. კონფლიქტი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსაც დიდ საფრთხეს უქმნიდა, რადგან ეს არ იყო კონფლიქტი მხოლოდ ორ თემს შორის, მასში ერთმანეთის წინააღმდეგ გამოდიოდნენ საბერძნეთი და თურქეთი, რომლებიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები იყვნენ [9, 59]. კუნძულზე სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა 1967 წლის აპრილის შემდეგ, როდესაც საბერძნეთში მოხდა არეულობა. გადატრიალების საფუძველზე ხელისუფლებაში მოვიდა სამხედრო ხუნტა. აღნიშნული რევოლუცია ისტორიაში „შავი პოლკოვნიკების“ დიქტატურის სახელწოდებით არის ცნობილი. საბერძნეთში მოსულმა ახალმა „ხელისუფლებამ“ კვიპროსის არმიის მეთაურს დაავალა კუნძული სასწრაფოდ გაეთავისუფლებინა თურქული საჯარისო ელემენტებისგან და კვიპროსის საბერძნეთთან შეერთების პროცესი დაეწყო [10, 30]. 1974 წელს, კვიპროსის ეროვნულმა არმიამ ამბოხებები დაიწყო. ამბოხებულთა მიზანი იყო კვიპროსის საბერძნეთთან შეერთება. მათ შეძლეს და გადააყენეს კვიპროსის პრეზიდენტი და ეპისკოპოსი. პრეზიდენტად კი აირჩიეს ნიკოლას სამპსონი. სამპსონის განკარგულებით, დაიწყო ბრძოლა კვიპროსელი ბერძნების წინააღმდეგ, რომლებიც კვიპროსის სახელმწიფო დამოუკიდებლობას ითხოვდნენ. ამასთან, ანადგურებდნენ კვიპროსელ თურქებსაც. ასეთ ვითარებაში თურქეთის ხელისუფლება მშვიდად ვერ იქნებოდა, ამიტომ თურქი მოსახლეობის ბერძნული აგრესიისაგან თავდაცვის მიზნით, კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში ჯარები შეიყვანა [10, 40].

1974 წელს, თურქეთმა სამხედრო დესანტი გადაიყვანა კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში, იმ მოტივით, რომ თურქი კვიპროსელები შევიწროებას განიცდიდნენ ბერძენი კვიპროსელების მხრიდან. ამ აქტით, თურქეთმა ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპაცია მოახდინა. თურქების მხრიდან კვიპროსის ოკუპაცია გარკვეული თავისებურებით ხასიათდებოდა, კერძოდ, თურქეთს

კვიპროსის შეერთება არ უცდია, მას სურდა შეექმნა „კვიპროსის ფედერაციული მოწყობის სახელმწიფო“ და 1975 წელს შექმნა „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული ფედერაცია“, რომელიც მხოლოდ ფორმალურად რჩებოდა კვიპროსის შემადგენლობაში [2, 496-497]. ამ ფაქტს გაეროს მხრიდან თურქეთისთვის სანქციების დანესება მოჰყვა. თურქეთს მოეთხოვა არ ჩარეულიყო თემთა შორის კონფლიქტში, თუმცა გაეროს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და 1983 წელს თურქეთის რესპუბლიკამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა ე.წ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა [9, 103]. თურქეთის იმუამინდელმა სახელმწიფო მეთაურმა მიზანმიმართული პოლიტიკა გაატარა და ჩრდილოეთ კვიპროსში ასი ათასზე მეტი ეთნიკურად თურქი ჩაასახლა. ამ პროცესის შედეგად, კუნძულ კვიპროსზე ეთნიკურად თურქი მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. მოსახლეობის ზრდა კი ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის გაღრმავების პირდაპირპროპორციული იყო. ჩასახლების ამგვარი პოლიტიკა კვიპროსელ ბერძნებს აიძულებდა დაეტოვებინათ ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე თავიანთი საცხოვრებელი სახლები.

გაეროს უშიშროების საბჭოს 1992 წლის რეზოლუციით განისაზღვრა, რომ თურქეთს, როგორც მხარეს, უნდა შეეწყვიტა ჩარევა შეიარაღებულ დაპირისპირებაში და დაევალა ჯარების გაყვანა. რეზოლუცია ითვალისწინებდა კვიპროსის ფედერაციის შემადგენლობაში ორი თანასწორი თემის არსებობას. ორივე მხარეს აეკრძალა რომელიმე სახელმწიფოსთან გაერთიანება ან ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფა [11].

მიუხედავად ბევრი მცდელობისა, მოლაპარაკებები თურქულ და ბერძნულ მხარეებს შორის უშედეგოდ მიმდინარეობდა. დღეს, კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილი თურქეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად რჩება.

არსებული ვითარების გათვალისწინებით, კუნძული დაყოფილია ოთხ ზონად: კვიპროსის რესპუბლიკა (ბერძნული სამხრეთ კვიპროსი, თურქეთის მიერ არაღიარებული), ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა (აღიარებულია თურქეთის მიერ),

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ კონტროლირებადი მწვანე ხაზი, რომელიც ყოფს ტემტონებს და ბრიტანელების ბაზის ორ ზონას.

ამრიგად, კვიპროსის კუნძულის ისტორიის კომპლექსურმა შესწავლამ ცხადყო აქ არსებული ეთნიკური კონფლიქტის მიზეზი – მრავალი საუკუნის განმავლობაში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, კულტურული თუ რელიგიური ნიშნით განსხვავებული ორი თემის: ბერძენი კვიპროსელებისა და თურქი კვიპროსელების, თანაცხოვრება. კვიპროსის თემებს შორის კონფლიქტის პროვოცირებაში ოსმალეთის იმპერიის მმართველობის პერიოდმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, რაც ელინისტური და ოსმალური კულტურების დაპირისპირებაში გამოიხატა. მოგვიანებით, ბრიტანეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი კვალი დაატყო კუნძულს. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა სამხედრო ბაზების კუნძულზე განთავსების საკითხი. სწორედ ბრიტანული კოლონიზაციის პერიოდში გამწვავდა ურთიერთობა ბერძნულ და თურქულ თემებს შორის – დავის საგანი გახდა კუნძულის სტატუსი და მისი ადმინისტრირების სამართლებრივი ფორმა. საბერძნეთს სურდა კუნძულის საბერძნეთის ფარგლებში გაერთიანება (ენოსისის განხორციელება), რასაც კვიპროსელი ბერძნები აქტიურად უჭერდნენ მხარს, თურქეთი კი აღნიშნულის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ბრიტანეთი მხარს უჭერდა კვიპროსის დასუსტებას, თავისი გეო-პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ, კუნძულის ორ მარტივად კონტროლირებად ნაწილად დაყოფით, ის ეცდებოდა საკუთარი ინტერესების გატარებას ხმელთაშუა ზღვაზე, რათა მოეპოვებინა სუეცის არხზე კონტროლი. ამ კონფლიქტში ნათლად გამოიკვეთა გარე აქტორების როლი, მათი სურვილები და ინტერესები კონფლიქტის შემდგომი განვითარებისა თუ გადაჭრის გზების ძიების პროცესში.

კვიპროსის კონფლიქტის გენეზის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი: სანყისი ეტაპი (ინგლისის კოლონიური მმართველობის პერიოდში) – პირველი შეტაკება გასამხედროებულ ბერძნულ და თურქულ თემებს შორის; 1960-1963 წლები – ენოსისის უმაღლესი გამოხატულება კუნძულ კვიპროსზე, შეტაკებები

ბერძნული თემის მხრიდან კუნძულ კვიპროსზე სრული კონტროლის მოსაპოვებლად (მხარდაჭერილი საბერძნეთის მიერ); 1963-1974 წლები – კვიპროსის აღიარება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აქტიური ჩართულობა, კონფლიქტის მოგვარების მცდელობა; 1974-1983 წლები – კონფლიქტის გამწვავება. თურქეთის მიერ კვიპროსის ოკუპირება და კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილის თურქეთის მხრიდან აღიარებით ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის გამოცხადება, რამაც კუნძულის ორად გაყოფა გამოიწვია.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა :**

1. Cyprus Population 2022, იბ., <http://worldpopulationreview.com/countries/cyprus-population/> უკანასკნელად გადამონმებულია 03.05.2022.
2. მალაშხია შ., კონფლიქტების ანატომია, სტამბა „ფორმა“, თბილისი, 2011.
3. Carter J., Irani G., Volkan V., Regional and Ethnic conflicts Perspectives from the front lines, 2009.
4. Luke H., Cyprus under Turks 1715-1878, London: Clarendon Press, 1921
5. Treaty of Peace with Turkey Signed at Lausanne, 24/07/1983. [https://wwi.lib.byu.edu/index.php/Treaty\\_of\\_Lausanne](https://wwi.lib.byu.edu/index.php/Treaty_of_Lausanne) უკანასკნელად გადამონმებულია 03.05.2022.
6. კიკნაძე თ., ეთნოკონფესიონალურ ურთიერთობათა ევოლუცია კვიპროსზე 1878-1992 წლებში, სადოქტორო დისერტაცია, 1993.
7. Memorandum Setting ut the agreed foundation for the final Settlement of the problem of Cyprus, Documents signed and initialled at Lancaster House on 19 February 1959. [https://www.embargoed.org/wp-content/uploads/2018/02/1959\\_London\\_and\\_Zurich\\_Agreements.pdf](https://www.embargoed.org/wp-content/uploads/2018/02/1959_London_and_Zurich_Agreements.pdf) უკანასკნელად გადამონმებულია 03.05.2022.
8. Декларация о предоставлении независимости колониальным странам и народам, 14/12/1960. <https://>



[www.un.org/ru/documents/decl\\_conv/declarations/colonial.shtml](http://www.un.org/ru/documents/decl_conv/declarations/colonial.shtml) უკანასკნელად გადამოწმებულია 03.05.2022.

9. Шмаров В., Кипр в средиземноморской политики НАТО, Москва, 1982.
10. მაკარაძე ე., გოგიტიძე მ., კვიპროსის საკითხი აღმოსავლურ პოლიტიკაში XX საუკუნის 60-80-იან წლებში, ბათუმი, 2000.
11. United Nations Security Council, Resolution 750, 1992. <https://bit.ly/3w43nLx> უკანასკნელად გადამოწმებულია 03.05.2022.

**Khatia Vasadze**

*Georgian Technical University, Faculty of Law and International Relations, Doctoral Student*

## **ANATOMY OF CYPRUS CONFLICT – REASONS AND RESULTS**

### **Summary**

The Mediterranean region is one of the problematic parts of modern international relations, which is reflected in the conflict between the Turks and the Greeks on the Cyprus peninsula. One of the main reasons for the conflict is the ethnic diversity of Cyprus.

Author reviews chronologically and in detail the historical development of Cyprus, analyzes the main issues, that caused the conflict and ongoing situation with current challenges. The author also mentions the aspects of positive transformation of conflict and the ways of peaceful settlement of given conflict..

# პოლიტიკური პორტრეტები Political Portrait

**ზურაბ კვეტენაძე**

*ისტორიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის პროფესორი*

## **ჩინეთის მართა ომი და პუტინის ფაქტორი რუსეთის გეოპოლიტიკური ვეჭორის ცვლილებაში**

დღეისათვის რუსეთის ფედერაციის თანამედროვე პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის არაერთგვაროვანი შეფასება არსებობს. ლიბერალური პოლიტიკური აზრი მას ავტორიტარ მმართველად მიიჩნევს, რომელიც ხელს უშლის რუსეთის დემოკრატიულ განვითარებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ ის ძლიერი მმართველია, რომ მან ნუმპეში ჩაფლული ელცინის რუსეთი ძალზე გააძლიერა და კვლავ შესახელმწიფოდ აქცია. მკვლევართა და პოლიტიკურ ექსპერტთა მესამე ნაწილის აზრით პუტინი რუსეთისათვის ბუნებრივი მოცემულობაა, რამდენადაც რუსეთი დასავლური დემოკრატია ვერ გახდება მთელი რიგი ფაქტორების გამო, მისთვის სწორედ პუტინის მსგავსი ლიდერია მისაღები. ყველა ამ მოსაზრებას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ვფიქრობთ თანამედროვეთა მიერ პოლიტიკური ლიდერის შეფასება გარკვეულწილად მეცნიერულ აზრს მოკლებულია, ამას დრო ჭირდება, თანაც საკმაოდ ხანგრძლივი დრო, მაგრამ რეალური ფაქტები მაინც გვაძლევს გარკვეული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომელიც რუსეთში ბორის ელცინის პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში შეიქმნა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიშლებოდა რუსეთის ფედერაციაც, მაგრამ რუსეთმა არა მარტო გაუძლო გამოცდას, არამედ პუტინის მმართველობის პერიოდში იგი ძალზე გაძლიერდა და კვლავ შესახელმწიფოდ იქცა.

ჩეჩნეთის საომარ კამპანიაზე უაღრესად საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს რუსი ევრაზიანისტი გეოპოლიტიკოსი ალექსანდრე დუგინი. დუგინი კრემლის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგია, რომელიც თავისი არგუმენტებით ამართლებს რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას, მაგრამ აქ მთავარი ის არის, თუ როგორ ეფექტურად ნიღბავს ის რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს ჩეჩენ საველე მეთაურებთან მიმართებით.

ბორის ელცინის მმართველობის ბოლო პერიოდში ხასავურტის სამშვიდობო შეთანხმების შედეგად ჩეჩნეთის შეიარაღებულმა ძალებმა კვლავ აღადგინეს საკუთარი ძალოვანი სტრუქტურები და გააძლიერეს საკუთარი ხელისუფლება. თანდათანობით მათ შორის სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა:

ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება, რომელსაც პროდასავლური ორიენტაცია ეკავა (ა. მასხადოვი, ა. ზაკაევი);

ისლამის ეროვნულ-ტრადიციონალისტური ორიენტაციის (ა. კადიროვი, ბ. ნუსაევი);

რადიკალური ვაჰაბიტები, რომლებიც თავიანთ თავს მოიპყრებდნენ ისლამური ფუნდამენტალიზმის წარმომადგენლებად, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ჰქონდა ფესვები გადგმული (შ. ბასაევი, მ. უდუგოვი, „შავი ხატები“).

სამივე მიმართულება, ცხადია, ორიენტირებული იყო რუსეთის წინააღმდეგ და ებრძოდა მას, მაგრამ მათ შორის, როგორც აღვნიშნეთ, იყო განსხვავება [1, 318].

დღეს რუსეთის როგორც სამეცნიერო, ისე პოლიტიკურ წრეებში უმთავრესად ფიგურირებს აზრი, რომლის თანახმადაც ვაჰაბიზმი, რომელიც XX საუკუნის 80-90-იან წლებში გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიაში, თავიდან ბოლომდე ემსახურებოდა საზღვაო სახელმწიფოების ინტერესებს, რომელთა მიზნებშიც შედიოდა სახმელეთო ცივილიზაციის შესუსტება და რუსეთის დანაწევრება. ამიტომ ზემოხსენებული სამივე ჩეჩნური მიმართულება ემსახურებოდა ატლანტიზმის ინტერესებს.

რუსეთის გეოპოლიტიკურ აზრში თითქმის არ არსებობს „დამოუკიდებლობის“ ცნება, ის რომ ჩეჩენი ხალხი იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, ის რომ XIX საუკუნეში რუსეთმა

დაიპყრო ჩრდილოეთ ვაკეასია და ა. შ. ყველაფერი გადის დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაზე და იმაზე, რომ ატლანტიზმი დღეს რუსეთის მთავარი მოწინააღმდეგეა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩეჩნეთის შეიარაღებულ ძალებში მართლაც იყვნენ ვაჰაბიტები და ის ძალებიც, რომლებიც აფხაზეთში იბრძოდნენ საქართველოს წინააღმდეგ. ამის ნათელი მაგალითია შამილ ბასაევის დაჯგუფება, ის მხარს უჭერდა აფხაზ სეპარატისტებს და ამით, ფაქტობრივად, რუსეთს. შემდეგ კი ჩეჩნეთში რუსეთის არმიის წინააღმდეგ იბრძოდა. მეცნიერთა ნაწილი ამას სხვადასხვანაირად ხსნის. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ბასაევი რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი იყო, ზოგიერთის აზრით თავიდან ერთად იყვნენ, მაგრამ შემდეგ მოხდა მათ შორის განხეთქილება, ზოგიერთის აზრით, ის უბრალოდ ვაჰაბიტური ისლამის მიმდევარი იყო და ყველგან ისლამის ინტერესებს იცავდა და ა. შ. ფაქტი კი ერთია, ამ დაჯგუფებამ აფხაზეთში რუსეთის მხარდამხარ იომა, შემდეგ რუსეთს ებრძოდა და მასთან დაპირისპირებაში განადგურდა.

რუსეთთან ომის დროს ვაჰაბიტური დაჯგუფების მთავარ მიზანს წარმოადგენდა „მუსლიმანური ვაკეასიის“ გათავისუფლება რუსეთის იმპერიის უღლისაგან. რუსი გეოპოლიტიკოსის, ალექსანდრე დუგინის აზრით, ეს თავიდან ბოლომდე „ატლანტისური ლოზუნგია“. წარსულთან მიმართებაში, თუნდაც ეს უახლესი წარსული იყოს, მნიშვნელოვანი მხოლოდ მომხდარი ფაქტებია და ალტერნატიულ ისტორიას აზრი არა აქვს, მაგრამ ჩვენ იქითკენ ვიხრებით, რომ ბასაევის დაჯგუფება რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა, რადგან რუსეთის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ჩეჩნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ტერორიზმად მოენათლა და ამას მან მსოფლიოს თვალში გარკვეულწილად მიაღწია კიდევ სწორედ ამ დაჯგუფებების მოქმედების შედეგად. ჩეჩნეთის დემოკრატიულ ნაწილს კი (დუდაევი, მასხადოვი, ზაკაევი და ა. შ.) უბრალოდ ძალა არ შესწევდათ, მათ წინ აღდგომოდნენ, რადგან ეს უკვე შიდა დაპირისპირებას გამოიწვევდა.

1999 წლის 7 აგვისტოს, „ისლამის სამშვიდობო ბრიგადა“ ბასაევისა და ხატაბის მეთაურობით დაახლოებით 400-500

მებრძოლით დაუბრკოლებლად შევიდა დაღესტანში ბოტლიხის რაიონში და დაიკავა მთელი რიგი სოფლები: ანსელტი, რახატა, ტანდო, შოდროდა, გოდობერი. ოპერაციას მათ დაარქვეს „იმამ ყაზი მადომა“. აგვისტოს ბოლოსთვის რუსეთის ფედერალურმა ძალებმა დიდი გაჭირვებით შეძლეს მონინააღმდგის უკუგდება. მასში ადგილობრივი მილიციაც მონაწილეობდა.

ამის შემდეგ, 4-16 სექტემბერს, იმავე 1999 წელს საცხოვრებელი სახლები აფეთქდა მოსკოვში, ბუიუნაკსკსა და ვოლგა-დონსკში. იყო მნიშვნელოვანი მსხვერპლი. ეს საშინელი ტერაქტები იყო. ოფიციალური ვერსიით ტერაქტები განახორციელა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებამ, ისლამურმა ინსტიტუტმა „კავკასიამ“ შამილ ბასაევის, ემირ ალ ხატაბისა და აბუ უმარის ხელმძღვანელობით [2, 259].

1999 წლის 5 სექტემბერს ჩეჩენ მებრძოლთა რაზმი ბასაევისა და ხატაბის მეთაურობით კვლავ შეიჭრა დაღესტანში. დაღესტანს რუსეთის წინააღმდეგ კავკასიელთა ბრძოლაში საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა. ისტორია ამას ადასტურებს, მაგრამ შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბასაევისა და ხატაბის შეიარაღებული ფორმირებები თავიდან ბოლომდე რუსეთის სპეცსამსახურების მერ კონტროლდებოდა და მას არაფერი ჰქონდა საერთო ლეგენდარული შამილის მებრძოლებთან, რომელთაც სწორედ დაღესტანში განირეს თავი სამშობლოს თავისუფლებისათვის.

ბასაევმა და ხატაბმა ოპერაციას ამჯერად „იმამ ჰამმათ ბეგი“ უწოდეს. აი, რას წერს ამის თაობაზე დუგინი: „ეს იყო გარდამტეხი მომენტი რუსეთის უახლეს ისტორიაში. სეპარატისტულმა ჩეჩნეთმა მიიღო რა ამოსუნთქვის საშუალება ხასავიურტის შეთანხმების შემდეგ, იქცა კავკასიაში და კერძოდ დაღესტანში აქტიური სეპარატიზმის გავრცელების წყაროდ ვაჰაბიტური დროშის ქვეშ“ [1, 483]. ამას, რა თქმა უნდა, ვერ იტყოდა ვერც დუდაევის, ვერც მასხადოვის და ვერც იანდარბიევის შემთხვევაში, მაგრამ ბასაევსა და ხატაბზე რუსულ გეოპოლიტიკას მნიშვნელოვანი იდეოლოგიური საფუძველი ექნებოდა და ამ იდეოლოგიამ წარმატებით იმუშავა კიდევ. ასეთი ძალების წინააღმდეგ ყველანაირი საშუალების

გამოყენებისათვისაც კი ვერავინ დაგძრახავს, თუ ატომურ იარაღს არ ჩავთვლით.

რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორჭოფულმა და გაურკვეველმა პოზიციამ ბორის ელცინის მეთაურობით, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო, ისედაც რთული ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ტერორისტებმა ჩეჩნეთის გარეთ დაიწყეს მოქმედება: შვეიდნენ დაღესტანში, ტერაქტები მოაწყვეს რუსეთის დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში [3, 401]. ეს იყო უკვე ნითელი ხაზი, რომლის გადაკვეთის იქით რუსეთის ნგრევა დაიწყებოდა. რუსულ „გეოპოლიტიკურ მთელს“ საფრთხე შეექმნა. ვაჰაბიტებს რომ წარმატებისათვის მიეღწიათ, ჩრდილო კავკასიას მიჰყვებოდა რუსეთის სხვა ისლამური რეგიონები ერთი მეორის მიყოლებით.

ელცინი მიხვდა, რომ ის ურთულეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, კორუმპირებული ოლიგარქებით გარემოცული, რომელთაც გარეგნულად მაინც პროდასავლური ორიენტაცია ეკავათ და ლიბერალი რეფორმატორების სახელს ატარებდნენ. ელცინი იმასაც მიხვდა, რომ პრემიერ მინისტრი სერგეი სტეპაშინი, რომელიც მან ამ პოსტზე 1999 წლის მაისში დანიშნა, ამ პრობლემას თავს ვერ გაართმევდა და არჩევანი სანქტ-პეტერბურგის მერის, ანატოლი სობჩაკის ყოფილ მოადგილეზე, რუსეთის ფედერაციის ფედერალური უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელზე, ვლადიმერ პუტინზე შეაჩერა. რუსული და მსოფლიო საზოგადოებისათვის პუტინი სრულიად უცნობი პიროვნება იყო. ელცინმა იგი 1999 წლის აგვისტოში მოულოდნელად დანიშნა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად და თან რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე საკუთარ მემკვიდრედ გამოაცხადა. ამ არჩევანმა კარდინალურად შეცვალა რუსეთის გეოპოლიტიკური ბედი და იგი იქცა ზოგადად რუსული პოლიტიკური და მნიშვნელოვანწილად ეკონომიკური კურსის ცვლილების ეტაპადაც. პუტინი ხელისუფლების სათავეში მოვიდა იმ დროს, როცა იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ რუსეთის უფსკრულში გადაჩეხას უკვე ველარაფერი ველარ შეაჩერებდა [4, 182].

პუტინმა თავის პოსტზე უპირველესი ყურადღება ჩეჩნეთზე და დაღესტანში გაჩაღებულ ომზე გაამახვილა. ამას მოჰყვა ჩეჩნეთის მეორე ომი [5, 249].

რუსეთის ახალმა პრემიერ მინისტრმა სიტუაციის კარდინალურ შეცვლაზე გააკეთა არჩევანი და დაიწყო ბრძოლა რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, თანაც ისე, რომ არავითარი ორჭოფობა მას არ დაუნცია.

სექტემბრის შუა რიცხვებში პუტინმა მიიღო გადაწყვეტილება, ჩეჩნეთში სამხედრო ოპერაციის წარმოების შესახებ. 18 სექტემბერს რუსეთის არმიამ მოახდინა ჩეჩნეთის საზღვრების ბლოკირება. 23 სექტემბერს პუტინის კარნახით ბორის ელცინმა ხელი მოაწერა ბრძანებას „რუსეთის ფედერაციის ჩრდილოკავკასიურ რეგიონებში ეფექტური კონტრტერორისტული ოპერაციის ეფექტური ზომების გაძლიერების შესახებ“. 23 სექტემბერს რუსეთის არმიამ დაიწყო გროზნოსა და მისი შემოგარენის მასობრივი დაბომბვა, ხოლო 30 სექტემბერს იგი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე შევიდა [5, 329].

კრემლი ოპერაციის დროს ეყრდნობოდა ორ ძირითად პრინციპს: პირველი ეს იყო სრული განადგურება წინააღმდეგობის ყველა კერისა ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მისი დაბრუნება რუსეთის ფედერალური მმართველობის ზონაში. მეორე, კონფლიქტის ე. წ. „ჩეჩენიზაცია“, რაც გულისხმობდა, თავის მხარეზე გადაბირებას იმ ძალებისა, რომლებიც მოსკოვის აზრით, ყველაზე ნაკლებად იყვნენ დაკავშირებული ე. წ. ატლანტიკურ ძალებთან. ჩეჩნეთში ასეთ ძალად რუსეთი მოიაზრებდა ახმად კადიროვს, რომელიც ლოიალურად იყო განწყობილი რუსეთისადმი, თუმცა მანამდე რუსეთს ებრძოდა [6, 315].

ამგვარ სტრატეგიას ჩეჩნეთის წინააღმდეგობის ძალებმა უპასუხეს გარე ძალების, მათ შორის დაქირავებული მებრძოლებისადმი თხოვნით, რათა არ დაეშვათ ჩეჩენი ხალხის გენოციდი. ამან როგორც ზოგიერთი რუსი პოლიტიკური ექსპერტი ფიქრობს, განხეთქილება შეიტანა ჩეჩნეთის მოსახლეობის უმრავლესობაში, რომელთათვის უცხო იყო როგორც „ვაჰაბიტური იდეოლოგია, ისე ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობები“ [7].

როგორც გეოპოლიტიკოსი ა. დუგინი ფიქრობს, „ჩეჩნეთის მეორე კამპანია ატარებდა წმინდა ევრაზიულ სახმელეთო გეოპოლიტიკურ ხასიათს და თანმიმდევრულად ეწინააღმდეგებოდა იმ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ, შეესუსტებინათ ცენტრიდანული ტენდენციები და დაენაწევრებინათ რუსეთი“ [1, 249]. აქ მართლაც გამოიკვეთა პუტინის ვექტორი. ესაა კარდინალური განსხვავება ელცინისა და პუტინის კურსს შორის. ამან რუსეთის ლიდერის პოპულარობა ერთი-ორად გაზარდა [8].

ვლადიმერ პუტინმა კატეგორიული უარი განაცხადა ჩეჩნეთის ლიდერთან შეხვედრაზე და მიუთითა, „არავითარი შეხვედრა იმისათვის, რომ „ბოევიკებს“ შესაძლებლობა მიეცეს, მოიშუშონ ჭრილობები“ [9, 357].

რუსეთის ლიდერი არ ისმენს ჩეჩნეთის საკითხთან დაკავშირებით არც ერთ პროდასავლურ პოზიციას. ამგვარ პოზიციას მოჰყვა თავისი შედეგი. რუსეთის შეიარაღებული ძალები ჩეჩნეთში შევიდნენ, როგორც ჩრდილოეთის, ისე ინგუშეთის მხრიდან და ერთიმეორის მიყოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები. 11 ნოემბერს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ცენტრი გუდერმესი საველე მეთაურებმა ძმებმა იამადაევებმა და ჩეჩნეთის მუფტმა ახმად კადიროვმა რუსეთის ფედერაციის ძალებს უბრძოლველად ჩააბარეს [10].

26 დეკემბერს დაიწყო ბრძოლა გროზნოსათვის. 2000 წლის თებერვალში რუსეთის არმიამ ჩეჩნეთის დედაქალაქი აიღო. იგი შეიძლება ითქვას, რომ მიწასთან იყო გასწორებული. ამის შემდეგ კრემლმა დაიწყო ჩეჩნეთის სხვა ტერიტორიის დაკავება, შემდეგ კი მთიან რაიონებს შეუტია. 2000 წლის 29 თებერვალს ფედერალური ძალების გაერთიანებული დაჯგუფების უფროსის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა გენადი ტროშევემა გამოაცხადა ჩეჩნეთში სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დასრულების შესახებ, თუმცა ეს უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებდა, რადგან ბრძოლები ჩეჩნეთში კიდევ დიდხანს გრძელდებოდა [11].

2000 წლის 20 მარტს საპრეზიდენტო არჩევნების წინ ვლადიმერ პუტინი ჩეჩნეთს ეწვია, ხოლო 20 აპრილს გენშტაბის მეთაურის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა ვალერი



მანილოვმა განაცხადა კონტრტერორისტული ოპერაციის სამხედრო ნაწილის დასრულებისა და მისი სპეცოპერაციულში გადასვლის შესახებ [12].

9 მაისს გროზნოში „დინამოს“ სტადიონზე მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების აღსანიშნავ აღლუმზე აფეთქების ხმა გაისმა, სადაც დაიღუპა ჩეჩნეთის პრორუსი პრეზიდენტი ახმად კადიროვი. ამის შემდეგ ჩეჩნეთის ცალკეული პარტიზანული ჯგუფები აწყობდნენ თავდასხმებს რუსეთის ფედერალურ ნაწილებზე, მაგრამ ამას რაიმე სერიოზული შედეგი არ მოსდევდა. ამგვარი შეტაკებები ჩეჩნეთის საზღვრებს გარეთაც ხდებოდა [13].

2005 წლის 8 მარტს ფედერალური უშიშრების სამსახურის სპეცოპერაციის დროს დაიღუპა ჩეჩნეთის (იჩქერია) კანონიერი პრეზიდენტი ასლან მასხადოვი, ხოლო 2006 წლის 10 ივლისს იგუშეთში მოკლეს ტერორისტების ერთ-ერთი ლიდერი შამილ ბასაევი [14, 258].

2007 წელს ჩეჩნეთის ლიდერი გახდა 30 წლის რამზან კადიროვი, ახმად კადიროვის შვილი, რომელმაც მამის გზა განაგრძო, იგი დღესაც ჩეჩნეთის პრეზიდენტია. მიგვაჩნია, რომ შექმნილ სიტუაციაში მამა-შვილის პოლიტიკა წარმოადგენდა კომპრომისს რუსეთის ფედერაციასთან და მოსაზრებას, რომ ისინი ჩეჩენი ხალხის მოღალატეები არიან, ვერ გავიზიარებთ. კადიროვმა შეძლო ჩეჩნეთში რეფორმების გატარება. ჩეჩნეთი კი ტრადიციულ კავკასიურ ფასეულობებზე დაფუძნებული ავტონომიური რესპუბლიკაა [15].

სხვადასხვა მონაცემებით ჩეჩნეთის არმია 50 ათას კაცს მოითვლის, რომელიც საკმაოდ კარგადაა შეიარაღებული, იგი ფედერალურ ცენტრს ემორჩილება, მაგრამ შესაძლო გეოპოლიტიკური რყევების შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ იგი ჩეჩენი ხალხის სამსახურში იდგება. ჩვენ ამით იმის თქმა სულაც არ გვინდა, რომ დღევანდელი ჩეჩნეთის ხელისუფლება არ არის მარიონეტული ხელისუფლება, იგი თავიდან ბოლომდე კრემლის ინტერესების გამტარებელია, მაგრამ მოცემულ სიტუაციაში, ვფიქრობთ, სხვა გამოსავალი არ არსებობდა და შეიძლებოდა ჩეჩენი ხალხის სრული გენოციდი მიგველო. აქვე ვიტყვით

იმასაც, რომ ვლადიმერ პუტინმა ახალი ფურცელი გადაშალა რუსეთის გეოპოლიტიკაში. სწორედ მან შეაჩერა რუსეთის სრული გეოპოლიტიკური კატასტროფა. რუსული გადასახედიდან იგი ძლიერ და ჭკვიან პოლიტიკოსად გამოიყურებოდა [16, 182].

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პუტინის სხვა ნაბიჯები ევრაზიული პოლიტიკის გაგრძელება იყო. როგორც პოლიტიკოსი იგი სულით ევრაზიელი იყო. 2000 და 2004 წლების არჩევნების შემდეგაც მას ეს კურსი არ შეუცვლია. ეს მიმართულება განავითარა და განამტკიცა მისმა რეფორმებმა, რომელიც არსებითად ცვლიდა გორბაჩოვის და ელცინის პერიოდიდან დაწყებულ საგარეო პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და გეოპოლიტიკურ კურსს [17, 355].

ვფიქრობთ, პუტინის რეფორმებს დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. თანამედროვე რუსულ და ნაწილობრივ დასავლურ გეოპოლიტიკურ აზრში ძირითადად თანხმდებიან იმაზე, რომ პუტინის დროს მოხდა:

90-იანი წლების კურსის, რომელიც რუსი პოლიტიკური ექსპერტების მიერ განიხილება, როგორც რუსეთის დესუვერენიზაციისა და გარედან ფაქტობრივი მმართველობის შემოღების, კრიტიკა და თანამედროვე რუსეთის სუვერენიტეტის, როგორც უმაღლესი ღირებულების თანამედროვე გამოხატულების დამკვიდრება;

რუსეთის შერყეული ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცება და დაცვა მთელი რიგი, მათ შორის, მკაცრი სამხედრო საშუალებებით ჩეჩნეთსა და მთელ ჩრდილო კავკასიაში მისი პოზიციების გაძლიერება; 7 ფედერალურ ოლქში გაგება „სუვერენიტეტის“ ლიკვიდაცია საკანონმდებლო აქტებში; სეპარატიზმის აღკვეთის მიზნით, გადასვლა ფედერაციის სუბიექტების მეთაურების დანიშვნის სისტემაზე, არჩევითობის ნაცვლად (ეს ზომა მიიღეს ბესლანის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, როცა ტერორისტების ხელში მძევლებად სკოლის ბავშვები აღმოჩნდნენ). აქვე ვიტყვით იმასაც, რომ ანტიტერორისტულ ოპერაციას აქ მრავალი ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა;

საზღვარგარეთ განდევნა შედარებით ოდიოზური ოლიგარქებისა, რომელთაც მთელი ძალაუფლება ეპყრათ ხელში 90-იან წლებში (ბ. ბერგოვსკი, ვ. გუსინსკი, ლ. ნევზლინი და ა. შ.)

და დევნა ჩადენილი დანაშაულებებისათვის მ. ხოდორკოვსკის, პ. ლეხედევისა და ა. შ.; ნაციონალიზაცია ნედლეულის შედარებით მსხვილი მონოპოლისტებისა და იძულება დანარჩენი ოლიგარქების, რომელთაც უნდა ეცნოთ ახლად არჩეული კურსის ლეგიტიმურობა სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესებით რუსეთის სუვერენიტეტის განმტკიცებაზე;

ღია და დაუფარავი დიალოგის წარმოება აშშ-სა და დასავლეთთან აშშ-ს ჰეგემონიისა და ერთპოლარული მსოფლიოს ორმაგი სტანდარტების მიუღებლობა, მრავალპოლარულობისა და ყველა ძალასთან თანამშრომლობის სასარგებლოდ (ძირითადად კონტინენტურ ევროპასთან) რომელიც დაინტერესებული იქნებოდა ამერიკული ჰეგემონიის დაუშვებლობით. ეს ცხადია, რუსული ტრადიციული ფორმულა იყო, რომელიც ითვალისწინებდა ატლანტისტურ ბლოკში განხეთქილების შეტანას;

ინფორმაციული პოლიტიკის შეცვლა ძირითად ნაციონალურ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, რომელიც ადრე აშუქებდა თავიანთი ოლიგარქი მმართველების შეხედულებებს, ხოლო ამერიკიდან თავიანთი საქმიანობა სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის უნდა შეეხამებინა.

რუსეთის ისტორიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებიდან შემობრუნება, რაც ითვალისწინებდა დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული მიდგომების უკრიტიკოდ მიღების დაუშვებლობას და პატივისცემას რუსეთისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ფიგურების მიმართ. (კერძოდ, დაფუძნდა ეროვნული ერთიანობის დღე 4 ნოემბერი, ლიტველი და პოლონელი ოკუპანტებისაგან სახალხო ლაშქრის მიერ მოსკოვის განთავისუფლების პატივსაცემად);

ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერა პოსტსაბჭოთა სივრცეში და დსთ-ს ქვეყნებში რუსეთის მოქმედების გააქტიურება, ასევე ჩამოყალიბება თუ გამოცოცხლება ინტეგრაციული სტრუქტურებისა – ისეთი როგორცაა „ევრაზიის ეკონომიკური თანამშრომლობა“, „ერთიანი ეკონომიკური სივრცე“ და ა. შ.;

პარტიული ცხოვრების ნორმალიზაცია ოლიგარქიული სტრუქტურებისათვის პოლიტიკური ლობირების აკრძალვის ხარჯზე, რომლითაც ისინი თავიანთი კერძო და კორპორაციულ

ინტერესებს იცავდნენ და ამაში იყენებდნენ საპარლამენტო პარტიებს;

კონსოლიდირებული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავება ენერგორესურსებით ვაჭრობის სფეროში, რომელმაც რუსეთი მძლავრ ენერგეტიკულ სახელმწიფოდ აქცია, რომელსაც საშუალება აქვს, გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ პროცესებზე ევროპისა და აზიის მეზობელ რეგიონებზე. გაზისა და ნავთობის მილსადენებზე დაფუძნებული სქემები, რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთისაკენ მიემართება, ნათელ გამოხატულებად იქცა ახალი რუსეთის ენერგეტიკულ პოლიტიკაში. ამგვარი გეოპოლიტიკა ახალ დონეზე იმეორებს კლასიკური გეოპოლიტიკის ძირითად ძალოვან ხაზს.

ამ რეფორმებს, ცხადია, ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც. ესენი უმთავრესად იყვნენ გორბაჩოვისა და ელცინის ეპოქის პროდასავლური მოღვაწეები, რომელთაც ბევრი რუსი პოლიტიკური მკვლევარი თალასოკრატიის (საზღვაო იმპერიის) გავლენის აგენტებად მოიხსენიებს, რომელთაც გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა და გლობალური კაპიტალისტური ტენდენციები. პუტინის კურსზე ამგვარ წინააღმდეგობას ავლენდა მემარჯვენე ოპოზიციური პარტიები (იაბლოკო, პრავოე დელო).

ყველა ულტრალიბერალურ, პროამერიკულ პარტიასა და მოძრაობას რუსეთში აფინანსებდნენ, როგორც რუსი გეოპოლიტიკოსები ფიქრობენ, აშშ და დასავლური ფონდები. მიზანი პუტინის კურსიდან გადახვევა იყო. როგორც დუგინი ფიქრობს, ამ მიზანს ემსახურებოდა ფერადი რევოლუციებიც, რომლებიც დასავლეთის მიერ ფინანსდებოდა. ეს იყო ნარინჯისფერი რევოლუცია უკრაინაში, ვარდების რევოლუცია საქართველოში, ტიტების რევოლუცია ყირგიზეთში, არეულობები მოლდოვაში და ა. შ. [1, 358].

პუტინი და მისი პოლიტიკა იქცა გეოპოლიტიკური, სოციალური და მსოფლმხედველობრივი ტენდენციების გამოხატულებად, რომელიც მთლიანობაში ემყარებოდა სახმელეთო ცივილიზაციისა და რუსეთის გეოპოლიტიკური ისტორიის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს. თუ გორბაჩოვისა და ელცინის სისტემა სრულ

წინააღმდეგობაში მოდიოდა რუსული ძალის პოლუსთან, პუტინის პოლიტიკამ პირიქით, აღადგინა ტრადიციული რუსული ისტორიის მსვლელობა და დააბრუნა იგი ბუნებრივ გარემოში [18, 149]. ამიტომაც პუტინთან ერთპოლარული მსოფლიოს ფორმირების პროცესს შეხვდა ძლიერი წინააღმდეგობა. რუსეთმა – ევრაზიამ ახალი პრეტენზია განაცხადა მნიშვნელოვანი მსოფლიო ძალის პოლუსზე, რომელიც ევრო-ატლანტიზმს უპირისპირდებოდა.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ამგვარი თეორია სრულად შეესაბამება რუსი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რუსეთი წარმოადგენს ბუნებრივ მოთამაშეს საერთაშორისო ურთიერთობებში და მას 2007 წლის მიუნხენის კონფერენციიდან მოყოლებული დღემდე ახალი მსოფლიო სტრატეგიული მიზნები აქვს გაცხადებული.

#### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. Дугин А. Г., Геополитика России, Москва, 2014.
2. Дугин А. Г., Основы евразийства, Москва, 2002.
3. Дугин А. Г., Четвёртый путь, Москва, 2014.
4. Баталов Э. Я., Русская идея и американская мечта, Москва, 2001.
5. Bennet V. Crying Wolf: The Return of War to Chechnya, London: Pan, 2011.
6. Benningsen-Broxup M. The North Caucasus Barrier: The Russian Advance Towards the Muslim World. New York: St Martin's Press, 1992.
7. Bowen A. S., Sochi 2014: The Terrorist Threat, The National Interest [2013. URL: <http://nationalinterest.org/commentary/sochi-2014-the-terrorist-threat-8890>
8. Cohen A., 'The New Great Game': Oil Politics in the Caucasus and Central Asia, The Heritage Foundation [Электронный ресурс] 1996, URL: <https://www.heritage.org/europe/report/the-new-great-game-oil-politics-the-caucasus-and-central-asia>
9. Дугин А. Г., Геополитика. Москва: Академический Проект, 2011.

10. Dzutsati V. Georgia May Become a Key Destination for North Caucasians if EU Grants It Visa-Free Entry, North Caucasus Weekly. 2016. Vol. 17 (15), Washington, DC: The Jamestown Foundation, URL: <https://jamestown.org/program/georgia-may-become-a-key-destination-for-north-caucasians-if-eu-grants-it-visa-free-entry-2/>
11. Emirov R., К вопросу о национальной безопасности России на Северном Кавказе, Власть, 2013, №4, URL: <https://cyberleninka.ru/article/n/k-voprosu-o-natsionalnoy-bezopasnosti-rossii-na-severnom-kavkaze>
12. Eneev D. O., Интересы западных стран на Северном Кавказе как угроза национальной безопасности России // Наукоедение, 2014, №3(22), URL: <http://cyberleninka.ru/article/n/interesy-zapadnyh-stran-na-severnom-kavkaze-kak-ugroza-natsionalnoy-bezopasnosti-rossii>
13. Four Chechens Face Terrorism Charges in Poland, RFE/RL, 2016, URL: <https://www.rferl.org/a/poland-chechens-charged-islamic-state-terrorism/28078132.html>
14. Batchelor T., Russia Accuses UK of Helping Islamic State by 'Protecting Terrorist Who Finance Jihadis', Express 2016, URL: <http://www.express.co.uk/news/uk/665021/Russia-accuses-UK-HELPING-Islamic-State-protecting-terrorists-finance-jihadis>
15. Giacalone G., The Kavkaz Center and the Jihadist Threat / Radical Islam Monitor in Southeast Europe, 2014, URL: <http://www.rimse.gr/2014/09/the-kavkaz-center-and-jihadist-threat.html>
16. Бжезинский З., Выбор. Мировое господство или глобальное лидерство (The Choice: Global Domination or Global Leadership), Москва, 2007.
17. Amelina Y.A. Северокавказская политика Грузии после прихода к власти команды Иванишвили: ингушское направление, Проблемы Национальной Стратегии, 2014, Т. 4, № 25.
18. Вандам Е., Геополитика и геостратегия, Москва, 2002.

**Zurab Kvetenadze**

*Georgian Technical University,  
Doctor of history, Professor*

## **SECOND WAR CAMPAIGN IN CHECHNYA AND PUTIN'S FACTOR IN THE CHANGE OF RUSSIA'S GEOPOLITICAL VECTOR**

### **Summary**

Currently, there is an ambiguous assessment of the current President of the Russian Federation, Vladimir Putin. Liberal political thought sees him as an authoritarian ruler who hinders the democratic development of Russia and the formation of civil society. However, the certain part believes that he is a strong ruler, that he greatly strengthened Yeltsin's Russia, which was into a whirlpool, and create a superpower state. As for the third part of scientists and political experts, they strongly believe that Putin is a acceptable figure for Russia since Russia will never become a Western democracy due to several factors, such a leader as Putin is acceptable to them. All of these views have their strong and weak sides. We assume that the assessment of a political leader by contemporaries is devoid of scientific meaning, moreover, it takes quite a long time. Nevertheless, there are real facts that still allow us to make certain conclusions from the data created in Russia during the last presidency of Boris Yeltsin. There was a kind of impression that after the disintegration of the Soviet Union, the Russian Federation would collapse. However, Russia not only withstood the test but during Putin's rule, it gained strength and became a superpower again.

შპს „პრინტჯეო“, 2022

---

თბილისი, 0131, დემეტრე თავდადებულის ქ.18, ☎: +995 32 222 06 08

E-mail: [ichachanidze@mail.ru](mailto:ichachanidze@mail.ru)